15 ღითა მოინადირებს გამოუცდელთა კაცთა და გონებასა წ<sup>რ</sup>ფელთა-  
სა: | და მრავალსა მწუხარებასა შინა ფართ მტერისა ამის გ<sup>ნ</sup> მართლ-  
მადიდებლობისა:.

v. და ვ<sup>ა</sup> ეს.მეს სიტყ<sup>ნი</sup> ესე მ<sup>თ</sup>ნი წ<sup>ს</sup>ა საბას დაადგრა მ<sup>თ</sup> თ<sup>ნ</sup>ა  
20 და უბრძანა მ<sup>თ</sup> რ<sup>ა</sup> შეკრბენ ყ<sup>ნი</sup> და გ<sup>ნ</sup>ზაონ მარხვად ლოცვითა  
და ესე ღმობიერი წაუდგინონ ღ<sup>ა</sup> ღამისთევითა და მღვდარებითა:.

წ<sup>ბ</sup> ბილწსა მას მოხუცებულსა გამოეთქუა საკითხავი სავსე  
ტყუვილისა წვალებითა და სიტყბილითა: და ესე ენება წარკითხვად  
ერსა ხ<sup>ა</sup> მორწმუნეთასა რ<sup>ა</sup> ამით მოინადირნეს სულნი უმანკონი:.

25 მაშინ ვ<sup>ა</sup> აღასრულეს ლოცვა მ<sup>თ</sup>ი წ<sup>ნ</sup> საბა და ყ<sup>ლ</sup>თა მო-  
ქალაქეთა: გარდამოკდა მუნთქუესვე რისხვად ღ<sup>ა</sup> ხ<sup>ც</sup>თ ოსტროსის  
ხ<sup>ა</sup> და შეიპყრა იგი სენმ<sup>ნ</sup> უკურნებლმ<sup>ნ</sup> მას დღესა შინა და მი-  
მწუხრი ესმა მას ვ<sup>ა</sup> ხ<sup>ც</sup>თ # უბადრუკო ამას ღამესა მიველოს  
ს<sup>ლი</sup> შ<sup>ნი</sup> და მიხვდე სიმრავლესა მას მწარეთა სატანჯველთასა კრე-  
30 ბულისა მის თ<sup>ს</sup> რ<sup>ნი</sup> მოინადირენ ტყუვილისა ბადითა და დაანთ-  
ქენ სიღრმესა წარსაწყმედელისასა:.

და მას ღამესა მოკუდა იგი ბოროტად ვ<sup>ა</sup> მეფე იგი რ<sup>ნ</sup> შე-  
აკუუნა ი<sup>შ</sup>ლი რ<sup>ეს</sup> იგი მოუვლინა ო<sup>ნ</sup> მანხილებულად ბაღამ მო-  
სორელი რ<sup>ლ</sup>სა იგი კარაული ეზრახა კაცობრივითა სიტყუთა ვ<sup>რ</sup>  
35 იგი ბოროტად მოაკუდინა ღ<sup>მ</sup> მ<sup>ფ</sup>ე იგი: და დაადგინა ს<sup>ნ</sup>ა მეფე  
რ<sup>ლი</sup> ნებისებრ უძლოდა ი<sup>შ</sup>ლთა: ესრევე შეგმოხვა || მოხუცებულსა  
მას მტყუარსა ლოცვითა წ<sup>დ</sup>ისა საბაძითა: და ვანერა ქ<sup>ლ</sup>მ<sup>ი</sup>  
კვროსი:.

83r.

40 და მიერ წარვიდა აკაკიოს ქ<sup>ყ</sup>ნდ თვისა სამწყსოთა თვისთა  
თ<sup>ნ</sup>ა რ<sup>ეს</sup> მოიკიობა მოძღუარი თ<sup>ს</sup>: ხ<sup>წ</sup> წ<sup>ა</sup> საბა წარვიდა საყოფ-  
ლად თვისა მწ<sup>ყ</sup>თა თვისთა თანა და დაყო ქამი რაოდენიბე მ<sup>თ</sup> თ<sup>ნ</sup>ა



და ამისა შემდგომად გწვიდა იგი ცხოვრებისა ამის გწ ქამიერისა და ღირს იქმნა იგი მისლუად<sup>1</sup> ცხოვრბსა მას დაუსრულებელსა ღთისა თსისა თნა რლიცა შეიყუარა და კმსახურა.

შლითა გულსმოდგინებითა მოსწრაფედ დღს და ღამს მოუწყინებლდ: ხ<sup>2</sup> შემდგომად მისა მოწაფენი მისნი მიემსგვსნეს სათნოებათა მისთა და აღასრულნეს დღენი მთნი მრავლითა გულსმოდგინებითა კეთილთა საქმეთაჲთა მოლუაწებით და ქა სათნო ეყვნეს.

ამიერიით გწ ვყო დასასრული ცხოვრებისაჲ ამის და ვევედრები თა და ღა ჩენსა იწ ქა ზიარ მყვნეს მის თნა საქმეთა მისთა კეთილთა და ლოცვითა მის წდისათა გარდამოავლინოს წყალობაჲ მისი ერსა მისსა ზა მოაწმუნესა რნი აღიდებენ მს სახელსა მშისა და ძისა და სლისა წდისასა რლისა კმუნის დხა ქებაჲ და თყნისცემაჲ აწ და მს და რქათი რქე აწ.

#### ბ მ მ ს ბ ი ს ა თ მ ი ს .

§ 1. დაწერილია ძველი წესხა ხეცურად, გარკვეული და ღამაზი ხელით. დამწერლობის თაყისებურებათა შორის აღენიშნაეთ:

1. ვინს, მრს<sup>2</sup>, ქანსა და ჩინს წელი გატეხილი აქვსთ, მაშინ როცა იგი სწორი აქვსთ ენს, ყარსა და წილს.

2. ჩინსა და მრს შორის მხოლოდ ის სხვაობაჲა, რომ უქანასკნელს ოდნავ კბილი უგრძელდება მარჯვნივ.

3. კანს ქვედა ფეხი მოკლე აქვს და დანიც ხანდახან ისე იწერება, რომ წინა ფეხი გარკვევით მოკლეა უქანაზე; ამ შემთხვევაში ის ინს უახლოედება.

4. დონს ტანი ღია აქვს მარცხენა მხრიდან.

5. უნს თუშკა უნეტეს შემთხვევაში სამი კბილი აქვს, მაგრამ მინც ვტყობა დამწერელს იგი ესმოდა, როგორც ორი ასო. ამას ამტკიცებს სიტყვა „უფალი“, როცა იგი ქარავნით გვევლინება: ონი=ოვფალი, ო (ჩვეულებრივი ო-ო-ს მაგიერ); ამ შემთხვევაში ონს ყოველთვის სამი კბილი აქვს)—ოვფალო, ონა, ონისა და სხვა. ამას გარდა, თვით ონს დამოუკიდებელიც უფრო ხშირად ორი კბილი აქვს მხოლოდ.

6. მოსახსენებელია აგრეთვე შევეული პუნქტირის ხაზი, რომლითაც ტექსტი ჩასმულია ხოლმე გამოჩენილი სიტყვა.

§ 2. გადაწერის აშკარა შეცდომებს უნდა მიეკუთვნოს: იგი ივინის მაგიერ ნ,მ; უბძანა უბრძანა'ს მაგიერ ნ,27; ვალ ვალნ'ის მაგ. 7,35; უყუართა უყუარდა'ს მაგ. 7,36; უბრძანა უბრძანა'ს მაგ. 8,31; აისტრიოს ასტრიოს'ის მაგ. 9,24; მის გწნი მის გწნ'ის მაგ. 10,26; მკურვლმ მკურვალმ'ს მაგ. 12,25; უწყდა უწყოდა'ს მაგ. 15,40; იხლონ იხილონ'ის მაგ. 18,6; რწ რწი'ს მაგ. 18,23;

<sup>1</sup>) ჩამატებულია სტრიქონს ხვეით ტექსტის ხელით.

<sup>2</sup>) ანუ ვეწოდებთ ამ ასოს ათდეილისათვის ზანის და კარის ანალოგიით.





საბაასითა საბაჰსითა'ს მაგ. 19,3; ერთი დიტოგრაფიული შეცთომაც, გამოწვეული სიტყვის სტრიქონიდან სტრიქონში გადატანით—თსითა თს'ათს მაგ. 20,1. გამოცემაში ეს შეცთომები გასწორებულია.

§ 3. მართლწერის ნორმები რყევას განიცდიან განსაკუთრებით ნასესხებ სახელებსა და სიტყვებში.

1. აგაკიოს 11,14; აგაკი 15,8; აკაკიოს 15,35; 18,13; 20,39; აკაკი 15,18; 16,19; 18,19.

2. მთავარებისკუპოზი 14,28 და ებისკოპოზი 20,13.

3. მერყევია აგრეთვე ორის ხმარება სიტყვის შიგნით:

ა. ეგრძათე 5,36; 7,11; ეგრძთ 7,20; ესრძთ 6,3; 7,33; 13,20; ესრძათე 6,16; 6,18 და ესრეძთ 12,24; ესრევე 16,4.

ბ. ალაშენონ 6,34; 6,39; შენება 7,7 და ალაშენეს 7,8; 7,12; 13,13; ალაშენა 11,11.

გ. „ისრაელ“ სიტყვაში გვაქვს ორი 20,33; 20,36; მაშინ როცა „ამენ“-ში ენი.—17,30.

დ. ზედსართავი სახელების შედარებით ხარისხში გვაქვს ხან შნი, ხან ორი: უტკბილეს 5,27; უტრცელეს 7,12; უმჯობესი 15,35 და უმეტეს 7,18; უმრავლეს 16,33.

ე. სამაგიეროდ, მ-ფუძიანი სახელების სახელობითი ბრუნვის დაბოლოებაში ყოველთვის გვაქვს ორი.

4. ვეს ფუნქცია გარკვეულია—იგი გადმოგვცემს უი დიფტონგს, რაიცა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ზოგიერთი სიტყვის ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოებაში (ფუძისეული უმარცვლო უნისა და ბრუნვის ფორმის ინის შეერთება): ლაკუა 17,5; 17,31—ლაკესა 17,13; 17,28; 17,29), სიტყუა 5,24; 15,22—სიტყესა 18,35; სიტყუთა 20,11; 20,15 და სხვ. [შეადარე ჰამბავი 6,5; 18,6—ჰამბვითა 6,18]. ორი შემთხვევა არღვევს მხოლოდ ამ მტკიცე სისტემას: საკვილი 5,39 საკუმილი'ს მაგ., რომელი ფორმაც გვხვდება კიდევაც (იხ. 15,16) და სიკვილი 14,5 სიკუმილი'ს მაგ. (შეად. იქვე სტრიქ. 1—სიკუმილისა). ეს ფაქტები ჩვენ კალნის შეცთომად მივიჩნიეთ და გამოცემის ავადილეთ.

§ 4. ფონეტიკურ თავისებურებათა შორის ყურადღებას იქცევს:

1. ვინის დაკარგვა ონსა და სხვა რომელსამე ხმოვანს შორის—სანოაგე 5,19; განზონ 20,20; მყოარ 13,30; დაუტეოთ 18,4; დაკარგულა ვინი აგრეთვე „შევრდომა“ სიტყვაში: შეურდებოდეს 6,7; შეურდა 9,20. იკარგება ვინი აგრეთვე, როგორც პირველი პირის სუბიექტური პრეფიქსი უნით დაწვებულ ზმნებში, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ძველ ქართულში—უწი (ვე) 8,33; დაუტეოთ (ჩვენ) 18,4.

2. გაჩენა ვინისა—ტყუილი 20,12; 20,15; 20,23; 20,30; თუმცა ერთს შემთხვევაში გვაქვს ტყუილი-ც 14,11.

3. შანის გაჩენა ზედსართავი სახელის თავიიდურად მიმდებობის ანალოგიით—მცბიერი 13,27.

4. უნის მაგიერ ონი—შოა 10,1; მოკლნი 10,13.





5. ონის ვინად დაეწროება — რავედენისამე 11,7.

6. წარ პრევერბის მაგიერ ერთხელ გვხვდება მისი ვულგარული ფორმა წა: წაუდგინონ ლა 20,21 (საჭიროა მაინც აღინიშნოს, რომ სიტყვა გაკვეთილია ვადატანის დროს ფუძის წინ).

7. ნაჩობლი ხანისგან ერთის დაკარგვა:

ესმა ესე ასტრიოს 12,8; სახლსა შინა მისა სავანე ყოს 16,30 (შეად. მოვეკიდა საშოსელსა მისსა 18,34).

8. რედუქცია—მოიხდიან მოიხადიანის მაგ. 6,16; მოწფისა 9,4; 12,26; საყოფლად მოსალოდნელი საყოფელადის მაგ. 10,8; 20,41.

9. დაბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ძველი ყოველთვის ხმარობს კარს სიტყვა „გულისკამში“. ეს სიტყვა სემასიურად ისეთივე წარმოგებისაა, როგორც „გულისყური“, და ზოგიერთ მკვლევართა აზრი, რომ აქ ხანი უნდა გექონდეს<sup>1</sup>, წარმოადგენს გაუგებრობას, რომლის სათავე საბა-ს-ულ-ხ-ან-ის-ლექსიკონში<sup>2</sup> უნდა ვეძიოთ.

§ 5. მორფოლოგია:

1. მღე თანდებული ემატება მეტწილად მიმართულებითი ბრუნვის ნაკლები ფორმას — კიდე-მღე 4,19; ჟამე-მღე 7,33; 9,31; მწუხრა-მღე 7,34; კითხვა-მღე 15,39; უფრო იშვიათად სრულ ფორმას — სანზრად-მღე 7,18; დღენდელად დღედ-მღე 10,30.

2. რთული შემასმენელის სახელ-ნაწილი წარმოდგენილია ყოველთვის წრფელობითი ბრუნვის ფორმაში, მაგრამ ერთს შემთხვევაში ეს წესი არ არის ბოლომდის დაცული: „...იყო იგი ნათესავით სპარსი გუამითა გრძელ და ძალითა ძლიერი და ხატითა შუენიერი“ 7,37.

3. დროის ზმნისხედას აწარმოებენ:

ა. საბელობითი ბრუნვა — ღამე 5,7; 5,20; 5,21; დღისი (ფუძედ აღებულია ნათესაობითის ფორმა) 5,7; 6,32; მიმწუხრი 20,27.

ბ. წრფელობითი ბრ. — ღამე 6,1; დღეულ 7,18.

4. მრავლობითი რიცხვის ფორმატეია 6 ნაწილაკთან ერთად ებ-იც — კოკები 6,28; 6,35. ერთგან სრულიად მოულოდნელი ვულგარიზმი გვაქვს — მოპელიდა იგი ყოველთა სახლებთა მორწმუნეთასა 18,28; თუ ეს კალმის შეცთობა არ არის კანონიერი სახლებსა'ს მაგ. ამის გვაფიქრებინებს მსახვერელი სიტყვის ფორმა, რომელიც არ ეთანხმება სასახლავრის რიცხვის ფორმას (მორწმუნეთასა მორწმუნეთათა'ს მაგიერ).

5. ერთი-ერთსა ჩვეულებრ. ურთი-ერთს'ის მაგ. 5,2.

6. მიმღეობის იშვიათი ფორმა ქუემდებთარე 18,40.

§ 7. სინტაქსიდან მოსახსენებელი:

1. შინა თანდებულის შეთანხმება ნათესაობით ბრუნვასთან, მიცემითის მაგ. — მისა შინა 18,38.

<sup>1</sup>) იმ. H. Марр, Автох Стратиг, Пленение Иерусалима персами, С.-П., 1909, გვ. 71 და მასვე, Древнегрузинско-русский словарь к 1-2 главам Евангелия Марка, სიტყვა „ვღლი“ (გვლ.), გვ. 3. იმ. აგრეთვე В. Ковельда, Древне-Грузинский Архивариат, გვ. XXIV და მასვე, თარგმანება ევლესოსტისა მითროფანე შმუროპოლიტისა გვ. LXXIX და ლ. მელიქსეთ-ბეგის, ცხოვრება წმ. ვრიგოლისა, გვ. VII. <sup>2</sup>) იმ. საბას ლექსიკონში სიტყვა „გულისკამი“.

2. თავისებური წყობა—ხოლო აკაკოს მოწაფესა ბერისასა ფაცხლად განმღერებულ იყენეს კორცნი მისნი 18,13; აუწყე ვისიცა გენებოს 9,7.

§ 8. ლექსიკაში:

1. კაპარი 5,13 შტენარეი ერთგვარი.

2. ხოშორი 5,17; 6,26; 13,4 „წერილისა და სხვილისა საშუალი“ (საბა); მარილის ხოშორი—მარილის კენჭი.

3. კუნტა 6,13 კენკა.

4. დარწული 6,16 „მახე დარწული“, უფრო ჩვეულებრივი დარწმული<sup>1</sup> მგვიერ, რაიცა პნიშნავს დადგმულს, დაგებულს.

5. ჯერი 7,21 ცუდი, უსარგებლო.

6. ნუკევა, ნუკეული 9,19; 9,30 განებებრება, განებებრებული.

7. ძაძა 12,9 ტომარი, პარკი (?).

8. ლაკუა 17,5; 17,13; 17,31 ჯურღმული, ორბო წყლით საესე<sup>1</sup>.

9. განმღერებული 18,13 რომელიდაც სწეულებით დაავადებული, საუფრებელია, რომ ეს სწეულება უნდა იყოს დღევანდელი მღერი (მენი).

10. იამავრი 16,37 ვრთაფერთი შვილი, „ხოლოდშობილი“ (საბა). როგორც მინითითა პროფ. აკ. შანიძემ, სიტყვა წარმოადგენს სომხურ *իჟანოკს* და ქართულში შემოტანილია დიდი ხნით ადრე, როგორც ამას უჩვენებს ფორმა სიტყვისა. საბას<sup>2</sup> იგი აღნიშნული აქვს ტობიას წიგნში, მაგრამ ქართულად დაბეჭდილი დაბადების სათანადო თავა და მუხლში ამ სიტყვის მაგიერ არის: „...მე ერთი ვარ მშობელთა თანა ჩემთა“.

დისასრულ აღენიშნავთ, რომ გამოცემაში დაკულია ტექსტის პუნქტუაცია და აბზაცები. ოჯ ჯგუფს გადმოვცემთ მარტივ უნით.

S. DJANACHIA.

## Vie de Saba de Syrie.

(Résumé).

Ce document de l'ancienne littérature géorgienne se trouve dans un manuscrit (a. 981/2), conservé au mont Sinaï. Nous l'imprimons d'après les photographies prises sur ce manuscrit. Ledit document contient la description de la vie de Julien-Saba qui a vécu et manifesté son activité religieuse en Syrie au IV s. Ne possédant pas en ce moment l'original grec de la *Φυλόσοφος ἱεροπλά* de Théodoret de Cyr, nous avons comparé notre „Vie“ au chapitre correspondant de la traduction géorgienne faite par Ephrem Mzirié au XI s. Cette comparaison a démontré que ces deux œuvres présentent des rédactions différentes malgré la similitude de construction. Cette publication est intéressante surtout au point de vue de l'histoire de la langue géorgienne.

მარტის 3, 1925 წ.

<sup>1</sup>) ამ სიტყვის განმარტებათვის იხ. Н. Марр: *Англих Страит, Плененне Перу-салима перевил*, გვ. 13. <sup>2</sup>) იხ. საბას ლექსიკონი, სიტყვა „იამავრი“.



# შალვა აშირანაშვილი

## ქართული კედლის მხატვრობის დასურათებული დედნის ფრაგმენტები<sup>1</sup>.

ქართულ დასურათებულ ხელნაწერთა აღნუსხვის დროს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში აღმოჩნდა რამოდენიმე ეტრატის ფურცელი ფერადი წამლებით შესრულებული სურათებით<sup>2</sup>.

რიცხვით ჩვენ ვვაქვს მხოლოდ ოთხი ეტრატის ფურცელი და მათ შორის ორი ფურცელი ცალკეა. ფურცლები თავდაპირველად ერთი ზომისა უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ამ ფამად კი სხვადასხვა ზომისა არიან, რადგანაც ყოველი ფურცელი საგრძნობლად დაზიანებულია. პირველი ფურცელი (I და II ტაბ.) 20×25 სანტ., ნეორე — (III-IV ტაბ.) 25×25 სანტ., მესამე — (V-VI ტაბ.) 30×19 სანტ. და მეოთხე — (VII-VIII ტაბ.) 24×24 სანტ. ეტრატი, რომელზედაც მხატვარს მოუთავსებია მინიატურები, საშუალო ხარისხისაა და საკმაოდ სქელი და წარმოადგენს ძველი ხელნაწერის დაშლილ ფურცლებს, რომლებზედაც ნათლად ირჩევა ასომთავრული ტექსტი. ზოგ ადვილას იგი კარვად ირჩევა და შეიცავს დამადების სხვადასხვა ადგილს: პალეოგრაფიული ხასიათი ტექსტისა საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იგი დაახლოვებით მე-X-ს. უადრესი და არც უგვიანესი არ უნდა იყოს. პირდაპირი კავშირი ტექსტს არა აქვს სურათებთან და ამიტომ ჩვენ მის განხილვაზე არ შეეჩერდებით.

ტექსტი, რომელიც ყოველა მოთავსებული ეტრატის ფურცლებზე, მხატვარს არ წაუშლია და დატოვებია ხელშეუხებლად. მხოლოდ ერთი ფურცელი (VIII ტაბ.), რომელზედაც ვადასუფა ტექსტი, საგანგებოდ გადაუბეკილი უნდა იყოს, ანდა თავიდანვე ამ სახით უნდა ჩაპყარდნოდა ხელში მხატვარს. ერთი კი ცხადია ჩვენთვის, მხატვარს არაუიათარი ყურადღება და ანგარიში არ გაუწევია ეტრატზე ნაწერი ტექსტისათვის სურათების შესრულების დროს.

მინიატურები მოთავსებულია ყოველი ფურცლის ორსავე გვერდზე ცალ-ცალკე და ყოველ მათგანს მოკავებული აქვს თითქმის მთელი გვერდი. ზოგი

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად საქართველო: საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სადომხე 29 დეკემბერს 1923 წ.

<sup>2</sup> მუზეუმის ხელნაწერ კატალოგში დაშლილი ეტრატის ფურცლები მოკლედ არის აღნიშნული 2666 ნომრით, მაგრამ ძველის სადატრობა აღნიშნული არ არის. საზოგადოების მუზეუმს მიეღია ეს დასურათებული ფურცლები პროფ. ე. ს. თაყაიშვილის წიგნთსაცავთან ერთად, როგორც გამოარკვეა მუზეუმის გაუვის ს. რ. გორჯაძისა და მის თანაშემწის ი. თ. სონღულაშვილისაგან მიღებულ ცნობიდან. სად იყო დაცული ეს ძველი საწარმოო ე. ს. თაყაიშვილის ხელში მოხვედებოდა, უიჯრობით არა ჩანს.





შთაგანი ძლიერ დაზიანებულია განსაკუთრებით კი პირველ ფურცელზე მოთავსებული სურათები (I და II ტაბ.), დანარჩენი კი შედარებით კარგად არის დაცული.

შესრულების ტექნიკა ყველა შემთხვევაში აღწერილი სურათებისა არ არის რთული. შედარების დროს ირკვევა შესრულების ტექნიკის მთავარი მომენტები, რაც ჩვენ საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ ხატვის ან უკეთ რომ ვთქვათ „წერის“ პროცესი. პირვანდელი მოხაზულობა შესრულებული ყოფილა მოწითალო ფერის წამლით, რომელიც ჩვეულებრივად იხმარება კედლის მხატვრობაში მოხაზულობის შესასრულებლად. მინიატურების მოსახაზავად ამ ფერის წამალი არ იხმარება ჩვეულებრივად. ამ მოხაზულობის მოყვანილობა განსაკუთრებით ირჩევა იქ, სადაც წამლები გადასულია. ხშირად იმ ადგილებს, რომლებიც თითქმის სავსებით ხელშეუხებლად არის მოღწეული, ეტყობა პირვანდელი მოხაზულობა რომელიც მოჩანს გარკვეულად წამლის ფენილის ქვეშ. პირისაბის გარეგანი მოხაზულობა შესრულებულია ამავე წამლით, ხოლო დეტალები, მაგალითად თვალები, წარბები, ცხვირი, წვერ-ფლუვაშები და სხვ. შესრულებულია შემდეგ შავი წამლით, რომელიც მხოლოდ მოხაზულობას გადმოგვცემს. თვით პირისახე დაფარული ყოფილა ხორცისფერი წამლით, რომლის კვალიც აქა-იქ ეტყობა ზოგ სურათს. ტანსაცმელი შესრულებულია ორ ფერად, რომელნიც ხშირად სხვადასხვა სურათებში ერთი შეორებს ცვლის, ეს ორი ფერი არის მუქი აგურის ფერი და მოლურჯო მუქი იისფერი წამლები. ამ ორი ფერის წამლის გარდა სამოსელისათვის იხმარება მუქი ოქრა, მაგრამ როგორც გამოჩნაკლისი, რადგანაც ამ წამლით იოანე ნათლისმცემლის ქვედა სამოსელია შესრულებული. ღვთის მშობლისა და იოანე ნათლისმცემლის გამოსახულებანი, რომლებიც შეორდებიან (I, II, VI ტაბ.), ორსავე შემთხვევაში ერთი და იმავე ფერის ტანსაცმელით არიან შემოსილი. ტანსაცმელი საზოგადოდ, როდესაც მოხაზულობა უკვე შესრულებული იყო, ადგენილია ერთი ფერის წანლით, რომლის ფენილი ჰფარავს პირვანდელ მოხაზულობას. ნაოჭები სამოსლისა შესრულებულია შემდეგ შავი სქემატური ხაზებით ძირითადი ფერის წამლის ფენილზე. ზოგ ადგილას საბოლოო ნაოჭების მოხაზულობა ჰხდებოდა პირვანდელ მოხაზულობას, რომელიც, როგორც წინეთ იყო აღნიშნული, შესრულებული ყოფილა მოწითალო ფერის წამლით. ხშირად კი უკანასკნელი გვაძლევს ახალ მოხაზულობას, რომელიც სრულებით არ უდგება პირვანდელს. გარდამავალი საფეხურები ერთი და იმავე ფერისა მტკიდან დაწყებული ღია და უფრო ნათელ ტონამდის იმავე ფერისა, რაც ჩრდილებს და სინათლით მოცულ ადგილს გადმოგვცემს, მხატვრის ნიერ გადმოცემული არ არის. ამიტომ ფორმები, რომელსაც იგი გვაძლევს რელიეფობას მოკლებულია. სამუშაოდ არ ჩანს როგორ ასრულებდა მხატვარი პირისახეს, რადგანაც ძველი ამ ადგილას საგრძობლად დაზიანებულია. ამ შემთხვევაში საეჭვოა, რომ იმ მხატვარს, რომელსაც ასე მარტოვად შეუსრულებია ტანსაცმელი, ნაოჭები და სხვა, მიემართა რთული ტექნიკურა ბერებებისათვის.

საფულისძმიეროა აკრეავე კიდევ ერთი ვარსიოება. მხატვარი, როგორც სურათების დედნების გაწინჯვა წინწმობს, მუდმივ ეძებს ახალ მოხაზულობას,





ახალ ფორმებს. მას პირველად აღნიშნული მოხაზულობა არ აკნაყოფილებს, იგი შინჯაყვს ახალ მოხაზულობას, გვაძლევს ახალ ხაზებს, რომლებიც ხშირად ძლიერ განსხვავდება პირვანდელი მოხაზულობის მიმართულებებისაგან. ამ შემთხვევაში იგი არავითარ კურადლებას არ აქცევს პირვანდელ მოხაზულობას და მას არ უწყევს სრულებით ანაბარიშს. იშვიათ შემთხვევაში თუ უღკება პირველი და მეორე მოხაზულობა ერთი შეორეს, ახალი მაშინ ჰდარაყვს პირვანდელს. მოხაზულობა თავისუფლად და გაბედულად შესრულებულია. თუმცა მხატვარი რამოდენიმეჯერ კდილობს მოგვეყვს მოხაზულობა უფრო სწორი სხებით, მისი ახრით, მაგრამ უკანასკნელი დიდი დამუშავების და საბოლოოდ ბეჯათი შრომის ნაყოფს არ წარმოადგენს; პირიქით მას აქვს ერთგვარი ესკიზის ხასიათი, რომელსაც მხატვარი ასრულებს თავისი საჭიროებისათვის, ვარჯიშობს მისი შესრულების დროს, ეძებს ფორმებს, მაგრამ საბოლოოდ შესრულებულ სხეს არ აძლევს მას. წამლების შემადგენლობა, რომელსაც მხატვარი ხმარობს, მეტად მარტივია და ნეირე რიცხოვანი, მაგრამ მათი დაპირისპირება ერთი მეორისადნი ახდენს სასიამოვნო შთაბეჭდილებას, თუმცა საზოგადოდ მას ერთგვარობა ახასიათებს. ძირითად ფერება წარმოადგენს მუქი ავურის ფერი, შავი, მოწითალო (მოხაზულობა), ოქრა, ზორცისფერი და მოლურჯო მუქი იისფერი. ხშირად დაპირისპირებულია ერთი მეორესთან მუქი ავურისფერი და მოლურჯო მუქი იისფერი; სხვა ფერები კი დამატებითი ხასიათისა არიან და დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვთ.

გამოსახულებათა პროპორციები ექვემდებარება ჩვეულებრივ ნორმებს. ზოგან ემჩნევა, რომ მხატვარი ჩვეულებრივ ნორმებს გვერდს უზღვევს. ამ მხრით დამახასიათებელია მიქელ მთავარანგელოზის გამოსახულება, რომელიც დიდია ტანით; იგი ენათესავება მონუმენტალურ მხატვრობაში კონქის კომპოზიციისათვის მიღებულ მთავარანგელოზთა ტანს. მოძრაობა ხაზგასმული არსად არ არის.

სურათები, როგორც მათი შესრულების ტექნიკა ანტიკურებს, უფრო მონუმენტალური მხატვრობის ძველებს ენათესავება, ვიდრე მინიატურებს.

სურათების განხილვა იკონოგრაფიული თვალსაზრისით გვაძლევს საბუთს, რომ ისინი სწორედ კედლის მხატვრობიდან გადმოღებულ პარებს წარმოადგენენ.

პირველი ფერკლის პირველ გვერდზე (I ტაბ.) მოთავსებულია ლეთის მშობელი „ორანტი“. სურათი ძლიერ დახანებულია, განსაკუთრებით პირისახე ლეთისმშობლისა და მისი სხეულის ქვედა ნაწილი მუხლებს ქვევით. სწორეთ ამ ადგილას ეტრატს შემოჭრილი აქვს დიდი ნაწილი. სურათი კარგად გადმოგვეყვს დაზიანებულ ადგილებს და დაწყობილებით მათი აღნიშვნა საჭიროებას არ წარმოადგენს. ლეთისმშობელს ტანს აცვია ჩვეულებრივი სამოსელი; ზედა ნაწილი სამოსლისა, წამოსასხამა მათური, მუქი ავურისფერი წამლითაა შესრულებული, ხოლო ქვედა - სტალა შესრულებულია მოლურჯო მუქი იისფერ წამლით. ნაოქები სამოსლისა. რომელიც შესრულებულია შავი წამლით, სტეპატურია და ზოგადი, მაგრამ მათ ახასიათებს სწორი მოხაზულობა. ლეთის მშობლის პირისახისაგან შენარჩუნებულია მხოლოდ პირვანდელი მოხაზულობა მოწითალო წამლით შეს-





რულეზული გარეგანი სიმრგვლისა, სხვა კი დაზიანებულია და აღარ ირჩევა. ნიშნი ანუ შარავანდედი ღეთის შშობლისა შესრულებულია მუქი ოქრით (მარცხ), შარავანდედის ორსავე მხარეს მოთავსებულია მახვილი ასომთავრული წარწერა შავი წამლით შესრულებული **ღ ღღ — [ღ თ]ისა[ღ]**

ამ ფურცლის მეორე გვერდზე (II ტაბ.) წარმოდგენილია იოანე ნათლისმცემელი მიწელი ტანით. წაშლები ზოგან ძლიერ გადასულა განსაკუთრებით იქ, სადაც დანაოჭებულია ეტრატის ფურცელი. იოანე ნათლისმცემელი ღვას ხელებგაწედნილი სავედრებულად მარცხნივ (მხედველისაგან), როგორც ეს ჩვეულებრივად მიღებულია ედერების (მჭყაძე) კონპოზიციასში. წამოსასხამი იმავე ფერის წამლით არის შესრულებული როგორც ღეთის მშობლის ზედა ტანსაცმელი, ხოლო ქვედა ტანსაცმელი შესრულებულია მუქი ოქრით. უფრო ღია ფერის ოქრით შესრულებულია მისი შარავანდედი (ნიშნი). პარისახე ძლიერ დაზიანებულია, შერჩენილია გარეგანი მოხაზულობის მცირე ნაწილი, რომელიც შესრულებულია მოწითალო წანლით. ნაოჭები სწორი მოხაზულობისა, მაგრამ სქენატურნი. წარწერა სახელისა მოთავსებულია მსხვილი ასომთავრული ასოებით ორ სტრიქონად ნიშნის ორსავე მხარეს: **წ ღ ინი ნთ ლისმ — ცამელი:**

მეორე ფურცლის პირველ გვერდზე, რომელიც წარმოადგენს პირველი ფურცლის ერთგვარ გაგრძელებას, რადგანაც ორივე ერთი დიდი ფურცლის შუაზე გადაკეცილ ნაწილებს შეადგენს, წარმოდგენილია ღუკა მახარობელი (III ტაბ.) ტიპი მახარობლისა ისეთია, როგორიც გავრცელებულია ქართულ მხატვრობაში ტაძრის პანდანტივებისათვის. გამოსახულება შედარებით კარგად არის დაცული: წაშლები გადასულია იქ, სადაც ეტრატის ფურცელი ნაოჭდებოდა. მახარობელი, რომელიც წარმოდგენილია წელხევით, ნახევრად მიბრუნებულია ტანით მარცხნისა (მხედველ.). იგი მოთავსებულია კანარისებურ ჩარჩოში, რომლის ზედა ნაწილი არ შენახულა. მახარობელს მარჯვენა ხელის თითებში უჭირავს წიგნის კიდე, რომელიც მიყრდნობილი აქვს გულზე მეორე ხელის დახმარებით. ტექსტი, რომელიც კარგად ირჩევა წიგნზე, წარმოადგენს ღუკას სახარების დასაწყის სიტყვებს. იგი ნაწილობრივ დაფარულია, როგორც სურათზე ჩანს, მახარობლის მარცხენა ხელის გულით. წარწერა ნაწერია ასომთავრულად შავი წამლით:

**რ მახარობელი**

**თა ოკც აქელ**

**კჳმის აღწჳკაღ [ღბ]**

**მითხრობად**

**გულსავეს**

ტანს აცვია მას მუქი იისფერისებურ მოლურჯო წამოსასხამი და ბუქი აგურისფერი კვართი. ნაოჭები სწორი მოხაზულობისაა და სქენატურნი; მათი მოხაზულობა შესრულებულია შავი წამლით. პარისახე მახარობლისა შედარებით კარგად არის დაცული, თუმცა წამალი საბეზე ძლიერ გადასულია. დარჩენილია პირისასის გარეგანი მოხაზულობა მოწითალო ფერის წამლით შესრულებული და პირისასის დეტალები შავი წამლით მოხაზული. თვალის ქუთუთოები გადმოცემულია ორმაგი ხაზით, წარბები და ცხვირის მოყვანილობა შესრულებულია ერთი ხაზით









ბევრ ადგილას კიდევაც ძლიერ გადასულა; ხოლო ძვირფასი თულებით შემკული ლორონი (შ. სარაი) შესრულებულია ოქრით. ფრთები მთავარანგელოზისა მოწითალო ავურის ფერი წაწლით არის შესრულებული, ხოლო ყოველი ფრთის მოყვანილობა მოხაზულია მუქი ოქრით. ამავე ფერის წაწლით არის შესრულებული ტანსაცმელის ნაოჭები. ლორონის კიდებები შემკულია ძვირფასი თულებით, რომელნიც შესრულებულია მოთეთრო წერტილებით; თმა მთავარანგელოზისა ყვეისფერია, ეხვევა და ცალკე ნაწინაეებით ლამაზად ყოფილა გადავარცხნილი. პირისახის მოყვანილობა გადმოცემულია პარვანდელი მოწითალო ფერის მოხაზულობით, რომელიც მხოლოდ გარეგან მოხაზულობას გადმოგვცემს. სხვა რამის გარჩევა შეუძლებელია, ვინაიდან წამლები პირისახეზე საცხებით გადასულა: ნიშბი მთავარანგელოზისა ჩვეულებრივი ფერისაა ე. ი., როგორც სხვა სურათებისათვის აღვნიშნეთ, შესრულებულია მუქი ოქრით. მთავარანგელოზის მარცხენა ფრთის ხეშოთ ირჩევა ასომთავრული წარწერა მთავარანგელოზის სახელისა: მ[ძლ]

ამავე ფურცლის მეორე გვერდზე, რომელზედაც მოთავსებული იყო ხეშოთ აღწერილი მთავარანგელოზის სურათი, წარმოდგენილია ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი (VI ტაბ.). ორივე გამოსახულება ძლიერ დაზიანებულია, რადგანაც წამლები ბევრ ადგილას გადასულია. სურათის მარჯვენა ნაწილზე მოთავსებულია ღვთის მშობელი მთელი ტანით en face. ხელები უჭირავს მას გულმკერდის პირდაპირ, ხოლო გაშლილი ხელის გულები მიმართული აქვს მხედველისაკენ. ერთი სიტყვით ღვთისმშობელი წარმოდგენილია იმ სახით, რომელსაც ჩვენ „მცირე ორანტ“ს ვუწოდებთ.

ღვთისმშობლის პირდაპირ წარმოდგენილია იოანე ნათლისმცემელი მთელი ტანით, უხამლოდ, ხელებგაწვდილი ღვთისმშობლის ნიშნით ვედრების აღსანიშნავად. ერთი სიტყვით იგი წარმოდგენილია იმ სახით, როგორიც მიღებულია იკონოგრაფიაში „ვედრების (მაკრაც) კომპოზიციისათვის. ბელები მას არა აქვს დაფარული საშოსლით.

პირისახე ძლიერ დაზიანებული აქვს როგორც პირველს, ისე მეორე გამოსახულებასაც. ირჩევა მხოლოდ პირისახის გარეგანი მოხაზულობა მოწითალო წაწლით შესრულებული. თითქმის სრულებით გადასულა წაწალი ღვთისმშობლის ქვედა სამოსელზე და ნოჩანს ნაოჭების მოხაზულობა აღნიშნული მოწითალო წაწლით. ღვთისმშობლის ხედა საშოსელს შერჩენილი აქვს მუტი ავურისფერი წამლის კვალი, ხოლო ქვედა სამოსელი შესრულებული ყოფილა მოლურჯო მუქი იისფერი წაწლით. ფეხზე მას ჩვეულებისამებრ წითელი ფეხსაცმელები აცვია. ნაოჭები ტანსაცმელისა მოხაზული ყოფილა მოწითალო ფერის წაწლით თავდაპირველად, მხოლოდ შემდეგ კი ხელწვირად მხატვარს აღვნიშნავს ნაოჭები შავი წაწლით პირველ მოხაზულობაზე. ნაოჭების მოყვანილობა სქემატურია, მაგრამ იგი შეეფერება სხეულის ფორმებს. ნიშბი შესრულებულია მუქი ოქრით და შემოფარგლულია შავი წაწლით.

იოანე ნათლისმცემელს ტანს აცვია ჩვეულებრივი ტრადიციული სამოსელი. წამოსასხამი ყოფილა ავურისფერი წაწლით შესრულებული, მაგრამ ამ ეა-





მად იგი ზოგ ადგილას სავესებით გადასულა. ქვედა სამოსელი ყოფილა იფერადებული მუქი ოქროთ, მაგრამ წამალი აქაც ძლიერ გადასულა განსაკუთრებით იქ, სადაც ეტრატის დანაოჭებულია. მოგრძო პირისახის მოხაზულობა, ფეხის თითები და სხვა წვრილმანები აღნიშნულია ჩვეულებრივად მოწითალო ფერის წამლით. მოგრძო თმა მისი, ხეველებად დაშლილი, მარებამდის სწვდება. ნიშბი შესრულებულია იმ ნაირად, როგორც დანარჩენ განმოსახულებამა აღწერის დროს იყო აღნიშნული. თრთავე გამოსახულებათა სახელების წარწერა შესრულებულია შავი წამლით მსხვილი ასომთავრული ასოებით [ლ.დ.მ.] **ლ. 2 წ. 2 ო. 61.**

მეორე ფურცლის პირველ გვერდზე წარმოდგენილია წელს ზევით მოციქული, რომლის სახელის წარწერაც არ შენახულა **წ. 2...** (VII ტაბ.). ზედა ნაწილი ამ ფურცლისა მოხვეულია, ქვედა ნაწილი და კიდევები დაზიანებულია ზოგ ადგილას. პირისახე წინეთ დაფარული ყოფილა ხორცისფერი წამლით; წამალი ამ განიდ ძლიერ გადასულია, მაგრამ საზოგადო მოხაზულობა და წვრილმანები აღნიშნულია გარკვევით მოწითალო ფერის ხაზით. მოციქული ცოტათი მიბრუნებულია მარცხნივ (მხედველ.). მარჯვენა ხელი მას გაწეული აქვს განზე და პლოცავს, მარცხენა ხელში კი უჭირავს დახვეული გრაგნილი. წამოსასხამი შესრულებულია აგურიანფერი წამლით, ხოლო კვართი ნოლურჯო მუქი იისფერი წამლით. ნაოჭები დადმოცემულა აქემატური წაკე ხაზებით. მოციქული მოგრძო წვერულგაშენიანი მოხუცია, თმა ძლიერ დაზიანებულია და არ ჩანს, თუ როგორი ყოფილა წინეთ; წვერები მოგრძოა და ნონრგველებული; თვალის კაკლები მოგრძოა და არ სწვდება წამწამს თვალის ბირთვები. შებლზედ ჩვეულებრივი ნაოჭი აღნიშნულია ხაზით. მოხაზულობა წარბებისა, ცხვირისა და წამწებისა გაერთიანებულია ერთი ხაზით. მარჯვენა თვალი უფრო დაზიანებულია ვიდრე მარცხენა, ოდნავ მოჩანს მხოლოდ მისი მოხაზულობის კვალი. მოციქულის ტიპი ამტკიცებს, რომ იგი უნდა იყოს პეტრე მოციქული.

ამ ფურცლის მეორე გვერდზე (VIII ტაბ.) მოთავსებულია მეორე მოციქული, რომლის განმოსახულებამაც მოკავებული აქვს თითქმის მთელი გვერდი. მოციქული ზის, როგორც ტაბულიდანაც გარკვევით ჩანს. ზედა ნაწილი განმოსახულებისა დაზიანებულია, რადგანაც მოხეულია ეტრატის ზედა ნაწილი; იქ, სადაც ეტრატის დანაოჭებულია, წამლები გადასული, პირისახის მოხაზულობიდან ცოტა რამ დარჩენილა. ნიშბი და პირისახის ზედა ნაწილი სურათის არ შეჩრჩენია, რადგანაც ეტრატის ზედა ნაწილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოხეულია.

მარცხენა ხელის თითებით მას უჭირავს დახურული წიგნის კიდე, ხოლო მეორე ხელით თითქოს წიგნს აკაკებს. ტანს აცვია მას აგურის ფერი კვართი და ნოლურჯო მუქი იისფერი წამოსასხამი. ნაოჭები შესრულებულია შავი სქემატური ხაზებით. პირისახე, ხელები და კისერი დაფარული ყოფილა ხორცისფერი წამლით. ნიშბი და წიგნის ყდა შესრულებულია მუქი ოქროთ. მოციქულს ახასიათებს თხელი და წვეტიანი წვერები, თვალების და ცხვირის მოხაზულობიდან თითქმის არაფერი დარჩენილა, იკონოგრაფიული ტიპი, რანდენადაც შესაძლებელია გამორკვეულ იქმნეს, მოწმობს, რომ ეს უნდა იყოს პავლე მოციქული. მონუმენტალური ხელოვნების ბეჭედი, რომელიც ცხადად ეტყობა აქ მოყვანილ





სურათებს, უფრო ცხადი გახდება ჩვენთვის, თუ შევუდგებით მათ იკონოგრაფიულ ანალიზს.

პირველი სურათი გვაძლევს ღვთისმშობლის გამოსახულებას „ორანტს“. იკონოგრაფიული ტიპი ღვთისმშობლის „ორანტისა“ ცნობილია ქრისტიანული ხელოვნების უძველეს ძეგლებში, სახელდობრ უკვე მე-IV ს. ძეგლებში<sup>1</sup>. დიდ სიმწელეს წარმოადგენს ორანტის წარმოშობისა და მნიშვნელობის გამორკვევა ძველ ქრისტიანულ ხელოვნებაში და აგრეთვე მისი მნიშვნელობის თანდათანობითი ცვალებადობის აღნუსხვა ჯერ ძველ ქრისტიანულ ხელოვნებაში და შემდეგ კი ბიზანტიურში. P é r a t é i s ა<sup>2</sup> და Wilperts<sup>3</sup> აზრით, რომელსაც მხოლოდ ნაწილობრივ იზიარებს კონდაკოვი<sup>4</sup>, ორანტი<sup>5</sup> თავდაპირველად, თანახმად უძველესი სასაფლაო წარწერებისა, აღნიშნავდა ნეტარ განსვენებულის სულის სიმბოლიურ განსაზიერებას, რომელიც ევედრება უფალს დარჩენილთათვის სასუფეველის მისანიჭებლად. მაგრამ კონდაკოვი, თუმცა ნაწილობრივ იზიარებს ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას, მაგრამ თავის მზრით უფრო მისაღებად სთვლის „ორანტის“ ქრისტიანული ლოცვა-ვედრების ანუ მავედრებელის სიმბოლიურ განსაზიერებად განმარტებას, რომელსაც ბშირად ეძლევა დეკორატიული მნიშვნელობაც ძველ ქრისტიანულ ხელოვნების ძეგლებში. ჩვენი აზრით უკანასკნელი მოსაზრება უფრო სწორი უნდა იყოს, რადგანაც იგი დამყარებულია ძველი ქრისტიანული ხელოვნების სხვადასხვა დარგის ძეგლების შედარებაზედ. შემდეგ ძველ ქრისტიანულ ხელოვნების ძეგლებში ღვთისმშობელი „ორანტი“ ქრისტიანულ ღვთისმსახურების ჩვეულებამზე აღმოცენებულ ქალწულ მსახურის (ἡ ὑπαὶ μὲταστον) სიმბოლიურ განსაზიერებად გარდაიქცა.

თუნცა იდეურად კარილე ალექსანდრიელი, იოანე ოქროპირი, წმიდა ამბროსი და სხვანი თავიდანვე აღნიშნავდენ ღვთისმშობლისა და ეკლესიის სიმბოლიურ იგივეობას, მაგრამ ძველ ქრისტიანულ ხელოვნების ძეგლებში ჩვენ არ გვაგვს ამის დამამტკიცებელი არც ერთი მაგალითი.

ამ მნიშვნელობით პირველად ღვთისმშობელი „ორანტი“ გვხვდება ამალეების კომპოზიციაში ბიზანტიურ კედლის მხატვრობაში, სადაც იგი წარმოადგენს უკვე ქრისტიანული ეკლესიის განსაზიერებას. ღვთისმშობელი „ორანტი“, კონდაკოვის აზრით მოზაიკით შესრულებული, ყოფილა ელახერნის ტაძრის კონქში მოთავსებული, რომლის გამოსახულება ცნობილია ბშირად შესაყვრისი წარწერით (ἡ Βλαχερναιστή) მე VIII-IX ს. ბიზანტიურ ბეჭდებზე. ბასილი ნაყედონელის მიერ აგებულის (881 წ.)<sup>6</sup> „ბაალი ტაძრის“ კონქში ყოფილა წარმოდგენილი ღვთისმშობელი ორანტი. ამ დროიდან იგი გავრცელდა და განსაკუთრე-

<sup>1</sup> Н. П. Кондаков, Иконография Богоматери, т. I, Спб., 1914, стр. 61-100

<sup>2</sup> P é r a t é, Les commencements de l'art chrétien en occident, (p. 18-20, „Histoire de l'art... publ. par A. Michel, I, 1905).

<sup>3</sup> Wilperts, Die Malereien der Katakomben Roms, Fr., B; II, S. 456-463 (1905)

<sup>4</sup> Н. П. Кондаков, ib., т II, стр. 66-67.

<sup>5</sup> Н. П. Кондаков, ib., т. II, стр. 64, 67.

<sup>6</sup> Н. П. Кондаков, ib. т. II, стр. 71.





ბით მე-XI-XII ს. მიღებული იყო ბიზანტიურ ეკლესიის მხატვრობაში, რომელშიაც მას ხშირად ეკავა მთავარი ადგილი საკუთხეელის კონქში. მე-XII ს-დან მოყოლებული ამ ტიპის გამოსახულება საკუთხეელის კონქისათვის აღარ იხმარება, რადგანაც მის ადგილას იჭერს სხვა იკონოგრაფიული ტიპი ღვთისმშობლისა ძითურთ, რომელიც გავრცელებულია შემდეგ საუკუნოებში<sup>1</sup>. ღვთისმშობელი „ორანტი“ გვხვდება კიევის სოფიის ტაძრის მოზაიკებში (1037-1050)<sup>2</sup>, ქიოსის კუნძულის ახალ მონასტერში (1054)<sup>3</sup>, ჩედალუს მოზაიკებში<sup>4</sup> (სიცილიის კუნძულზე), რომელიც დათარიღებულია 1148 წ.<sup>5</sup>.

ჩვენში ამგვარი გამოსახულება ღვთისმშობლისა მოხაიკით შესრულებული უკანასკნელ დრომდე ყოფილა ახიზის ეკლესიაში არტანუჯის მახლობლად, როგორც ალ. ფლორენსკის სიტყვებიდან ირკვევა<sup>6</sup>.

გვხვდება ღვთისმშობლის გამოსახულება შემოსაყენებელი ტიპისა ან მარტო<sup>7</sup>, ან არ მთავარანგელოზთა შორის, რომელნიც წარმოდგენილი არიან ღვთისმშობლის ორსავე მხარეს მთელი ტანით, სუეროთი, ლაბარუმით ანუ კვერთხით ხელში<sup>8</sup>.

ჩვენ გვაქვს საკუთხეელის კონქის მოხატულობის სქემის უკანასკნელი მაგალითი ორი ფრაგმენტის სახით, სახელდობრ ღვთისმშობლის „ორანტისა“ და მიქელ მთავარანგელოზისა, რომლის იკონოგრაფიული ტიპი ეკუთვნის აღნიშნული კონქის მოხატულობის სქემას.

ღვთისმშობლის გამოსახულებას ჩვენ კიდევ ვხვდებით ნეორეჯელ იოანე ნათლისმცემელთან ერთად (VII ტაბ.). ამ სახის კომპოზიციას ვპოულობთ ჩვეულებრივად ქართულ და ბიზანტიურ ეკლესიის მხატვრობის ძეგლებში გუმბათის

<sup>1</sup>) Ф. И. Шмит, Мозаики монастыря преподобного Луки, стр. 11, Харьков, 1914.

<sup>2</sup>) Софийский Собор, изд. Им. Русск. Арх. Общ. СПб. 1871-87 г. г.

Кондаков и Толстой, Русские древности, вып. IV, СПб. 1891, рис. 92, სურათი ამოღებულია აქედან Древности Российского Государства, Киевский Софийский Собор.

Д. В. Айвазови Е. Б. Редли, Киевский Софийский Собор, стр. 269 и сл.

З. И. Р. А. О т., IV, вып. III и IV, пов. с. СПб., 1890.

Д. И. Шмит, Искусство древней Руси—Украины, Харьков, 1919 г., таб. 4, стр. 49.

<sup>3</sup>) Strzygowski, Nea Moni auf Chios, Bz. Zt., B. V, 1896, S. 147. O. Wulf, Altchristliche und byzantinische Kunst, Berlin, 1914, B. II, t. XXIII, 2

Ф. И. Шмит, *ibid.*, стр. 52.

Цукгарев, Византийские мозаики двух сицилийских церквей XII века, *Известия Русского Археол. Общ.*, т. IV, в. 1, 1889, стр. 51-52, таб. IV. Ch. Diehl, Manuel d'art byzantin, P. 1910, p. 516, fig. 249.

<sup>4</sup>) Ch. Diehl, *ibid.*, p. 515.

<sup>5</sup>) რამდენიმე კენჭი სანიმუშოდ ახიზის ეკლესიიდან დაახლოებით ათი წლის წინათ ალ. ფლორენსკის ჩამოტანია ტფილისში და გადაუცია დასაცავად საქართველოს მუზეუმისათვის. ამწუხაროდ ახიზა ეკლესიის მოზაიკა დაღუპულად უნდა ჩათვალოს ჩვენი მეცნიერებათათვის, რადგანაც ადგილობრივ მეტაორებლებს, როგორც ალ. ფლორენსკის სიტყვებიდან ირკვევა, ნელშლიათ მოხაიკით შესრულებული გამოსახულებანი, რადგანაც მოზაიკის მოატრეული კვანძები ღერო ჭეჩხებიათ... მით უფრო სამწუხაროა ეს ფაქტი, რომ ჩვენ არ მოგვიპოვება არც აღწერილობა და არც სურათი ამ მოზაიკისა.

<sup>6</sup>) Софийский Собор, *ibid.* et op. cit.

<sup>7</sup>) Strzygowski, op. cit., S. 147.





ყელის მოხატულობაში და შეადგენს უკანასკნელის მოხატულობის სქემის ძირითად ნაწილს.

ჩვენ გვაქვს აგრეთვე კონქის მოხატულობის მეორე სქემა, სახელდობრ „ვედრების“ (შეჯ.) კომპოზიციის ერთი ფრაგმენტის სახით, რომელსაც გვაძლევს იოანე ნათლისმცემლის იკონოგრაფიული ტიპი (II ტაბ.), ხოლო სხვა ნაწილს ხსენებული კომპოზიციისა, სახელდობრ მაცხოვრის და ლეთისმშობლის გამოსახულებას ჩვენამდის არ მოუღწევია.

ბიზანტიურ კედლის მხატვრობის ძეგლებში „ვედრების“ კომპოზიციას არა აქვს განსაზღვრული ადგილი; იგი გვხვდება ტაძრის სხედასხევა ადვილად. იკონოგრაფიის მხრით ეს კომპოზიცია ძლიერ საინტერესოა თავისთავად და განსაკუთრებით კი კედლის მხატვრობის ძეგლებში. ჯერჯერობით ამ კომპოზიციის შესახებ თუშეა გამოთქმული იყო ნეტად საინტერესო მოსაზრებანი, მაგრამ სპეციალური გამოკვლევა, რომელიც საფუძვლიანად ეხებოდეს ამ საგანს, ჯერჯერობით არავის არ გამოუქვეყნებია<sup>1</sup>.

ეს კომპოზიცია მოთავსებული მდელიონებში ბზირად გვხვდება ბიზანტიურ მხატვრობის ძეგლებში. მაგალითად *capella Palatina* ს<sup>2</sup>, წმიდა ლუკას ტაძრის მოზაიკებში<sup>3</sup>, ნოვგოროდის მაცხოვრის ნერედიკის მხატვრობაში<sup>4</sup>, კიევის სოფისის მოზაიკებში<sup>5</sup> და სხვ. ხოლო იშვიათად ბიზანტიურ ხელოვნების ძეგლებში ამ კომპოზიციას უჭირავს მთავარი ადგილი საკრთხეველის კონქის მოხატულობაში. ერთგვარი გამონაკლისის სახით „ვედრებს“ ვპოულობთ მესსინის ტაძარში<sup>6</sup> და ფსკოვის მაცხოვრის ტაძრის მოხატულობაში<sup>7</sup>. ქართულ კედლის მხატვრობის ძეგლებში კი ეს კომპოზიცია საკმაოდ გავრცელებულია და მას ჩვეულებრივად უკავია საკრთხეველის კონქი, ამის მაგალითები მრავალრიცხოვანია; აღვნიშნავ მხოლოდ სანამუშოდ რამოდენიმე მაგალითს: ანისის ტიგრან

<sup>1</sup> О. Н. Шмит, Заметки о поздневизантийских храмовых росписях, стр. 60-66. *Виз. Врем.*, 1915 г., т. XXII; მისივე რეცენზია დ. გორდევების ობზერვაციაზე „Делуе в византийском и русском искусстве“, *Записки Харьковского университета*, 1914, № 1, стр. 1-5.

<sup>2</sup> А. А. Павловский, Живопись Палатинской капеллы в Палермо, СПб., 1890, стр. 56-57.

<sup>3</sup> Ch. Diehl, L'église et les mosaïques de Saint-Luc en Phocide, P., 1889, p. 71, რადგანაც ლეთისმშობლის გამოსახულება დაზიანებული ყოფილა, ამიტომ ავტორს ვერ გამოუცხნია უკანასკნელი იხ. А. А. Павловский, *op. cit.*, стр. 57.

<sup>4</sup> Памятники древне-русского искусства, изд. Академии художеств, I 1908, т. 2.

<sup>5</sup> Д. Айвазов и Е. Редни, Древние памятники искусства Киева, 1880 г. Харьков., рис. 17, стр. 24.

О. Н. Шмит, Искусство Украины, Харьков 1919 г., т. 4, стр. 49.

<sup>6</sup> G. Clausse, Basiliques et mosaïques chrétiennes, Italie, Sicile, II, P., 1893, p. 12.

<sup>7</sup> Н. Кондаков и И. Толстой, Русские древности, в. VI, стр. 178.

И. Покровский, Стенные росписи в древних храмах греческих и русских, стр. 201-202.



პონენცის ტაძრის ქართული კედლის მხატვრობა<sup>1</sup> (1215 წ.), უბისის<sup>2</sup> (XIII ს.), წმიდა საბას<sup>3</sup> და წმიდა მარინეს<sup>4</sup> ტაძრების მხატვრობა საფარის მონასტერში (XIV ს.), ტაბაკინის<sup>5</sup> ეკლესიის მხატვრობა (XVI ს.) და სხვ.

ამ კომპოზიციას აქვს დიდი მნიშვნელობა ქართული კედლის მხატვრობაში, როგორც ეს სამართლიანად შენიშნა პროფ. თ. ი. შშიტიძემ<sup>6</sup>, მაგრამ ყველა მის მიერ დასახელებული მაგალითები ქართული ხელოვნების ძეგლებიდან, როგორც სამართლიანად აღნიშნა პროფ. გ. ნ. ჩუბინაშვილმა თავის რეცენზიაში<sup>7</sup>, უნეტეს ნაწილად სინამდვილეს არ შეეფერება, განსაკუთრებით დათარიღების საკითხში.

პროფ. თ. ი. შშიტიძის მიერ მოყვანილი მაგალითები დამყარებულია არა სანდო წყაროებზე, მაგრამ მის მიერ შემჩნეული ფაქტი, რომ ქართული კედლის მხატვრობის ძეგლებში კონქის მოხატულობაში საბატიო ადგილი უჭირავს „ვედრებას“, უნდა სამართლიანი იყოს<sup>8</sup>. მაგრამ ქართულ კედლის მხატვრობაში ხსენებულ კონპოზიციას უჭირავს სხვა ადგილიც, მაგალითად ტიპოთისუბნისა<sup>9</sup> და ყინწყისის<sup>10</sup> კედლის მხატვრობაში მას უჭირავს გუმბათის ყელი.

შესაძლებელია ამიტომ ჩვენი კომპოზიციის ფრაგმენტი ყოფილიყო გუმბათის ყელის ნოსახატავად დანიშნული, რის მაგალითსაც გვაძლევს ქართული კედლის მხატვრობის პრაქტიკაც. მაშინ ჩვენ მივიღებთ გუმბათის ყელისათვის ორ კომპოზიციას: ღვთისმშობელა და იოანე ნათლისმცემელს (IV ტაბ.) და „ვედრებას“. რადგანაც შეუძლებელია, ორი გუმბათის ყელის მოსახატავად მიღებული კონპოზიციით ერთად გამოეყენებიათ ტაძრის გუმბათის ყელში, ამიტომ დასაშვებია ორი შესაძლებლობა: „ვედრება“ უნდა ყოფილიყო დანიშნული ტაძრის სხვა ადგილას მოსათავსებლად, ან იგი მოყვანილია მხატვრის მიერ, როგორც გარიანტი გუმბათის ყელის მხატვრობის სქემისა.

<sup>1</sup>) Д. П. Гордеев, Отчет о поездке в Ахалцихский уезд в 1917 г., стр. 8. (*Известия Кавказского Историко-Археологического Института*, 1923 г., в. 1).

<sup>2</sup>) Е. С. Такайшвили, Археологические экскурсии, рассказы и заметки, в. IV, стр. 1-4, 1920 წ. იქვესში ვინახულე ეს მხატვრობა, რომელიც დაწვრილებით მაქვს აღწერილი.

<sup>3</sup>) Е. С. Такайшвили, op. cit., вып. 1, стр. 89, 95.

<sup>4</sup>) Д. П. Гордеев, op. cit., стр. 43, 51-52.

<sup>5</sup>) ტაბაკინის ეკლესია მდებარეობს ზესთაფინის მახლობლად 6 ფრისის მანძილზე რკინის გზის სადგურიდან. ამ ტაძრის მხატვრობა თანახმად წარწერისა განახლებულია ქუთათელის გერასიმე მკვდრის ბრძანებით, რომელიც თვითონვე გამოსახულია ტაძრის კედელზე. პირი ამ სურათისა გადაღებულია და ინახება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში. მხატვრობა აღწერილი მაქვს.

<sup>6</sup>) О. И. Шмит, Заметки о подлинноантичных храмовых росписях, *Виз. Врем.*, 1915 г., т. XXII, стр. 60 и сл.

<sup>7</sup>) *Хр. Вост.*, т. VI, 1917, стр. 92-106.

<sup>8</sup>) იმ საკითხების დასაბუთებელი პასუხის მიცემა, რომელიც დასმულია პროფ. თ. ი. შშიტიძის მიერ, ვერ ვერაობით ძნელია, ვინაიდან ჩვენი კედლის მხატვრობა შესწავლილი არ არის.

<sup>9</sup>) დოკუმენტული აგრეთვე კავკასიის საისტორიო და საარქეოლოგიო ინსტიტუტისა, № 2

<sup>10</sup>) ვეყარება ამ შემთხვევაში პროფ. გ. ნ. ჩუბინაშვილის მიერ მოცემულ ცნობებზე.



რა ადგილი უნდა დაეთმოს „ვედრებისათვის“ ტაძრის მოხატულობის სქემაში თუ ადგილი ექნებოდა პირველ შესაძლებლობას სისწორით გამოჩვენება შეუძლებელია. ჩვეულებრივ ადგილი ამ კომპოზიციას უჭირავს საკუროთხევლის კონქში, რომლის კომპოზიციად ჩვენ მივიღეთ ღვთის მშობლის „ორანტის“ გამოსახულება მთავარანგელოზთა შორის.

ბიზანტიურ და ქართულ კედლის მხატვრობის ძეგლებში ჩვენ ვიციით, რომ ხშირად ტაძრის ერთსა და იმავე ადგილას, ამ შემთხვევაში საკუროთხევლის კონქში, ათავსებენ ორ ძირითად კომპოზიციას, რომელთაც აქვთ განსაზღვრული გამართლება ქრისტიანული იკონოგრაფიის თვალსაზრისით და მიჩნეული აქვთ განსაზღვრული ადგილი ტაძარში. აღსანიშნავია, რომ ყველა ის ძეგლები, სადაც კი გვოჯობთ ასეთ მაგალითს ერთსა და იმავე დროს ეკუთვნიან და შემდეგი დროის განახლების წყალობით გამოწვეული მხატვრობის მთელი სისტემის დარღვევით ვერ აეხსნით დასახლებულ თავისებურობას, ჩვენთვის<sup>1</sup> მოზაიკებში საკუროთხევლის კონქში მოთავსებულია მაცხოვარი (παυταξαταρα), რომლის გამოსახულების ქვემოთ წარმოდგენილია ღვთის მშობელი „ორანტი“ მთავარანგელოზთა შორის. ნოვგოროდის მაცხოვრის ნერედიცის<sup>2</sup> ტაძრის კონქში მოთავსებულია ღვთისმშობელი ძითურთ „ორანტი“, ხოლო „ვედრება“ — ქვედა რიგში ნოციქულთა ორ ჯგუფს შორის. კიევის წმინდა სოფის<sup>3</sup> ტაძრის მოზაიკებში საკუროთხევლის კონქის ზემოთ მედალიონებში მოთავსებულია „ვედრება“, ხოლო თვით კონქში ღვთისმშობელი „ორანტი“, რომელსაც უწოდებენ დაურღვეველ „ზღუდეს“. მსგავსი მაგალითი ქართულ ძეგლებში ცნობილია მხოლოდ ერთი, სახელდობრ ტაბაკინის ეკლესიის კონქში მოთავსებულია „ვედრება“, ხოლო ღვთისმშობელი „ორანტი“ ძითურთ მედალიონში წარმოდგენილია მხატვრობის მეორე რიგში საკუროთხევლის აფსიდაში ფანჯრის ზემოთ.

ზემოთ მოყვანილი მაგალითების შესახებ უნდა ითქვას, რომ ჩვენთვის მოზაიკებში ეს მოვლენა აიხსნება ჩემი აზრით იმით, რომ ტაძარი წარმოადგენს ბაზილიკას და სწორედ მაცხოვარი (παυταξαταρα), რომელსაც ჩვეულებრივად ათავსებენ გუმბათის ცაში, მოუთავსებიათ, გუმბათის უქონლობის გამო, საკუროთხევლის კონქში. ამ რიგად გუმბათიანი ტაძრის მოხატულობის სქემა განოუყენებიათ ბაზილიკისათვის. ორი შემდეგი მაგალითის შედარება ქართულ ძეგლთან გვაძლევს ჩვენი მხატვრობის სქემისათვის ფრიად დამახასიათებელ მოვლენას. ქართული ტაძრის მოხატულობაში მთავარი ადგილი უჭირავს „ვედრებას“, ხოლო ღვთის მშობლის გამოსახულებას კი მეორე ხარისხოვანი ადგილი; პირიქით „ვედრებას“ კიევის მოზაიკებსა და ნოვგოროდის ნერედიცის მხატვრობაში, რო-

<sup>1</sup>) Ch. Diehl, Manuel d'art byzantin, P. 1910, fig. 249, p. 516.

<sup>2</sup>) Н. Ковдаков и И. Толстой. Русские древности... в. VI, стр. 129 и сл. Н. Покровский, Стенные росписи в древних храмах греческих и русских, стр. 190—191, тбл. I [Труды I II археолог. съезда в Ярославле 1887 г., т. I, М., 1890].

<sup>3</sup>) Д. Айвазов и Е. Редки, Древние памятники искусства Киева, Харьков, 1890, рис. 17, стр. 24. Ф. И. Шмидт, Искусство Украины, Харьков, 1919, тбл. 4, стр. 49.



გორც უკვე აღნიშნული იყო, უჭირავს მეორე ხარისხოვანი ადგილი. ამიტომ ვფიქრობთ, რომ „ვედრება“ და ღვთის მშობელი „ორანტი“ ორივე დანიშნული უნდა ყოფილიყო საკუროთხევლის მოსახატავად; ამ შემთხვევაში, თანახმად ქართულ კედლის მხატვრობაში მიღებული ტრადიციისა, „ვედრებას“ მიეცემოდა უპირატესობა და მას საკუროთხევლის კონქში მოათავსებდნენ, ხოლო ღვთისმშობელს „ორანტს“ დაეთმობდნენ სხვა ადგილს. მაგრამ შესაძლებელია, რომ ერთისათვის ამ კომპოზიციებიდან დაეთმოთ მთავარი აფსიდის კონქი, ხოლო მეორისათვის, მეორე აფსიდის კონქი. ამასთანავე ერთად მხატვარს შეეძლო მოეცა საკუროთხევლის კონქის მოხატულობის ორი სქემა, როგორც ვარიანტები, ერთი ბიზანტიური (ღვთის მშობელი „ორანტი“), მეორე ქართული (?) („ვედრება“), რადგანაც უკანასკნელს მთავარი ადგილი უჭირავს ქართული კედლის მხატვრობის ძეგლებში.

აღწერილი დედნის მხარებელთა სერიას აკლია მათე და მარჯვ მხარებელთა გამოსახულებანი. იკონოგრაფიული ტიპი ლუჯა და იოანე მხარებლებისა ნოწნობს, რომ მათი გამოსახულებანი დანიშნული ყოფილა პანდანტივების მოსახატავად. მხარებელთა გამოსახულებანი წელზევით, წიგნით ხელში, ცნობილია კედლის მხატვრობის ვარდა შინიატურებში<sup>1</sup>, ოქროს ჩქანდაკელობის ძეგლებში<sup>2</sup> და მინაქრის ხატებზე<sup>3</sup>.

მაგრამ კედლის მხატვრობაში მიღებული ტიპები მხარებელთა განაწილების სისტემაში არსებითად განსხვავდება ზემოთ აღნიშნული კატეგორიის ძეგლებისაგან, რადგანაც მათი მდგომარეობა და მიმართება ერთი მეორისადნი დამოკიდებულია იმ ადგილისაგან, სადაც მათ აქვთ დანიშნულება ტაძრის მხატვრობაში.

ქართულ კედლის მხატვრობაში ჩვენ გვაქვს ორი იკონოგრაფიული ტიპი მხარებელთა ტაძრის პანდანტივებისათვის: 1) საზოგადო ბიზანტიური—მხარებლები წარმოდგენილი არიან მთელი ტანით, სწერენ ან დასაწერად ემზადებიან და 2) ქართული (?)—მხარებელნი წარმოდგენილი არიან წელზევით, მხარებით ხელში და ტანით მიბრუნებული არიან აღმოსავლეთისაკენ. პირველი იკონოგრაფიული ტიპი გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში (მაგ. მარტვილი, გელათის ორივე ტაძრის მხატვრობა და სხვ.); ხოლო მეორე ტიპი ჯერ-ჯერობით აღნიშნულია სამცხე-საათაბაგოში და ქართლის ერთ ნაწილში. ბიზანტიურ კედლის მხატვრობაში მეორე იკონოგრაფიული ტიპი პანდანტივებში ცნობილი არ არის<sup>4</sup>.

<sup>1</sup>) Н. П. Кондаков, Памятники христианского искусства на Афоне, СПб., 1909, тбл. XLVI.

Н. П. Кондаков, Изображение русской княжеской семьи в миниатюрах XI в. СПб. 1906, тбл. III.

Материалы по Археологии Кавказа, т. XIV, М. 1916, тбл. III.

<sup>2</sup>) Н. П. Кондаков, Памятники... тбл. XXXVI.

Н. П. Кондаков, Македония. Археол. путешествие. СПб. 1909, рис. 174, стр. 252, тбл. XIII.


<sup>3</sup>) Н. Кондаков и Д. Бакрадзе, Опись памятникам древн... №№ 7-10, стр. 8 и рис. 2, 3, стр. 73.

<sup>4</sup>) Д. И. Гордеев, Op. cit., стр. 34-35.





მეორე იკონოგრაფიული ტიპი ცნობილია ანისის ზემოთ დასახელებულ ტაძრის ქართულ მხატვრობაში, <sup>1</sup> ზარზმის ეკლესიაში <sup>2</sup>, ჭულეზში <sup>3</sup> და საფარის მონასტრის წმიდა საბას <sup>4</sup> და წმიდა მარინეს <sup>5</sup> ტაძართა მხატვრობაში. ყველა ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში მახარებელნი აღმოსავლეთისაკენ არიან მოქცეულნი, ისე რომ სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილოეთ-დასავლეთ პანდანტივებში მახარებელნი ზურგით არიან მიქცეულნი ერთი მეორის მიმართ, რადგანაც ივინი მიმართული არიან აღმოსავლეთისაკენ. ხოლო დანარჩენ ორ პანდანტივში ივინი თითქოს ერთი-მეორეს უცქერიან. ასეთი სისტემა განაწილებისა ერთნაირია ყველა ძეგლებში, რომელიც კი იყო დასახელებული. ზარზმისა და ჭულეზის მხატვრობაში, არსებული ცნობების მიხედვით არ ჩანს სახელდობრ, თუ რომელი მახარებელია წარმოდგენილი. სხვა შემთხვევაში ეს კარგად ცნობილია. ანისის კედლის მხატვრობა და წმიდა მარინეს საფარაში იძლევა ერთსა და იმავე მაგალითს მახარებელთა განაწილებისას პანდანტივებში, რომელიც სქემატურად წარმოდგენილია აქვე 1 სურათზე. ხოლო წმინდა საბას ტაძრის მხატვრობა ამ შემთხვევაში გვაძლევს მეორე ვარიანტს (იხ. 2 სურ.).



სამწუხაროდ ჯერ ჯერობით ამ თვალსაზრისით მასალები შეგროვილი და შესწავლილი არ არის, ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობის დასკვნების მიღება ჯერ-ჯერობით ძნელია. სურათების გამოსარკვევად აღვნიშნავ, რომ სამკუთხედები წარმოადგენს პანდანტივებს, წრე კი გუმბათის წრეს. პანდანტივების ზემოთ მოთავსებული პატარა ისრები აღნიშნავს მახარებელთა გამოსახულების მდგომარეობას და მიმართებას. შედარება ორივე სქემისა ამტკიცებს, რომ მახარე-

<sup>1</sup> Д. П. Гордеев, *Op. cit.*, стр. 8.

<sup>2</sup> Е. С. Такайшвили, *Археологические раскопки, разыскания и заметки*, вып. I. Тиф., 1905, стр. 50.

Д. П. Гордеев, *Op. cit.*, стр. 65.

<sup>3</sup> Е. С. Такайшвили, *ibid.*, 107.

Д. П. Гордеев, *ib.*, стр. 18.

<sup>4</sup> Е. С. Такайшвили, *ibid.*, стр. 90.

Д. П. Гордеев, *ibid.*, стр. 42—43.

<sup>5</sup> Е. С. Такайшвили, *ibid.*, стр. 95.


Д. П. Гордеев, *ibid.*, стр. 55.





ბელთა თანამიმდევრობა ორსავე შემთხვევაში ისეთია, როგორც თვით სახარებაში: მათე მახარებელს მიჰყვება მარკოზ მახარებელი, ლუკა და იოანე; მაგრამ ორთავე სქემათა შორის არის ერთი დიდი განსხვავება, პირველ შემთხვევაში (I სურ.) მახარებელია წყება იწყება NO მდებარე პანდანტივით, რომელშიც წარმოდგენილია მათე მახარებლის გამოსახულება და თავდება იოანე მახარებლის გამოსახულებით SO პანდანტივში. მეორე შემთხვევაში მახარებელია წყება SO პანდანტივში იწყება და თავდება NO პანდანტივში<sup>1</sup>.

როგორ უნდა ყოფილიყო განაწილებული ლუკა მახარებლის (III ტაბ.) და იოანე მახარებლის (IV ტაბ.) გამოსახულებანი? ორივე გამოსახულება, თუ მათ ერთი მეორეს დაუპირისპირებთ, მიმართულია ერთი მეორისაკენ. მახარებელთა მიმართება ერთი მეორისადმი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყოველთვის ენორჩილება განსაზღვრულ წესს. ყველა გამოსახულებანი მიმართული არიან აღმოსავლეთისაკენ, რის გამოც SW და NW პანდანტივებში მოთავსებული მახარებელნი ზურგ-ზექცეულნი არიან ერთი მეორის მიმართ, ხოლო დანარჩენ ორ პანდანტივში მოთავსებულნი ერთი მეორისაკენ არიან მიმართული. ამიტომ მახარებელთა ორთვე გამოსახულება შესაძლებელია ყოფილიყო მოთავსებული პანდანტივებში მხოლოდ ორ ნაირად. თუ ჩვენ დავუყრდნობით აღნიშნულ კანონს, ლუკა მახარებელი უნდა ყოფილიყო მოთავსებული ან SO პანდანტივში, ან SW პანდანტივში. სხვა ადგილს შეუძლებელია ყოფილიყო იგი მოთავსებული. იოანე მახარებელი კი უნდა ყოფილიყო სიმეტრიულად მოთავსებული ან NW პანდანტივში ან და NO პანდანტივში. სხვა ადგილას იოანე მახარებლის გამოსახულება შეუძლებელია ყოფილიყო. მაშასადამე ჩვენ მივიღებთ ორსავე შემთხვევაში შემდეგ სქემებს:



<sup>1</sup>) მახარებელთა განაწილების წესი შესაძლებელია დამყარებული იყოს საღვთისმშობლის საუღვდელზე. ამ მხრით საყურადღებო მოსაზრება გამოსთქვა ჩემი შეკითხვის გამო ბ. ლეონ მედიქსტო-ბეგმა, რომელიც უკვე შიროებს მახარებელთა განაწილების წესს ჭალკედონატორ და ანტიქალკედონატორ ეკლესიებში მიღებულ გამოხელის წესს. თუ ეს მოსაზრება გამართლდა, მაშინ ჩვენ ორივე აღნიშნული სქემისათვის მივიღებთ საანტიტრესო დასკვნას: საჭიროა საკითხის გადასაწყვეტად მასალები შევროვება და შემოწმება ხსენებული ოქალსაზრისით.





ვინაიდან ზემოთ მოყვანილი ქართული მხატვრობის მაგალითებიდან ყოველთვის მახარებელთა წყება იწყება ან NO ან SO პანდანტივში მათე მახარებელის გამოსახულებით, შეუძლებლად მიმაჩნია მე-3-ე სურათზე წარმოდგენილი სქემა. შეუძლებელია მათე მახარებელი ყოფილიყო წარმოდგენილი NW პანდანტივში, საიდანაც უნდა დაწყებულიყო მთელი რიგი, რადგანაც ირლვევა განაწილების სისტემის დედააზრი. ამნაირად მე-4-ე სქემა წარმოადგენს ერთად ერთ შესაძლებელ სქემას, რომლის განხორციელებაც შეეფერება როგორც არსებულ ფაქტებს ქართული კედლის მხატვრობაში, ისე ორივე მახარებლის იკონოგრაფიულ ტიპებს<sup>1</sup>.

რაც შეეხება პეტრე მოციქულის გამოსახულებას, უნდა აღინიშნოს, რომ იგი იკონოგრაფიულად საშუალებას არ გვაძლევს გამოვარკვიოთ, სად უნდა ყოფილიყო უკანასკნელი მოთავსებული: ცალკე თუ რომელსამე რთულ კომპოზიციაში.

პაველე მოციქულის გამოსახულება კი უნდა წარმოადგენდეს ნთლიანი კომპოზიციის ნაწილს, მაგალითად მეორეთ მოსელისას, სული წმიდის მოყენისას ან სხვ.

ამრიგად, ყველა ზემოთ გარჩეული სურათები წარმოადგენს კედლის მხატვრობის სქემას. წარწერები და შესრულების ტექნიკა აგრეთვე მიგვითითებს, რომ აქ საქმე გვაქვს დაპატარავებულს, მცირე მასშტაბში მოთავსებულს მონუმენტალური ხელოვნების ძეგლთან. მსხვილი ასოებით ნაწერი ასომთავრული ტექსტი მახარებელია წიგნებზე, გამოსახულებათა ვინაობის აღმნიშვნელი წარწერები თავისი მოყვანილობით გადმოგვცემს კედლის მხატვრობაში მიღებულ წარწერათა პალეოგრაფიულ ხასიათს. შესრულების ტექნიკა სურათებისა მოწმობს, რომ მხატვარს უფრო ემარჯვება დიდი სურათების შესრულება, ამ შემთხვევაში კედლის მხატვრობა, ვიდრე ხელნაწერთა ნეკრე ტანის სურათებით შემკობა. ეტრატის ფურცლებზე იგი იმნაირად ხატავს ან, უკეთ რომ ვთქვათ, სწერს სურათებს, როგორც კირით შეღესილ კედელზე.

სურათების დანიშნულება ცხადია: იგინი უნდა იყვნენ საგანგებოდ დამზადებული, როგორც სახელმძღვანელო „დედანი“ კედლის მხატვრობისათვის. მხატვარს, როგორც ირკვევა, დასურათებული სახელმძღვანელოს მაგივრად უნდა აელო ნინუშად კედლის მხატვრობა. ამას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ მახარებელთა ორივე სურათი მოთავსებულია ჩაჩოში, რომელიც ჩვეულებრივად ტაძრის პანდანტივებში უფრო ვიწროა, ვიდრე ქვევით, სადაც იგი ჩვეულებრივად უფრო ფართოვდება. მხატვარს, რომელსაც მახარებლები გადმოუხატავს კედლის მხატვრობიდან, ჯერ ეტრატის ყორმის მიხედვით შემოუფარგლავს არე ჩაჩოსი და შემდეგ მოუთავსებია მახარებელთა გამოსახულებანი. პანდანტივებ-

<sup>1</sup>) მახარებელთა გარდა პანდანტივებში ქართულ მხატვრობაში ცნობილია სხვა გამოსახულებანიც, მაგალითად ატენის მხატვრობაში ტრომპეში, რომელნიც ამ შემთხვევაში ეწევიან პანდანტივების ნაკვირვას, წარმოდგენილია ოთხი მდინარე; უკანასკნელი ფაქტი ძლიერ საინტერესოა იკონოგრაფიული თვალსაზრისით, რადგანაც გადმოგვცემს ძველი ქრისტიანული ხელოვნების იკონოგრაფიულ ელემენტებს.





ში მხატვრებელთა სურათები კარგად თავსდებოდა ჩარჩოში, რომელიც ქვედა ნაწილში ჩვეულებრივად იყო ფართე; მაგრამ, როდესაც მხატვარს მხატვრებელთა გამოსახულებანი გადმოუხატავს კედლიდან ეტრატზე და მოუთავსებია ჩარჩოში, მხატვრებელთა გამოსახულებანი უკანასკნელში ვერ მოთავსებულა (III და IV ტაბ.). პირიქით მხატვარი მხატვრებელთა გამოსახულებებს შემდეგში თუ გადაიტანდა ეტრატის სურათებიდან პანდანიტივებში, მაშინ ივინი თავისთავად მოთავსდებოდა, აღვილის მოყვანილობის წყალობით, ჩარჩოში. ამიტომ ამ მხრივაც ჩვენი მოსაზრება, რომ მხატვარს ნიმუშად აუღია გუმბათიანი ტაძრის კედლის მხატვრობა და არა დასურათებული სახელმძღვანელო, უნდა სინამდვილეს შეეფერებოდეს. ჩვენი ფრაგმენტები კედლის მხატვრობის „დედნისა“ წარმოადგენს ქართული ხელოვნების ძველს, რადგანაც შეიცავს ისეთ იკონოგრაფიულ ელემენტებსაც, რომელნიც ახასიათებენ კერძოდ ქართულ კედლის მხატვრობას.

მიუხედავად იმისა, რომ კედლის მხატვრობის იკონოგრაფიული ნიშნები, რომელსაც გვაძლევს ჩვენი სურათები, მიგვითითებს მე-XI-XII-ს., შესრულების ტექნიკა ნათი ან დროის მხატვრობას არ მოკვავონებს. პირიქით ივინი ამ მხრით ენათესავებთან ქართული კედლის მხატვრობის მე-XVI-XVII ს. ძველებს. მხატვარს, თუმცა ნიმუშად აუღია გაცილებით უფრო ძველი მხატვრობა, მაგრამ შეუსრულებია იმ ტექნიკურ ხერხთა საზღალებით, რომელიც იყო მის დროს მიღებული ქართულ კედლის მხატვრობაში. მხატვარი არსად არ მიჰმართავს რთულ ტექნიკურ ხერხებს; პირვანდელი მოხაზულობა გადმოცემულია წითელი წამლით; ხოლო მეორე, რომელიც უკანასკნელია, შესრულებულია შავი წამლით; ნაოჭების მიმართულება ტანსაცმელისა სქემატურია და ზოგადი; წამლები შეტად შექცია და შემადგენლობის მხრითაც ლარიბია და გვაძლევს ხშირად განმეორებულ დაპირისპირებას; ფორმები ბრტყელია და რელიეფობა მათი არსად გადმოცემული არ არის; ჩრდილები აღნიშნულია მხოლოდ მოხაზულობით. ამგვარი თვისებით ცნობილია XVI-XVII ს. ქართული კედლის მხატვრობის განსაზღვრული ჯგუფი.

ამრიგად ჩვენი ფრაგმენტები წარმოადგენს კედლის მხატვრობის სახელმძღვანელოს ე. წ. „დედნის“, რომელიც უნდა იყოს შედგენილი მე-XVI-XVII ს. ძველის, დაახლოვებით მეXI-XII ს., კედლის მხატვრობის მიხედვით<sup>1</sup>.

<sup>1</sup>) საზოგადოდ „დედნად“ ჩაითვლება ყოველი დასურათებული ზღანწერი მიუხედავად თავის შინაარსისა და სხვ., რომელიც ეი იყო გამოყენებული მხატვრობაში, როგორც ნიმუში. ტერმინის უფრო ვიწრო მნიშვნელობით „დედნა“ ვაწოდებთ ისეთ სისტემატიურ კრებულს სურათებისა, რომელთაც სპეციალური დანიშნულება აქვთ, ამ შემთხვევაში კედლის მხატვრობისათვის. სანიმუშო სურათების კრებულს გარდა არსებობდა აგრეთვე თეორიული სახელმძღვანელო, რომელიც შეიცავდა ტექნიკური ჩასათას ცნობებთან ერთად იკონოგრაფიულ სახელმძღვანელოს.

Didron et Durand, Manuel d'Iconographie chrétienne, Paris, 1845.

Διδρον και Δυρανδ, Εγχειριδιον της Χριστιανικης Ικονογραφικης Τεχνης; υπη Α. Παπαδοπουλου Κερκυρας, εν Πετρην., 1909.

Порфирій Епиеков, Еришия Дюниевя Фурисаграфюта 1701-1733. (Труды Киевской Духовнои Академии, 1868 г., № 2-3, 6 и 12).





მხატვარს დაუშხადებია სახელმძღვანელო თავისი კერძო საჭიროებისათვის; მას არა აქვს ყველასათვის სავალდებულო სახელმძღვანელოს ხასიათი. მხატვარი არსად არ ცდილობს მოშალოს ძველი მონაზულობა, რომელიც მას შემდეგ არ მოსწონებია, ვისცეს სურათებს დამთავრებული სახე; მასალად მას აუღია ძველი ისომთავრულად ნაწერი ხელნაწერი და არა სუფთა ეტრატო, არც კი ცდილობს ძველი ნაწერის მოშლას. ყველაფერი, რაც აღნიშნულია, ამტკიცებს, რომ მხატვარს სახელმძღვანელო დაუშხადებია თავისი საჭიროებისათვის; ამიტომ სურათებს აქვს ესკიზების ხასიათი და არა დამუშავებული სახე.

იმ პერიოდს, როდესაც ჩვენს „დედანი“ შესრულებული ყოფილა, ჩვენში მხატვრობის დაცემის ხანას უწოდებენ; მაგრამ ასეთი შეხედულობა საცხებით არ არის სწორი და დამყარებულია იმ გარემოებაზე, რომ ამ დროს სწორეთ კახეთის მეფეები სახოვდენ რუსეთის შთაერობას დიპლომატიურ მიწერ-მოწერის დროს მხატვრების გამოგზავნას<sup>1</sup>. სწორეთ ამ დროს ბერძენი მხატვრის მიერ შესრულებულია გრემის ტაძრის, მხატვრობა, როგორც შრომ. გრაგორ. წერეთლის მიერ წაკითხული ბერძნული წარწერა მოგვითხრობს. კახეთი ამ დროს ძლიერ აობრებული იყო; საჭირო იყო მრავალი ტაძრის მხატვრობის განახლება და საკუთარი მხატვრები მართო მოთხოვნილებას ალბათ ვერ აღმაკუთავლებდა<sup>2</sup>. ამ დროს მოსკოვს, როგორც საეკლესიო მხატვრობის განვითარების ერთ ცენტრთაგანს, სახელი განთქმული ჰქონდა, თვით ბერძნულ სამხატვრო სახელმძღვანელოში<sup>3</sup>.

Порфирий Епископ, Сказания о вешнем виде св. мужей и жен и о возрасте их влеченные из разных рукописей (ТКДА, 1867, № 1).

„ Ерминия или наставление о живописном искусстве. (ТКДА, 1867, № 7)

„ Книга о живописном искусстве Даниила священника 1674 г. (ТКДА, 1867, № 12).

„ Протография церковная (ТКДА, 1871, № 4).

„ Сборник рукописей содержащих наставления о живописном искусстве и описания внешнего вида И. Христа, Пресвятой Девы Марии и святых обоего пола. (ТКДА, 1867, № 2).

Н. Покровский, Лицевой живописный подлинник Антонова Сибирского монастыря, СПб., 1896-1898, атласом образом.

Строгановский В., Иконописный лицевой подлинник, М. 1869.

Иконописный подлинник Новгородской редакции (изд. Филимонова), М. 1873

Сводный подлинник XVIII в. из еписку Филимонова, М. 1874.

Петров, Тшик о церковном и о папешном письме епископа Нестария (Трун отд. slav. и русск. археологии ИРАО, кн. IV, 1899) და სხვ.

<sup>1</sup>) А. А. Цагарели, Сношения России с Кавказом в XVI-XVIII столетиях. стр. 12-13, СПб., 1891.

<sup>2</sup>) დოქ. ლეონ მედიცისთ-მეჯი, ძველი მხატვრობა ვარკაჯეთში, გვ. 57-68.

<sup>3</sup>) ბოლთ. ვიოზგი ხუბინაშვილი, სახეობა ტაძრის მხატვრობისათვის, გვ. 64. (ჩენი შეცნობა № 9-10, 1924).

<sup>4</sup>) Διοσκουδισου τειν βικ Φειδραχ, οπ σπ., გვ. 33-34.





შეტანილია ნოსკოეში მიღებული ტექნიკა წამლებით წერისა, რომელიც დაწკრილებით აღწერილია. ამიტომ კახეთიდან გაგზავნილი მიმართვა მხატვრების გამოგზავნის შესახებ მოსკოვში გასაგებია. მაგრამ საქართველოს სხვა კუთხეებში განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში ამ დროს ცნობილია მრავალი, განვითარებული ტექნიკით შესრულებული კედლის მხატვრობანი, რომელნიც ქართული კედლის მხატვრობის ძველ ტრადიციებზე აღმოცენებული და განვითარებული. სწორედ მე-XVI ს. დასასრულს საქართველოდან საგანგებოდ იყო გაწვეული მხატვარი მარკოზი<sup>1</sup> ათონის მთაზე, რომელსაც მოუხატავს მთელი ტაძარი. ჩვენში რომ დაცემული ყოფილიყო მხატვრობა, რასაკვირველია მაშინ ამგვარ ფაქტს ადგილი არ ექნებოდა. თვით აღმოსავლეთ საქართველოში მე-XVI ს. დასასრულს არც ისე უნუგეზოდ იყო საქმე, როგორც ჰგონაით. ამ დროს ეკუთვნის ჰეხეთის სვეტი ცხოვლის სამხრეთ კედლის მხატვრობა, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ ტექსტულურ წარწერებს შეიცავს, ტექნიკისა, ჩაცმულობისა (მოცეკვავე ქალები) და სტილის მხრივ ქართული კედლის მხატვრობის ძველს წარმოადგენს. მე-XVII ს. ჩვენ გვაქვს ჩამოდენიმი კედლის მხატვრობა, ზოგ შემთავებაში ხელმოწერილი (მაგალ. მცხეთის საკათალიკოსო ტაძრის სვეტის მხატვრობა, რომელზედაც წარმოდგენილია წმინდა ნინოს ცხოვრება, რომელიც კვალდაკვალ მისდევს კელიშურ რედაქციას ცხოვრებისა). აგრეთვე ჩვენ მოგვბოვება მრავალი მშენიერად დასურათებული ხელთაწერი, რომელთა შესწავლაც საშუალებას გვაძლევს წამოვაცნოთ საკითხი აღმოსავლეთ საქართველოს ამ დროის სამხატვრო სკოლის შესახებ, რომელიც განსხვავდება დასავლეთ საქართველოს ამავე პერიოდის მხატვრობისაგან. შესაძლებელი ხდება ზოგი მხატვრის პიროვნების გამოჩვენება და მათი შემოქმედების დახასიათე-

<sup>1</sup>) Вн. Нордрит, История Афона, ч. III, отд. 2, 350 и 409. Первое путешествие, ч. I, отд. 2, стр. 156. Зоографическая летопись Афона и мое суждение о тамошней иконописи, стр. 220. (Генерал в Обществе любителей Духовнаго Просвещения 1884, кн. III, карт).

Н. П. Кондаков, Памятники христианского искусства на Афоне, СПб., 1902, стр. 54.

А. Пикольский, Краткий очерк Афонской стеной живописи, СПб., 1907, стр. 47-48.

მღვდელმონაზონს მარკოზს, ტომით ქართველს, მოუხატავს ათონის ქართველ მონასტერში უნგრეთელანდის მიქელ II მთავრის სახლით 1592-1600 წლ. ტაძარში დაცულია სურათი მხატვრისა და ხეობანებელი მთავრისა წარწერით. ათონის კედლია მხატვრობაში ცნობილია მაგალითები, როდესაც მხატვრები საკვლარ პორტრეტს ათავსებდნენ ტაძარში (იხ. Пикольский, op. cit., стр. 48). მხატვრობა ამ მონასტრისა განუახლებიათ 1842 წ.; აღსანიშნავია რომ აღმშენებლები, რომელთა საფასოთა და სურვილითაც მოხატეს ტაძარი, წარმოდგენილი არიან უნიბოდ. ხალხი მხატვარ მარკოზს აქ ხიამბი აქვს. შესაძლებელია, რომ მას 1842 წ. შესრულებულ მხატვრობის განახლების დროს ნიშბი მოეჩატეს, მით უფრო რომ იგი სასულიერო პირი იყო და შესაფერ ტანსაცმელში იყო აღბათ წარმოდგენილი. საქირთა ამ ფაქტის ადგილობრივ შემოწმება, თუ გამართლდა ჩვენი მოსაზრება, მაშინ ნიკოლ სკის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ აღმშენებელთა სურათები და მხატვარ მარკოზის ერთი დროის არ არის, უსაფუძვლო იქნება.





ბავ... ამიტომ შეხედულება ჭარბი მხატვრობის მე-XVI-XVII ს. დაცემის შესახებ შოთხოვს არსებით შესწორებას.

თუ ჩვენ გაუკეთებთ ჯამს იმას, რაც იყო ჩვენ მიერ თანდათანობით გამოთქმული სხვადასხვა ადგილას, მივიღებთ შემდეგს:

1) ფრაგმენტები სურათებია წარმოადგენს კედლის მხატვრობის სანიმუშო დედანს.

2) საუფუძვლად სახელმძღვანელოს უღვეს გუმბათოვანი კედლის მხატვრობა მე-XI-XII ს., რომელშიაც ბიზანტიურ იკონოგრაფიულ ელემენტებთან ერთად, წარმოდგენილია ისეთი იკონოგრაფიული თავისებურობანი, რომლებიც ჩვეულებრივია ქართული კედლის მხატვრობის ძეგლებისათვის.

3) სახელმძღვანელო წარმოადგენს ერთგვარ ესკიზის საბით შესრულებულ სურათებს, რომელნიც მხატვარს შეესრულება თავისი კერძო საქმიროებისათვის.

4) მხატვარს, რომელსაც შეუსრულება ხსენებული სურათები, ემარჯვება კედლის მხატვრობა და არა პელნაწერთა დასურათება.

5) სურათები უნდა იყოს შესრულებული არა უადრეს მე-XVI ს. და არა უგვიანეს მე-XVII საუკუნისა.

CH. AMIRANACHVILI.

## Fragments d'esquisses pour la peinture murale géorgienne.

(Résumé)

Le musée de la Société géorgienne d'Histoire et d'Ethnographie possède parmi ses manuscrits quatre feuilles détachées (N° 2065), ornées de huit miniatures. Ces miniatures ont été ajoutées par le peintre et ne se rapportent pas au texte. Les miniatures se trouvent des deux côtés de chaque feuille; plusieurs d'elles sont abimées. La dimension de chaque feuille est de 30x24 cent., à l'exception des feuilles qui ont été abimées par la suite.

Sur la première feuille est représentée la Sainte Vierge dans l'attitude de l'orante (pl. I); au verso de la feuille nous voyons S-t Jean Baptiste (pl. II) comme il est habituellement représenté dans la composition შებავ. Au recto de la deuxième feuille nous voyons l'Evangéliste S-t Luc (pl. III) et au verso S-t Jean l'Evangéliste (pl. IV). Les deux Evangélistes sont entourés d'un cadre, le buste en trois quarts, tenant à la main un livre, sur lequel on peut lire les premiers mots de leurs Evangiles. Sur la troisième feuille nous voyons l'archange





S-t Michel en pied, tenant à la main un globe et une crosse (pl V). De l'autre côté on a représenté la Sainte Vierge en pied, de face, les mains élevées, les paumes en dehors, et vis-à-vis d'elle se tient S-t Jean dans l'attitude de la prière (pl. VI). Sur la quatrième feuille il y a S-t Pierre tenant à la main un rouleau. Le buste est en trois quarts (le nom du saint est effacé); au verso saint Paul est assis, un livre à la main; il est représenté de face.

Ces miniatures représentent les modèles originaux de la peinture murale qui a pour base la peinture murale des églises à coupole de XI—XII s. L'exécution technique des peintures murales réussissait mieux au peintre que les miniatures des manuscrits. Les textes des livres des Évangélistes écrits en lettres majuscules et les inscriptions désignant leurs noms nous offrent le caractère paléographique accepté par la peinture murale. Leur exécution technique et leur style montrent que le peintre les a peintes pour ses besoins personnels, ces miniatures gardant un caractère d'ébauches.

Elles ont dû être exécutées pas avant le XVI s. et pas plus tard que le XVII s., leur technique et leur style ayant une grande affinité avec un groupe spécial des vieilles peintures murales géorgiennes de ladite époque.

L'examen iconographique de ces miniatures démontre qu'elles présentent avec les éléments byzantins, les particularités qui caractérisent la peinture murale géorgienne. Le projet de la peinture murale pour la conque de l'abside qui se devine dans ces miniatures, devait donner deux compositions: 1) La S-te Vierge (dans l'attitude d'orante) entre deux archanges (l'archange S-t Gabriel manque) et 2) ღმერთი dont une partie représente S-t Jean Baptiste dans l'attitude de la prière. La ღმერთი se rencontre fréquemment dans la conque de l'abside dans la peinture murale géorgienne, par ex. les peintures murales d'Oubissi (XIII s.), les peintures murales des églises de S-t Saba et de S-te Mariné au monastère de Saphara (XIV s.), les peintures de l'église de Tabakini (XVI s.) etc...

Quand les deux compositions ci-dessus mentionnées se trouvent dans la conque de l'abside, la peinture géorgienne donne la préférence à la ღმერთი, qui occupe la place principale, la S-te Vierge restant au second plan, par ex. la peinture murale de Tabakini. La ღმერთი est connue dans la peinture murale géorgienne pour les tambours de coupole, par ex. dans les peintures murales de Kintzwissi (XII s.) et de Timothissoubani (XIII s.).

La S-te Vierge et S-t Jean Baptiste représentés de cette manière (pl. VI) sont connus dans la peinture des tambours de coupole.







On ne voit pas comment ces compositions devaient s'accorder dans le système de la peinture murale, et si elles devaient subir des changements d'emplacement. Il n'est pas nécessaire de mentionner certaines possibilités également justes. Le type iconographique des Evangélistes S-t Jean et S. Luc est pris dans la peinture murale géorgienne pour les pendentifs, par ex. les peintures murales de Timothissoubani, des églises de S-t Saba et S-te Mariné au monastère de Saphara etc...

Si nous prenons en considération les règles admises dans la peinture murale géorgienne la disposition des Evangélistes et leurs relations mutuelles dans les pendentifs, S-t Luc devrait être représenté dans le pendentif sud-ouest et S-t Jean dans le pendentif nord-ouest.





Phot. Th. Kühn.



Phot. Th. Kühne.





Phot. Th. Kühne.



Phot. Th. Kühne.





ქართული

წიგნობა

შ. აშირანაშვილი, ქართული კედლის მხატვრობის დენის ურთავსტეტი.

ბეჭ

v




Phot. Th. Kühne.



Phot. Th. Köhne.






Phot. Th. Kühne.



შ. ა მ ი რ ა ნ ა წ ვ ი ლ ი, ქართული კედლის მხატვრობის დუნის ფრაგმენტები.

VIII



Phot. Th. Kühne.



თამარ ლომოური.

## სუმბატ დავითის ძისა და გიორგი მერაზულის ცნობები მე-IX – X სს. ქართველ ბაგრატიონთან შესახებ<sup>1</sup>.

ბაგრატიონიანთა გვარის ისტორია მეტად რთულსა და ვრცელს საგანს წარმოადგენს. მისი ზედმიწევნითი შესწავლისა და საკითხის სრული ამოწურვისათვის საჭიროა საქმოდ ბევრი დრო და, რასაკვირველია, უფრო მეტი მასალებიც. ამიტომ მისი ან გვარ ფართე ფარგლებში ჩაყენება მე მომავლისათვის გადავდებ, ეხლა კი წარმოვიდგინებ ამ საკითხის მხოლოდ ნაწილობრივი დამუშავების ცდას. ამ განხილული და შესწავლილია ამ თვალსაზრისით ჯერჯერობით მხოლოდ ორი ქართული საისტორიო წყარო, ერთი მათგანია: „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, ჩუენ ქართველთა მცეცოასა, ოუ სადათ მოიწივნეს ამას ქუეყანასა იგინი, ანუ რომლით ვამითგან უპყრიეს მათ შვილობა ქართლისა, რომელი აღწერა სუმბატ ძემან დავითისამან“ (სამი ისტორიული ქრონიკა, გამოცემული ე. თაყაიშვილის მიერ ტფილისს 1890 წ.) [შემოკლებით: სუმბ.]. მეორეა გ. მერაზულის „შრომას და მოღუაწებაი ღირსად-ცხოვრებისაი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაი ხანძთისა და შატბერდისა აღნაშენებელისაი და მისთანა მრავალთა მამთა ნეტართაი“. (Тексты и рассказы по Армяно-Грузинской филологии, кн. VII. Петербург 1911) [შემოკლებით: მერაზ.].

ამ მცირე ნაწარმის მიზანს შეადგენს აღნუსხვა იმისი, რის გამორკვევაც შეიძლება ორი ზენოდანახელებული წყაროს შედარებითი შესწავლისაგან ქართველ ბაგრატიონიანთა გვარის წარმოშობაზედ პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ. ეს ორი წყარო სხვადასხვა დროს და განსხვავებული მიზნით არის დაწერილი, პირველი ავტორი, სუმბატ დავითის ძე, მე-XI ს. ისტორიკოსია<sup>2</sup>, მისი ნაწარმოების უნდავრესი და ერთად ერთი საგანი ბაგრატიონიანთა გვარის ისტორია არის. თუმცა ისტორიული ამბების აღნუსხვით, იმ ნაწილში მაინც, რომელიც ჩემთვის საჭიროა, მისი ნაწარმოები მეტად ღარიბია, მაგრამ სამაგიეროდ იგი აუარებელ ცნობებს შეიცავს თარაღებისა და სახელების შრივ. მეორე ავ-

<sup>1</sup> წაქიხილია მოხსენებად სან. საისტორიო და საეტიმოგრაფიო სახვადობების სხლომანე 7 ივნის 1924 წელს.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიანიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები, წ. I. გამოც. პირვ. კვ. 134-137.





ტორის, ე. ი. გ. მერჩულის შრომა კი, პირიქით, თითქმის უთარილოა, მაგრამ ამასთან ერთად წარმოადგენს მრავალ ფაქტებს და იმ დროინდელი ცხოვრების ცხოველ სურათებს. ამ ნაწარმოების უმთავრესი მიზანია აღწერა გრ. ხანძთელი-სა და მისი მოწაფეების სამონასტრო მოღვაწეობისა. რაც შეეხება ბაგრატიონიანებს, გ. მერჩული მათზე ლაპარაკობს ვაკერით და მოიხსენიებს ამ გვარეულობის მხოლოდ იმ წარმომადგენლებს, რომლებსაც ასე თუ ისე კავშირი ჰქონდათ გრ. ხანძთელის მოღვაწეობასთან. ერთ-ერთი წყაროს ასეთი ჩასიათი ერთ-გვარად ავიწროებს განზრახული ნაშრომის ფარგლებს და საზღვრავს მას მე-IX-X საუკუნეებით, ე. ი. იმ ხანით, როდესაც მოღვაწეობდენ გრ. ხანძთელი და მისი ბიოგრაფი ვ. მერჩული. ამიტომ სუბშტ დავეითის ძის ნაწარმოებთგანაც აღებულნი და განხილული იქნება სწორედ ეს პერიოდი. თავის თავად ცხადია, რომ აქ საუბარი იქნება ამ პერიოდის ყველა იმ ბაგრატიონიანებზე კი არა, რომელთაც ბაგრატიონიანთა მემკვიდრე ეხება, არამედ მხოლოდ იმათზე, ვისაც სუბშტთან ერთად იხსენიებს გ. მერჩულიც.

**აშოტ კურაპალატი.** იმ დროს, როდესაც გრ. ხანძთელს დაუწყია თავისი მოღვაწეობა შავშეთ-კლარჯეთში, ამ ქვეყნების მფლობელი ყოფილა აშოტი, რომელიც ბაგრატიონიანთა გვარს ჰკუთნებია—და ნათ ყამთა მფლობელი იყო ამათ ქუეყანათა ღმრთის მსახური კელმწიფჳ დიდი ბაგრატუნინი აშოტ კურაპალატი“ (მერჩ., გვ. იბ.). ამ ცნობას ადასტურებს სუბშტ დავეითის ძეც, რომელიც თავის თხზულების სათაურშივე „ცხორება და უწყება ბაგრატიონიანთა, ჩუენ ქართველთა მეფეთაჲა, თუ სადათ შოიწიენეს ამას ქუეყანასა იგინი, ანუ რომლით ჭამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა“ (სუბშ., გვ. 41) უკვე აღნიშნავს, რომ მისი აღწერის უმთავრეს საგანს შეადგენს ბაგრატიონიანთა გვარის ქართველ მეფეთა ისტორია: „შემდეგ იგი ეხება მათ შთამომავლობას, რომელსაც იწყებს ადამითგან, უკავშირებს დავეით წინასწარმეტყველს და ათავებს ქართველ ბაგრატიონიანთა მამა-მთავრის გუარამის და მისი ძმების ქართლში შემოსვლით: „ოთხნი ძმანი მოვიდეს ქართლს. ხოლო ერთი მათგანი, სახელით გუარამ, განაჩინეს ერისთავად. და ესე ქართლისა ბაგრატიონინი შეილის შეილნი და ნათესავნი არიან ამის გუარამისნი“ (გვ. 43). შემდეგ სუბშტი მოგვითხრობს ამ ბაგრატიონიანთა ისტორიას, რომელთა შორის ასახელებს აშოტ კურაპალატსაც: „ადარნასე და ძენი მისნი—გურგენ ერისთავი, აშოტ კურაპალატი“ (გვ. 50). გ. მერჩულის ზემოთკენილი ცნობა იმის შესახებ, რომ აშოტ კურაპალატი შავშეთ-კლარჯეთის მფლობელი ყოფილა, აგრეთვე მტკიცდება ბაგრატიონიანთა მემკვიდრის მიერ, რომელიც მოგვითხრობს, რომ აშოტი პირველად მთავრობდა ქართლს, მაგრამ „განძლიერდა კელმწიფება აგარიანთა, და იწყეს ძიება აშოტ კურაპალატისა, და ვერ უძლო წინააღმდეგონად მათდა აშოტ და იელტოდა მათგან“ (გვ. 51). არაბთაგან გამოდევნილი აშოტი მოვიდა შავშეთ-კლარჯეთს „და დაემკვიდრა მუნ, და მისცა ღმერთმინ განარჯეება, ღ აკელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა ზედა“ (გვ. 52). ამგვარად, როგორც გ. მერჩული, ისე სუბშტ დავეითის ძე ერთხმად ამტკიცებენ, რომ აშოტ კურაპალატი შავშეთ-კლარჯეთის მფლობელი ყოფილა. აშოტის ამ ქვეყნებში დანკვიდრება უნდა მომხდარიყო მე VIII ს.





უკანასკნელ მეოთხედში. — სწორედ ამ დროს დაიწყო თავისი მოღვაწეობა გრ. ხანძოელმა ც. იმ ქვეყნის ვითარებას, სადაც დაესახლა აშოტი, ერთ გეარად ასწერს ორივე ისტორიკოსი — „კევი შავჭეთისა უშენებელი იყო მაშინ გარეშე მცირედთა სოფელთასა, რაჟეთუ ვამთა სპარსთა უფლებისასა აოკრდა, ოდეს იგი ყოვმან ბაღდადეღომან შემუსრნა ციხენი ყოყელნი და მოვლო შავჭეთიცა და ლადონა, და ქუალად შენდგომად მისსა სღვამან სატლობისაჲმან მოაოკრა შავშეთი, კლარჯეთი და მცირედლა დაწოეს კაცნი აღვილ-აღვილ“ (სუშმ. 52). „კლარჯეთს და ტაოთა შინა და შავჭეთს და ყოყელთა შათ მახლობელთა ქუეყანათა ნციოყდანი იპოყებოდეს დამშენებულ ტყეთა შინა აღვილ-აღვილ“ (ქერპ., გვ. ია). საქართველოს ეს ათხრებული კეთხე გაჟანდია აშოტს თავის მოღვაწეობის ასპარეზად. მას მიუღვია ხელი აღმშენებლობისათვის: „წინ სოფლები ზოგი იციდა საფასითა და ზოგი ოკერი აღაშენა... ზოგი კლარჯეთის ტყეთა შინა კლდე ერთი რომელი პირველ გორჯასალს ვაატანგს ციხედ აღაშენა, სახელით არდანუჯი, და აოკრებული იყო... იგი ვანახლა აშოტ და აღაშენა ეკრუდვე ციხედ და წინა ქუეყანა მისსა ქუეშეთ აღაშენა ქალაქი“ (სუშმ., გვ. 52-53). ეს ციხე გაუხდია აშოტს თავის საცხოვრებელ ადგილად: „დაემყდრა ციხეთა წეს შინა ცხოვრებად“ (იქვე). არტაბატის ციხის აშენებია ანბაგს ადასტურებს გ. მერჩულიც: „აშოტ კურაბატისა და იპოყრნა შოგალნი გუეყანანი და აღაშენა ციხე არტაბატისა... და წას შინა კეთილად ცხოვრებოდა შოგალთა წელიწადთა“ (მერჩ. გვ. 56). სამხრეთ საქართველოში უნებ მომავრებული აშოტი ხშირად ძღვეამოსილ ომებს აწარმოებდა: „და შოგალ ზნის მოსცა დმერთმან აშოტს კურაბატისა ძღვეა და დიდა დიდება ბროლოთა შინა“ (სუშმ. 53). ამ ცნობის კარგად უდგება გრ. ხანძოელის სიტყვები, რომლებიც წააწარმოეთქვანს, აშოტის სიკვდილის ანბაგი რომ შეუტყვია: „მ შეფო ზემო ძოიერო და დიდებულო, საბტკიეო ეკლეგითათო და ხლუდერო ქრისტიანეთათო. საფათხე მოკელოდი, აღმოსავალითხე ანუ დასავალით. პრდილოათხე ანუ სამხრით, რამეთუ ყოყელთა ზედა ნათებაჲთა მფლობელთა იყავ. რომელიც წყობით კელწიფეთა დაიმორჩილებდ“. (მერჩ. გვ. იათ.) თუნდაც რომ ეს სიტყვები ერთგვარ გაზვიადებას შეიცავდეს, ეს ადგილი მაინც ამტკიცებს, რომ აშოტი, თანახმად სუშმატის ცნობისა, დიდებული და ძღვეამოსილი ხელმწიფე ყოფილა. მას დაეპყრია თავის ძველი სამფლობელოს ნაწილი: „ქუალად ეფუთა ქუეყანათა ეიდრე კარადნდე ბარდავის ქალაქისა“ (სუშმ გვ. 53). ანისვე ადასტურებს გ. მერჩულის ზემო მოყვანილი, უფრო ზოგადად გამოთქმული, ცნობაც: „აშოტ კურაბატისა დაიპყრნა შოგალნი გუეყანანი“-ო.

აშოტის სიკვდილის შესახებაც ეს ორივე წყარო თანხმობით ამტკიცებს, რომ იგი მოკლულ იქნა მისივე ქვეშევრდომების მიერ. ერთხელ არაბები მოულოდნელად დასცივიან აშოტს და გაუქცევიათ; იგი წამოსულა ნიგალის ხეცს და უწყია „ძებნად ერისა, რათამცა ვითა ვანიშრავლა ლაშქარი თვისი, და წარმოემარონეს მოსლუად წის წინაშე იგინი, რომელთა მან უბრძანა, ხოლო იგანი ნოვიდეს კლვად მისსა“ (სუშმ. გვ. 53-54) აშოტს შათი ვანიშრახე გვიან შეუტყვია და, რადგანაც ჯარი თან არაჰყოლია, თავი ეკლესიისათვის შეუფარებია,





მაგრამ მკვლევებიც შიგ შეჭყოლიან და მოუკლავთ: „და მოწყლეს იგი მხე-  
ლით საკურთხეველსა ზედა“ (იქვე). გ. მერჩულის ნაწარმოებში აშოტის სიკვდი-  
ლის შესახებ შენდევ ცნობის გამოქვამთ: როდესაც საბერძნეთით დაბრუნებულ  
გრიგოლ ხანძთელს და მის თანამგზავრებს მიუწყევიათ ტაოს, იქ მათ შეუტყვიათ:  
აშოტის მოკვლის ამბავი: „ვითარცა მოიწინეს ტაოს, ესმა მუნ ნყოფთაგან კაც-  
თა. ვითარმედ აშოტ კურაპალატი მოიკლა“ (მერჩ., გვ. ით.). ამ ამბით შეწყუბუ-  
ხულ გრიგოლს გლოვის დროს სხვათა შორის წარმოუტყვებია: „აჲ ვითარმე მი-  
ეცი კელსა ზეურაცხსა ღმრულოთა და უნდოთა კაცთასა. რომელნი იგი იუდასა  
მსგავსად შენ. უფლისა თვისისა. მკლველ იქმნეს“ (იქვე) ირყევია, რომ აშოტი  
მოუკლავთ იმ პირთ, ვისიც საღამაჰროდ ნოწოდების უფლება ჰქონია, მათ.  
ვისიც უფალი ყოფილა იგი.

**აშოტ კურაპალატის მეშვიდრენი.** აშოტის სიკვდილის შემდეგ მისი შვი-  
ლების—ადარნასე, ბაგრატ და გუარამის (სუმბ. გვ. იმ; მერჩ. გვ. კმ.)—მეტირე-  
წლოდანობის დროს სარკინოზებს წაუტრთმევიათ მათთვის მათი სამფლობელოს  
ნაწილი: „შემდგომად აშოტის სიკვდილისა, ჩამისა მათისა, რომელ გარეთ ქუე-  
ყანა ჰქონდა წაუღეს სარკინოზთა, რამეთუ იყუნეს იგანი უსრულ ასაკითა... და  
იყუნეს ხარკის მიმცემელ სარკინოზთა ყოველნივე გვერი წაეშეთ-კლარჯეთ-ნიგ-  
ლისანი“ (სუმბ., გვ. იმ). თუმცა ამის შესახებ გ. მერჩულის თხზულებაში პირ-  
დაპირი ცნობა არ მოიპოვება, მაგრამ იქ არის ერთი აღვლილი, რომელიც გუ-  
ფიქრებინებს, რომ სუმბატის ზემომოკვანილი ამბავი სიძარბოვას უნდა შეიცავ-  
დეს. იქ სახელდობრ, ნათქვამია, რომ აშოტის შვილებმა „შეწყვენითა ღმრთი-  
საათა კრმლითა მათითა დაიპყრნეს ფრიადნი ქუეყანანი და განიოტნეს აგარის  
ნათესავნი“ (მერჩ., გვ. კმ.). თანაბმად ამ ცნობისა სუმბატიც ამტკიცებს, რომ  
„რამას სრულ ასაკ იქმნეს იგანი, კულადცა მოსცა ღმერთისა მათგე იგი ნა-  
ქონები მამისა მათისა“ (სუმბ. გვ. იმ).

**ბაგრატ კურაპალატი.** ამის შემდეგ „დასუეს ბაგრატ კურაპალატად“  
(სუმბ., იქვე), სუმბატის ამ მოკლე და ბუნდოვან ცნობას ავსებს და ნათელსა  
ჰყენს გ. მერჩული: „მას ჯამსა ბაგრატ კურაპალატმან ნებითა ღმრთისადათა და  
ნებითა მათა თვსთადათა და ბრძანებითა ბერძენთა შედისაათა ნოილო კურაპა-  
ლატობაჲ ნაცვლად აშოტ კურაპალატისა მამისა თვისისა“ (მერჩ., გვ. კმ.). ორი-  
ვე ისტორიკოსის ცნობით ბაგრატი აშოტის სიკვდილისთანავე კი არ დაუსვანს  
ბერძენების მეფეს კურაპალატად, არამედ რამოდენიმე ხნის შემდგომ. ამ ხნის  
განმავლობაში აშოტის მცირეწლოვანი შვილები წამოზრდილან და საქაოდაც  
გაძლიერებულან. ამ დროის განმავლობაშივე განომგავნებულა აგრეთვე ბაგრა-  
ტის უპირატესობა თავის ძმებთან შედარებით — „ხოლო ბაგრატ უნთავრეს მათ-  
სა იყო სიბრძნითა, საბითა და სიქველითა“ (მერჩ. გვ. კმ.), რის გამო ბერძენ-  
თა მეფესაც სწორედ ბაგრატი დაუწინაურებია.

**ადარნასე აშოტისძე და მისი შვილები.** კარვად უდგება ერთმანეთს სუმ-  
ბატ დავითის ძისა და გ. მერჩულის ცნობები რამოდენიმე სხვა ბაგრატიანიანთა  
შესახებაც. საინტერესოა ან ცნობების შეთანხმება აშოტის უხუცესი ძმის ადარ-  
ნასესი და მისი შვილების შესახებ. გ. მერჩული, ჩამოსთვლის რა გრიგოლ ხანძ-  
თელის სხვა და სხვა სასწაულებს, სხვათა შორის მოგვიხატრობს ადარნასეს შე-





სახებ შემდეგ ამბავს; ადარნასეს რომელიღაც მეძვე ქალის შესმენით განუზოგბია თავისი მეუღლე ბაგრატ შაროელი ხელმწიფის ასული ბევრელი და სხვა ცოლი შეურთავს. ამ უსამართლობისათვის გრიგოლს რამდენჯერმე უმზიდებია იგი, მაგრამ ამ მზიდებას შედეგი არ მოუტანია. მაშინ გრიგოლს უწინასწარმეტყველებია მისთვის: „არა სმენისათვის აიტყუათა ჩენ. გლახაკისათა. მიეც ბოროტთა სენთა, და რომელ აწ ძენი გესხნენ. იგუემნენ ეშმაკთაგან. და ვერ განიკურნო ზენ და ეერცა ზვილნი იგი შენნი, ვიდრე არა ზეინდოთ დედუღლისა მისგან (მერჩ. გვ. 56). ამის შენდევ ადარნასე ნართლაც ავიდ გამზდარა და განკურნებულა ნაოლოდ მაშინ, როცა ნის განზორებულ ნეუღლეს, მონახონად აღკვეცილს, შეუნდევია მისთვის და უსტრეგბია განკურნება. მაგრამ „შემდგომად წელიწადთა არა ნრაგალოა. ადარნასე კელწიფესა რაი ესხნეს ძენი. გურგენ კურაპალატი და სუმბატ, მტერისაგან ფრად იტანჯებოდეს“ (იქვე გვ. ნთ.). ადარნასეს ივინი გაუჯახენია მაშინ უკვე გარდაცვალებულის დედოფალ ბევრელის საულაგზე სალაოცად, რომ შემდგომ ავადმყოფნი განკურნებულან. საინტერესოა ამ ამბის დროის განსაზღვრა. აქ მომქმედ პირობად, სხუთა შორის, ჩანს ადარნასეს ორი ძე— გურგენი და სუმბატი. ბაგრატიონიათა ისტორიკოსი კი ასახელებს ადარნასეს სამ ძეს— „და იყენეს ძენი უხუცესისა მის ძინსა მათისა აშოტის ძისა, ადარნასესი, ხაშაი; გურგენ, რომელი იგი დღეთა სიბერისა მისისათა კურატპალატიდ დისუეს. და ძმანი მისნი აშოტ კეკელა და სუმბატ არტასუჯელი“ (სუმბ., გვ. 56). ადარნასეს შუათანი შვილი აშოტ კეკელა გ. ნერჩულს დისახელებული არა ჰქავს. ეტყობა, იმ დროს, როდესაც ზემომოყვანილი ამბავი მოხდა, ეს აშოტი ცოცხალი აღარ ყოფილა, ამას გვაფიერებინებს გრიგოლ ხანძთელის სიტყვებიც— „და რომელ აწ ძენი გესხნენ, იგუემნენ ეშმაკთაგან“-ო. (ცხადია, აქ საუბარია კეკელა იმ შვილების შესახებ, რომლებიც ადარნასეს მაშინ ჰყოლია. სუმბატ დავითის ძის ცნობით, ეს „აშოტ კეკელა, ძე ადარნასესი, გარდაიცვალა ქორონიკონსა 33“ (სუმბ., გვ. 56), ე. ი. 867 წ., აქედან ცხადია, მთელი ზემომოყვანილი ამბავიც— ადარნასეს მიერ ცოლის განზორება, ნისი და მისი შვილების ავადმყოფობა და განკურნება— ამ წლის შემდგომ უნდა მომხდარიყო. ირკვევა ისიც, რომ ადარნასე 867 წლის შემდგომაც ცოცხალი ყოფილა კიდევ რამოდენიმე წლის განმავლობაში.

**აშოტ კუხი.** სუმბატის ცნობით ადარნასეს ძეს გურგენ კურაპალატს ჰყოლია ორი ძე: „მოკუღდა... გურგენ კურაპალატი, ძე ადარნასესი, ძისა აშოტ დიდისა, ქორონიკონსა რია და დაჯტეგენა ორნი ძენი: ადარნასე და აშოტ ერისთავთ-ერისთავი“ (სუმბ. გვ. 60). გრ. ხანიოელის ცხოვრებაში გარკვეული ცნობა მოიპოვება ნაოლოდ აშოტის შესახებ: „შემდგომად გურგენ კურაპალატისა ძემან მისმან აშოტ ერისთავთა ერისთავმან ხანძთას ახალი ეკლესია დაიწყო“ (გვ. ლვ). ამ აშოტს მეტ სახელად კუხი ჰრქმევია: „აშოტ ერისთავთა ერისთავმან, ძემან გურგენ კურაპალატისამან, რომელსა ეწოდა კუხი, აღაშენა ტბეთი შავშეთს“ (სუმბ., გვ. 61). ეს აშოტ კუხიც, ბაგრატიონიათა ტრადიციის თანახმად, ეკლესიათა მაშენებელი ყოფილა. სუმბატის ცნობით მას აღუშენებია ტბეთი და განუწესებია იქ საეპისკოპოსო საყდარი: „აღაშენა ტბეთი შავშეთს, და განასრულა





იგი ყოვლითა განგებითა, და დასუა პირველად ებისკოპოსად სანატრელი სტუფანე" (61). ამავე აშოტს კუხს, გ. მერჩულის ცნობით, დაუწყია ხანძთის ახალი ეკლესიის აგება: „შენდგომად გურგენ კურაპალატისა სემან მისმან აშოტ ერისთავთა ერისთავნან ხანძთის ახალი ეკლესიაჲ დაიწყო" (გვ. ლგ). აშოტს ხანძთის ეკლესია დაუწყია თავისი წამის. გურგენ კურაპალატის სიკვდილის შემდგომ. გუოგენი ვარდაცვლილა, სუმბატის ცნობით, „ქორონიკონსა რია" (60), ე. ი. 891 წ. მაშასადამე ხანძთის ახალი ეკლესია აშოტ კუხს უშენებია 891 და 918 წლებს შუა. 918 წ. აშოტი ვარდაცვლილა: „გარდაიცვალა ესე აშოტ კუხი ქორონიკონსა რლმ" (სუმბ. 61). აშოტს ხანძთის ეკლესია დაუსრულებელი დაპრჩენია, ამ გვარია ცნობები გურგენის ერთ-ერთი ძის აშოტის შესახებ.

**გურგენ ერისთავთ-ერისთავი**, რაც შეეხება აშოტის ნეორე ძეს, გ. მერჩული მის სახელს არ გვაცნობებს, თუმცა ტექსტოვან კი ჩანს, რომ აშოტ ერისთავთა ერისთავს ჰყოლია ძმა. გ. მერჩული იხსენიებს აშოტის ძმისწულს „ხოლო გურგენ ძმისწული აშოტისა... ღმრთისა მიერ დაჯდა ერისთავთა ერისთავად" (გვ. ლგ). ცხადია, რაკი აშოტის ძმისწულზეა საუბარი, მას ძმაც უნდა ჰყოლია. სუმბატის ცნობით, როგორც ზეით დავინახეთ, აშოტის ძმას ადარნასე პრქმელია და მის მართლაც ჰყოლია ძე გურგენი, შემდეგში ერისთავთა ერისთავი. სუმბატის თანუღლებში ის აღვილი, სადაც გურგენსა და მის შვილებზეა ლაპარაკი, ცოტა არ იყოს გაუგებარი იქნება, თუ პატარა შესწორებას არ შევიტანთ შიგ. ივ. სახელდობრ, ნათქვამია: „მოკლდა... გურგენ კურაპალატი... და დაუტყენა ორნი ძენი: ადარნასე და აშოტ ერისთავთა ერისთავი. შემდგომად გურგენ მამისა თვისა, კურაპალატისა, გარდაიცვალა ქორონიკონსა რივ, და დაუტყენა ორნი ძენი შტირენი: დავით ერისთავთა ერისთავი, და გურგენ, რომელი შემდგომად მერძე დადა ერისთავთა ერისთავი იყო" (გვ. 60). ამ საჭიროთა ან სატყვების შენდეგ „აშოტ ერისთავთა ერისთავი" ჩაგმატოს „ადარნასე", რომელიც ალბათ ვადამწერს გამომპრჩენია, და მაშინ ახრი სრულიად გასაგები გახდება—ადარნასე გურგენის ძე ვადაცვლილა 898 წ. და დაუტყუებია ორი შვილი—დავითა და გურგენ, შემდეგში ერისთავთა ერისთავი. სწორედ ამ გურგენს, გ. მერჩულის ცნობით, დაუშთავრებია მისი ბიძის აშოტ კუხის მიერ დაწყებული ხანძთის ახალი ეკლესია: „ხოლო გურგენ ძმისწული აშოტისა. დიდი იგი კლდწიფე თრიადთა ნათესავთაჲ. ღმრთისა მიერ დაჯდა ერისთავთა ერისთავად. და მან განასრულა ეკლესიაჲ იგი ახალი ხანძთისაჲ" (მერჩ. გვ. ლდ). გურგენის გაერისთავთ-ერისთავებას აშოტის შემდეგ ადისტურებს სუმბატიც: „გარდაიცვალა ესე აშოტ კუხი ქნსა რლმ, და არა ესუა შვილი და ამისა შემდგომად გურგენ, ძმისწული მისი, ძე ადარნასესი, დასუეს ერისთავთა ერისთავად" (გვ. 61). ამრიგად ხანძთის ახალი ეკლესია დაუნთავრებია გურგენ ერისთავთა ერისთავს აშოტის სიკვდილის, ე. ი. 918 წლის შენდგომ. ეს გურგენი, სუმბატის სიტყვით, წესანიშნავი პიროვნება ყოფილა. „გარდაიცვალა გურგენ დიდი ერისთავთა ერისთავი, ძე ადარნასესი, რომელმან უნეტენი სიმენენი და ბაძოლანი ქმნა ყოველთა მამათა მისთასა, და დაიმორჩილნა ყოველნი გარემოსნი, ქორონიკონსა რია" (გვ. 62), ე. ი. 911 წ.





გ. მერჩულის თხზულებაში ნახსენებია კიდევ ბაგრატიონიანთა ასეა რამოდენიმე წარმოადგენელი, რომელთა არსებობა და მოღვაწეობა სწორედ იმ დროს სუსტებით მტკიცდება სუმბატ დავითის ძის მიერ.

**ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი**, გრ. ხანძოელის ცხოვრება. მისი ბიოგრაფის ნოწმოებით, გააუახლებია და შეუღესია ბაგრატ ერისთავთა ერისთავს: „...ძმ დიდისა ადარნასე კურაპალატისაჲ ბაგრატ ერისთავთა ერისთავი... რომელმან ნეტარისა ნამისა გრიგოლის ცხოვრებაჲ ესმ განაიხლა სისწაულთა ნათ გამოკუებულთა შერთვითა“ (მერჩ. გვ. 20). ამ ბაგრატს, რომელსაც, მერჩულის ცნობით ლიტერატურაშიაც სდებია წილი, იცნობს სუმბატ დავითის ძეც. იგი უოვილი ძე ადარნასესი, „რომელი შემდგომად ნამისა თვისსა (ბაგრატ მაგისტროსისა) მაგისტროსი იქნა, და შემდგომად მანის ძმთა კურაპალატი იქნა“ (სუმბ. გვ. 62). ეს ადარნასე კურაპალატი შეეპურით მის შვილებს ზემოთ ნახსენებულს ბაგრატ ერისთავთა ერისთავს და დედათ ერისთავთა ერისთავს (შემდეგში დიდ კურაპალატს) და მონაზონად აღუკვეცნიათ. იგი გარდაცვლილია „ქრონიკონსა რბა“ (იქვე 63): „მოკვდა უნებლიედ თიჩვითა“-ო, დასძენს ბაგრატიონიანთა მემკვიდრეობა. თვით ბაგრატ ერისთავთა ერისთავს გრ. ხანძოელის ცხოვრება გააუახლებია, როგორც ეს უკვე გამოორკვეული იქნეს პრ. ივ. ჯაფარიძის, 454—456 წლებს შუა<sup>1)</sup>. 456 წ. ბაგრატ ერისთავთა ერისთავი გარდაცვლილია (სუმბ. გვ. 63).

**გ. მერჩულის თანამედროვე ბაგრატიონიანები**. გ. მერჩული თავის თხზულებას მოლოში, აღნიშნავს რა გრ. ხანძოელის სიკვდილის თარიღს— 561 წელს— შენდევ აწყრს: „არამედ გარდაცვლულნი იყვნენ მისით დაიწერა ცხოვრება ესე მისი შემდგომად ოთხმოცედა ათისა წლისა... ქართველთა ზედა მთავრობასა ანოტ კურაპალატისასა, მისა ადარნასესე ქართველთა მეფისასა... ერისთავთა ერისთავობასა სუმბატისსა, მისა ადარნასესე მეფისასა. მაგისტროსობასა ადარნასესსა, მისა ბაგრატ მაგისტროსისასა. ერისთავობასა სუმბატისსა, მისა დავით მამფლისასა“ (მერჩ. გვ. 3). ამ ადგილითვე ირკვევა, რომ გ. მერჩულს თავისი თხზულება დაუმთავრებია, სწორედ ანოტი, ადარნასე ქართველთა მეფის ძე, ყოფილა კურაპალატად. მეორე ბაგრატიონიანი, რომელსაც ასახელებს მერჩული, არის ერისთავთა ერისთავი **სუმბატ**, ძე ადარნასე მეფისა. ეს პირი, ბაგრატიონიანთა შემკვიდრების ცნობით, 451 წ. კურაპალატად დამსჯამთ (გვ. 61), გ. მერჩულის ცნობით კი 451 წ. იგი ერისთავთა ერისთავი ყოფილა, გარდაცვლილია 456 წ. (სუმბ. 63). მესამე მაგისტროსი **ადარნასე**, ძე ბაგრატ მაგისტროსისა, სუმბატის ცნობითაც, ამ დროს მაგისტროსი ყოფილი, 458 წ. მიუღია კურაპალატობა (გვ.

<sup>1)</sup> „ისტორიის მისანი, წყაროები და მეთოდები“ წ. I გამოც. პარტიკი, გვ. 56



62) და ვარდაცვლილა 961 წ. (გვ. 63). მეოთხე — სუმბატ ერისთავი, დავით ნამფლის ძე. ბაგრატიონიანთა მენატრიანის თხზულებაში (გვ. 62, 64) ეს სუმბატი ერისთავთა ერისთავად იწოდება: «გარდაიკვალა სუმბატ ერისთავთა ერისთავი, კაცი ნართალი, ძე დავით მიმულისა, არტანუჯელი, ქორონიკონსა სპა» (988 წ.). რადგანაც ვ. მერჩულის თხზულება საზოგადოდ უდიდესი ნდობის ღირსია, როგორც ეს აშკარად ჩანს ნისი და სუმბატის ისტორიულ ცნობათა შედარებითგან, და რადგანაც, ამასთან ერთად, იგი თანამედროვეთა ამ უკანასკნელ ოთხს, მის მიერ დასახელებულ, ბაგრატიონიანთა გვარის წარმომადგენლისა, სუმბატ დავითის ძე კი ემყარება რაღაცა სხვა წყაროს, ამიტომ ვ. მერჩულის ცნობას ამ შემთხვევაში უნდა უპირატესობა მიენიჭოს. ეტყობა, 951 წელს ამ სუმბატს, დავით ნამფლის ძეს, ვერ ერისთავთ-ერისთავობა არ ჰქონია მიღებული და, თანახმად მერჩულის ცნობისა, მხოლოდ ერისთავი უოფილა.

გ. ნერჩულის ცნობა ზემოხსენებულ ბაგრატიონიანთა შესახებ საინტერესოა იმ მხრივ, რომ მათ შორის დასახელებული არ არის შევე, ამ ცოცხა არ იყოს, უცნაური გარემოების ახსნა შესაძლებელი ხდება სუმბატის ნაშრომის საშუალებით, რომლის განხილვითგან ირკვევა, რომ მე-X-ს. სამხრეთ საქართველოს ისტორიაში ყოფილა დროებითი უმცურობის პერიოდი. უბედობა ვაგრძელებულია 957 წლითგან 958 წლამდე. 957 წ. ვარდაცვლილა დავით ქართველთა მეფე, ძე ადარნასესი (სუმბ. 62), რომელსაც ძე არა ჰყოლია. მის შემდეგმე მუყუდ არავინ ჩანს 958 წლამდე, როდესაც გაუმეფელობით ჩაგრატი რეგულენი მისი მამის სუმბატ კურაპალატის სიკვდილის შემდეგ. ამ დროს ნისი ნაშის ძემებიც აშოტ კურაპალატი და ბაგრატი შავისტროსი — უცუე ცოცხლები აღარა უოფილან. თვით ეს ბაგრატი კი 958 წლამდე ერისთავთა ერისთავად უოფილა (სუმბ., 63). ამ რიგად, ის გარემოება, რომ 951 წ. ვ. მერჩული ბაგრატიონიანთა შორის შეღეს არ ასახელებს, უნდა იხსნას ინით, რომ თანახმად სუმბატის ცნობისა, ამ დროს სამხრეთ საქართველოში ამ ტიტულის მატარებელი არავინა უოფილა, და პირველი ადგილი, როგორც ბაგრატიონიანთა შორის, ისე ელენის მართვის საქმეში, სპერია აშოტ კურაპალატს ადარნასეს ძეს. სწორედ ეს შინაარსი აქვს ვ. მერჩულის სიტყვებსაც: ჩენი ნაწარმოები დაიწერა „ქართველთა ზედა მთავრობისა აშოტ კურაპალატისასათო (პერს., გვ. 3).

ამგვარად, ამ ორი წყაროს შედარებითა შესწავლამ, იმ ფაქტებში მანიც, რომლებშიაც ეს შესწავლა სწარმოებდა, ცხად უო, თუ რომდენად სანდო და საღვმელნიანი ამ მხრივ მათ მიერ შენახული ცნობები. არ არის ვ. ნერჩულის ნაწარმოებში მოხსენებული არც ერთი ბაგრატიონიანი, რომლიც შესახებ შესაფერი ცნობები არ ნოიბოვებოდეს სუმბატ დავითის ძის თხზულებაში, და თუ ეთონიებთ მეფეეეელობაში იმ გარემოებასაც, რომ პირველი წერდა თავის ნაწარმოებს მე X ს.-ში, ხოლო მეორე მე XI-ში, აუ არ დაგვივიწყდება ისიც, რომ მათი მიზნები სრულიად განსხვავდებოდა ერთი მეორისაგან, შეკვიძლიან დავასცენათ, რომ ორივე ეს წყარო საკმაოდ მაღალი ღირებებისაა, და ნეკლევარს შეუძლიან ერთ გვარის ნდობით ნოეკიდოს ამ ისტორიკონსების იმ ცნობებსაც ბაგრატიონიანთა მოღვაწეობის შესახებ, რომლებიც მოხსენებულნი აქვს მხოლოდ ერთ-ერთ



მათგანს, თუნცა აქაც აფცილებლად საჭიროა სიფრთხილე და კარგი აწოდანა.

ამას გვაფიქრებინებს სხვათა შორის გ. მერჩულის თხზულებაში შენახული ამბავი ეინწე ცქირის შესახებ. საქმის ვითარება აქ შემდგენიარად არის გარდმოცემული: ყოფილა ეინწე დიაკონი ცქირი „ტფილის აღზრდილი სამაჲ ამირისა ისპანელის ძისაგან და მოციქულად წავალი აშოტ კურაპალატსა წინაშე“ (გვ. 49). ამ ცქირს მოუსურვებია იმ დროს განთავისუფლებული ანჩის ეპისკოპოსო საყდრის დატერა და თავის აღმზრდელის სამაჲ ამირაა დახმარებით მიუღია კიდევ ეს საყდარი აშოტ კურაპალატისაგან. ანჩის საყდარს კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონია კლარჯეთის უდაბნოთა ცხოვრებისათვის, რადგანაც „ვინააჲთგან აღეშენნეს კლარჯეთისა დიდებულნი უდაბნონი, მღღელნი და დიაკონნი მათნი ანჩელთა ეპისკოპოსთაგან იკურთხევიან“ (გვ. 50). რაკი ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონია ანჩელ ეპისკოპოსს, ამიტომ მისი არჩევანი და კურთხევაც ერთგვარი წესით ხდებოდა „და გვრსევე ოდეს ეპისკოპოსთა იკურთხევიდნან. უკეთეს სწორად ყოველთა მათ უდაბნოთა წანებაჲ არა აქუბ და წიგნი ყოველთაჲ ჰქმნარიტი საწამებელი. კათალიკოსმა ეპისკოპოსისა მის კელ-დასხმაჲ ეპისკოპოსად არა ინების. არცა სათნო არნ საბართლითა საბქოათა“ (იქვე). ცქირის მიერ ამ წესის დარღვევამ კლარჯეთის მეუღაბნოე მამათა შორის დიდი უკმაყოფილება აღძრა. ამ უკმაყოფილებას დაემატა თვით ცქირის უმართებულო საქციელიც, რამაც გამოიწვია მორწმუნე ერის კაცთა გულის წყრონაც; მათ ერთობით შეატყობინეს ყველაფერი კურაპალატს და მისი ნებართვით მოიწვიეს ანჩს „ეპისკოპოსისი ღირსნი“ და „მათ თანა შემოკრბეს ყოველნი იგი მეუღაბნოენი მამანი“ (ა. ხ). კრებას წარმოუთხრეს ცქირისა საბართალი. უშჯულოებდა მისი“ ე. ი. ყველა მისი შეკოდებანი, რის შემდეგაც აგანჯუთეს იგი პატრიისაგან მისისა“ (იქვე). ცქირი დამრუწმბულა ტფილისის და რამოდენიმე ხნის შემდეგ კვლავ მიუღია ანჩის ეპისკოპოსობა იმავე მწყალობელის სამაჲ ამირის შემწეობით. ამ შენახულებაშიც კურაპალატს, აღმათ პოლიტიკური მოსაზრებით, დაუთმია და ისევე სამღვდელოების წყუნა უჩრცვია ამირას მოძღურებას. ამის შემდეგ გათამამებულ ცქირს განუხრახავს ხანძთის დანგრევა, მაგრამ თავისი განხრახავი სისრულენი ვერ მოუყვანია—გრ. ხანძთელის და სხვა მეუღაბნოე მამათა დალოცვით მომხდარა სასწაული, და ცქირი მოულოდნელად მოჰყვდარა. ეს პატარა ეპიზოდი გ. მერჩულის მოთხრობაში ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს, და ამიტომ აფცილებლად საჭიროა მისი დროის განსახლება. გ. მერჩულის ცნობა კი ამ ნბრეც სიმართლეს მალაატობს. პროფ. ი. გ. ჯაყა ხიშვილმა უკვე აღნიშნა, რომ ამ ამბავში არეული უნდა იყოს კურაპალატის ან ამირის საბელი, რადგან აშოტ კურაპალატი და ამირ სამაჲ ისპანელის ძე ერთმანეთის თანამედროეენი არა ყოფილან<sup>1)</sup>. აშოტ კურაპალატი გარდაიცვალა 826 წ., ხოლო სამაჲ ტფილისის ამირადა ჩანს 842—853 წლებში. თუ გ. მერჩულეს თხზულების სხვა ცნობებს ჩაუყვირდებით, ირკვევა, რომ არეულია კურაპალატის საბელი, რომ ეს ამბავი აშოტის დროს კი არა, ბაგრატი კურაპალატის დროს უნდა მოხდარიყო. აქ ცქირის მიერ ანჩის საყდრის მძლავ-

<sup>1)</sup> „ისტორიის მიხანა, წარბოები და მეოფენი“ წ. 1, გამოც. პირველი გვ. 60.



რებით დაპყრობის შესახებ გკითხულობთ: „ხოლო უწესოებამ მისი შრაველ ჳხის ემხილა წმიდათა მათ შირველთა კლარჯეთის ნუფდაბნოეთაჲან მანათა და ყოველთა ნათგან სამწყსოთა კათოლიკე ეკლესიისათა. უფროს ზოლო ნანისა გრიგოლისგან. რამეთუ არქიმანდრიტი იყო იგი დიდებულთა მათ უდაბნოთაჲ“ (გვ. 43). აქედანა ჩანს, რომ ცქირის მიერ ანჩის საყდრის დაპყრობის დროს გრიგოლ ზანძთელი უკვე არქიმანდრიტი ყოფილა. ზოლო ამავე ნაწარმოებში ცოტა ზევით ნათქვამია: „მანისა გრიგოლისათჳს ჳრახეა ყვეს ეპისკოპოსისა მის თანა წმიდათა მანათა. რათა დაადგინონ გრიგოლ არქიმანდრიტად ყოველთა კლარჯეთისა უდაბნოთა ჳელა. და შოაკსენეს კელმწიფეთა მათ ე. ი. ანტონა შვილეს) ზოლო მათ ფრიად განიხარეს და ერთობათ დიდითა დაპატრეებითა მოღუაწებობსა მის საქმედ დაადგინეს“ (გვ. 46). ირკვევა, რომ გრიგოლს არქიმანდრიტობა ნიუღია აშოტის სიკვდილის შემდეგ მის ძეთა კელმწიფების დროს. მასთანავე ცქირის ამბავიც უნდა მომხდარიყო აშოტის ძის ბაგრატის კურაპალატობაში. ია გარემოება კი, რომ ტექსტში ამაგან ნახსენებული არის აშოტის ბაგრატის შვიგორად, უნდა აიხსნას ან გადამწერთა, ან, რაც უფრო მიხალეებთა, იმ პირის შეცლონით, რომელსაც ეს ამბავი ვ. ნურქელისათჳს გადაუყვია.

M-lle THAMAR LOMOURI.

## Étude comparée des renseignements fournis par G. Mertchouli et Soumbat, fils de David, sur les Bagratides de Géorgie (IX - X s.).

(Résumé).

Le but de cet ouvrage est de tirer pour une étude comparée les données historiques de deux œuvres géorgiennes: „La vie de Grégoire de Khandzha“ par Guirguj Mertchouli (X s.) et „Renseignements sur la vie de nos Bagratides“ par Soumbat fils de David (XI s.), concernant les Bagratides de Géorgie. Cette étude nous a appris que:

1) G. Mertchouli dans son œuvre ne fait mention d'aucun Bagratide dont Soumbat, fils de David, n'ait également parlé.

2) Nous tirons de ces deux sources des renseignements identiques sur la personnalité et les actes de quelques uns des Bagratides (d'Achet Couropalate p. ex. et de son fils Bagrat).

3) Concernant les autres Bagratides ces divers renseignements concordent et se complètent.

4) Il résulte de ceci que chacun de ces auteurs est digne de la plus grande confiance, quand même la personnalité ou les actes des Bagratides ne seraient mentionnés que chez l'un d'eux. Une certaine prudence est néanmoins nécessaire, comme le montre clairement l'épisode de Tzquiri mentionné par G. Mertchouli.



არსოვლად მიიქმობა.

## გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად<sup>1</sup>.

(უჭკვადი დავვირყუნა).

### 1. წინასწარი შენიშვნები.

1922 წლის ზაფხულს მთიულურზე მომხადა ადგილობრივ, მთიულეთში, მუშაობა, ხოლო იმავე წლის შემოდგომას შემთხვევით შეძლება მომეცა ფერეადნიდამ მოსული ქართველის სეკეტოლ-ხან იოსელიანის საწვავებით ფერეადნულს გაცნობილი<sup>2</sup>. აღნიშნულ პირთან პირველსავე შეხვედრისას ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა საინტერესო გარემოებაში: ფერეადნულის საუბარში მთიულურის დამახასიათებელი არა ერთი არსებითი ფონეტიკური და მორფოლოგიური მოვლენა იზრნდა ხოლმე თავს. ფერეადნული ქართველებსა წინაბრები კახეთის და ქიზიყის შვედრნი რომ უნდა ყოფილიყვნენ, ეს ისტორიულად ცნობილი იყო. მაშასადამე საკითხი ისტებოდა: თანამედროვე კახურს აღმოაჩნდება თუ არა ეს თავისებურებათ, რომელნიც მთიულურს ახასიათებდენ და რომელნიც ფერეადნულის მიხედვით ქიზიყ-კახეთში, საერთოდ, და, კერძოდ, გარე-კახეთშიც იყენენ მოსალოდნელი?

ამგვარად, გარე-კახურის შესწავლა ორმაგად საინტერესო იყო: ჯერ ერთი, თავისთავად, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ბარის თქმისა, და მერე სხვა თქმებთან მიზარობების თვალსაზრისით: აქ, კერძოდ, მთიულურის განვასებისა და სხვა თქმათა შორის მისთვის ადგილის მიჩენის თვალსაზრისით.

აქ რომ, როდესაც საზაფხულო მივლინებათა საკითხი დაისვა ქართულ სენათმეცნიერთა საზოგადოებაში და ამ თუ იმ კუთხენი წისვლაზე ჩამოვარდა ღაბარაქი, ჩემთვის ბუნებრივი იყო სანდომოდ გარე-კახეთის არჩევა. სათანადო თანხის მიღების შენდევ საზოგადოების მივლინების თანამად კახეთისაკენ გაეე-მართე 1923 წ. 23 ივლისს. მკოდნე პირთა რჩევით სოფ. გიორგი-წმინდა მკონდა არჩეული მუშაობისათვის ბაჩად; აქ უნდა ჩანეტარებინა მუშაობის არსებითი ნაწილი და შემდეგ სხვა პუნქტებში შეწარმოებინა დანატებითი მუშაობა შემოწმების მიზნით. ადგილის არჩეენი საფხებით მიზანშეწონილი ვერ აღმოჩნდა; დამოკიდებული ვიყავ საგარეჯოზე და აქ მიხდებოდა უფრო სწორად ყოფნა და მუშაობა; ეს სოფელი კი ნაკლებ იყო საინტერესო ჩემი მიზნებისათვის; ინტელაფენციის სიჭარბე, თეატრ-სამკითხველო-წყოლის, — ე. ი. თანამედ-

<sup>1</sup> წაკითხულია მონაგნებაჲ ქართული საენათმეცნიერთა საზოგადოებას საჯარო სხდომაზე 1924 წ. 1 აპრილს.

<sup>2</sup> თხსავე კილოზე მუშაობის მოწყობა პირფ. ა. წამბაძის ინიციატივას ეკუთვნის.



როცე სამწერლობო ენის—ზევაველენა, ტფილისთან მჭიდრო კავშირი (საგარეო პუნქტად ითვლება გარე-კახეთში და ზაფხულობით ხალხი ბლომად ადის ტფილისიდან) —კოველივე ეს საინტერესო თავისებურებათა მიჩქნაღვასა და გადაშენების უფრო შეტყობდა ხელს, ვინემ მათ ნკათიოდ გამოვლენის. ამას ისიც დაემატა, რომ ზაფხულში სოფლის ცხოვრების პირობის გამო ზვენთის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, სოფლის ორგანული ფენი, მიწის ქულა, საგნებით გართული იყო საკუთარ ქაბან-წყვეტაში!...

ასე რომ გიორგი-წმინდა—საგარეჯოში უოჟნა მოლიანი და გამბული სასაუბრო მასალების შეგროვების მარცე ურიად უმნიშვნელო აღმოჩნდა, სამავიგროდ დაკვირვების ობექტად გამოყენებულ იქნა კოცხალი საუბარი და ვაიფაღლისწინებულ იქნა ამის ნიბეღვით მთავარი თავისებურებები. მუშაობის არსებობით ნიწილი მაინც ორს პატარა სოფელში ანთოკსა და მარიამ-ჯვარში ჩავატარე; ესენი მდებარეობენ გიორგი-წმინდასა და თოხლიაურს შუა და მოელს გარე-კახეთში ძალზე მივარდნილ სოფლებს წარმოადგენენ; აქ თითქმის მთელი კვირა ვიმუშავე; პრობული მასალები ბლომად ჩავწერე (ღვესები ხომ საგარეჯოშიაც საკმაოდ მქონდა შეკრებილი). აქ ჩაწერილი მასალები საინტერესო არა მარტო ენობრივად, არამედ სიტყვიერების თვალსაზრისითაც.

ღიალექტოლოგიის თვალსაზრისით აქ მეტად საგულენსძო მოვლენა იქნა დაღვენილი: სახელდობრ: სუბაექტური თ სუფიქსის ობექტური -ყე ნიწილაკის ფუნქციებით აღჭურვა; მაგალითად: „იმან უთხრაო ჩიტებს“—„იმან უთხრაყე ჩიტებს“; „იგი ეუბნებათ ძმებს“—„იგი ეუბნებაყე ძმებს“.

მთავარი მოვლენების ვათვალსაწინებისა და სათანადო ტექსტების შეკრების შემდეგ შემოწმების მიხნითა წავიმუშავე თითო-ორ-ორა დღით ნინო-წმინდასა, პატარაქულსა და ხაშმში, შემდეგ თოხლიატრში; სწავგან შემწნეული ძირითადი მოვლენები ყველგან იქნა დადასტურებული; თოხლიაურიდან აველ სოფ. თარექში: ეს პატარა სოფელი პდებარეობს ცივის ფერდობზე, თოხლიაურიდან ოახნიოდე ვერსის მანძილზე; მოსაღღობა, სულ 27 კონლი, შედგება ნიიღლ გუღამაყრელია და ეშაკელითგან, რომელნიც ამ ნმ-ოდე წლის წინად გაღმოსახლებულან მოიღენ... დასასრულ, ერთი დღით ვიმგზავრე ქიხის, წნორში, რათა ზოვადი წარმოღვენა მქონოდა ეწიყურზე გარე-კახეთთან შეღარებით, ერთი დღის ინტენსიურმა მუშაობამ საწვალემა მომცა ნორფოლოგიურ და ფონეტიკურ თავისებურებათა მთელი რიგი აღმენუსდა; თითქმის

1) საღიალექტოლოგიით მუშაობისთვის ზაღაღული აღმოაღღელთ საქართველოში ნავღებ ზელსაყრელია, ვინემ დასავლეთისაში; ამ უქანა-ღენში პომინდის მოყვანა უმთავრესი საზრუნავი, და სოფელთ აღვისტოს ნაწილა მანიქ პრტებათ თავისუფალი; აღმოაღღელთ საქართველოში, კი იღლისა შუა რიცხვებადაა განმწყვეტლიე წარმოებმა გავლარებული მუშაობა; ჯერ მკა მიღის; მკას ლიწვა მოსღვეს; ლიწვაა—თიბვა; და ეს ორი უქანასღელი პრაცედურა ავეისტოს დაბლევამდე ატახს; ეენახი მთმ მკამ გურაღღებმა საქართველში... აეტტმპობიღან სიმინდის მოწინა იწება, მერე—რიღელი და ასე შუა შემოღვემწედის.

2) უფრო დაწერილებით ამის ზეახებტ გვემოთ.





ყველა იგინი ახასიათებს გარე-კახურსაც, ვარდა კ-არ ბგერისა: ეს ბგერა გარე-კახურს არ გააჩნია!

საერთოდ, მივლინებაში დიეყავ ორმოცდა სამი დღე; ტფილისში დავბრუნდი ო სექტემბერს; სულ ჩაწერილ იქნა 163 გვ. (რეფულის ზომისა) ნასილა პროზად და 145-ისა ლექსად.

მასალათა შეგროვების გარდა ყურადღებას ვაქცევდი იდეოლოგიურ სახე-როთნომოდურ ძველებსა და სიძველეებს. საგარეგოს წინამოებსა და გიორგი-წმინდაში არა ერთთა პატარა ეკლესია, სალოცავები; ერთი დიდი ეკლესიაც არის—პეტრე-პავლესი, რომელსაც კარგი ჩუქურთმები აქვს; მაგრამ წარწერები არ მოვპოვებ: მე კი არსებითად ეს მანიჭერესებდა; არ მოვპოვებ წარწერები არც ე. წ. ყოვლად წმინდას, რომელიც ხაშვის მახლობლადია, არც სამების ტაძარს, რომელიც პატარძელს რამოდენიმე ვერსით შშორავს, თუმცა იდეოლოგიურ კი წარწერებდნენ, წარწერები იქ ბლომად მოიპოებაო.

წარწერები, სადაც იყო, ვადმოვიღე მანაეში ციხის მახლობლად ეკლესიაზე, გიორგი-წმინდაში, ერთს ეკლესიასა და იქვე კოშკზე, წინა-წმინდის ცნობილ ტაძარზე, და აგრეთვე პატარძელში, ორს ეკლესიაზე: ღვთის შობლისა და წმ. თინათს სახელობისაზე; პატარძელში დავაყალიბე რაღაც დიდი კოშკი: ერთი სოფელში, მეორეც მის გარეთ; აგრეთვე ძველი აკლდამები, რომელთათვისაც, სამწუხაროდ, სპეციალისტებს აქამომდე ვერ ნოუცლიათ.

2. -ყე ნაწილაკი **ლოლიკურ ობაექტზე** მიგვეითითებს: „უნდა გიჩვილოყე თქვენ)... მე წამშალ, გიშველიყე (თქვენ)... ხალხს ხუთასი დესეტინა მამული უყიდეყე“... აგრეთვე: „დავანბროხეყე, დაკპრიყე (ვის, რას?), გამოვართმეყეყე, გადაარეკაშენეყე, დაურიგებენეყე, გთხოვეყე“ და სხვა... დამატება აქ ყველგან მრავლობითი რიცხვის მიცენითს ბრუნვაშია; არის შემთხვევები, იშვიათად, ამ ნაწილაკის ხმარებისა, როცა ინავე რიცხვის სახელობით ბრუნვაშია მოცემული დამატება: „ერთი თოკით ხელები უკან შაიკარიოო, უნდა წავასაყეო ხემწიფეთათანა“... წავასხათ—ყინ?—თქვენ.

იგივე ნაწილაკი -კე-ს სახითაც იხმარება: მაგალითად: „ოცი ლიტრა მივეციოთყე შეურძებს... გადაწყვიტით გუბნებითყე... გავგზავნეყე ყანდაურას (ბიკები) და უთხარიოყე... სუ დავაკერიინებეყე, რაც არიან... თუ მოვიტანიათ, წაიღეთ, თუ არა და,—არაფერს გაძღვეყე ჩემი ნებით“...

ამის გარდა ზმნაში გვხვდენა: 1. თორმეტი: „მოგვიწადეყი, დავკარგეყით“; ხშირი არაა; 2. ერთი შებედილობით ნეოლოგიზმი, არსებითად კი არქაული სწორი ფორმა: „მოვაწყე, დავაწყე, გამოვაცხე“ (მესამე პირი: მან მოაწყო, გამოაყბო; სამწერლობო „მოვაწყეყე, გამოვაცხეყე“ თვით არის დიალექტიზმი და ნეოლოგიზმი); 3. არქაული: „გადანარჩომა, დაინარჩომა;“ („გადაარჩინა და დაინარჩუნა“-ს ნაცვლად). 4. უნა უნდა'-ს ნაცვლად: უჯრო ხშირია: უნდა ხოლო მეორე და პირველი პირი თითქმის მუდამ გინდა, მიინდა'-ს სახით; არის წარმოდგენილი; 5. აწყო დროის-ავ სუფიქსის-ამად ქვედაზე უკვე ვაქონდა ლაპარაკი და აქ არ შეგჩრდებით.

სახელებში საყურადღებოდ ვთვლით შემდეგს: 1. ნაწევრადობის აღსანიშნავად ნა-თავსართის ხმარები ორ შემთხვევაში: ნაოთხალი: „ნაოთხალ კაპიკათ უყიდია;“ ასეთი წარმოება ჩვეულებრივია მეგრულისათვის: „ნაოთხალი, ნახუთალი, ნაანშვალი... და სხვა; აგრეთვე: ნასამელი: „ერთი ნასანელი შიაკე“...

2. სადაურობის სუფიქსად ქართულში გვაქვს: ელი და—ური; პირველი, თუ საქმე გონიერ არსებას შეეხება, მეორე დანარჩენს შენთხვევაში; მაგალ. „მე ვეცნახე კახელი, მე ურნე ქართლელი,“ ნაგრამ: „ღვინო კახური, ბილი ქართლური,“ გარე-კახურში პირველ შემთხვევაშიდაც—ური სუფიქსის ხმარებას ვხვდებით; მაგალითად: „ღვინოყე ყვანდა, თოხლიაქრული იყო... ორი კაცი წაიდა: ერთი გარეჯული და ერთი გიორგი-წმინდული... ერთი გარეჯული ღვეული იყო, ორიც წინო-წმინდური“...

ინდივიდუალ მორფოლოგიურ ნოვლენათაგან აღვნიშნავთ შემდეგს: 1. ჩვენებითი სახელისნაცვლი: ე, ვე, ი: „ე კაცი“—ეს კაცი; „ი კაცი“—ის კაცი; ეს მო-

1) იხ. **А. Шанидзе**, „Два члсно-мингрельских суффикса в грузинском и армянском языках“: Зап. Вост. Уч. Арх. Общ. Петрогр. 1916, стр. 365.





გვაგონებს ძველი ქართულის რიგს: **ხე-ეგე-იგი**-ს, რომლის შესატყვისი ზმნი-სართი: **აქ-მანდ-იქ**, აგრეთვე გარე-კახურშიც იხმარება. 2. **გან** თანდებულის ნაცვლად ხშირია დამ: **ქვემოღამ, ზეიღამ, საბჰანებელიღამ, ქვეცხლიღამ, ქვაბიღამ...** და სხვა. 3. -**კენ** თანდებული კი წარმოდგენილია მომეტებულად **ყე ყეწის** საბით: **გზა სოფლისაყე მიდის... ქვეთაყე გაიარე... გააწი შეწყე... ახლა კიდენ ბიჭისაყე მიიწეის... ისევ მგლისყენ გამოიქვა... თავი საქთანესყე მიყავიო...** 4. **თორც** კავშირის ნაცვლად ჩვეულებრივია: **თორც**.

სინტაქსის საფეროში უწინარეს ყოვლისა ყურადღებას იქცევენ ნარტივი წინადადების კონსტრუქციის თავისებურებანი.

ქვემდებარე შემასწავლელის ფრთხილად შეხედვით მოვლენია აღსანიშნავი:

1. ხმნის ფუძის შეცვლა, როცა დამატება მრავლობითობა: **წაასხა ჩვენი ჯორ-აქლემები... ისინი ზენ ცოლად დაისხიო... ირემი ჩაყარეს ქვებში... (იხ. ქვ.)**
2. შემასწავლელის შეთანხმება ქვემდებარესთან აზრის მიხედვით: **ხალხი წაანა... ირემი ჩაყარეს ქვებში (იგულისხმება ნაჭრები)... სანამ ყაჩაღმა მამოტაცეს შინიღამ... ჭამეს ირემი ყველამ... ჯობშიც და თოკშიც თავი გაანებეს... მოიღნენ ქოროღლი თავის ამხანაგებით...**

აზრის-შინაარსის მიმდებარება ფორმაზე განსაკუთრებით თვალსაჩინოა ჟრახანი: **შაჭამეს ცოლქმართ... ცოლ-ქმარნი გალაღეს**: **ცოლქმარი** გავებულია მრავლობითად; ეს წარმოდგენა შესაძლებლობას ბადებს შინაარსით **„მრავლობითმა“** სიტყვამ შესაფერისი ფორმაც მიიღოს, მრავლობითის დაბოლოება გააწინდეს; მივიღეთ: **ცოლ-ქმარნი... ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საჭმე სიტყვაში: სასაფლაოები: „შენ სასაფლაოებზე წადიო... სასაფლაოებთან მივიდა“... სასაფლაო ჰგულისხმობს მრავალ საფლავს, იგი კრებითი სიტყვაა; და აზრის ტენდენციას ებორჩილება ენა, როცა სიმბოლის აღმნიშვნელ სიტყვას მრავლობითი რიცხვის დაბოლოებით ამკობს, ენობრივი მობუნტი აქაც დაძლეულია აზრის ნომენტის ნიერ.**

3. თავისებურია რთული შემასწავლელის სახელადი ნაწილის ქვემდებარესთან შეთანხმება რიცხვში; მაგალითად: **„დაგწყველისო: ცოდვანი ვართო (უნდა ყოფილიყო: ცოდვა ვართო)... მოიღნენ (ღვეები, არიან დალონებულენი... ღვეები გახდნენ დალონებულენი ძალიან“... შედგენილი შემასწავლელის სახელადი ნაწილი ძველს ქართულში წრფელობითს ბრუნვაში იყო, თანამედროვე სამწერლობოში — სახელობითშია; ორსავე შემთხვევაში არ ეთანხმება რიცხვში ქვემდებარეს: ამდენადვე გარე-კახურის მაგალითები ფრიად საგულისხმოა: იგი მოასწავებს, რომ სახელადმა ნაწილმა შედარებით წინანდელ ნდგომარებასთან გაინთავისუფლა თავი: მას საშვალდება აქვს დამოუკიდებლად შეუფარდდეს ქვემდებარეს რიცხვში, და ეს კი ნიშნავს, რომ შედგენილი შემასწავლელის მილიანობა ირლვეა...**

4. აღნიშვნის ღირსია ერთი მაგალითი, სადაც დამატების როლს მთელი **„ფრახა“** ასრულებს: **„ახლა ჩაკიდა იმან ყლაპი ხარ ყლუბი არა ხარ“... ეს არ არის დამატებითი დამოკიდებული წინადადება, არამედ მხოლოდ დამატება; დამატებად მისი გამოვლენა შესაძლო გახდა, რაკი მთელი გამოთქმა „ყლა-**





ში ხარ ყლუში არა ხარ<sup>1</sup> საკუთარი სახელია (ხლავრის გმირისა); მაგრამ ეს სახელი ორი წინადადებისგან შედგება, პირვანდელი ფორმა ყველა შემადგენელ ნაწილებს შეუჩხავს და ამიტომაც არის საყურადღებო მისი გამოსვლა დამატების როლში.

ბ. საშუალო გვარის ზმნებთან ქვემდებარის დისმა მოთხოობითს ბრუნვაში ანალოგიურ წარმოებასთან დაკავშირებით იყო გათვალისწინებული (გვ. 74) და აქ მას არ დაუბრუნდებით.

სხვა სახის სანტაქსურ მოვლენებში თავლასწინაა:

1. ორმაგი უარყოფის ხმარება ერთმანეს გვერდით: მას იწვევს სტრეილი უარყოფის გაინტენსიფებისა: მაშაადანუ, ფსიქოლოგიური მომენტი<sup>2</sup>; მაგალითები: 1. ერთმაგი უარყოფისა: „იმახუ მეტი არაინ ჰყავთ... ათელიდა, ხო არაფერი დააკლდაო... აღარც მოსულა და აღარც რაო; ვეღარას უშეღლიან“... 2. ორმაგი უარყოფისა: „სხვა ვერვის ვერ აგეყვანისო... ხმა არეინ არ გასცა, არც გლიში, არც საღამი მისცეს, აოც არაფერი, არც კაცმა, არც დედაკაცმა და არც არავეინ... არავეინ არ იყო... ვერავეინ ვერ ნახა“...

2. ჩვეულებრივია გამოთქმები: „ურემი წავიდუ, ურემი მოიტანე (მე)“... ვეაქვს ღრახა: „მოუტანეს ფაიტონი და ცხენები“...

3. დავპატიფე ზნა მოითხოეს შიცემითს ბრუნვას და არა სახელობითს: მაგალითად: „დამპატიფეს ხალხსა... მოდი, ერთი ხემწიფეს დავპატიჯოთო... აბა ერთი ჩქმა ცოლსა დავპატიჯოთო“...

4. ეშინია ზნა მოითხოეს ნათესაობითს -გან თანდებულით; ესევეა მითუღურში, ფერეადნულში; ქველგან საქმე გვაქვს არქაულ კონსტრუქციასთან: ძველს ქართულში ეს ზნა მხოლოდ ასეთ სინტაქსურ შეგანებას ეკუთვნის; მაგალითად: „არა შექმინდები სიტყუათაგან შენსა“ სვანური მანუსკრიპტი, უნივერსიტ. საქელ-საქავის ხელნაწერი, № 19, გვ. 194 v.)... „არცა ბირისაგან მთავართაჲსა შეშინის“ (იქვე, გვ. 35 ბ.)... „ცნა ონ ვდ ფდ შეშინდა მისგნ“ (იქვე, გვ. 899 v.) და ეს ბუნებრივია: აქ ხომ ენით ნაწარმოები უნებითი გვაქვს, და ზნა მოითხოეს ნათესაობითს -გან თანდებულით ისევე, როგორც ზმნება; ესმა მას იგი მისგან, ებრძანა ნა იგი მისგან... ეკრძალა მას იგი მისგან... და სხვა. მაგალითები გარე-კახურიდან: „შინში არა გექონდეს არადრისაგანაო... გეშინოდეს ამისგანაო... ცხვარსა ძალისგან ეშინია, მკლისაგან ეშინია, ბალახი რომ არის, ინიკვანაც ეშინია... დობტურისგან ეშინია (პაქსი) ბოინ“... და სხვა.

5. მსგავსი კონსტრუქცია აქვს რცხენია ზმნას, მაგალითად: „მე კი მრცხენოდა დედაკაცებისგან და იმას კი უხაროდა...“ შეიძლება ესეც არქაინში იყოს; ყოველ შემთხვევაში ამას სასარგებლოდ დამარჯობს კვესტორული, სადაც ეს ზნა აგრეთვე ნათესაობითს მოითხოეს -გან თანდებულით: შდრ. „ქალს ტიტველი გულ მსცლებსგან რცხენიან ხალხში...“

<sup>1</sup>) ორმაგი უარყოფის საერთო ქართულში სამწერლობო ენის მასალების მიხედვით ისტორიულად და თანამედროვე ცალხალ კლო-ოქმათა მასალების გამოვლენებით ერთლად გამოვლენილია ვარ. თთ ფ უ რ ი ა ს წინაღნი: „ორმაგი უარყოფის ქართულში“, იბ. „ქართ. საგნათმეცნ. საზოგ. წიგნი წიგნული, ტ. I—II, ტფილისი, 1925, გვ. 74—117.

<sup>2</sup>) მეს. გ. აბოთური. „კვესტორული მასალები“, პროფ. ა. შანიძის რედაქციით, იბ. „ქართ. საგნათმეცნ. საზოგ. წიგნი წიგნული, ტ. I—II, ტფილ. 1925, გვ. 216, მზგ. 1.





6. არქაულ - მცა ნაწილაკს შერჩენილი აქვს თავისი სინტაქსური ძალა ფრაზაში: „შენამც ჩაგვარდნია ცხრა მთას უკან ცხრა დევი რომ არის, იმათი დის სიყვარულიო“. - მცა ნაწილაკის სინტაქსური ფუნქცია იმაში გამოიხატება, რომ მოთხრობითი კილოს ამა თუ იმ დროს სათანადო კონკრეტულის შინაარსს აძლევს<sup>1</sup>. ჩვენს შემთხვევაში - მცა თავის ფუნქციას ასრულებს: „შენამც ჩაგვარდნია... სიყვარული“ = შენ ჩაგივარდეს... სიყვარული. ყურადღებას იქცევს მხოლოდ: „ჩაგვარდნია“ — იგი ნამყო სრულ მეორეშია დასმული ნამყო სრული პირველის ნაცვლად, როგორც იქნებოდა, ძველს ქართულში რომ ყოფილიყო („შენამც ჩაგივარდა...“); მაგრამ ამ ფორმის ხმარება ნამყო სრული პირველის ნაკვირვალ ხალხში ჩვეულებრივია: „პური მიქამია“, „საქმე გამიკეთებია“...<sup>2</sup> და მაგვარი გამოთქმები ხშირად იხმარება: „პური ვქამე“, „საქმე გავაკეთე“ — ნაცვლად.

7. სისტემატურად იხმარება გამოთქმები, როგორცაა: „შაქარა მოდის-ეგეც თავის ურემია... ვასუა და თავისი ძმა ჩხუბობდნენ... გაავდარდება? ვინ იცის. თავისი ნება... ყნაწვილი ვისია? ვისია და თავისია, კაცოს... თავის ნება როდია... ქუდი ვისია? — ვისია და თავისია...“. თანამედროვე სამწერლობო ქართული ასეთ შემთხვევაში „მის“ — სიტყვას იხმარდა: „შაქარა მოდის, ეგეც მისი ურემია... ვასუა და მისი ძმა ჩხუბობდნენ...“ და სხვა. ძველს ქართულში ამ მხრივ ერთგვარობა არ არის: იხმარება როგორც „თავისი“ (= თვისი), ისე „მისი“. „თავისი“ მსგავსს შემთხვევებში იხმარება მთიულურში, ფერეიდულში, მკონი ქიზიურშიც. „მისი“ და „თავისი“ — შორის გარკვეული ფსიქოლოგიური განსხვავება არსებობს: ორივე აღნიშნავს საგნის განკუთვნილებას მფლობელისადმი, მხოლოდ სხვადასხვანაირად: პირველში, — მისი, — საორიენტაციო პუნქტი შეტყველია; ამ პუნქტიდან რისივე მფლობელი აღინიშნება მესამე პირის ნაცვალსახელით: იგი; საგნის განკუთვნილება ამ თვალსაზრისით ხდება: ესა და ეს იმისათვის. მეორეში კი, — თავისი, — შეტყველი, როგორც საორიენტაციო პუნქტი არა ჩანს; შეტყველება მფლობელის თვალსაზრისით ამუშავებს სინამდვილეს და აღნუსხავს: ესა და ეს თავისია; ე. ი. მფლობელიათვის.

ჩვენი ყურადღების გარეშე რჩება სემასიური მოვლენები; იგინი შეტად საინტერესო არიან, მაგრამ უწინარესად არა როგორც დიალექტიზმი, არამედ ზოგადად, წარმოდგენათა ისტორიული ყოფა-ცხოვრების გასათვალისწინებლად. რამდენადაც კერძო სადიალექტო თავისებურებანი იჩენენ მათში თავს, იმდენად იგინი უკვე ლექსიკის სფეროს განკუთვნიებიან და ჩვენი ახლანდელი მამოხილვის საგანს არ შეადგენენ; მათ შეეგებებით მაშინ, როცა მთიულურისა და გარე-კახურის ურთიერთობაზე, ერთის მხრით, გარე-კახურისა და ფერეიდულისაზე, მეორეს მხრით, მიდგება საქმე; ამის შესახებ მთიულურისა და ფერეიდულის მითითებულაში.

<sup>1</sup>) იხ. ამის შესახებ: ა. შანიძე: „-მცა ნაწილაკი ძველს ქართულში“, „პროზოვ“ № 1, ტფილ., 1918 წ.

<sup>2</sup>) საინტერესოა ის მნიშვნელობის ნაჯანსა, რომელიც ამ ფორმის ასეთ შემთხვევებში თან ახლავს: ამ ორი დროის შეხატულებია შესაძლებლობაც საგულისხმოა თითოეული მათგანის შინაარსის გასარკვევად...





დასასრულ, გარე-კახურის მეტყველების ნიმუშად მოგვყავს სანი ზღაპარი.

### 1. ოზოლი და ქოსა.

იყო და არა იყო რა, ბთის უკეთესი რა იქნებოდა? იყვნენ ერთი ოზოლი და ქოსა. შიყვარნენ წისკვილში ერთად. ნაილაპარაკეს; პური ჰჭიოდათ ძრიან და მოდი ერთი ხმინანი<sup>1)</sup> გამოაეხეთო. ქოსამ უთხრა, რომათ ცომა ჩემი იყოსო და საფანელი<sup>2)</sup> შინიო. ქოსამ თავიდან (?) ამოიღო ერთი პატარა გუნდა, შილა, შილა ობლისა და გამოიყვანა ობლისა დიდი ხმინანი. გამოაკბეს ხმინანი და ამოიღეს ცეცხლიდამ: გაბღერტეს და ნიაყუდეს კედელზე. ნიაყუდეს და უთხრეს ერთნანეთს: „თითო ტყუილი ვთქოთო და ეინც კი ტყუილი თქოსო, ხმინანდ იმას დარჩესო“. ოზოლმა უთხრა ქოსას: „აბა ააღა შენა თქვი ტყუილიო“.

ქოსამ უთხრა, — ქოსამ დაიწყო ტყუილი რა! — მანაჩემს შვიდი ბატი ჰყვანდა და აღწევანში წავიდა ნარბილწეო და შვიდი ბატათეინ აეკიდნა მარლიო. წამოსტლიყო; ერთ ალაგას ბატები საძუარზე გაეშვაო, და პური საქმელად დაესკუნებიაო. ერთი ბატი მგელს დევიკირნა და გვერდები გენეჩქანნაო. დარჩა მამაჩენი დაღონებული, რომ ერთი ბატის საპალნე ვის ავკადო, ვის წავალენბინო... დაჯდა. იფიქრა მანაჩემმა... შემერე გამოჭრა ერთი წნელი და ბატს გამოუხლართა გვერდებო და აჭკიდა იმ ბატს თავის საპალნე, სახში შატანინა იმ ბატს თავის საპანე... მოიდა სახლწიო... და ეხლა ქოსამ უთხრა ოზოლს: „შენა თქვიო!“

ეხლა დაიწყო ოზოლმა: „მამა ჩემსათ ბევრი ფუტკარი ჰყვანდაო; დიღითაო, მიდიოდა ის ფუტკარიო, დაუღიდაო და საღამოთი მოდიოდაო, დაეღიდაო: ხო არაფერი დააკლდაო. ერთ დროსათ, რო მოიდა ფუტკარი, დათვალა, ერთი ფუტკარი დააკლდა... წავიდა მანაჩემი, ექება, ექება... ის ფუტკარი დევიკირნით და გუთანში შეებათო. გემეეში ის ფუტკარი (მანაჩემს) <sup>3)</sup>; დასიებოდაო კისერიო ძალიან უდიუროთ <sup>4)</sup>; მანაჩემმა გაუტრა იმ ფუტკარს კისერიო; იმ ფუტკარის კისერზე ამოიდა ერთი დიდი კაკალიო, იმაზე შამოჯდა ფრინველიო და იმ კაკალსა სჭამდაო. მანაჩემმა ერთი ბელტი წამოუსვაო და იმ კაკლი კენჭერზე სამი დესეტინა მიწა გაიმართაო... ვხანმდით, ეთესამდით იმ კაკლი კენწერზედაო... ყანა გვედგაო... ერთ დროს მუწა წაგისხითო და ყანას ვეკიდითო კაკლის კენწერზედ(ა)ო. ზაგოშკობამდი ყანა მკეს მუწებმაო და მერე მანაჩემმა უთხრა მუწებსაო: „თქვენ პური ჰამეთო და ერთი ყანას შანოუღლიო“. მანაჩემმა ნამგალი თან გაიყოლა ხელშიო. ყანას რო შემოუარა, ყანიდან ერთი კურდღელი გამოუარდაო... წამოუსო მამა ჩემმა იმ კურდღელს ნამგალი და ნანგალი (ფეხში) შევრტო. დარბის ის კურდღელი ყანაშია; სანამ მუწები კამენ, იმ კურდღელმა

<sup>1)</sup> „ხმინანი—უფეფარი პური“.

<sup>2)</sup> „საფანელი—მოსახელი ფეხელი“.

<sup>3)</sup> ფრინველებში ჩასტულია ჩვენ შიგერ აზრის ნათესაყოფად ჩამატებელი სიტყვები.

<sup>4)</sup> „ძრიან რო დაიკისრებოდა, საპალიოთ არ შინიებოდა უდიღლა“.





უანა სულ მომყო. მუშებმა პური ქამეს, ადგენ, აკრეს ძნაო და წანოდინენ შინაო. მემრე დაწერა ობოლმა ერთი ქალაღდი და დაავლო ძირს. ქოსამ აიღო და მიაწოდა ობოლს: „აბა, ობოლო, ეს ქალაღდი წაიკითხეო! რა აწერია შიგო?“ წაიკითხა ობოლმა და უთხრა რო: „ქოსას ნებვი და ობოლა კვეროო“... და დაინარჩონა ობოლმა კვერო.

გიორგა ხამუნაშვილი, 30 წლისა, (ნასაღდათარი).

ათე, მარამა-ჯყარი.

## 2. ნაცარქექია<sup>1</sup>.

იყო და არა იყო რა! იყო ერთი ნაცარ-ქექია. ჰყავ იმას ცოლი ლამაზი; სუ ერთიად ნაცარს ქექავს, ცოლს თაცს ვერ ანებებს. ამ ცოლს რო მეფწყინა. ბურთი კარში გაუკრა და ვაგზავნა კარში: აღარ შაქშო შინ. მემრე რო მეფწყინა (ნაცარ-ქექიას) და უთხრა ცოლსა: „შაინე შინ აღარ მიწობო: ერთი კვერცხი ნამაწოდუო და ერთი გულა ნაცარიო!“ ნააწოდა... წაეიდა...

ერთ აღავას ერთ წყლი პირას ცხრა ძმანი დეგენია; იმათ ვაუანანავღათ. ძნათ შაეიდა იმათთან. ნემრე უთხრა რო: აბაო, ვინცაო ქვას წყალს ვერ გაადენსო, იმან აიკიღოს კაცი და გაიყვანოს წყალში(ო). იმ ანხანავ ქვაა მიწვა, თითონ კვერცხი უჭირამ და ქვათ ატყუებს იმას! იმან ქვას წყალი ვერ გაადინა, ნაცარ-ქექიამ კვერცხს წყალი გაადინა... იმათ ეუბნებათ, ძმებს ეუბნებათ, ის დევი: „ეს ისეთი ღონიერი მოიყვანეო (მე), რომ ქვას წყალი გაადინაო!“.

ერთი ღორი ჰყავ გარეული, გადაკიდებული იმ ცხრა ძნათ და ვერ მოკლეს, ძრიან ეშინიათ იმათ! წაეიდინენ ცხრანი ერთ მხარეს, და ის ნაცარქექია მარტოკა ცალ ხარეზე წაეიდა, საითაა ღორია!.. წაეიდა ის ღორი ტყვილით, რო უნდა ეწვის ქნევით მოკლას ნაცარქექია და შაეინოს. იმის ტყვილმა ნაცარქექია ერთ წიუელზე შეავლო. ექმ კაცს ეცაღა ფერი, რო ი ღორი შეახტა და კბილით დეგვიდა. ჩანოიდა ნაცარქექია მემრე და ბანჯღლით მოკლა ღორი.

ჩამავლო ძირსა და დაუძახათ იმათ; რო ნოიდინენ, მემრე უთხრა: „ემას კაცები ხართო, ეს ვერ მოკალითო?! ერთი სილა ვყარიო და სადა სწყვიტაო, მემრე შივამველე ხააჯალიო და შოეკალიო!“ — იმათ ატყუებთ, ამხანაგებთ!.. ატყუებთ იმათ და მემრე უთხრა: „ე ღორიო ცხრათ ვაგპრითო თუ ათათათო, რო წავიღოთ ბინაშიო? აიკიდეთ და წაიდეთ! მე დაღლილი ვარო, ათორე ნე წაეიდებლიო! თუ არ შეგრცხეებთო, მე წაეიდებო!“ აკოდა ერთს და წაიდებია.

მიიტანეს შინ; ლამაზათ პური აქამეს ნაცარქექია... მემრე უთხრა იმათ: „შინ უნდა წაეადუო!“... მემრე წაეიდა და ხემწოდეს უთხრა: „დეგება ჯყარი გპირო, რას მომცემო, რომ ისინი ვადავაბა და მოკალალო(ო), რას მომცემ საჩქრაათო.“ ხემწოდენ უთხრა: „თუ იმათ ნომიღალამო, იმოდენა ფულ მოგცემ,

<sup>1</sup>) მოგვაცეს ეს ხეღარი იმ წმინდა ენათმეცნიერული ინტერესის გამო, რომელიც მას აქვს: ვერავითარ სხვა მოთხოვნიღებას მას ვერ წაუყვებთ... ა. ჩ.



რომ სიკვდილამღი გეყოსო!“ უთხრა ხელმწიფეს: „შენ ისეთი თოკი მომეცო, რომ ცხრანივე ერთ თოკში გადავაბაო!“ შემრე მივიდა დღევითან და უთხრა „დადექითო და ერთი თოკით ხელები უკან შაიკარითო, უნდა წაგასხაყო ხელმწიფეთეჟან(ა)ო!“ წააკვრეინა ხელები, მიატყუა და მუშლალა ხელმწიფეს. აჩუქა ხელმწიფემ ბევრი ფული, წამოიდა ნაცირქეჩია, მოიდა შინ და იცხოვრა თავითინ! იშოვნა თავი ტყუილობით სარდო!

გათავდა!

შაქრო მექვეერიშვილი, შპ-დღე წლისა.  
სოფ. ანთოკი.

მ. \* \* \*

იყო და არა იყო რა! ღუთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო ერთი ხემწიფე, იმათ შვილი არაადეჟანდათ! გაგზავნეს აქეთ-იქით ეზირ-ვეზირი—ესე რა სალდაათენი, რა! დაახდდათ ერთი საწყალი კაცი. მემრე იმ კაცმა ჰკითხა იმ ეზირ-ვეზირებს: „საით მიხედათ, როგორ არი თქვენში საქმე?“ იმათ სიტყვა არ გამოუჩინეს, იმ ეზირ-ვეზირებსა. შინკე გაიგო იმ საწყალმა კაცმა, რიათენაც იყვნენ გაგზავნილები: „თქვენათ შვილოსნობი წაშლიათენინა ბარო წამოსულაო, ერთი ვაშლი დვა არხი პირზე; ერთი წითელი ვაშლი აბიაო, ერთი თეთრი; თეთრს შეკაშს, თეთრი შვილი გაუჩნდებაო, წითელს შეტანს, წითელი შვილი გაუჩნდებაო“.

შემრე გაქანდა ერთი ცეტი<sup>2</sup> ვეზირი, მიწყვიტა, თეთრი ხელში დაიჭირა, წითელი წყალმა წაიღო. მოუტანა ხელმწიფეს ეს თეთრი ვაშლი; გასჭრეს(!) შუაზე; შაქამეს ცოლ-ქმართ. ნერე გაუჩნდათ თეთრი შვილი; დაუძახეს სახელი დოატოლი. მერე ის წითელი ვაშლი ერთმა მეწისქვილი ცოლმა შაქამა. ისინი უშვილოები იყვნენ. გაჭრეს(!) შუაზე, შეტამეს; ეყოლათ წითელი შვილი; დაუძახეს სახელი ქოროლლა.

ვისაც წლით ენატებოდა, იმათ დლით ენატებოდათ, იმ ბიჭებს ხემწიფე წავიდა სანადიროთ; დაინახა ის წითელი შვილი; იმ მეწისქვილეს უთხრა: „შენ ვინ მოკცა ეგ წითელი შვილი, შენ უშვილო იყავო“. წაართო და წამოიყვანა შინ, სახლში.

იმ ბიჭებსა გავიდენ კალოზე; ნარდი-კოჭობას თამაშობენ,—იი, პურთაობა რო იციან ბავშვებმა!—ერთა ბებერმა<sup>3</sup> ამოიარა, წყალზე მიდიოდა; უთარა დოატოლიმ რომა, ჭოროლით, კენკ ვესერი, კოკაა გაუტეხამო,—ერთი ფოთოლი გათავდა! ე! შე თხერო წაელაო!—იმ ძმამ უთარა, ქოროლიმ, არაო დაგწყყეღლისო, ცოდენი ვართო!“ არ დაიშალა, ესროლა კენკი და კოკა გაუტეხა; იმ ბებერმა უთხრა: „დაგწყყელო, როგორ არ დაგწყყელოო, შენამც ჩაგვარდნია ცხრა მთას უკან ცხრა დევი რო არის, იმათი დის სიყვარულიო.“

<sup>1</sup>) მომხრობის მტრად ვჭარებოდა და ცდილობდა მალე გავთავებინა; ლოლაკური ნახტომები გადმონაცემში ამით იხსნება.

<sup>2</sup>) „ცეტი-შაქალი“.

<sup>3</sup>) ბებერი—ფედაბერი.

<sup>4</sup>) ეს ლირიკული წიადსვლა ჩაწერას შეეება.



ის ბიჭი იქვე გახდა ავით და ნასლინკით მაიტანეს შინ. ნოლალეს დო-ტურები და ვერ მაარჩინეს ის ბიჭი. ისევ იმ ბებერმა იკისრა მორჩენა იმ ბიჭი-სა. უთხრა იმ ბებერმა, რომაო ერთი ქილა ერბო მომიტანეთო, ერთი თეთრი პურიო! ერთი ხელადა ღვინოო.“ პური გატეხა: „პურო, თეთრი ხარ, თეთრი ხარ, მაგრამ ცხრა მთას უკან რომ ცხრა დღეის და არიო, იმითანა არა ხარო“. მემრე ამააწო ერბოს პური და თქო: „ერბო! ყვითელი ხარ, ყვითელი ხარ, მაგ-რამ ცხრა მთას უკან ცხრა დღეის და რომ არის, იმითანა ვერა ხარო!“ ახლა ღვინო დაასხა: „ღვინოო! წითელი ხარ, წითელი ხარ, მაგრამ ცხრა მთას უკან ცხრა დღეი და (რომ) არის, იმითანა მაინც ვერა ხარო!“ მემრე ის ბიჭი ვახდა კარგათ, წინეთ რო იყო, ისე ვახდა საღლამათი, —კარგათ რა! ქოროლლიმ უთხრა მამას: „მამო! ისეთი შვილდ-ისარი უნდა ვამიკეთოო, შე ვერ გაეტეხოო, ვერ მოე-ხაროო!“ მემრე წავიდა, გააკეთებინა მამამ ორმოცდაათფუთიანი შვილდისარი მოიტანა, ნოაწია და ცოტათ მოჰხარა. უთხრა რომა: „ეს გატყუდება მალეო.“ წავიდა მამა და გააკეთებინა ოთხმოცდაათფუთიანი შვილდ-ისარი... — „მას არა უშავ რაო!“ ჩემემშვიდობნენ დედ-მამას. გსახ გაუღღვენა, —თავის ძმეპი, რა:—ქო-როლლი და დოატოლლი.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, იმოცენეს იმ დღეის სახლი. ქალმა დაუძახა: „სამტროთ მოადინარო თუ სამოყუროთაო?“ — „სამტრო რა გვაჭ, სამოყუროთ მოვდივართო!“ მივიდნენ და იმ ქალმა დაარბა (ერთი თმა ამაირო და ბელში მიაცა ქოროლლის!): „ჩემი ძნები მივღენო. სანთლი ცულ მოცტემენ, რკინი კუნძ მოვიკდებნო; პური წყლი ქვაბს მოცტემენ, ხეზე ავაგზაინიანო! ეს თმა დაადე იმ რკინი კუნძსაო და უთხარო: „გასკდი, თორო დაგკრამო! ოთხად ვასკდებო...“ ერთი პური წყლი ქვაბს (დაგადგმენ) თავზე (წყლით საცეს) და ხეზე ავაგზა-ინიან: თუ ერთი წვეთი ჩამოგვარდა, შავქამენ ჩემი ძმეპიო!“ მოიდნენ დევები. სანთლი ცული მისცეს და რკინის კუნძი მოუგდეს; დაჟღო თმა, დაუქნია ცული და უთხრა: „გასკდი, თორემ დაგკრამო.“ — ის რკინა ოთხით ვასკდა. მერე ავ-ზავნეს ხეზე; დაადგეს პური წყლის ქვაბი წყლით სამსე. ავიდა ხეზე; დაინახა დედ-მამის სამძანებელი, შავი აქ ჩამოფარებული; ცრემლი ჩამოფარდა, რა და-ინახა თავი დედ-მამის სამძანებელი. დევებმა უთხრეს, რომა წვეთი ჩამოფარდაო და უნდა შეეჭამოთო. მაიყვანეს მეტრებლე და გავინჯეს. ცრემლი იყო. ჩამო-იდა ის ბიჭი, დანიშნა ის ქალი — დოატოლლიმ. ვათენდა მეორე დილა; სან-დიროთ წავიდნენ და ქალს უთხრეს: „ყველა ოთახებში შახედე ის შენი ქმარო და იმ ოთახში არ შახედოო, საცა ის დევით დამბული ჯაჭვითა“. — დევი იყო რა ვადაკიდებული იმ ქალზე; უნდა მეეტაცნა! — ყველა ოთახებში შახედეს; — „ამ ოთახში არ იქნება შახედეო!“ ბიჭმა არ დაუჯერა. შახედეს იმ ოთახში, რომელშიაც დევი ება. უთხრა იმ დევმა: „წყალი შამამიტანეო!“ შუტანა წყლიო, და დალია და დაისუნთქა, და ის ბიჭი კოჭებში გაიქცედა. აწყვიტა ჯაჭვი და წაიყვანა ი ქალი იმ დევნა.

ძამ ქოროლლიმ გაიგო ტყეშია, სანადიროდ რომ იყენენ, რომ რაცლა ამბავი ნოახდა ჩვენს სახლშიო. მოიდა ის ბიჭი, დაიარა სახლი და თვისი ძმა დაინახა, რა მალეა კოჭებშია გაქედლი! ჩამაიყვანა თავი ძმა, და მერე მოიდენ



ის დევები, არიან დაღონებულები! გათენდა მეორე დილა და უთხრა, ქოროლიმ, რომო ეს ჩემი ძმა შანიანებით! ცხრა თვე, ცხრა კვირა, ცხრა დღე, ცხრა ნიშთი და ცხრა საათი მანიცადეთო! თუ არ შიიდე ამ ხანშია, ჩემი ძმა შაქამეთო!"

გააწია, განაემშვიდობა და წავიდა ის ბიჭი. გააწია, იარა, იარა და ნახა, რომ ერთი კაცი ხნამს და რანდენი ბელტიკ გადაბრუნდება, სულ ცლაბამს. „ბიჭო, ე რასა შერებო?" — „ქოროლიმო სანთლი ცულით რკინი კუნძი დახეთქაო!" უთხრა რომო „მეც შენი ძმა უნა ვიყო!" გ'ხაზე წავიდნენ ისეც ისე თავი რძლი მოსანახათ.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ნახეს ერთი კაცი წყალს დააწაუვებია, არხს: „ყლაბი ხარ, ყლუბი არა ხარო და ყლუბი ხარ, ყლაბი არა ხარო!" მერე ქოროლიმ უთხრა: „რას შერებო, კაცო? მაგოდენა წყალი როგო უნა დაალიო?" იმან უთხრა: „ეს რა არიო? ქოროლიმო სანთლი ცულით რკინის კუნძი დახეთქაო!" — „ნე ვარ ის ქოროლიო!" — „მეც შენი ძმა უნა ვიყო!" — სამნი გახდნენ.

წავიდნენ. ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ნახეს ერთ კაცს წისქვილი ქვე-ბი შუბამ და კურდღლებსა იწერდა. ქოროლიმ უთხრა: „ეს რას შერებო?" იმან უთხრა: „ეს რა არიო, ქოროლიმო სანთლი ცულით რკინის კუნძი დახეთქაო!" — „მე ვარ ის ქოროლიო!" — „მეც შენი ძმა უნა ვიყო!" — ადგნენ და წავიდნენ, — ოთხნი გახდნენ, — გ'ხაზე. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ნახეს ერთ ტერტერას საყდარი წამოუკიდნია, საცა გორა მაეწონება, გაიტანს და ლოცულობს. ქოროლიმ უთხრა: „ეს რას შერებო?" — „ეს რა არიო! ქოროლიმო სანთლი ცულით რკინი კუნძი დახეთქაო!" — „მე ვარ ის ქოროლიო!" — „მეც შენი ძმა უნა ვიყო!" — გააწიეს და წავიდნენ გ'ხაზე. — „სად იწაყლე, ბიჭო?" —

მერე ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ნახეს ერთ კომპში ბოლი ამოღის; ძალიან მშიერები არიან, ერთი ერევი მოკლეს, ჩაყარეს ქვაბში, ხარშამენ... ბელტიყლაბია დაუყენეს, თვითონ სანადიროთ წავიდნენ. ქოროლიმ დაარივა ბელტიყლაბია, რო აქედანო დევი ამოაო; რამდენიც ვითხრას, ჩამოყარეო (ხორცი), იმდენი ჭაფი ჩაასხიო. ამოიდა დევი, უთხრა: „ჩამოყარეო, თორე ანოალ და შენც შეგკამო და მაგასაცაო!" აილო და ჩაასხა ხორცი წენიანათ. ცარიელი ქვაბი დადგა. მოიდნენ ქოროლი თავის ამხანაგებით, მოიტანეს ირემი, ჩაყარეს ქვაბში; ყლაბი ხარ ყლუბი არა ხარ დაუყენეს; მზარეულათ დააყენა ქოროლიმ! წავიდნენ ისეც ისე სანადიროთ; ის ბელტიყლაბია გაიყოლიეს თან. ...მერე ინასაც უთხრა, რომო, რო ამოიდეს დევიო, ჭაფი ჩაასხი პირშიო! ამოიდა დევი, დაუძახა: „ჩამოყარეო თორეო, ამოივალ, შენც შეგკამო და მაგასაცაო!" ადგა, აილო და ჩაუხსა ხორციანათ. — მოიდნენ საღამოთი, ქვაბი ცარიელი დაახვდათ. ჩაყარეს ახალი ირემი და დაუყენა ქვებ რომ დაარბეინება და კურდღლებ რომ იჭერდა ის! იმანაც შადგა ქვაბი და ხარშამს. ისინიც სანადიროთ წავიდნენ. ამოიდა დევი, დაუძახა: „ჩამოყარეო თორე შენც შეგკამო და მაგასაცაო!" აილო და ჩაასხა იმანაც... მათანეს ახალი ირემი, ტერტერა დაუყენა და უთხრა, რომე, რო ამოიდესო. ჭაფი ჩაასხი ხოლმეო! ისინი სანადიროთ წავიდნენ ისეც ისე.

1) უამაწრის რეპლიკაა ზღაპრის მომთხრობის მხარათ.





ტერტერა უდგა ქვაბს. ამოიდა დევი და უთხრა რო: „ჩანოყარეო, თორო შენც შეგკამო და იმასაკო.“ აილო და ჩაასხა იმანაც.

მოიდნენ, ჩაკუწეს ირემი, დაუდგა ქოროლი და გაგზავნა სანადიროთ. მოსაქაფი რო გახდა და ამოიდა დევი, უთხრა რომო „აილე, პატარა ბიჭო, და ჩამასხიო! თორე ამოალო, შენც შეგკამო და მავასაკო!“ აილო მოქაფე და ქაფი ჩაასხა; კიდევ უთხრა: „ჩამასხი, თორემ ამოვალ, შენც შეგკამ და მავასაკო!“ კიდევ მოქაფა და ჩაასხა. წამოიდა ი დევი მალა და რო უნა ის ბიჭიცა და ის ხორციც შაქამოს!.. ამოიდა; რო განახევრდა სასარტყლემდი, ესროლა შვილდისარი, აკუწა და ჩაყარა ისევ კოშკში.

შემრე ქალ გაუხარდა, რომ ზემი ნაზლი ნოსულაო... მოადნენ ცარიელეპი და ჰანეს ირემი ყველაყამ! გათენდა ზეორე დილა და ჩაჰკიდა ქოროლიმი ბელტიყლაპია კოშკში: ცეცხლის ალი ამოდიოდა! ბელტიყლაპიამ დაიყვირა დავიწვიო და ამაიყვანა ისევ-ისე. ახლა ჩაჰკიდა ყლაპი ხარ ყლუჟა არა ხარ... უთხრა იმანაც, დავიწვიო და ამაიყვანა ისევ ისე. შემრე წისკვილი ქვეტს რო დაარბენებდა, ახლა ის ჩაჰკიდა. იმანაც უთხრა, დავიწვიო; ამაიყვანა ისევ ისე. ახლა ტერტერა ჩაჰკიდა; იმანაც უთხრა, დავიწვიო, ამაიყვანა ისევ ისე. თითონ ჩეკიდა, იმათ უთხრა რომე: „რამთენი დავიძასო დავიწვი, იმთენი ძირ ჩამიშუითი!“... ჩავიდა მემრე რძალთანა. მერე ქალს უთხრა, რომ შენ წინ შეგებო, მე უკან შეგეშებო!“ იმ ქალმა უთხრა: „არაო, ვილადატებნო, შენ წინ შეგებო, მე უკან შეგეშებო.“ ბიჭმა დაძალა და უკან შეება. ნემრე აიყვანეს ქალი, ჩააქრეს თოკი და ჩაყარდა ბიჭი ისევ ისე. იმ ქალმა უთხრა: „ერთი-ორი სიტყვა მათქმევინეთო და მერე საცა გინდა წამიყვანეთო!“ მიბრუნდა და უთხრა ქოროლის: „ხომ გითხარ, რომა ვილადატებნო! ჯერ ერთი ესო და მერე ისო, რომ სანი თხა გამაირბენსო: ერთი შავიო, ერთი თეთრიო და ერთი წითელიო. წითელ გადაალაჯებ, მალა დედამიწის ზურგზე ამაგიყვანსო, შავზე გადაალაჯებ გვერდ-გვერდ წაგიყვანსო მიწაში. თეთრ გადააჯღებო, კიდევ ქვეშენელს გაგივანსო.“ იარა-იარა, ვერ დაიჭირა ის წითელი თხა, ვილადაჯა თეთრ თხას და ქვეშენელს გაიყვანა.

წყლი ძვირობა იყო. ერთი ბებერი ეარცლში ჩათსნას აპირობდა და პურის მოხელას. ბებერს უთხრა, რომო საწყლე არა გაქო? ერთი ნიტრა ნისცა. „სხვა არა გაქ რაო?“ „არაო, მიწაშიაო, ქვევრის ჭურჭლები მიყრიო!“ ამაძრო ორი ქვევრი და წაილო წყალზე. მიიტანა; მიიტანა პური, ნოარეცხინა ეარცლი, გამაცხეს პური და ჰამეს. იმ ბებერსა ჰკითხა, რომა აქ ისეთი არავინ არიო, რომ დედამიწის ზურგზე ამომიყვანოსო. იმან უთხრა რიწაო, ეკეთი არეინ არიო. ხეალ ხელმწიფემ ქალი უნა მიიყვანოსო, გველუშაპა უნა შაქამოსო და ყველაყამ თითო კოკა წყალი უნა ავანსოთო! თუ ვიშოვნის, ის ვიშოვნის ვისმე, სხვა ვერავინ ვერ ავიყვანსო.

წავიდა, დანახა, რო ლინეკით მოაკავთ ხელმწიფის ქალი; მავიდა უთხრა: „შენ კალთაზე დავიძინებო, რო წამოიდესო, შევიდან გველუშაპაო, სამი სიტყვა მითხარაო; თუ გავიგონე, გავიღვიძებ, აუ არა და სამი ისეთი სილა გამარტყვი, სამი პირი ტყავი გამძვრესო!“





სამი სიტყვა ღახრა, ვერ ვაივონა; შერე ერთი სილი ვაარტყა, ვაიღვინა ქოროღლინ! ესროლა ისარი, მოკლა გველაშაპი, შენები დაყენა ღეშისა! წაიღა ის ბიჭი, გაიხადა ტანისამოსი, ძველი ტანისამოსი ჩაიცვა, ჩაჯდა თონგში და ნაცარსააქექებს. იმ ქალმა უთხრა ნამას...—ნამამ უთხრა: „შვილო! ხალხი უნა შეგეარო, რომელმაც ნაკლა ის, ხელი დაადგეო!“ —შაყარეს ხალხი, არავინ არ იყო, ვერ იპოვნა... აფარ-ჩაფარა იმ ქალმა, ვერავინ ვერ ნახა... ბოლოს უთხრა „ალარავინ არიო, ერთი ბიჭი არიო, ნაცარსააქექებსო.“

„ნოიყვანეო!“—უთხრა მამან. იმ ბიჭსა კურდღელი ჰყავ. მივა ი ქალი, უნა ჩაუჯდეს კალთაშია, გამააქყატამს კურდღელი, გაქანდება ი ქალი... ქალმა უთხრა მამას: „ეს არიო, ნავრამ რაღაცა ჰყავ და მანიგებსო!“ უთხრა მამამ: „დაბუჟე თვალებით და ჩაუჯექ კალთაშიო!“ „არაო“,—უთხრა ქოროღლინ, —„შენ დაო და მე ძმაო! ცოლ-ქმრობა არ იქნებაო!“ —„აბა რა გინდაო“, ჰკითხა ხელმწიფენ. „მე არაფერი არ მინდა, დედამიწაზე ამიყვანეო.“ უთხრა, იმ ხემწიფენ: „მე ვერ ავიყვანო, აი ერთი ფაშკუნძი<sup>1)</sup> არის, იმასა არწივი უჭამს შვილებსაო; იმას თუ მოუკლან, ავიყვანს დედამიწის ზურგზედაო, თუ არადა, არაო!... მაღლიდამ არწივი მოდის, ფაშკუნძი საქმელზეა წასული: უნა შვილები დაუკლავოს. დაუჭირა შვილდ-ისარი და მოკლა არწივი. ფაშკუნძი მოიდა და... ბუდეა გვეშა სძინან იმ ბიჭს. ზერე უნა შეეკლამან ი ბიჭი ფაშკუნძს, ნავრამ შვილებმა უთხრეს: „არა, არაო, არწივისაგან მაგან გადაგვარჩომასო!“ დაუქნია ფრთები და ჩირდილო დააყენა იმ ფაშკუნძმა. შერე გემეღვინა იმ ბიჭსა. „რა გინდაო?“—ჰკითხა ბიჭსა. „შენი არაფერი მინდაო, მალლა დედამიწის ზურგზე ამიყვანეო!“ —„წადიო, ხემწიფესაო ცხრა საბანე ღვინო გამაართვიო, ცხრა კამეჩიო, ცხრა საცალო პუროო, მაიჭანე, დამაწყე ზურგზედა და ზედ დაჯგნო. რანთენიკ ფთა დავიქნიოო, იმთენი კანეჩი ჩამიგდეო, იმთენი საცალო პური ჩამაყარეო, იმთენი საბანე ღვინო ჩამასხიო“.

ღედანიწი ზურგ რო მიატანა, ხორცი დააქლდა, ხორცი განაიჭრა და ჩაუჯდო. ააყვანა მალლა დედამიწი ზურგზე და უთხრა. „გაიარეო!“ გაიარა და ჩაიკოჭლა. ამაძირო ერთი ბუნძული და უთხრა: „მისევ-მოსივო და მოგირჩებაო!“ შემრე უთხრა: „წადიო და ბეს მეექიდეო, მოახეთე ბელებითო, რომ ჩემმა ქარმა ისევ უკან არ გადაგიტანოსო; მე უნა წავიდეო!“ წავიდა ისა, და ქოროღლი წაპოიდა აქეთ. პატარა ბიჭები მღერინან გზაზე, გაივონა:

„ჰალალ მე, დალალ მე!

ხვენ ტერტერა ქორწილი აქო!“

ტერტერამ უნა ჯვარი დაიწეროს. იმან უთხრა: „რას ამბობთ, ქაჯანო!“ — „რა ვი მიაო, ერთმა ტერტერამ ჯვარი უნა დაიწეროსო“.

წავიდა ქოროღლი, მივიდა იმ, საცა ჯვარს იწერამდენ. პური ქამაზე სხედან. მივიდა და უთხრა: „ცოტა პური მამეციოთო, ღვინო მანეციოთო, რო დავლოკო ნეფე-დედოფალიო!“.

რო ქამა პური, დაიძახა: „ფურსაო თუ ხარსაო?“ ქალმა დაიძახა: „ფურსი რა ბრალია, ხარსაო!“ —დაუჭარა შვილდ-ისარი და მოკლა ტერტერა, გამაიყვანა ქალი.

<sup>1)</sup> „ფასკუნძი—ფრინველია“.





ცხრა თვეც გავიდა, ცხრა დღეც, ცხრა საათიც, ცხრა ნიმუტი-ლა! დანებს ლესამენ დევები: უნა დაკლან ის ბიჭი, დოატოლი და შექამონ. ვაისროლა ქოროლიმ შვილდისარი, და ხედ იმათ რკინის კალოზე დაჯდა ისარი. ნაიცადეს იმათ, არ დაკლეს ის ბიჭი, არ შექამეს.

შიყყანა ქოროლიმი ქალი, ვადაიხადეს ქორწილი და ქალი დოატოლის ღარჩა. გათივდა.

შაქრო ნარეკლიშვილი, 21 წლისა, სოფ. ანთოკი.

ARNOLD TSCHIKOBAWA.

## Gare-Kachetien in dialektologischer Hinsicht.

(Grundthesen und Schlüsse).

I. Die Systematik der dialektischen Eigentümlichkeiten bildet die erste Stufe in der Forschung jeder beliebigen Mundart und sie ist entweder den grammatischen Kategorien nach denen die betreffenden Eigentümlichkeiten angehören oder auf Grund von Vorgängen, deren Ergebnisse sie bilden, durchzuführen.

Der Hauptvorzug der zweiten Art, nebst anderen, besteht darin, dass mit der Klassifikation der Eigentümlichkeiten auch ihre Erklärung, resp. genetische Beschreibung gegeben ist.

II. Das Verteilen der systematisierten Eigentümlichkeiten in Neologisme und Archaisme stellt die zweite und viel bedeutendere Stufe dar; es ermöglicht die gewonnenen Ergebnisse für die Erklärung der Tatsachen der betreffenden Sprachgeschichte zu verwerten.

Im allgemeinen waren wir leider gezwungen auf die Durchführung dieser These zu verzichten und nur ausnahmsweise konnten wir einiges dazu beitragen.

III. In der Fülle der Eigentümlichkeiten, die die Gare-Kachetische Mundart so reichhaltig im Gebiet des Laut-Wandels und -Wechsels, der Analogiebildung, der Morphologie und der Syntax kennzeichnen, wird man Folgendes als das Hauptsächlichste anerkennen:

a. Im Gebiet des Lautwandels: 1. die mit **w** (georg. **ვ**) in Verbindung stehenden Wandlungen: **wa** > **o**; **oa** > **ua**; **owe** > **oe** > **ue**; **aw** > **am** und insbesondere die mit ausführlicher Gesetzmässigkeit durchgeführte: **owi** > **oi**; 2. die Abschwächung des **S**-Lautes sowohl in der Wurzel, als auch in morphologischen Elementen; sie kommt in zwei Abstufungen vor: 1. statt **s—j** (georg. **ს**); 2. statt **S—0** (Null). Dieser Vorgang findet noch in der Gegenwart statt.

b. Im Gebiet der Morphologie und der Syntax: 1. den Gebrauch des **j**, (georg. **ე**), als Subjektpräfix der 2. und Objektpräfix der 3. Person, wenn das Objekt mittels Dativ wiedergegeben ist; 2. den Gebrauch der Partikeln **-qe** || **-ke**, um durch den Dativ Plurals (üblicher) oder durch den Nominativ Plurals (seltener) wiedergegebene grammatische Objekte zu bezeichnen; 3. die Verwendung statt **-qe** || **-ke** des Subjektsuffix der 1. und 2. Person Plurals **th** (georg. **თ**), (obwohl sie selten vorkommt).

IV. Von besonderer Wichtigkeit zur Frage der Stellung der Gare-Kachetischen Mundart unter anderen ost-georgischen ist: 1. Die Abschwächung des **S**-Lautes; 2. die Wandlung **owi** > **oi** und 3. der Gebrauch von **-qe** || **-ke**.



სინონ ყაუხჩიშვილი.

## ბერძნული მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში

(წინასწარი მოხსენება) <sup>1</sup>.

### I

ბერძნული მამაკაცთა სახელები გადმოცემულია ქართულში სხვადასხვანაირად: აქ შეიძლება აღინიშნოს ორი მთავარი სახი:

1) ბერძნული სახელები <sup>2</sup> გადმოცემულია იმ სახით, რომ სიტყვის ძირად მიღებულია ბერძნულის ნომინატივის ფორმა:

ანთიმონ-	ირადოტოს-	პოპლიოს-
ანტონინოს-	კლემენტოს-	რომანოზ-
ამოლინარიოს-	კორნელიოს-	სილვესტროს-
არისტარხოს-	ნელასიპოს-	სპეგსიმოს-
ენვას- (ენიას-)	ნიკოდემოს-	სტეფანოზ-
ირაკლიტოს-	პლუტარხოს-	და შრავალი სხვა.

ანდა:

2) გადმოცემულია ისე, რომ სრულებით არ არის მიღებული მხედველობაში ბერძნული ნომინატივის ფორმა და სიტყვის ძირად გვაქვს ფორმები:

ანტონინე-	ამოლინარი-	ანდრია-
ნელასინე-	გიორგი-	ენვა-
კლემენტე-	გრიგოლი-	თომა-
სტეფანე-	კორნელი-	ლუკა-
სპეგსიპე-	მაკარი-	პითალორა-
ტიტე-	პლინი-	და შრავალი სხვა.

<sup>1</sup> წაითხულ იქნა „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების“ საჯარო სხდომაზე 1925 წ. აპრილის 7-ს.

<sup>2</sup> ქართული საკუთარი სახელები, საზოგადოდ, სრულებით არ არის შესწავლილი. თუ კი სადღე მოიპოვება შენიშვნები ქართული ონომასტიკის შესახებ, ისინი შედარებითი მასიანისაა. ასეთია, მაგ., ნ. მარის შენიშვნები ლევან მსერიაძის საღვთისმეტყველო შრომაზე დაწერილ რეცენზიაში (ТР, კვ. V, Критика и мелкие статьи, გვ. 23-24) და ივ. ჯავახიშვილისა „ქართველ ერის ისტორიის“ I წიგნში (ტფილისი, 1918) გვ. 12-13, ორივე შენიშვნა ეხება ონზე დაბოლოებულ პირთა სახელებს. ამის გარდა მოიპოვება კიდევ ნ. მარის ორი პატარა შენიშვნა უცხო ენით შეთავსებულ, სახით დაბოლოებულ პირთა სახელების შესახებ „კოლოტიკს“ (ТР, კვ. III გვ. LIII) და „სახისმეტყველის“ (ТР, კვ. V, გვ. 99) წინასიტყვაობებში.

<sup>3</sup> როდესაც ჩვენ ვეხებით ბერძნულ მამაკაცთა სახელებს, ჩვენ მხედველობაში გვაქვს, გარდა საკუთრივ ბერძნული სახელებისა, აგრეთვე ბერძნულის საშუალებით ქართულში გადმოცემული რომელიმე სახელებიც. ასეთია მაგალითად, სახელები Cornelius, Honorius, Maximus, Tiberius და სხვანი, ვერ-ვერობით ზეგნ არა გვაქვს საბუთი ვიღაცერთი, თითქმის რომელიმე სახელები უმუხლოდ იყო შეთავსებული ქართულში და არა ბერძნულის საშუალებით.





ცხადია, თუ ერთი და იგივე საკუთარი სახელი *Ἀπαγγελίας* გადმოცემულია ერთს შემთხვევაში აპოლინარიოსს, მეორეში კი აპოლინარი, *Ἀπαγγελίας*—სტეფანოს და სტეფანე, *Ἀπαγγελίας*—ენიას და ენეა და სხვ.,—ცხადია აქ ჩვენ საქმე უნდა გვექონდეს ორ სხვადასხვა ნაკადთან<sup>1</sup>.

ერთი ნაკადი, როდესაც ბერძნული სახელების გადმოცემის დროს სიტყვის ძირად მიღებულია ნომინატივის ფორმა, მომდინარეობს წმინდა ლიტერატურული გზით, როდესაც ქართველი მთარგმნელი დედნის უაღრესი გავლენის ქვეშ იმყოფება.

თარგმნის დროს ისე ძლიერია დედნის გავლენა, რომ შესაძლებელია ერთი და იგივე სახელი—ან სიტყვა—სხვადასხვა ძირეული პოლოკიდურით მოგვევლინოს, იმისდა მიხედვით, თუ რა ფორმა წარმოადგენდა მთარგმნელისათვის განოსავალ წერტილს. ნაკადითად:

ნ.ე. 30,10 „ხოლო ბერისიპპოს იტყუს“

არ.მ. 42,36 „მაშინ ვარქოჲ სელეკკოსს“.

ნაგრამ

ნ.ე. 28,10 „ენაათვან კლეანთოას სტოელისა და ხურისიპოასნი მოქლებიან სიტყუანი“...

არ.მ. 33,19 „უკუდით რაჲ სახლსა შინა ჩემსა ხელეცკოასს... თანი“.

პირველ შემთხვევაში მთარგმნელისათვის სახელმწიფანდლო ფორმები იყო *Ἀποστολῆς* და *Ἀγγελίας*, ხოლო მეორეში—*Ἀποστολῆς* და *Ἀγγελίας*, პირველ შემთხვევაში პოლოკიდურად ისმოდა **ოს**, მეორეში—**ო** (მიახლოვებით)<sup>2</sup>.

მეორენაირი ფორმები—არა ნომინატიური—წარმოშობილი უნდა იყოს პირადი ურთიერთობის ნიადაგზე, არა ნწივრბრუნის გზით, არამედ ზეპირად, ბერძნებთან პირადი ურთიერთობის დროს. მთელი სიმწიფე მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ამ მეორე გზით შენოსული ფორმებიც სხვადასხვანაირი დაბოლოვებით არის გადმოცემული. ძირის დაბოლოების სხივით ჩვენ გვსულიანება **ე ი ა უ** და თანხმოვნები<sup>3</sup>.

<sup>1</sup>) სომხური ენა ამ შემთხვევაში აღმოჩნდა მხოლოდ ერთ გზას. იქ ბერძნული ე-ანი სახელები ხსნიდენ არის გადმოცემული: პოლოს, პეტროს, როუჭაშნეც, ლუკას და სხვა.

<sup>2</sup>) შესაძლებელია იმავე მიზეზით აიხსნებოდეს საკუთარ სახელთა შემდეგი აფრატიური ფორმები: თეოდოსიოს, მაპიოც, ალექსიოს, აგათანოცოც, კთრნელეონ და სხვა (პროფ. კ. კეკელიძე, წართული ლიტერატურის ისტორია I 158—166; მაპიოც „რამდენიმე, ვერ კიდევ გაურკვეველი ტერმინი ჩვენი საისტორიო მწერლობა“; ტფილისის უნივერსიტეტის მთაბბ. ტ. V გვ. 305).

<sup>3</sup>) რასაკვირველია შევძლებულია აქ შევიღო ის მასალის გაუმოკვება, რომელიც ჩვენ ხელთ არის. და თვით ჩვენ მიერ შეკრებილი მასალაც მხოლოდ მცირეოდენი ნაწილია იმისა, რისი ამოკრება შეიძლება და საქიროც არის ამ მოვლენის გასათვალისწინებლად, და ჩვენ იმითმ შევცით ჩვენი დღევანდელ შენიშვნებს წინასწარი მოხსენების სახე, რომ ჯაკაცოთ საზოგადოებას უკურჯრობით შეკრებილი მასალა და ის დასვენე, რომლის გამოტანის საშუალებასაც იძლევა ეს მასალა. ჩვენს შენიშვნებში მოყვანილი მაგალითებისათვის ვასარგებლეთ შემდეგი ძეგლებით:

ბანბ.—*Георгий Мерчул. Жизнь св. Григория Хандатийского* (=ТР кн. XI). Грузинский текст. Введение, издание, перевод Н. Марра СПб, 1911.



ჩვენ რომ მხოლოდ ზოგიერთი სახელები ავიღოთ, შესაძლებელია აღამიან-მა იფიქროს, რომ ქართულად გადმოცემისათვის აღებული იგივე ნომინატივის ფორმა, რაც ჩვენ მწიგნობრულის გზით გადმოცემის დროს შეგვხვდა, და მხოლოდ ნომინატივის ღის მოშორებით არის ძირი სიტყვისა შეთვისებული.

ენეას—ენეა  
ლუკას—ლუკა  
თომას—თომა

მოსეს—მოსე  
ჰეროდეს—ჰეროდე  
იესუს—იესუ

და მრავალი სხვა.

აკად. ნ. მარტი სწორედ ასე ჰეიქრობს, ხოლო სანის დაკარგვას ის მიაწერს ან ქართული ენის ბუნებრივ მოთხოვნილებას ამ შემთხვევაში, ან ასურულისა და სომხურის გავლენას.

„სახისნეტყველის“ კომენტარებში (TP კნ. VI გვ. 99) აკად. ნ. მარტი ამბობს: „სანიტ დაბოლოებული სახელები ქართულში ჩეულებრივ ჰკარგავენ ამ ბგერას, რომელიც ქართულში ნათესაობითისა და მიცემითის კონსონანტურ დახასიათებას წარმოადგენს: მაგ., მოსე ნაცვლად მოსეს-ისა, იესუ ნაცვლად იესუს-ისა“, იმავე „სახისნეტყველის“ წინასიტყვაობაში ნ. მარტი საკუთარი სახელების უხანოთ გადმოცემას (იესუ, ქრისტე) ასურულ გავლენას ნიაწერს (Физиолог, გვ. XXX).

სომხურით შეთვისებული სახელების გადმოცემას ასურული ფორმებს გავლენით ხელს უწყობს ნ. მარტის აზრით ისიც, რომ სანის მოცილება ამ შემთხვევებში საჭიროა ქართული ენის ბუნებითაც. „იპოლიტე“-ს წინასიტყვაობაში აკად. ნიკო მარტი ებება ორ საკუთარ სახელს, რომელიც მისი აზრით სომხურით არის შეთვისებული ქართულში: ეს არის სახელები მოსე და ჰეროდე. „Грузинский язык не сохранял согласного s (ს) в исходе именительного падежа заимствованных собственных имен во избежание путаницы в падежах, где s, с тем или другим гласным (is, sa [iz as]), является характером косвенных падежей, откуда *შოქისა*—მოსე, *ღერიქისა*—ჰეროდე и т. п. И это сведение оконча-

აბდულმესიბი | —TP კნ. IV, СПб 1922 (ნ. მარტი გადმოცემა).

აზმ.—ისტორიანი და აზმაწი წარაქანდეთანი (მართამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება გვ. გვ. 302—303. ტ. თავაიშვილის გამოცემა).

არიმ.—Иосиф Арихафский, Сказание о построении первой церкви в городе Лиде (=TP II), Грузинский текст исследовал, издал и перевел Н. Марр, СПб 1900.

ნემ.—ნემესიოს ეპეაელი, ბუნებისათვის კაცისა, ბერძნულითგან გადმოღებული იოვანე ბეტრიქის მიერ. ტფილისი 1914. ს. ვარგაძის გამოცემა.

გ. მონ.—ბროხილარაფი გიორგი ნონაზონისა. ტფილისი 1920. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა.

Iber.—Acta Iberica sanctorum tergeminarum martyrum Speusippi Eleusippi Meleusippi. Explicuit, edidit et rossice vertit N. Marr. (—ЗВО XVII) СПб. 1901.

ბანს.—ბანსეტი ტეპატები, გამოცემული იე. ჯავახიშვილის მიერ (ტფ. უნ. მოამბე ტ. II) და აგრძელებ ჯერ გამოუცემელიც, რომლითაც ესარგებლობდით იე. ჯავახიშვილის ხელნაწერი მასალებით.





ния -*tu* (es) на окончание -*u* (e) происходило тем охотнее, что у есть обычное окончание собственных имен в грузинском" (Ипполит, гл. LIII).

როგორც აქ მოყვანილ შესატყვისობათაგან ნათელია, ქართულად მოსც და ჰეროდს კი არ იქნებოდა, რომ ესენი სომხური იყოს შეთვისებული ქართულში (მეგრამ უსანო), არამედ \* მოვსც და \* ჰეროდს, რადგან ბერძნულას სომხური გადმოგვეცენს *mo-*-ით, ქართული მოსე და ჰეროდე შეთვისებულია უშუალოდ ბერძნულით, სადაც ჩვენ გვაქვს *Μωσῆς* (*Μωυσῆς* და *Μωσαῖς*; პარალელურად)<sup>1</sup> და *Ἡρῴδης*, ქართული ფორმების ბერძნულს სადაურობას ამტკიცებს აგრეთვე ბოლოკიდური -*u*, რაზედაც ჩვენ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.<sup>2</sup>

ამრიგად, აკად. ნიკო მარჩი რანდენჯერძე (Ипполит გვ. LIII; Физикогл. გვ. 99) აღნიშნავს: -*s*-ით დაბოლოვებულ საკუთარ სახელებში ქართული ჰკარავს ბოლოკიდურ -*s*-ს, რადგან ქართულში ხანი გენტივისა და დაცივის დამახასიათებელია და საჭირო იყო განსხვავების დადგენა.

ჩნა, მართალია, მიმართავს ხოლმე ასეთ ხერხს და ხანდახან საჭირო ხდება მისთვის სხედასხვა დიფერენციაციის დადგენაც, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ქართველებს ხანის აღრევის თავიდან ასაცილებლად მოეპოვებოდათ სხვა საშუალება, რომელსაც ისინი მიმართავენ ხოლმე, მაგ., შემდეგ შემთხვევებში: ანგელოზი, (ანგელოსი) ბარბაროსი, დეკანოზი, ეპისკოპოზი, სტეფანოზი, რომანოზი, მოსესი და მრავალი სხვა, რომელთაც ისინი აბრუნებენ ისევე, როგორც ყოველს -*ხო*-ზე დაბოლოვებულ სიტყვას (ტფილისი, რუისი, სასმისი), და არავითარ აღრევასაც არა ჰქონია იდგილი.

ასე რომ უსანო ფორმებს საკუთარი სახელებისაა ჩვენ ვერ ავხსნივთ ხანის დაკარგვით იმ მიზეზების გამო, რომელზედაც აკად. ნ. მარჩი გვითითებს.

მაგრამ, კიდევაც რომ წარმოვიდგინოთ ასეთი გზა საკუთარი სახელების გადმოცემისა, ჩვენ აუსხნელი დავგვიჩება ორი დიდი კატეგორია საკუთარი სახელებისა, რომელთა გადმოცემასაც ჩვენ ვერ ავხსნივთ მხოლოდ ხანის მოშორებით. ჩვენ შედეგობაში გვაქვს ის მამაკაცთა სახელები, რომლებიც ენითა და ინიით არის დაბოლოვებული, როგორც მაგ.:

- 1) პეტრე, პავლე, ქრისტეფორე და მისთანანი ერთიანობით: და
- 2) ამბროსი, გიორგი, გრიგოლი და მისთანანი მეორეს მხრით.

ამ ორი კატეგორიის საკუთარი სახელების განხილვამ ჩვენ იმ დასკვნამდე მოგვიყვანა, რომ ესენი შეთვისებულია ქართულში ბერძნული ფორმების ფორმით.

<sup>1</sup>) შტ. Fr. Blass' Grammatik des neutestamentlichen Griechisch, bearbeiter von Alb. Debrunner S. A. 1921 გვ. 23.

<sup>2</sup>) მოსეს სახელი შეთვისებულია ქართულში სახითაც, ე. ი. მწიგნობრულის გზით შეთვისებული ფორმაც მოიპოვება. იხ. დეკა 2, 22 (და რქს აღმსრულებს დღენი განწმედისა მათისანი შუღლისა მებრ მოაქსისა...<sup>3</sup> ტფ. აახ. უნივე. ხელნაწერი № 844).

<sup>3</sup>) ამ უკუში შედის ის სახელები, რომელთაც ბერძნულში -*es* დაბოლოვება აქვთ. დაიცულია აგრეთვე ზოგიერთი -*u* სახელი, რომელიც ბერძნულში -*is* ბოლოკიდურიანი სახელი არ უდრის, მაგ., მიტროფანე—*Μιτρηφανης*, ნიკანორე *Νικανωρ* (არ იხ. 33) კიდევცის და სიკანორეს თანა) მაგრამ ასეთი ფორმები ანალიტიკით უნდა იყოს განვითარებული.



ვოკატივის ფორმას ხშირად გარდამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონია პირთასახელების ფორმათა წარმოებაში, როგორც სრული ისე მოფერებითი (კინობითი) სახელის წარმოების დროს. H. Zimmer (Keltische Studien. 10. Zur Personennamentildung im Irischen—KZ 32, 158—197) აღნიშნავს სამს საფეხურს: 1) ჩვენ ვაქვს ყველა ბრუნვაში სრული სახელი, ამავე დროს ერთი ფორმა მოფერებითი: ნიშართვისა (eine Form der kosen den Anrede); 2) მოფერებითი ნიშართვის ფორმა გაქვევდება სრული სახელის პარალელურ ფორმად, რომელიც მხოლოდ ნომინატივში იხმარება; და 3) მოფერებითი ნიშართვის გაქვევებული ფორმა იხმარება ყველა ბრუნვაში. და როგორც Felix Solmsen-ის მიერ (Indogermanische Eigennamen als Spiegel der Kulturgeschichte, Heidelberg 1922. Herausgegeben und bearbeitet von Ernst Fraenkel) მოყვანილი მაგალითებით ცხადია, სახელის შენაკლებული ფორმა ჯერ ვოკატივში იხმარებოდა და შემდეგ თანდათან სხვა ბრუნვებშიც (და პირველ რიგში ნომინატივში) იქმნა წარმოებული (გვ. 124). ამის სალკეთესო მაგალითს წარმოადგენს Iupiter.

ასეთივე ხასიათისაა ის მოვლენა, რომ „მამაკაცთა სახელებს (კინობითსა და მოფერებითს), რომლებიც ატიკურში -ჯედით არის დაბოლოებული, ბეოტიის უძველეს წარწერებში ნომინატივში არა აქვთ“ (Zimmer, გვ. 193): აქაც ნიშართვის ფორმა (სადაც არ იყო) ნომინატივად არის გამოყენებული.

ამ მოვლენას ყურადღება მიაქცია აგრეთვე გ. ხაძიდაკიმ. ბერძნულში მოიპოვება ფორმები Ἰουλιός, Πეტρώνιος, Ἀδριανός და სხვ., რომლებიც შეეცვება რომაულ სახელებს: Iulius, Petronius, Aurelius, და სხვათ. და გ. ხაძიდაკი სამართლიანად ხსნის ამ მოვლენას შემდეგნაირად (Zur Geschichte des Mittel- und Neugriechischen: KZ 31, 103—156):

„ბერძნებს ესმოდათ ყველგან, რომ რომაელები ერთმანერთს უწოდებდნენ: Iuli, Gai, Antoni, Aureli, Petroni, Mari etc.; და წოდებითი ბრუნვის ფორმებიდან, რასაკვირველია, მათ არ შეეძლოთ ეწარმოებინათ სხვაგვარი ნომინატივები, თუ არა Ἰουλιός, Πეტρώνιος, Ἀδριανός, Μάρκος etc. ესე იგი სრულიად ისეთივე ნაირად, როგორც [საკუთრივ ბერძნული ფორმების ანალიზით]—Ἀλεξάνδρη—Ἀλεξάνδρης, Ἐπιπλοῦ—Ἐπιπλοῦς ..... ისე, მაგალითად, ჩვენ ვხვდებით vocativus ფორმები Γαῖος Benzeler [Studien III] 154, Σουπράντ: 155, Ἀπολλών, Σουპრ: 172, Ἀχάει, Περώντ, Πάτρι, Ἐμπერάτ, Ἐβέρτ: 174, Κρίτ: 176. .... რომაელებს შეეძლოთ თავიანთი ნომინატივი აგრეთვე ius-ით, თუნდაც განსაკუთრებით ius-ით ეწარმოებინათ, მის შემდეგაც კი, რაც ბერძნები უმთავრესად შემოკლებულ ფორმას ამჯობინებდნენ, და არა -ით; ეს სულერთია ამ ფორმის შემდგომი განვითარებისათვის ბერძნულში, რადგან ეს დაბოლოება -αι -ιαι etc., ისევე როგორც სხვა რამეები, განმტკიცებული იყო ბერძნულში და მოკლოლოგიური უფლება მოპოვებულია ჰქონდათ. და ფორმები ἰ Μάρκος, τόν Μάρκον, τῶν Μάρκων, ὁ Μάρκος etc. ჩვეულებრივი სტენა იყო“ (გვ. 112).

ვოკატივის გავლენა ბერძნულში ისე ფართოდ ხასიათს ღებულობს, რომ ის





არა თუ ნომინატივის საწარმოებლად არის გამოყენებული (ეოკატივი-ნომინატი-ური -s, როგორც ეს ზემოთ მოყვანილ მაგალითებშია), არანედ არის შემსუვ-ვეები, როდესაც ეოკატივის ფორმა იმავე დროს ნომინატიურად არის მოხმარე-ბული. ასეთი შემსუვეები ჩვენ შრავალი გვაქვს ბერძნულ პაპირუსებსა და წარ-წერებში. ამას ცხად ჰყოფს შემდეგი ნომინატივები:

Εἰσαξίς (Εἰσαξίς || \*Εἰσαξίς — Εἰσαξίς) || Εἰσαξίς: {voc. — nom.} BGU (Aegypti-  
sche Urkunden aus den Museen zu Berlin) I 9 (შესამე საუკ.)

Εἰσαξίς ἔν τοις Ἀλμπιο[λίσι] ე. ი. ცხოვრობს.

Καρυξίς (Καρυξίς || Καρυξίς || Καρυξίς) BGU IV 1044,2 (IV საუკ. ქრ. შ.)  
Τοις ἑσπέρσις ἀναξίσις "Αρσὴν Κερσὴ ἔλα... χαί(ρουν).

Μακάρς (Μακάρς || Μακάρς || Μακάρς): Viereck, Ostraka der Universi-  
täts- und Landesbibliothek zu Strassburg (მოგვყავს Preisigkes Na-  
menbuch).

ასევე ბიზანტიურ პაპირუსებშიც, სადაც ჩვენ ვხვდებით -ანი მამაკაც-თასახელები ნომინატიურად გამოყენებული ეოკატივის ფორმით:

Βαρύλαξίς (—Βαρύλαξίς — -ας): Greek Papyri in the British Museum  
IV (1910). 1419,

Ἰουστινός (Ἰουστίνος), იქვე 1432,99.

Μαριανέ (—Μαριανός): LeFebvre, Recueil des inscriptions grecque-chré-  
tiennes d'Egypte. Kairo 1907 (მოგვყავს Preisigkes).

Μάρς (—Μάρς): Crum, Coptic monuments (Kairo 1902) 8421 (მოგვყავს  
Preisigkes).

Πάξας (—Πάξας). Greek Papyri etc. IV, 1419, 1128.

Πέτρος (—Πέτρος), იქვე IV, 1443.

Θεοφίξ (—Θεοφίξ) იქვე 1419, 544 et passim: ნ/ (Θεοφίξ<sup>1</sup>).

საშუალო ლათინურშიც გვაქვს შემსუვეები, როდესაც საკუთარი სახელის  
ეოკატივი ნომინატივად იხმარება. მაგ., LELI SILVANE CIL VIII 2182 etc.  
(მოგვყავს Sommer-ის Handbuch d. lat. Laut- und Formenlehre S. 344).

ანალოგიურ მოვლენას ადგილი უნდა ჰქონდეს ქართულშიც, და ეს პირველ  
ყოვლისა თავს იჩინს იმ საკუთარ სახელებში, რომლებიც ქართულში წარდგო-  
ლობით შრუნვაში ენითა და ინით არის დაბოლოვებული. სწორედ პირადი ფრთი-  
ერთობის დროს, როდესაც ქართველებს ბერძნების ფრთერთისაღნი მიმართვა  
ესმოდათ ყველგან—და თვითონაც მიმართავდნენ ხოლმე ბერძნებს— საკუთარი  
სახელები ევლინებოდა მათ ეოკატივის ფორმით.

<sup>1</sup> ეს საკითხი— ბერძნულში -ანი მამაკაცთასახელები — ეოკატივის ნომინატიურად  
მოხმარებისა— სრულებით ახალ იყმა წარმოადგენს და ცალკე გამოკვლევას მოითხოვს. ამიტომ  
ჩვენ აქ მას დაწვრილებით ვერ შევხვებით და ზემომოყვანილი მაგალიტებით დავკმაყოფილებ-  
ებით (ბერძნულ პაპირუსებსა და წარწერებში ხმარებულ პირთასახელებსათვის ფასდაუდებ-  
ელიa Friedrich Preisigke, Namenbuch, Heidelberg 1922). აღსანიშნავია მხოლოდ, რომ  
ამ სახელების ეოკატიური ფორმა იმდენად გაქვევებულია, რომ იგი ყველა ბრუნვაში იხმარე-  
ბოდა, რაც წარმოადგენს Zimner-ის მერ აღნიშნულ მესამე საფეხურს (იხ. ზემოთ გვ. 93 „მი-  
მართვის გაქვევებული ფორმა იხმარება ყველა ბრუნვაში“).





ა) - ე ბოლოკიდურიანი სახელები (ბერძნული -აჲ)

აღსანიშნავია, რომ ენით დაბოლოებული საკუთარი სახელების ხმაარება საქართველოში დაკავშირებულია ქრისტიანობის გავრცელებასთან, და ამ გავრცელებისდა მიხედვით შეზოდის საკუთარი სახელები, რომლებიც ბერძნულში -აჲით არის დაბოლოებული, ქართულში კი ენით, და პირველ რიგში ეს ეხება ქრისტეს სახელწოდებას (Χριστὸς voc. Χριστῆ). ბუნებრივია, რომ ქრისტეს სახელს ქართველები იმათავითვე გაიცნობდნენ ლოცვა-ვედრების გზით, როდესაც ქრისტესადმი მიმართებაში ბერძნები იხმარდნენ ეოკატივის ფორმას Χριστῆ (ქრისტე). და ამნაირადვე იქნებოდა შეთვისებული იესუ (Ἰησοῦς, voc. Ἰησῆ), რომელიც ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებში სწორედ ამ სახით გვევლინება და არა იესო-ს ფორმით. ბუნებრივია ისიც, რომ ასეთივე გზით შეიძლებოდა შეთვისებული უფილიყო სახელები პეტრე, პავლე, მათე და სხვანი, და ამ გზით უკვე დამკვიდრებულიყოს ტრადიცია -აჲიანი სახელების გადმოცემისა ენიანს ბოლოკიდურით, ამას ცხად ბოლოვან შენდევს შიგალითები.

ქართული.	ბერძნული.	ეოკატივი.
ალექსანდრე	Ἀλέξανδρος	Ἀλέξανδρε
ანდრონიკე	Ἀνδρόνικος	Ἀνδρόνικε
ბართოლომე <sup>1</sup>	Βαρθολομαῖος	Βαρθολομαῖε (წავა. ბართოლომე)
გერასიმე <sup>2</sup>	Γερασῖμος	Γερασῖμῆ
დამიანე	Δαμιανός	Δαμιανῆ
ელასიმე	Ἐλάσιμος	Ἐλάσιμῆ
ევაგრე <sup>3</sup>	Ἐβαγρῆς	Ἐβαγρῆ
ელისე <sup>4</sup>	Ἐλισσαῖος	Ἐλισσαῖε (წავა. ელისეე > ელისე)
ელთვენ (< ევთვმე) <sup>5</sup>	Ἐλθῖμος	Ἐλθῖμῆ
ზოსიმე	Ζήσιμος	Ζήσιμῆ
თევდოტიტე <sup>6</sup>	Θεοδοτῖτος	Θεοδοτῖτε

<sup>1</sup>) მათე X, 3 (ბ ა ნ მ. ტე. ნან. ენ. მუხუქმის № 59). —აღსანიშნავია, რომ ბერძნულ ენაშიაც ეოკატივის ფორმა (Βαρθολομαῖε — Βαρθολομαῖ) გამოყენებული იმნიშნაქუსის სწორ-მოდგაჲ და Βαρθολομαῖος<sup>1</sup> პათალელურად იწმე გვაქვს Βαρθολομαῖ (მე. G. Hatzidakis Einleitung in die neugriechische Grammatik, ვგ. 98).

<sup>2</sup>) „ესე... წიგნი მოგაკუხნეთ... მე კუმბრადოდელ მთავარ ეპისკოპოსმან გერასიმე...“ (ქცბი II, 315, 1500-1502 წ. სიგელი).

<sup>3</sup>) „მისეი ევაგრეა იც და ათი ლიტრა ივრო“ (ააქ. სამითბე 237, 18 - 19).

<sup>4</sup>) „უმერთო შეიწყალე... წინამძღვარი ელისე ჯავარბიძე“ (ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არხ. მოგხ. II 225. წარწერა ეხდა ილან XVII—XVIII სსუქუნის).

<sup>5</sup>) „კეთხებთო... ეხთ მესთაჲ თარგმ. ფაჲლ. წიგნისაი“ ეფრემ მცირისა (ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არხ. მოგხ. II 244, 58). მკვრამ იმადე ეფრემს აქვს 245, 165: „მამისა ჩნისა ეფთჱმისა“; ასე რომ თორვე ფორმა ეხდა ვიჯულისხმით პარალელურად გ ე თ ვ მ ე (Ἐλθῖμος, voc. Ἐλθῖ-მე) და ეფთჱმი (Ἐλθῖμος, voc. Ἐλθῖμῆ. იხ კვერთო -ი სახელების შესახებ).

<sup>6</sup>) „ეფრტლა თევდოტიტესა მან თარგმანსა დ'თოსასა კელი შეგვაე (ეფრემ მცირე; თ ა -





თეოდორე (> თეოდორე > თედორე)	Θεοδωρος	Θεοδωρ
იესე	Ἰησῆς	Ἰεσῆ
იპოლიტე	Ἰππολύτος	Ἰππολύტ
იუსტინე	Ἰουστίνος	Ἰούστιν
კოსტანტინე (კონსტანტინე)	Κωνσταντίνος <sup>1</sup>	Κωνσταντίν
კვირიკე (კვირიკე)	Κυριακός <sup>2</sup>	Κυριακῆ
კვირილე (კვირილე)	Κύριλλος	Κύριλλ
ლაზარე	Λάζαρος	Λάζαρ
მათე <sup>3</sup>	Ματθαῖος	Ματθαῖ
		(წარ. მათე > მათე)
მაქსიმე <sup>4</sup>	Μαξιμῆς	Μάξιμ
მელასიპე	Μελιτινός	Μελιτιν
ნიკიფორე	Νικηφόρος	Νικηφόρ
პავლე	Παύλος	Παύλ
პეტრე	Πέτρος	Πέτρ
პილატე <sup>5</sup>	Πιλάτος	Πιλάტ
რუფე <sup>6</sup>	Ῥούφος	Ῥούφ
სავლე	Σαῦλος	Σαῦლ
სპეცსიპე	Σπυριτινός	Σπυριτιν
სტეფანე	Στέφανος	Στέφαν
ტიმოთე	Τιμόθεος	Τιμόθε
ტიტე	Τίτος	Τίτ
ფილიპე <sup>7</sup>	Φίλιππος	Φίλιπ

და სხვანი.

ასევე მამაკაცთა იმ სახელებში, რომლებიც ახალ ქართულში ნეტად გავრცელებულია: დიონისე, პოლიკარპე, ერმილე (Βεργίλος), ნოფოტე დოროთე, ისიდორე და მრავალი სხვა.

ყაიშვილი, არხ. მოგზ. II 247, 246—7; „თეოდორიტე... მამა მართლმადიდებლებისა ზურაბილ არს (იქვე სტრ. 258) და სხვაგანაც.

<sup>1</sup>) აგრეთვე Κωνσταντίνος, Κωνσταντίνος, Κωνσταντίνος, Κωνσταντίνος.

<sup>2</sup>) აგრეთვე Κυριακός.

<sup>3</sup>) ნაწილად: ტფილ. საბ. უნივ. ბუკ. ნ. № 787, გვ. 382.

<sup>4</sup>) აბდუღმესია ნ.ს.ს. „გვონებ მაქსიმედ“.

<sup>5</sup>) „მოთსეენი, უფალო, ჯუარის მამა ნიკიფორე კაბა სასუფეველსა მანა“ (1453 წ. სიგელი: საქ. სვდნი II, 16).

<sup>6</sup>) არიშ. 26 „კელმწიფობასა პილატს მონტიელისა“.

<sup>7</sup>) არიშ. 26 მთავრობასა რედესსა“.

<sup>8</sup>) არიშ. 42 „წარედ... ვადა მოციქულით ფილიპს“; აგრეთვე „საწინ... მტკიცე და შუფვალებელი სიგელი გიბოძეთ თქვენ ერგმანსა ფილიპს“ (1453 წ. სიგელი: საქ. სვდნი II, 16).



აღსანიშნავია, რომ ბერძნულ-რომაული სახელების ვადმოცენა ქართულში ენიანი ბოლოკიდურით სწორედ -აცანი ბერძნულ სახელებთანაა დაკავშირებული: -ე ბოლოკიდური აქვს ქართულში სწორედ იმ სახელებს, რომელთაც ბერძნულშიაც ენი აქვთ ვოკატივის ფორმაში.

ბ) -ი ბოლოკიდურიანი სახელები (ბერძნული -აც).

ქართულში ვადმოცემულია წრფელობით ბრუნვაში ინიანი ბოლოკიდურით ის სახელები, რომლებიც ბერძნულში -აცანი ბოლოკიდურით გვევლინება. ამ კატეგორიის საკლთარ სახელებზე იგივე უნდა ითქვას, რაც ჩვენ ენიან სახელებზე ვთქვით, ესე იგი პირველ წყებაში შედის მამაკაცთა ის სახელები, რომლებიც უფრო ხშირ ხმარებაში იყო ბერძნებთან ურთიერთობის დროს. ასეთ სახელებს გვითვროდენ, ალბად, გეორგი (resp. გიორგი) გრიგორი (resp. გრიგოლი), ანტონი და სხვანი მისთანანი. ეს სახელები ბერძნული ლიტერატურიდან ცნობილია, განსაკუთრებითა, მათი სრული სახით: Γεώργιος, Γρηγόριος, Ἀντώνιος და სხვ. მაგრამ ამ სრული ფორმების პარალელურად ხალხურ ენაში განვითარდა შემოკლებული ფორმები, რომლებიც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გ. ხაძიდაკის გამოკვლევით (Zur Geschichte des Mittel- und Neugriechischen: KZ 31, 112) განოზინატივებულ ლათინურ ვოკატივს წარმოადგენენ. როგორც Iulius-ის ვოკატივმა Iuli წარმოშვა ბერძნული ნომინატივი Ἰούλιος, ისევე შეიქმნა ხალხურ ბერძნულში Γεώργιος, Γρηγόριος, Ἀντώνιος და მისთანანი, რომელთა ვოკატივი იყო Γεώργι, Γρηγόρι, Ἀντών და სხვ. და ეს ფორმები შემდეგ ლიტერატურულადაც შემოიჭრა ბერძნულში (იხ. G. Hatzidakis, Einleitung in die neugriechische Grammatik გვ. გვ. 76-79; 82; 98).

ქართული	ბერძნული	შეიკ. ბერძნული	ვოკატივი
ათანასი <sup>1</sup>	Ἀθανάσιος		
იკაკი	Ἰάκωβος	Ἰάκωβος	Ἰάκωβ
ალექსი	Ἀλέξιος	Ἀλέξιος	Ἄλεξ
ამბროსი	Ἀμβρόσιος		
ანტონი	Ἀντώνιος	Ἀντώνιος	
ამოლანარი <sup>2</sup>	Ἀπολλινάριος	Ἀπολλινάριος	
არსენი <sup>3</sup>	Ἀρσένιος	Ἀρσένιος	
ასტერი <sup>4</sup>	Ἀστέριος		

<sup>1</sup>) „ათანასი ვიტყვ და კვირალს“ (ეფრემ მცირის „თარგმ. ფს. წიგნისი“). გ. თაყაიშვილი, არხ. ნოვზ. II 245, 173). არსებობს ამ სახელის მეორედი ფორმაც (ათანასე).

<sup>2</sup>) ვლასიუს უბადრუკისა ამოლანარისტოს (ეფრემ მცირის „თარგმ. ფს. წ.“. 1854).

<sup>3</sup>) ვაშოიძე მამანან „არსენი“ (№ 160 ხელ. ტფ. უნ. საბ. მ. გვ. 223, ქრ. 1,79). „განათლი და განავრცნა კ'ზმან არსენი“ (№ 170 ხ. ტფ. საბ. უნ. მ. II და 323), ხაძი 42,44. „წუღული სფლივრად მანაა შენა არსენის“.

<sup>4</sup>) „ასტერი ეპისკოპოსი ამასიელი“ („თარგმ. ფს. წიგნ.“ გ. თაყაიშვილი, არხ. ნოვზ. II 246, 185). აგრეთვე სინას მთის ხ. № 52 (ცეცელიძე I 133).



ბასილი	Βασίλειος	Βασίλειος	Βασίλειος
გეორგი <sup>1</sup> (გიორგი)	Γεώργιος	Γεώργιος	Γεώργιος
გრიგოლი	Γρηγόριος	Γρηγόριος	Γρηγόριος

რომ ეს უკანასკნელი სახელი (გრიგორი || გრიგოლი) წრფელობით ბრუნვაში „გრიგოლი“ იყო თავდაპირველად და არა „გრიგოლ“, ამტკიცებს სხვადასხვა ძეგლებში დაცული ფორმები. გრიგოლ ხანძთელის ცა-ში (29,65) სწერია: „ხოლო ნეტარმან გრიგოლი დაიღუპა სული მისი და დიდებაა შეწირა ღმრთისა“. მართალი იყო ნ. შარი, როდესაც მან ტექსტის გამოცემისას ეს ფორმა არ შეადწორა ჩვეულებრივ „გრიგოლ“ ფორმად, და საბუთიანი იყო მისი მაშინდელი შენიშვნაც (გვ. XLVII § 33, a 1): „გრიგოლი концептуируется как основа, почему неоформленный падеж, замещающий дат. местоименный, звучит григoли“. ხოლო შემდეგ ხანებში ძირი „გრიგოლი“ აღიქმოდა, ვითარცა სახელობითი ბრუნვა და -ი დაბალიობის მოცილებით წარმოებულ იქნა ძირი resp. წრფელობითი ბრუნვა „გრიგოლ“.

გარდა შემომოყვანილი მგალითისა ჩვენ კიდევ გვაქვს შემთხვევები, როდესაც სიტყვის ძირად resp. წრფელობით ბრუნვად ნახმარია ფორმა „გრიგოლი“ და არა „გრიგოლ“; მაგ.:

„ხოლო კრებაჲს ერგასისთა მამათაჲს და მეფეჲს თვედოსი ღმრთისმეტყველსა გრიგოლის დაუმტკიცეს ეპიკოპოსობაჲ“ (გ. მონ. ხრონ. 302,10). აგრეთვე შემდეგი ფორმები წრფელობითი ბრუნვისა:

„მეფე იქნა ღალღიანოს... რომლისა-ზე არტემონ და სვენეო წვაღების-მთავარნი იცნობებოდეს და გრიგოლი საკრველთ-ნოქმედი... ბრწყინვიდა“ (გიორგი მონ. ხრონ. 243, 27—28).

„მანისა... გრიგოლი ნოსელ ეპისკოპოსისაჲ“ (იერუსალემის ბელნაწერი 14,2 რ. ბლეჯის კატალოგი—Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque patriarcale grecque à Jérusalem. Paris 1924; აგრეთვე 44, 2; 2,13; 2,14; გრიგოლი ღმრთისმეტყველისაჲ 13,9; 13,10; 13,11; 13,15; 14,1; 8,3; 8,5; 8,7; 8,8; 8,9; 8,10.). პარალელურად გვხვდება, რასაც ირველია შეორადი ძირის მქონე ფორმებიც: „მანისა ლენისა გრიგოლ ღმრთის-მეტყველისაჲ“ იერ. 13, 19 და სხვაგანაც.

„ეკლოვნებაჲ წისა გრიგოლი ღმრთისმეტყველისათაჲ“ (ეფრემ მცირე, „თარგმ. უსალმუნთა წიგნისაჲ“ შესავალი, ე. თაყაიშვილი არხ. მოგზ. II 269 1367). აქაც ცხადია წრფელობითი ბრუნვა უნდა იყოს და არა სახელობითი, რადგან ანალოგიურ შემთხვევებში ჩვენ წრფელობითი ბრუნვა გვაქვს ხოლმე, მაგ. იქვე სტრ. 1270—74: სიტყვა გებანი მწვალებელთანი წითა მანათი... ბასილი კესარიელისა და გრგლ ღმრთისმეტყველისა და იხე დამასკელისაჲ.

<sup>1</sup>) „მოქცევაი ქართლისაჲ“-ში (თაყაიშვილი Op. II 727) ორჯერ არის სულ მოხსენებული ეს სახელი და ორივეჯერ „გეორგის“ ფორმით.





დინიტრი <sup>1</sup>	Δημήτριος	Δημήτρις	Δημιტრს
ვეგრი <sup>2</sup>	Εβέρτιος		
ვესევი	Εβέρτιος	Εβέρτις	Εβსძე
ვესტაი <sup>2</sup>	Εβέρτιος		
ვეტიქი	Εβέρτιος	Εβέρτις	Εβსჯე
ლეონტი	Λεόντιος	Λέοντις	Λέონთ
მაკარი <sup>4</sup>	Μακάριος	Μακάρις	Μακარს
მეთოდი	Μεθόδιος		
პართენი	Παρθέσιος		
პლინი <sup>5</sup>	Πλήσιος	Πλήσις	
პორფირო	Πορφύριος	Πορφύρις	Πορფურს
ტიბერი <sup>6</sup>	Τιβήριος	Τιβήρις	Τιβერს
ფოტი	Φώτιος	Φώτις	

და სხვანი

ამ ფორმების პარალელურად არსებობდა, რასაკვირველია, ლიტერატურულის გზით შემოსული -ისიანი ფორმებიც (ამბროსიოს, ვესევიოს, ასტერიოს, აპოლინარიოს და სხ.). და რომ ესენი სხვადასხვა გზით შემოვიდა (ჩუპირად და შწიგნობრულად), ამას ადასტურებს საბელი კორნელი—კორნელიოს. ლათინური Cornelius ბერძნულად 1) ზეპირი შეთვისებით იქნებოდა Κορνίλιος, ვოკატ. Κορνίλιος (==კორნელი), სადაც უთი აღნიშნულია ლათინური გრძელი ε; ხოლო 2) ლიტერატურულად იყო სრული ფორმა Κορνίλιოს, რომელიც საშუალო ბერძნულში წაიკითხვოდა კორნილიოს. ქართულში ორივე მოიპოვება და ამ სახელში, ჩვენის აზრით, გარდა დაბოლოვებისა, ძირეული ენისა და ინის ცვალებადობაც უნდა ამტკიცებდეს ნათი შეთვისების სხვადასხვა გზას.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ენითა და ინით დაბოლოვებულ სახელებში ბოლოკიდური ენი და ინი აიხსნება იმით, რომ ქართულში ეს სახელები ბერძნულით არის შეთვისებული მათი ბერძნული ვოკატივის ფორმით.

1) მ. ან. ძ. 12, 1 „გამოკითხა მეფემან დინიტრი“.  
 2) „ესე პირი და წიგნი მოგაბაძეთ თქვენ... ესა ვეგრის“ (ქეტი II 815, 1500—1502 წ. სიგელი).  
 3) საქ. სამოთხე გვ. 313 „მარტულობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ეგვტათი მტყუთელითა“.  
 4) მ. ან. ძ. 75, 8 „ხოლო მამამან მაკარის... იკეთა“; იქვე 75, 58—59: „ხოლო მაკარის პრუღოსა“.  
 5) „იტყვეს ბრძენი პლინი სტოიცი ეს ან ფ შ ტ ის „კითხველთათვის სიტყვა“ კტ. გვ. 8).  
 6) არ. ი. მ. 26, 2 „მეცხობრესა წელსა ტიბერის კისხისა პრუღოსა მეფისა“.  
 7) შესთავაზებულ ფორმებს რავთარც ითქვა, უწინაგვრესად საშუალებდრძნული ხმარობს საშუალებდრძნული იან არ არის წესრიგში მოკვანილი, რომ ყოველთვია შეიძლებოდას სათანადო მავალიების მოკვანა, ამიტომ თავისი მამაკაცთა სახელების შემოკლებული ფორმები მხოლოდ იმ შემთხვევაში მოკვანეს, როდესაც ჩვენ ისინი დადასტურებულად ვხვდეთ ძველებში. ასე რომ დანარჩენ შემთხვევებში მავალიების მოკვანელებობა სრულებით არ მოასწავებს იმას, თითქოს ასეთი მავალიები არ არსებობდეს.





მართალია, ნ. მარს ერთ ადგილას (Ирриш. გვ. XI) შენიშვნა ჰოვბოვება, თითქოს ენი ქართული საკუთარი სახელების ჩვეულებრივი დაბოლოება იყოს და ქართულს ეს დაბოლოება ნასესხი სახელებისთვისაც გამოეყენებინოს, მაგრამ:

1) ენით დაბოლოებული ქართული (ე. ი. არა ბერძნულ-რომაული) საკუთარი სახელები შეტად მკვირვრიცხოვანია, რომ შეგვეძლოს ენი ქართულ დაბოლოებად მივიჩნიოთ. თვით საშოგადო სახელებშიც მისი გამოყენება ბოლო-კიდურად, გარდა სპ- და სი- პრეფიქსიანი სიტყვებისა, შეტად შეზღუდულია (აოგ, არგე, ბადე, დვირე, ზღუდე, თბე, კლდე, ნასკნე მზე, სარკე, სვე, უბე, უპე, დელე, შრე, ჰუნე etc.) და სხვა (მეგ, თ, ა) ბოლოკიდურებთან შედარებით შაა არაერთგვაროვანი უპირატესობა არა აქვს. საკუთარ სახელებში ენის ხმარება ბოლოკიდურად კიდევ უფრო შეზღუდულია (ჩვენ შეგვიძლია დაეასახელოთ სახელი ნაჩქ, რომლის სადაჯეროება ნათელი არ არის), და ამ მხრივ საკუთარ სახელებში თნი და ანი უფრო გავრცელებულია (გიგო, კაკო, ვიგა, დათა და სხ.).

2) ქართული ენა ხმარობს ენს ბოლოკიდურად ისეთ გარკვეულ, არა ქართულის ნიადაგზე ახსნად შენობებში, რომ შეგვძლებელია ენი ქართულ დაბოლოებად მივიჩნიოთ. ამ მხრივ საგულისხმო აენისა და ინის ხმარების შედარება. ორივე ბოლოკიდური ისე ზედმიწევნით არის განსხვავებული და გარკვეულ მორფოლოგიურ შესატყვისობათ წარმოადგენენ, რომ შეგვძლებელია ენი ქართულ დაბოლოებად ჩაითვალოს. ენით არის გადმოცემული ჩერძული -ა დაბოლოებებიანი სახელები (გარდა მკვირვოდენი გამონაკლისებისა), ხოლო ინით ია-იანი.

სანიშნოდ ჩვენ შეგვიძლია ავიღოთ გიორგი აშარტოლის ხრონოლოგია, სადაც ასე დაპირისპირებულია ენიანი და ინიანი მამაკაცთა სახელები.

1) ე	ადრიანე    ანდრიანე	ისიდორე
	აერილიანე	იოვიანე
	ალექსანდრე	იპპოლიტე
	ამფილოქე	კვირილე
	ანტილონე	კვირიანე
	ანტონინე	ლაზარე
	არისტოვულე	ნარკელე
	ბოსტრე	მაქსიმე
	გორდიანე	მაქსიმინე
	დიოკლიტიანე	კალინიკე
	დომენტიანე	ნიკიფორე
	ელისე	ონისიმე
	ზაკე	პილატე
	თეოდორე	სტეფანე
	თევდორიტე	ტატიანე
	თეოფილე	ტერტულიანე
	იესე	ტიტე
	ივლიანე    იულიანე	ტრაიანე





ჟალენტიანი	ფლორიანი
უესპაიანი	ფოტინე
ფესტე	ლორტიანი
ფლავიანი	

2) ი.	ექსენტი	ენნატი   იგნატი
	ითანისი	ევსევი
	ამროსი	ესტათი
	ანასტასი	ეფტუქი    ეფტიქი
	ანტონი	ეიკენტი
	აპოლინარი	თეოდოსი
	არკადი	ირაკლი
	არსენი	ლავრენტი
	ბასილი	მაქსენტი
	გიორგი	მელეტი
	გრიგოლი	ონოროი
	დალმატი	პორფირი
	დინიტრი	პროკოპი
	დიონისი	ტიზერა <sup>1</sup> .

პირველი ჯგუფის სახელებს ბერძნულში უდრის -ის ბოლოკიდურიანი სახელები ('Ανδρῆς, Ανδρῆλαιος, 'Αλέξανδρος, Ανδρῆος, 'Ανατόλιος, 'Ανατόλιος etc.), ხოლო მეორე ჯგუფისას -იციანი (Ανδρῆσιος, 'Αμῆσιος, 'Αικῆσιος, 'Ανατολῆσιος, 'Αντωνῆσιος, 'Απολλοῦσιος etc.).

ის გარემოება, რომ ენიანი და ინიანი მამაკაცთა სახელების ხნარება ასე განსხვავებული და ეს განსხვავებული ხნარება ასე ზედმიწევნით არის გატარებული ქართულ ძეგლებში (და ზეპირ თქმაშიც), გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი დასკვნა, შესახებ აღნიშნული სახელების ვოკატიური წარმოშობისა, სწორი უნდა იყოს.

შდგომარეობა ჩვენ ისე კი არ წარმოგვიდგენია, თითქოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფორმები ზეპირად იყოს შეთვისებული ქართულში ვოკატივის ფორმით. ვოკატივის ფორმით ითვისებდენ ქართველები ბერძენებთან ურთიერთობის დროს ყველაზე მეტად გავრცელებულ სახელებს და ასეთი წარმოება გადატანილ იქმნა ანალოგიურ შემთხვევებზე და ამრიგად დამკვიდრდა ტრადიციულად -იციანი სახელების გადმოცემისა -ენით, ხოლო -იციანი -ი ბოლოკიდურით<sup>2</sup>.

<sup>1</sup>) ბრონოლრაფი გიორგი შინახონისა, ჩვენი გამოცემა, აღგიღებს აღნიშნული გამოცემის ინდექსი.

<sup>2</sup>) ერთის შეხედვით, შესაძლებელია ვინმე იფიქროს, რომ მეთოდოლოგიურად მცდარი იყოს ჩვენი გზა საკუთარი სახელების გამორკვევისა. სახელდობრ, შესაძლებელია მცდარად მოენგნათ ის, რომ ჩვენ ასე გამოვევიოთ მამაკაცთა სახელები და სხვა, დანარჩენ (მაგალ, ქალთა) საკუთარ სახელებთან დაუკავშირებლად წამოვეყვებოთ ჩვენი დებულება. მაგრამ, როგორც ზემოთ დაეიანებო, ჩვენ მიერ მოგვანილი მამაკაცთა სახელების შეთვისება ქართულში





გ) -ი ბოლოკიდურიანი სახელები (ბერძნული -ης).

-ი ბოლოკიდურით გადმოცემულია ქართულში, გარდა იგიანი სახელებისა, აგრეთვე ის ბერძნული სახელები, რომელთაც ნომინატივში ქმონდათ -ης.

ანაქსიმენი (ნემ. 71,1-2)	Ἀναξίμαχος
არისტოტელი (გიორ. მონ. 140, ნემ. 4,9,24,36 და ბევრგან)	Ἀριστοτέλης
დინოსთენი (გ. მონ. 140,32; 258,27,30)	Δίνωσθηνός
დიოგენი (გ. მონ. 140,30-31)	Διογένης
ვერიპიდი (გ. მონ. 140,30)	Βερεπίδης
ემპედოკლი (გ. მონ. 140,29)	Εμπεδοκλής
თალი (ნემ. 24,12 70,26)	Θάλης, Θαλής
თუკვიდი (გ. მ. 140)	Θουκυδίδης
იპოკრეტი (ნემ. 109,22)	Ἱπποκράτης
ოლოფერნი (გ. მ. 135,8)	Ὀλοφέρνης
ორენტი (გ. მ. 231,7-8)	Ὀρέντης
ორიგენი (ნემ. 58,2; გ. მ. 19 et pas.)	Ὀριγένης
სოსთენი (ათონის კრებ. 106)	Σωσθηνός
სოფოკლი (გ. მ. 140, 29)	Σοφοκλής
ქსენოკრეტი (ნემ. 40,15)	Ξενοκράτης

და სხვანი.

აქ ინი, რასაკვირველია, ძირეულია და არა ნომინატივის დაბოლოება, რაც ცხადია შემდეგი მაგალითებიდან:

„რამეთუ ქსენოკრეტიჰან ესე შესიტყუება შეკრიბა“ (ნემ. 26,24)

„სთნდა უყუჳ იპპოკრატის“ (ნემ. 59,2).

შემდეგ ეს ინი ნომინატივის დაბოლოებებად იქნა მიღებული და ამით აიხსნება, რომ „არისტოტელი“-ს ძირის პარალელურად ჩნდება „არისტოტელ“ ძირი. ჩვეულებრივი თქმა ნემესიოსის თარგმანში „იტყუჳ პლატონ“ და „იტყუჳ არისტოტელი“ (და არა „არისტოტელ“), მაშასადამე როგორც „პლატონ“ ძირია სახელისა და არა ნომინატივი, ისევე „არისტოტელი“. მაგრამ მიცემითში და მოთხრობითში შეუღამ არის „არისტოტელს“ და „არისტოტელმან“, და არა „არისტოტელის“ და „არისტოტელიმან“, როგორც ეს

განსაკუთრებულ პირობებში უნდა მომხდარიყო. ჩვენი საკუთარი სახელებს ფორმები შეიძლება შეთვისებული იყოს ქართულში მხოლოდ ზეპირად, პირადი ურთიერთობის დროს. მაშინდელ პირობებში კი გაცხდევლებული პირადი ურთიერთობა განსაკუთრებით მამაკაცთა შორის არის წარმოსადგები.

ამევე მიზეზით არის, რომ – როგორც ზემოთ იყო აღნიშნული – ის საკუთარი სახელები, რომელიც ატიკურში -ყით არის დაბოლოებული, ხალხი ბელტიურ წარწერებში ნომინატივის ფორმა უსაგნოდ აქვთ, სწორედ მაშასადამე ეს სახელებია. ისინი წარმოშობილია პირადი ურთიერთობის წიადაჯზე, როდესაც მიმართვის ფორმა (ვოკატივი) აღებულ და შენდეგ ზმარებულ იქნა ნომინატიურად.



უნდა ყოფილიყო თავდაპირველად და როგორც ეს არის ქსენოკრატი<sup>1</sup> და იპპოკრატი<sup>2</sup>ს მავალითებში (მოთხზ. ქსენოკრატიმან, მიცემ. ქსენოკრატი<sup>3</sup>ს).

ამის შემდეგ სადებურს წარმოადგენს ის, რომ ინი მარტო მიცემითსა და მოთხზობითში კი არ იკარგება, არამედ წრფელობითსა და სახელობითშიაც და ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ ზეენ უფრო ხშირად სოკრატ ფორმა გვხვდება, ვიდრე სოკრატი. ეს ხომ იმავე ჯგუფს ეკუთვნის, როგორც იპპოკრატი (Σωκράτης—Ιπποκράτης) და მისგან ჩვენ მოველოდით სოკრატი ძირს.

-რეიანი სახელების გადმოცემა ქართულში იმით არის გამარტივებული, რომ იმ დროს, როდესაც ბერძენ-ქართველთა პირადი ურთიერთობა საჯულის-ხმებელი, გამოქმნაში რე ის უღრიდა, ასე რომ 'Αριστοτέλης (წიიკ. „არისტოტელის“) ისეთსავე კატეგორიაში იყო, როგორც ხალხური ფორმები Πέρσης (შემდეგ Πέρσης ან Πέρσης), და მასადასე, როგორც უკანასკნელიდან იყო გეორგი (გიორგი). ანალოგიურად იქნებოდა არისტოტელი. გამარტივებულია მდგომარეობა იმითაც, რომ საშუალ (და ახალ) ბერძნულშიაც -რეიანი სახელებს ვოკატივიე ი(რ)ზე აქვთ (G. Hatzidakis, Einleitung 78)<sup>4</sup>.

**დ. -ა ბოლოკიდურიანი სახელები (ბერძნული -ავ).**

ბერძნული -ავიანი სახელების გადმოცემაში ქართული იძლევა წრფელობით ბრუნვას ანიაანი ბოლოკიდურით.

ანანია (ანანიას მრ: არ იმ. 54)	'Ανανίας
ანაქსალორა (გ. მ. 31,90 et pas.)	'Αναξάλορας
ანდრია	'Ανδρίας    'Αδρίας
ალოიპა (გ. მ. 184)	'Αλοίπας
ენია    ენეა	Αινείας
ეუქრატა (ქრ. I, 53)	Ευκράτης
თომა	Θομάς
კლეოპა	Κλεόπας
კოზმა	Κοσμάς
კრითია	Κριτίας
ნიკიტა (წ. -კ. ბ. № 1463)	Νικήτας
პითალორა (ნეგ. 40,13; გ. მ. 140)	Πυθαγόρας
ფოკა	Φωκας
დალვა (გ. მ. 193 et pas.)	Δάλβας

და შრავალი სხვა.

ანის წარმოშობის გამორკვევა ზემოჩამოთვლილ სახელებში იმ შირიე წარმოადგენს სიძნელეს, რომ

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ინიანი ბოლოკიდურით გადმოცემულია ქართულში სახელები 'Αρτεμης და Ξεραμης („მანქანებით მოყვანებულმან არტემია მისეა იუპიი“ ველ. მ. ბ. № 2 ფ. 171—კეკელიძე II, 6; „და არტემისა სახელ“ ში. დღფ. ქ. ც. \*595; „დღედა თჳსი სე-მირაშო მიღევანა ზამ კოლად თჳსაჲს“ გიორ. მონ. 4,15; აგრეთვე II, 26, 27). მართალია პირველი სახელი ვოკატივი „არტემი“ არის ('Αρτεμης, მადრად, ვოკატივით, აქ ინი ისეთივე წარმოშობის უნდა იღვს, როგორც რეიანი სიტყვების გადმოცემაში.





1) -აჲზე დაბოლოვებული სახელები ბერძნულში იძლევა ანიან ვოკატივს ('Ανθριζ, Εμφραδ'უ და სხვა) და შესაძლებელია ქართულში ისინი ამ ფორმით იყოს შეთვისებული, მით უმეტეს რომ ამ კატეგორიაში არის ისეთი სახელები, რომლებიც დიდ ხმარებაში იქნებოდნენ ქრისტიანობის გავრცელების პირველი ხანებიდანვე (ანდრია, თომა, კოზმა და სხ.);

2) მეორეს მხრით ანი წიმილება წარმოადგენდეს აქ -აჲ ბოლოკიდურის ნაშთს, როგორც ზემოთ (იხ. გ.) განხილულ -ჯჲიან სახელებში ინი.

ჩვენ შეგვიძლია მდგომარეობა ისე წარმოვიდგინოთ, რომ ამ სახელებიდან ზოგიერთი შეთვისებული იყოს ვოკატივის ფორმით (მაგ., ანდრია, თომა), ხოლო, რაღვან იგივე ვოკატივის ფორმა ბერძნულ სუფთა ძირს იძლეოდა, ყველა დანარჩენი სახელისათვის სახელმძღვანელო ფორმად იღებდა ქართველი ბერძნულ სრულ ფორმას ჯიგმის მოშორებით<sup>1</sup>.

### ე) თანხმოვნით დაბოლოვებული სახელები.

თანხმოვნით დაბოლოვებულ სახელებიდან ქართულ ძეგლებში ჩვენ გვხვდება ორნაირი სახელები:

1) -გვ ბოლოკიდურიანი, რითაც გადმოცემულია ბერძნული -ჟაჲიანი სახელები; და

2) -ონ ბოლოკიდურიანი (ბერძნული -ან).

პირველი სახელებიდან, როგორც მოსალოდნელი იყო, ხანიანი ფორმებიც გვაქვს და უხანოც.

აქილევ (ა.ზ.მ. \*595)

ბერსევ (გ. მონ. 6,11;6,15)

და სხვანი.

მაგრამ

ბერსევს (გ. მონ. 5,25)

ორფევს (გ. მონ. 68,2)

პროპითევს (გ. მონ. 68,1)

[ო]ღესევს (მ. ჯანაშვილი, აღუადგინე 133). და სხვანი.

ეს უქანასწნელები ჩვენ გვაძლევენ ბერძნული ნომინატივის ფორმას (Περσευς, 'Ορφευς და სხვ.), ხოლო უხანო ფორმებში ინის ანალოგიურ მოვლენასთან უნდა გვეკონდეს საქმე, როგორც ანიან სახელებში გვჯონდა, ე. ი. ისინი შეიძლება ნომინატივიდან იყოს წარმოებული ხანის მოშორებით, რაც თავისთავად აგრეთვე ვოკატივის ფორმასაც წარმოადგენს (მაგ. 'Αγγελια).

-ონიანი სახელებიდან ზენ მხოლოდ ერთნაირი ფორმა გვხვდება:

აპპოლონ (ნ.ე.მ. 153,26)

ზენონ (ხანძ. 75,1) | ზინონ (ნ.ე.მ. 128,3)

ილარიონ (ხანძ. 49,14)

იპპონ (ნ.ე.მ. 24,2)

<sup>1</sup>) აქ მხედველობაში გვაქვს მარტივი წარმოდგენა მწიგნობრისა; რომლის ვაგებით იმის შესაძლებად საჭირო იქნებოდა მხოლოდ ვაგმისა მოკლება, რომ ნაა ამით ბაზა შეეკმნა ქართული ფორმის საწარმოებლად.





- კვირიონ (ჭრ. 1,75)
- მარკიონ (გ. მონ. 234)
- პლატონ (ნემ. passim)
- სიმიონ (ორიშ. 56)
- სოფრონ (იერ. 13,15)

და ამ სახელების ფორმის ერთსახეობა გასაგებია: მათი ბერძნული ძირი (ეოკატივიც) და ნომინატივი ერთნაირად იწიით არის დაბოლოებული.

ამრიგად, ზემომოყვანილი წამაკაცთასახელების ჯგუფების განილვა ჩვენ გვარწმუნებს იმაში, რომ

1. ბერძნული (და აგრეთვე ბერძნულის გზით: რომაული) წამაკაცთასახელები ქართულში გადმოცემულია ორნაირად: სრული ბერძნული ნომინატივის ფორმით და შეკვეცილად;

2) შეკვეცილი ფორმების ორი დიდი ჯგუფი - ენიანი (ბერძნული -ენ) და ინიანი (ბერძნული -ინ) წარმოშობილია ბერძნული ეოკატივის ნიადაგზე; ამნაირი ფორმები შეიძლება შეთვისებული იყოს ქართულში თავდაპირველად მხოლოდ ზეპირად, ბერძნებთან პირადი ურთიერთობის დროს, და შემდეგ ტრადიციად დამკვიდრებულ იყოს ის მწერლობაშიც;

3. შეკვეცილი ფორმების დანარჩენი ჯგუფები შეიძლება შეთვისებული იყოს როგორც მწიგნობრულად, ისე ზეპირად: მეტად გაყრცელებული -ინიანი (ხალსურად -ინიანი) სახელების გადმოცემა იწის საშუალებით ჰქმნიდა აღქმელისათვის საფუძველს იმისათვის, რომ საკუთარი სახელის ფორმა ბერძნული ნომინატიური ნიშნის მოცილებით ეწარმოებინა საზოგადოდ, და არა მარტო -ინიანიში, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როდესაც უცნაურ ფორმა ამავე დროს ეოკატივს წარმოადგენდა.

SIMON KAUCHTSCHISCHWILL

## Zur Übergabe der griechischen Männernamen im Georgischen.

### Vorläufige Mitteilung.

(Zusammenfassung)

Bei der Übergabe der griechischen (und vermittels des Griechischen auch der römischen) Männernamen sind im Georgischen zwei Typen zu unterscheiden:

1) die Namensformen, bei denen der griechische Nominativ als Stamm der georgischen Form ausgenutzt wird, wie

Antoninus-	gr. Ἀντωνίνος
Stephanos <sup>1</sup>	„ Στεφάνος

<sup>1</sup>) Die durch  $\tau$   $\theta$   $\chi$  wiedergegebenen georg. Laute  $\vartheta$   $\theta$   $\chi$  sind gehauchte p t k.





Apolinarios-	gr.	'Απολλινάριος
Kornilios-	"	Κορνήλιος
Eneas-	"	Αινείας
Piθagoras-	"	Πυθαγόρας
Axilevs-	"	'Αχιλλεύς

und

2) die Namensformen, für welche als Stamm (im Georgischen) der griechische Nominativ nicht in Betracht kommt:

Antonine-	Enca-
Stepane-	Piθagora-
Apolinari-	Axilev-
Korneli-	

u. v. u.

Die Verschiedenheit in der Übergabe dieser Namen im Georgischen lässt sich daraus erklären, dass die georgischen Formen auf zwei verschiedenen Wegen dem Griechischen entlehnt sind; nämlich:

1) Die Namensformen, wie Antoninos- Stepanos- usw., sind auf rein literarischem Wege ins Georgische gekommen. Auf diesem Wege, wo der Übersetzer von der griechischen Unterlage sehr stark beeinflusst wird, könnte man ausser dem Nominativ auch andere Kasus als den Wortstamm für georgische Formen erwarten; dies ist tatsächlich in den altgeorgischen literarischen Denkmälern belegt, wo wir neben dem Nominativ auch den Genetiv und Akkusativ in der Stammform sehen.

2) Die Namensformen, wie Antonine- Stepane- Korneli- usw., sollen nicht auf literarischem Wege, sondern mündlich, auf dem durch den persönlichen Verkehr zwischen Griechen und Georgiern verursachten Wege ins Georgische gekommen sein. Das ist besonders von den im Griechischen auf -ος und -ιες auslaufenden Namensformen zu sagen.

Von diesen letzteren ist folgendes zu betonen:

- a) die Namensformen auf -e (Antonine- Stepane- u. v. a.) entsprechen immer den des Griechischen auf -ος;
- b) die Namensformen auf -i (Apolinari- Korneli- u. v. a.) gehen die griechischen Namensformen auf -ιες wieder.

**Durch die Betrachtung dieser beiden Kategorien der Männernamen sind wir zum Schlusse gekommen, dass sie im Georgischen von der griechischen Vocativform entlehnt sind.**

Nämlich; die auf -ος auslaufenden gr. Namen sind im Georgischen in ihrer Vocativform (Στέφανος usw.) übergeben worden; die Namen auf -ιες — in ihrer in dem Spätgriechisch-byzant. viel verbreiteten Kurzform Κορνήλιε, 'Απολλινάριε, 'Αντώνι, 'Ακάκιε, Βασίλιε, Γεώργιε, Γρηγόριε, Δημήτριε u. v. a.), und zwar in der Vocativform der letzteren (Κορνήλι, 'Απολλινάρι usw.).

Was die übrigen Männernamen betrifft, so könnten sie sowohl in der Vocativform, als auch in der Nominativform (mit Ausschliessung des ausgehenden -ς) herübergenommen worden sein.



გიორგი ჩუბინაშვილი.

## ქართული ხუროთმოძღვრება საშუალო საუკუნეებში და მისი სამი მთავარი კათედრალი.

(მსატყურედა შედარების ცდა).

ქართულ ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებას აქვს ორი დამოუკიდებელი ხანა, კარდინალურად განსხვავებული ერთი მეორისაგან. პირველმა მიიღწია თავის სრულ აყვავებამდე უკვე არაბთა შენობების წინ მე-VII საუკუნეში, როდესაც განვითარების ბუნებრივი მსვლელობა ძალადობით იყო შეწყვეტილი. მეორე ხანა ახასიათებს ქართული ხელოვნების განვითარებას, მე-IX საუკუნიდან მოყოლებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მისი ევოლუცია მინდინარეობს ძლიერ უსწორ-მასწოროდ; მოკლე მოსაზრებელი ეტაპის შემდეგ ქართული ხუროთმოძღვრება აღწევს წესიერ და შეთვრთმებულ საუკუნეში ახალი მხატვრული შეთოდებისა და ღირებულებათა უმაღლეს და სრულ ჰარმონიულ განვითარებამდე. მაგრამ ამ აყვავებას როდი მოჰყვა მხატვრული შემოქმედების დაცემა; შეიცვალა მხოლოდ მისი მიმართულება, — კლასიკური ფორმები შეიცვალა ბაროკოს ფორმებით; ამასთან ისინი ირჩენენ აქტიური შემოქმედების სიკავშირს და ძლიერებას. მხოლოდ მე-XIV—XV საუკუნეების ძეგლებს ცხადად ეჩვენება ტენდენცია დაცემისაკენ. ამის მოწინავე დრო კვლავ გვიჩვენებს ამბილუბას, მაგრამ ამ ამბილუბამ ვერ მიიღწია ვერც ნაწილობრივ სინაღოსს, ვერც თავისი სტილის სრულ დამთავრებას და კამკაშა დახასიათების.

ქართული ხუროთმოძღვრების ძველ ხანას ახასიათებს იმ პირველხარისხოვანი საამშენებლო ამოცანების გადაწყვეტის დაუღალავი ძიება, რომელნიც მტკიცედ არიან დაკავშირებულნი ისეთი საერთო ხუროთმოძღვრული სიერის შექმნის საერთო ამოცანასთან, რომელიც შეესაბამება ამა თუ იმ განსახლებულ მოთხოვნილებებს და სათანადოდ განსახიერებულა გარეგნულად. ეს არის ძირითადი დამახასიათებელი ნერვი მისი მხატვრული შემოქმედებისა. ამნაირად ძველი ხანის ნაწარმოებებში უწინარეს ყოვლისა ჩვენ გვიჩვენებს შენობათა საზოგადო კონცეპცია, რომელიც იქნეს მეტად დიდ ნაირ-ნაირობას. საზოგადო კონცეპციასთან და შენობის გეგმასთან, როგორც მის მახლობელ გამოსახვასთან, ლოლიკურად დაკავშირებულია შენობის ესა თუ ის ზომა და პროპორციები, ფორმალური და კონსტრუქტიული ელემენტები და აგრეთვე გარეგანი მასები. ამ მონენტების სრული განვითარების ძეგლებს მე-VI და VII საუკუნეების გასაყარზე ახასიათებს ის, რომ ხუროთმოძღვრული კომპოზიციის ამ ოთხივე მხარეთაგან — გეგმა, სიერის შექმნა, გარეგანი მასები და კონსტრუქტიული ხერხები — ყოველი განვითარებულია დამოუკიდებელ დამთავრებამდე და ამასთანავე ლო-



ლიკურად და ფორმალურად დაკავშირებულია დანარჩენებთან, განსაზღვრავს ან განმარტავს მათ და ამასთანავე თითონაც მათგან განისაზღვრება და განიმარტება. ანაირად, იმ დროის შენობები ახდენენ მხატვრულ შთაბეჭდილებას par excellence ხუროთმოძღვრული ფორმების შენეობით. იმ დეკორატიულ მომენტებს, რომლებიც მათში გვხვდება, აქვთ ნსოლოდ ერთი ფუნქცია—სუბთქად ბაზი გაუსვან შენობის ხუროთმოძღვრების მხრივ განმარტებლ ამა თუ იმ ადგილებს. მათ როდი აქვთ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა, ან როდი ჩრდილავს წმინდა ხუროთმოძღვრულ ფორმებს.

ეს ძლიერი განვითარება ქართული ხუროთმოძღვრებისა ძველ ხანაში, ჩვენის წარმოდგენის მიხედვით მხატვრულ ევოლუციაზე, წყდება 150—200 წლით; ამ დროიდან ჩვენ ამ კამად ვიცნობთ ცოტაოდენ შენობას, რომელიც ხუროთმოძღვრების მხრივ მაინცა და მაინც არც წესანიშნავი არიან. სამაგიეროდ მე-IX საუკუნის დასაწყისიდან ჩვენ ცხადად ვხვდებით მხატვრული მოქმედების ძველის შეწყვეტილი ძაუების აღდგენას. მოკლე ხანში, სულ რაღდენიმე ათეული წლის განმავლობაში, ქართული ხუროთმოძღვრება ხელახლად აღწევს მხატვრული განვითარების მწვერვალს, მაგრამ მისი ხასიათი არსებითად განირჩევა ძველი დროის ხუროთმოძღვრების ხასიათისაგან. თუ წინანდელი ხუროთმოძღვარი შემოქმედებითი ცეცხლით იწოდა, რათა შეეკმნა ახალი ხუროთმოძღვრული კონცეპცია ფორმისა, გეგმისა და კონსტრუქციის მხრივ, ნოწიფული საშუალო საუკუნეების ხუროთმოძღვარი თავის მხატვრულ კონცეპციას საუთქულად უდებს რომელსანე თემას, შემუშავებულს ძველ ხანაში, ანვითარებს და ახალნაირად აწყობს მის ელემენტებს. წმინდა კონსტრუქტიული რივის ძიება არ შეადგენს მის სიამაყეს, აღარ იტაცებს მას. იგი ძალას ატანს სხვა მხარეს, სახელდობრ, იგი ცდილობს აამაღლოს, გაამდიეროს შთაბეჭდილება შენობის დიდებულებისა და აგრეთვე მისა ამსოლუტური ზომისა. ამასთან ერთად, რასაკვირველია, უპირატესობითი მნიშვნელობა და მეტად დიდი განვითარება ეძლევა შენობის დეკორატიულ მოკაშმულობას, კერძოთ მათი ფასადების მორთულობას.

საშუალო საუკუნეების ხუროთმოძღვრების პირველი პერიოდის განმავლობაში ჩვენ ვხვდებით დიდ ნაირ-ნაირობას ფორმებისა და თენებისას, რომლებიც ნაწილობრივ უშუალოდ უკავშირდებიან ძველ დროში დამუშავებულ თემებს, ხოლო ნაწილობრივ შეადგენენ ამავე თემების და ნათი ელემენტების თავისუფალ კომბინაციას. და მხოლოდ ერთი ფაქტი—ერთი თემის გაბატონება რაოდენობის მხრივ, სახელდობრ ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრები თავისუფლად წდგომი გუმბათქვეშა სვეტებით, თითქოს შეადგენს მთელი პერიოდის ხასიათს ამ მხრივ. ევაა ეს მხოლოდ გვეჩვენება ასე, რადგან ამ ტიპის წამოყენება პირველ ადგილზე არის შედეგი საშუალო საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების განსაზღვრული შინაგანი განვითარებისა და თვით-გამორკვევისა,—წედვი, რომლის მიღებაში ყველაზე არსებითი როლი ითამაშა საქართველოს სამა უდიდესმა კათედრალმა, აშენებულმა მე-X საუკუნეში და მე-XI-ის დასაწყისში. ამის მომდენო დროის ტაძრების ძირითადი თება სრულადაა დამოკიდებული მათი საზოგადო მიმართულებისაგან და კერძოდ ყველაზე ბოლოს აშენებულ კათედ-



რალისაგან. საშუალო სასკოლების ყველა მონაწილეთა შორის ტაძრები ბაროკოსტანს ხანაში მისდევნენ ამ დანუშავებულ თემს, რომელმაც მიიღო თითქმის კანონიერი სავალდებულო ფორმის უფლება.

ამაშირად, საშუალო სასკოლების ქართული ხელოვნებათმცოდნეობის განვითარება მოასწავებს კანონიერ მოძრაობას ორ პერიოდს შორის—კლასიკური პერიოდი და მისი ფორმების ნაირ-ნაირობისა და თავისუფალ შემოქმედებიდან ზოგიერთ დამატებითი ფორმების თანდათანობით გამოკლებამდე და ერთი განსაზღვრული თემის გაბატონებამდე ბაროკოსტანს ხანაში. დეკორატიული დამუშავების მხრივ საშუალო სასკოლების ხელოვნებათმცოდნეობამ აგრეთვე განსაზღვრულად განვლო განვითარების სტრატეგიული ეტაპები. მე-X და XI საუკუნეებში ჩვენ ეხედებით განსაზღვრულ დამატებით და შენობის მთელი ტანის მომცველს დეკორატიულ ბაღებს, რომლის მოსამზადებელი ეტაპები ჩვენ წვევიძლიან ვივიცილით მე-IX საუკუნის ბეგლებზე. ეს დეკორი (მორთულობა), როგორც განსაზღვრული მხატვრული ხერხი და სისტემა, განსხვავდება ძველი ხანის მეთოდისაგან: ეხლა იგი ვითარდება დამოუკიდებელ, შინაგანი სხვა მხატვრულ ნაწილებთან თანაბნობით მნიშვნელობამდე, რისაც ძველ დროში არა ჰქონია ადგილი. საშუალო სასკოლების ბაროკოსტანს პერიოდში გადმოსვლის შემდეგ მხატვრული მეთოდის სიმბოლის ცენტრი წყნს ხელოვნებათმცოდნეობას გადააქვს სწორედ შენობის ორნამენტალურ მოკანსმულობაში. ამ ფაქტთან, შეიძლება, დაკავშირებული იყოს ერთი საზოგადო ხელოვნებათმცოდნეობის თემის მიღება, რადგან იგი წარმოადგენდა მხოლოდ აუცილებელ ფონს მხატვრული შემოქმედების ძირითადი არესთის—დეკორატიული ორნამენტაციისთვის. კომპოზიციის საქმიან დამოუკიდებელ მხატვრულ ნაწილთან ნწყობრის შეთანხმებული სიმრავლის ნაცვლად, —იმ სიმრავლის, რომელიც აბასიათებს საშუალო სასკოლების კლასიკურ ძეგლებს, რომლების დეკორი სრულიად ეთანხმებოდა შენობის უმთავრეს მომენტებს, თუნცა ამ დეკორს აქვს დამოუკიდებელი მხატვრული ინტერესი და მნიშვნელობა, ბაროკოსტანს პერიოდში ყველა მხარეები განსაკუთრებით ემორჩილება, ემსახურება და ექვემდებარება მათს დეკორატიულ მეთოდს, როგორც ნაწარმოების მხატვრობის განსაზღვრულს. ეს მოვლენა შენიშნულია მთელ საქართველოში, თუმცა ყველგან არათანაბრობის სიკბადით და ყველგან ერთსა და იმავე დროს როდი ექუთვნის იგი. ამ მხრივ ნაპეტქავად განიჩნება კახეთი, სადაც თითქმის სულ არ არსებობს ორნამენტალური დეკორაცია და მთელი აღნიშნული ტენდენცია დეკორისადმი იღებს განსაკუთრებულ მიმართულებას, ყალიბდება სხვა ფორმებში, რომლებიც განუწყვეტლივ დაკავშირებულნი არიან თითონ ფორმების ხელოვნებათმცოდნეობის კომპოზიციისთან. მხოლოდ ზოგიერთი სპეციფიკური დანაწილება შენობებისა და იშვიათი დეკორატიული და ანა-იქ ჩუქურთმიანი მორთულობა ნებას გვაძლევს კახეთის საშუალო სასკოლების ძეგლებთან შედარების დროს ცხადად წყაშნით საზოგადო ტენდენცია მათს განვითარებაში, რომელიც სრულიად იგივეა, რაც დანარჩენ საქართველოში.

ამაშირად საქართველოს საშუალო სასკოლების ხელოვნებათმცოდნეობის ისტორია წარმოადგენს თანდათანობით მთლიანი განვითარების სტრატის. მნიშვნე-





ლობით ცენტრალური ადგილი უჭირავთ ამ განვითარებაში სამს კათედრალურ ტაძარს—ალავერდისა, ქუთაისისა და მცხეთისას. ერთი მხრით ესენი წარმოადგენენ ქართული ხელოვნების საშუალო საუკუნეების კლასიკური პერიოდის უდიდეს ძეგლებს თავისი დიდებულებით და შემოქმედების კამკაშა ჰარმონიით. მეორე მხრით მათში დაცული განვითარებით განისაზღვრა მთელი შემდეგი ქართული ხუროთმოძღვრული შემოქმედება, რომელიც ცხადად მისდევს მათში ნოცემულ ხუროთმოძღვრულ ნიმუშს, ისე როგორც კანონს. ამიტომ შედარებით ანალიზი მათი შეგებადებინებს განოვარკვეოთ არა თუ ნარტო ყოველი მათგანის ინდივიდუალური ხაზები, არამედ საშუალო საუკუნეების ხელოვანის მხატვრული მეთოდი მთლიანად. ბედნიერი შემთხვევის წყალობით, ეს სამი კათედრალი წარმოადგენს ძეგლებს საქართველოს სხვადასხვა პროვინციებისას, რომლების წინანდელი განვითარების განსხვავებული ხასიათი განსაზღვრულად გამოიხატა ამ კათედრალურშიაც. ამ მხრივაც მათი გარჩევა აყენებს მკვლევარს შეტად მარჯვე მდგომარეობაში.

მცხეთის საკატორიარქო ტაძარი, ის შენობა, რომელიც დღესაც ამწყენებს მცხეთას და ჰხიბლავს მნახველის თვალს, წარმოადგენს თავის ძირითად ნაწილებით მეღქისედეკ კათალიკოზის შენობას, დასრულდებულს 1020 წ<sup>1</sup>. ტაძარი არა ერთხელ იყო დანგრეული განზრახ დამპყრობელთა მიერ და ბუნებრივადაც მიწის ძვრისაგან, მაგრამ მისი ძირითადი ფორმები, შორათულობის სისტემა, მიუხედავად ამ ცვლილებებისა და მათ შემდეგ ნოხდენილი რესტავრაციებისა, შეიძლება ადვილად აღინიშნოს და გამოიყოს. თუმცა ამ ნგრევისა და ცვლილების წყალობით ტაძრის სურათი ნაწილობრივ ძლიერ დამახინჯებულია, მაგრამ საზოგადო შთაბეჭდილებისათვის და ძირითადი ნომენტების განოსარკვევად—ამის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. უმთავრესი აღდგენილი ნაწილები არის გუმბათი, საერთოდ ტაძრის ზედა ნაწილები და ფასადების წყობის წინა ქვები და ავრეთვე ნარტექსი და სტოა დასავლეთიდან.

ქუთაისის ტაძარი აშენებულია მეფე ბაგრატ III-ის მიერ და „ოდეს გ<sup>1</sup>მტკიცენა იატკი ქენა იყო 2234, ე. ი. 1003 წელი—ასე ვკითხულობთ წარწერაში ტაძრის ზრდილოეთის ფანჯარასთან. ტაძარი იღვა დაუნგრეველი და არც არსებითად ყოფილა განახლებული (როგორც ცხადად ჩანს მისი ეხლანდელი ჩანგრეგებას დათვლიერებით) 1691 წლამდე, როდესაც იგი „შენჯარუს ახალციხელ ოათრებმა“. ამის მოჰყვა კიდევ შემდეგი დანგრევა, რომლის ამბავი ნაწილობ, რიე ნოთხრობილია მოგახურთა აღწერაში: „გ ა უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ა 1772 წ. გამზასი და დიუბუა-დე-მონპერესი მე-XIX საუკუნის მე-20 და 30 წლებში. იმპარად, ამ მხგალითის გამოსაცენებლად ჩენ იძულებული ვართ მიე-მართოთ მთელა შენობის, როგორც მხატვრული ნაწარმოების, გრაფიკული რესტავრაციის ხერხს“.

1) არის მასში უფრო ძველი შენობის ნაწილები, რომლებიც შეიძლება გამოიყოს ანალიზის შემწეობით. მაგრამ ისინი მდგნეადევის ხუროთმოძღვრების მიერ მოქცეულნი არიან შენობის საერთო მწკრივში. აქ დაინებული საკითხისათვის მათი გამოყოფა საკითხ არ არის.

2) მცხეთისა და ქუთაისის ტაძრები დღევანდლამდე სათხადად არაა გამოკვლეული და



ალავერდის ტაძარსაც იგივე საერთო ბედი ეწია: ესეც ძლიერ იყო დანგრეული; იგი აღადგინა მე-XV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ალექსანდრე მეფემ თავისი დედიბა და მეუღლითურთ. მის მიერ შეკეთებულია დღემდე შენახული გუმბათი და ზოგიერთი ადგილას კედლები. 1742 წელს მიწის ძვრისაგან ძლიერ დაზიანდა ტაძრის ჩრდილოეთ-დასავლეთის ნაწილი, რაც იქიდანა ჩანს, რომ სწორედ ეს ნაწილი აღდგენილ იყო მეფე ერეკლე II და მისი დედის მიერ. მაგრამ ყველა განახლება ალავერდის ტაძრისა, როგორც აგრეთვე მცხეთის ტაძრისა, აწნებენ მხოლოდ პირვანდელი შენობის ზოგიერთი დეტალის გაგებას, მაგრამ ხელს როდი უშლიან ამ მხატვრული ქმნილების საზოგადო ფორმათა გამოკვევას<sup>1</sup>.


თვითეული ამ სამი კათედრალის ხუროთმოძღვრებს არ იტაცებდა რომელიმე ახალი კონსტრუქციული საკითხის გადაწყვეტა, რაც ძველი პერიოდის ხუროთმოძღვრებას ახასიათებს; არა, მას იტაცებდა აზრი, შეექმნა ახალი, ჯერ კიდევ უნახავი, გრანდიოზული, კომპოზიციით მთლიანი შენობა; მას ჰბიზლავდა ამოცანა—შექმნა უბადლო შენობა, დიდ-დიდი ზომით და ამასთანავე მარტივობით გრანდიოზულისა და დიდებული შთაბეჭდილების მომხდენი, და დაედვა საფუძვლად ამ შენობისთვის საქართველოს ბუროთმოძღვრული ხელოვნების მონაპოვართა და მიღწევათა მთელი სისრულე. ყოველი ნათვანი ჰქმნის ტაძარს ერთიან კოლოსალურ სივრცეში და ამასთან აყალიბებს მას ჯვარ-გუმბათიანი ტაძრის ნორმებში. აწნაირად გარეგან ფორმებში აქ მოცემულია მასების და სახურავების ქართული სისტემის დამთავრებული ნიმუში—ჩვენ გვაქვს ცენტრში გუმბათი, მისგან ცოტა დაბლა ძირითადი მაღალი ჯვარი შენობისა და ჯვარის მკლავებს შორის დაბალი ერთგვერდიანი სახურავები ამ ნაწილებისა. მაგრამ თვითეული ამ სამ კათედრალსაგანი საზოგადო საფუძველზე სრულად ინდივიდუალურად ავითარებს მხატვრულ შენოქმედებას, რომელშიაც იჩენს თავს სპეციალური ხერხები საქართველოს ამა თუ იმ კუთხისა.

გამოცემული ნებეულია ეს ახლოველი დროის საქმეა. მცხეთის ტაძარი გაზომილი იყო მისი სარესტავრაციო კომიტეტის პინდბილიძემ ინვენტარ ჰერმან ჰარტის მიერ და ნახაზები დაბეჭდილი იყო მის მიერ ცერხლ „Материалы по истории Грузии“-ში 1903 წ. №№ 23 და 24, გვ. 283—286 და 295—298, ისტორიული აღწერა ილუსტრაციებით გამოსცა ა. მატროსვილი მაზნის „Материалы по истории Грузии“-ში 1900—1901 წ. (164 გვ.). მე მომეცა ქვემოთ ტაძრის ნებეა და საგრძებე გაბეგვით; თუმცა იგი მაინც და მაინც არაა სწორე.

ქუთაისის ტაძარი პირველად გაზომა და აღწერა დიუბუაშე, Voyage autour du Caucase, t. I, Paris 1838, p. 411-424 და აქლას ტაბულეტი, ხალა შემდეგ ხუროთმოძღვარმა მ. მავლიძემოტმა, Материалы по археологии Кавказа, т. III, Москва 1893, გვ. 30—45 და ნახაზები მავლიძემ ამ გაზომვას, ისე როგორც ჩუხეთის ტაძრის გაზომვას შეენიერული გამოკვლევისთვის აქით მხოლოდ წინასწარი მნაშენელობა, ხალა გრავირული რესტავრაციები პავლინოვისა ხალა შენეში შექედარია.

<sup>1</sup>) ალავერდის ტაძარი დაწვრილებით იყო წესწავლილი და გაზომილი უკანასკნელ წლებში ამ გამოკვლევის შედეგო წარსოვლემს კახეთის ხუროთმოძღვრების საზოგადო გამოკვლევის ნაწილს, ხალა დაწვრილებითა დაყენებული და იმსილი ყველა სტეციალური საკითხები ამ ტაძრის შესახებ, ვერძიდ ამ ძველა ქრონოლოგიაც კახეთის ძველმან და საერთოდ ქართულ კათედრალებთან შედარებია მომედით. ხუროთმოძღვარი მ. სვეტიცხოვის მიერ 1923 წ. დაწოდების შედეგ გაკეთებულ ნახაზებიდან რამდენიმე მომეცა ქვემოთ ჩემ დებულებათა დასასურათებლიად.






ქართული  
აკადემია



მეც



სევასტოპოლისი გარნიზონი (1850-იან)



N. Severov del.



ამ სამი კათედრალის გეგმების შედარება ნებას გვაძლევს ერთბაშად აღვნიშნოთ ყველა ეს მომენტები, როგორც მათი საერთო ხაზები, ისე განსხვავებანი—ჯგუფური და ინდივიდუალური. სამივე აშენებულია ჯვარისებური გეგმით, მაგრამ არა ევრეტიკული ბერძნული ჯვარის გეგმით, სადაც ჯვარის ოთხივე მკლავი თანასწორი ან დაახლოებით თანასწორი სიგრძისაა, არამედ დასავლეთის და აღმოსავლეთის გაგრძელებული მკლავებით. ამასთან დასავლეთის და აღმოსავლეთის მკლავები დაახლოებით ერთი ზომისაა. მეორე საერთო ხაზი შეიძლება დადგინდეს იქნას მხოლოდ ტაძრების პირვანდელი სახის აღდგენის შემწეობით—ესაა სტოები, რომლებიც ამშვენებდნენ სამსავე შენობას და შედიოდნენ არსებით მომენტად შენობათა მასების საერთო შთაბეჭდილებაში. სამწუხაროდ, მცხეთაში და ალავერდში მე-XIX საუკუნის შეკეთებამ მოსპო სტოა სამხრეთის და ჩრდილოეთის ფასადებზე, რათაც არსებითად დამახინჯდა შენობები. მხოლოდ დასავლეთის მხრიდან დარჩა აქ სტოა, ისე როგორც ქუთაისში, სადაც სტოა მაინც უნდა აღდგენილ იქნას. თუ ეს ნთავარი მომენტები საერთოა სამივე კათედრალისთვის—სამაგიეროდ საერთო ფორმების მთელი შემდეგი განვითარება თვითივე სამთავანში სრულად განსხვავებულია. გეგმის ჯვარი მცხეთის და ქუთაისის ტაძრებში გამოჰყოფს გუმბათქვეშ კვადრატს ოთხ თავისუფლად მდგარ სვეტზე, რასაც ვერა ვხედავთ ალავერდში, სადაც სამივე აფსიდა შეერთებულია კედლის მასების ნოლიან ერთეულში მხოლოდ პატარა გასაღვლებით ქვემოთ. ამაში, უეჭველია, მკაფიოდ იჩინა თავი კახეთის განსხვავებულმა ტრადიციამ ერთი მხრით და დანარჩენ საქართველოს ტრადიციამ მეორე მხრით, რადგანაც მე-X საუკუნემდე კახეთში ცნობილი არაა ისეთი გუმბათიანი ეკლესიები, სადაც გუმბათი არ იყოს დამყარებული კედლებზე და მათ შვერილებზე. ჯვარის განდაგანი მკლავები სამთავეში სრულიად სხვანაირადაა განსახიერებული: ქუთაისში და ალავერდში ეს აფსიდებია, მცხეთაში კი მათ აქვთ სწორკუთხიანი გეგმა. მკლავების დამთავრება აფსიდებით ალავერდში წარმოადგენს მხატვრობის მხრივ სრულიად კანონიერ და ლოლიკურად გასაგებ სივრცის განსახიერების ხერხს, რომელიც დამზადებულია კახეთის ხუროთმოძღვრების წინანდელი ეტაპებით; ყველაზე უფრო დაახლოებულად და თვალსაჩინოდ ამ ეტაპთაგან უნდა ჩაითვალოს ვ ა ჩ ნ ა ძ ი ა ნ ის მონასტრის ეკლესია, რომელიც ცხადად გვიჩვენებს, რომ კახეთში ტრიკონაჰის მოტივს ხმარობდნენ თავის წმინდა ხუროთმოძღვრული და არა დეკორატიული მთლიანობით. ასეთივე გაცემა განსაზღვრავს ალავერდის ტრიკონაჰიან მოტივსაც. —სულ სხვანაირადაა გამოყენებული იმავე ტრიკონაჰის მოტივი ქუთაისის ტაძარში. აქ ამ მოტივს აქვს ნამდვილად დეკორატიული მნიშვნელობა და მის გამოსაყენებლად ხუროთმოძღვარმა ეს ნაწილები გაიტანა ფასადების საერთო ხაზის წინ და დანალა სწორკუთხიან შვერილებში. ამნაირად გვერდის აფსიდებს არ შეაქვთ არაფერი აბსოლუტურად აუცილებელი სივრცის შესაქმნელად, რადგან ისინი წარმოადგენენ სივრცისათვის მხოლოდ დეკორატიულ დამატებასა. აქ ჩვენ სხვა მეთოდს ვხედავთ, ვიდრე ალავერდში; ამ მეთოდსაც აქვს აგრეთვე თავის ასახსნელად მხატვრული განვითარების ისტორია, რომლის ცალკე მომენტები იშლება ჩვენ წინ საქარ-



თველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებში, ბაგრატიონთა ტაო-კლარჯეთის სამფლობელოში და რომლის უშუალო წინამორბედ ეტაპს წარმოადგენს გრანდიოზული ტაძარი სოფელ ოშკში აშენებული 923 წ. ახლო. ოშკის ტაძარში გუმბათი აგრეთვე ოთხ დამოუკიდებელ სვეტზე დგას, მხოლოდ მის შემდეგაა აფსიდები,



ბაგრატის ტაძარი ქუთაისში (გეგმა).


რომლებსაც აქვთ ცხადად დეკორატიული მნიშვნელობა, თუმცა არა ისეთ განსაკუთრებული აზრით, როგორც ქუთაისში. ამნაირად ალავერდისა და ქუთაისის ტრიკონქი უთუოდ უნდა განვიხილოდ მათი გენეტური წარმოშობის მხრითაც და არა საბოლოო მხატვრული ეფექტის მხრივ, როგორც სრულიად დამოუკიდებელი ერთი მეორისგან. — დასასრულ, ჯვარის განდაგანი მკლავების დამთავრების





კიდევ ახალ მხატვრულ ფორმას ეხედავთ მცხეთაში, სადაც არაა აფსიდები ოთხ დამოუკიდებელ სვეტს უკან და წითელ სივრცეს საზღვრავს სწორკუთხიანი მკლა-

სვეტის უკან და წითელ სივრცეს საზღვრავს სწორკუთხიანი მკლა-



მეტრით ტახტით (მეტრით)






გები გვემთო. ამოცანის ასეთ გადაწყვეტისთვის, მგონია, ჩვენ გვაქვს ქართლში ძველები, რომლებმაც იგი მოაწადეს, მაგალითად, ახლობელი დროის რუსის საეპისკოპოსოს საყდარი. მაგრამ ამას გარდა ამოცანის ისეთ გადაწყვეტის გასა-  
ვებად, როგორც მცხეთაში ვხედავთ, ძლიერ დიდ სარგებლობას მოკვიტანს მცხეთის  
შედარება ამ მუხლში ქუთაისთან, რადგანაც ორთავეში ვხედავთ გუმბათს ოთხ  
თავისუფლად მდგარ სვეტზე: ქუთაისში ამ ჯვერდის აფსიდების წყალობით გა-  
მოწეულია ფასადებზე სწორკუთხიანი ნაწილები, ხოლო მცხეთაში სივრცის ფა-  
სადებზე აშენებული იყო სტოები, რომლებიც ასეთს შვერილებს შექმნიანარებად  
ხდიდნენ. ყველაზე უმათერესი კი იხატება მცხეთის ხუროთმოძღვრის განსაზღვრულ  
საერთო მეთოდში: თუმცა ეს ხუროთმოძღვარი ძლიერ ეტანებოდა დიდ, და-  
მათერებულ დეკორატივობას, მაგრამ მაინც უწინარეს ყოვლისა იგი ეტანებოდა  
დინჯ კეთილშობილებას და თავდაქერილობას და არ ხმარობდა ისეთი ელემენ-  
ტებს, რომლებიც ვითომც წარმოადგენენ ხუროთმოძღვრულ ფორმებს, როდესაც  
ისინი მხოლოდ დეკორი-მორთულობაა. — ამნაირად უკვე ეს შედარებითი გან-  
ხილვა კომპოზიციის ძირითადი უმათერესი მომენტებისა გვიჩვენებს ჩვენ ხუ-  
როთმოძღვრების სხვა და სხვა მეთოდს, რომლებიც შეიძლება გავიკვლიოთ ამა-  
ლიხის სხვა მიმართულებითაც და რომლებიც ერთად გვაძლევენ ძვირფას მასა-  
ლას ამ კათედრალების შედარებით შეფასებისთვის და მტკიცე ადგილის დასა-  
დგენად თვითიული მათგანისთვის. გვემების კომპოზიციის სხვა ხაზები განხი-  
ლულ იქნება ქვემოთ გზა და გზა.

ყველა კათედრალის გეგმა არის სტრუქტურული საფუძველი შენობისთვის,  
არის დასაბამი პუნქტი შექმნილი სივრცისა: ისინი ერთ-ერთს აუცილებლად სა-  
ზღვრავენ და ხსნიან. ამ შექმნილი სივრცის განხილვის დროს ჩვენ ვხედავთ ხუ-  
როთმოძღვართა სხვა-და-სხვა მეთოდებს და სხვა-და-სხვა მხატვრულ მიღწევებს.  
ქუთაისის კათედრალში, — თუმცა იგი მეტად დიდი ზომისაა და თითქმის მცხეთის  
კათედრალის ზომამდე აღწევს, — როგორც ეს აღნიშნული იყო უკვე გეგმაში,  
პირველი ადგილი უჭირავს წმინდა დეკორატიულ ტენდენციას და ამიტომ სივ-  
რცის განსახიურებაში იგი თავს იჩენს ისეთი ხერხების მოხმარებით, რომლებიც  
შეუძლებელს ხდიან — ნახველმა მიიღოს კოლოსალურ სიდიდისა, სიმაღლისა და  
ამასთან დაკავშირებულის სივრცის მონუმენტალურ სიძინჯის შთაბეჭდილება,  
ხოლო თითქო ხელოვნურად ანელებენ ამ მომენტებს წმინდა დეკორატიული  
ელემენტების მოხმარებით: სრულიად მოულოდნელ ადგილებში. ასე ამ მიმართუ-  
ლებით უნდა ემოქმედათ უწინარეს ყოვლისა ძირითადი სივრცის ფორმებს პა-  
ტარა დამატებითი თალებით გუმბათქვეშა კვადრატის გვერდზე მიმართულებით  
დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, და განდავანი მკლავების აფსიდებით დამთავრე-  
ბას. შემდეგ დასავლეთის მკლავის ბოლოში ემპორების (პატრონიკეთა) მოთავსება,  
რომლებსაც ძლიერ უნდა შეემოკლებინათ თვალისთვის შენობის სიმაღლე და აგრე-  
თვე ფანჯრების და კარების განაწილება მოქმედებდნენ იმავე მიმართულებით და  
სრულიად შეუმჩნევლად იქცეოდნენ წმინდა დეკორატიულ მონენტებად. ასეთებია —  
ორმაგი, მრგვალთაყიანი ფანჯრები გვერდის აფსიდებში და აგრეთვე მოთავსება  
საქურთხეელის აფსიდაში ორი ნიშისა ფანჯრის ორსავე მხარეს, რომელთაც ტა-





ძრის აბსოლუტურ ზომასთან ერთად შეედლოთ მოცდინათ მხოლოდ დეკორატიულ  
შთაბეჭდილება და ამისთან ერთად რამდენადნე შეეცკირებინათ შენობის სი-  
დიდე. — არსებითად სხვა მეთოდი ახასიათებს კახეთის უდადეს ძეგლს—ალავერდს.




კლავიატ (შენიშნოს.)





კახეთი შენობათა რიგორისტულად დინჯი არქიტექტონიკისა და პლასტიკის ქვეყანაა, სადაც მოქმედებენ მხოლოდ ხუროთმოძღვრული ფორმებით და სადაც პრინციპიალურად უარსჰყოფენ დეკორატიულ დამატებებს მათთვის. ალავერდის




ალავერდი (პერსპექტივა).

N. Severov del.

ხუროთმოძღვრის მიერ განსახიერებელი სივრცე კოლოსალურია, იგი თითქოს ცაში მოდის. მკლავებისა და გუნბათის კოლოსალური სიმაღლის შთაბეჭდილებას ამთავრებს და ამავე დროს აძლევს მასშტაბს კოლოსალურივე ტრიკონქი აღმოსავლეთი ნაწილისა, კერძოდ ყოველი აფსიდა, რომელიც მდლდა საში ფან-



ჯრით არის დაგვირგვინებული, და რომელსაც გუმბათქვეშა სვეტებზე ორი სართულით დამყარებული კამარების მწყობრი რიგი აქვს. ეს მაღალი გასასვლელი



საქართველოს მემკვიდრეობა

აღსკრული (გააკეთი).






კამარები ღია აღმოსავლეთისა და დასავლეთისკენ, ჩრდილოეთისა და სამხრეთისკენ გვერდისა და საკუთხეველის მკლავიდან ქვემოთ და მგალობილთა იმ საყოფელოების ფანჯრებიდან ზევით, რომლებიც გამართულია ემპორებზე ყველა 4 გუმბათქვეშა სვეტის უკან. ეს შთაბეჭდილება საოცარი სიმაღლისა და სიძლიერისა იწყება შესავლებიდან—დასავლეთითა და სამხრეთის შესავლები წარმოადგენენ მაღალ, ფართე კამარებს, რომელნიც შემდეგ კიდევ მეორდებიან კუთხის ნაწილებში გასასვლელებში, ისინი არ არიან უბრალო კარები, როგორც ეს ქუთაისშია ხუროთმოძღვრის სხვა მიზნის ნიხედვით. დასასრულ, დამატებას წარმოადგენდა პატრონიკენი (ემპორები) დასავლეთის მკლავის გვერდის ნაწილებში, რომლებიც შედიოდნენ მხოლოდ ზემოთ არქიტურით სივრცის საერთო ანსამბლში. ალავერდის ხუროთმოძღვარი დეტალებშიც იჩენს ღრმა მოფიქრებას საერთო მიმართულებით. საკუთხეველის უწინდელი დაბალი ზღუდის წაწვეამ საკუთხეველის საღრმეში, შორს აღმოსავლეთის გუმბათქვეშა სვეტების ხაზიდან არა თუ მარტო შექმნა საჭირო მანძილი სივრცის შესაგრძობად მთელი ნისი სიდიდით, არამედ მიიღწია ილუზიასაც, რომ ოთხი გუმბათქვეშა სვეტი განოყოფილია და არ უერთდება ტრიკონქის კედლებს, ე. ი. მიიღო მეტი სიმსუბუქე მთელი სივრცის შექმნისა, ამასთანავე დასავლეთის ნაწილიდან აღმოსავლეთის ნაწილში განდავანი მკლავებით გატარებული ნოტივი თაღების კამარებისა ქვედა და ზედა საართულში ხაზს უსვამს ხსენებული მთელი სივრცის შეერთებას მთლიან ერთეულად. აქ თითქმის ასეთივე ხერხები, ოღონდ ელემენტების სხეანიარად შეუარდებისა და პროპორციების შენეობით, ქმნიან სულ სხვა შთაბეჭდილებას, ვიდრე ქუთაისში,—ჰქმნიან შენობის უხომო სიდიდის, სიღრმის, კოლოსალური სიმაღლისა, გრანდიოზობის და თავისუფლების შთაბეჭდილებას, მის სრულ მთლიანობასა და წყნარ სიმარტივესთან ერთად.—მცხეთის ტაძარი შექმნილი სივრცის მხრით, ისე როგორც ვეგნითაც, სარგებლობს ამ თავის დიდებული ნოცილეებით. საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეები, აერთებს ერთის რომელსამე ელემენტებს მეორის სხვა ელემენტებთან, რომლებიც რადიკალურად გადამუშაებულია შინაგანი მხატვრული ამოცანების მიხედვით. თავდაპირველად ტაძარში შესავლების განაწილება შეეფარდება ასეთსავეს ალავერდში, ე. ი. ერთი ძირითადი შესავალი გეაქვს დასავლეთიდან; სამხრეთისა და ჩრდილოეთისა კი წარმოადგენენ მხოლოდ დამატებას, რომელიც გადის ტაძრის გვერდის ნაწილებში. დასავლეთის შესავლიდან კედლების ბუნებრივ პერსპექტიულ შეერთებას დაპარდაპირებული აქვს მათი ფაქტიური გაფართოება და მოთავსება გუმბათქვეშა კვადრატისა, რომელიც შესანიწნევად უფრო განიერი, ვიდრე ეს მკლავი. ასეთი ახალი, მახვილი მხატვრული ხერხი გამოიღწეა აქ ხუროთმოძღვარმა, რომ შენობას და მის ძირითად გუმბათქვეშა სივრცეს ნიანიჭოს გრანდიოზობა. დასავლეთის მკლავის სახესაც პირველად ხელი უნდა შეეწყო ამისთვის პატარა და დიდი კამარების ერთი მეორის შენდევ ჩარიცვებით; ეს კამარები უკვე ნარტექსიდან ჩანდა ტაძრის შესავალში. ალავერდში მგალობელთა გუნდების სამყოფო გამართულია ტაძრის აღმოსავლეთი ნაწილის კუთხეებში: მათ ღია ფანჯრები აქვთ დატანებული საკუთხეველში და ჯვარის განდავანი მკლავებში; ქუთა





ისში კი ეს ემპორები (პატრონიკეები) გამართულია ტაძრის დასავლეთ ნაწილში. მცხეთის ხუროთმოძღვარი ამ ემპორებს არა ჰპართავს თვით ტაძრის მკლავში.



ფსეთის კათედრის სკეტი



მცხეთა (განაკვეთი)






არამედ გადააქვს ნარტექსის რაიონში, რომლის მეორე სართულსაც წარმოადგენს ისინი. ამასთან ეს პატრონიკები მოწყობილია, როგორც შენობის შესანიშნავი დეკორატიული ელემენტები პატარა სვეტების, ჩუქურთმიანი სვეტის თავების და ამ ფანჯრების ფორმისა და პროპორციების შემწობით. დასასრულ, ფანჯრების და ნაწილებაც მკლავებში შესრულებულია აგრეთვე დეკორატივობის ნიშან ქვეშ. სანი ფანჯარა გვერდის მკლავებში ჩაოვიებულია ლამაზ სისტემაზე კედლის მთელ არეზე და არ არის რიგორისტული სიდინჯით აწეული ზევით, როგორც ალავერდში; საკურთხეველში-კი ისე როგორც ქუთაისში ნარტო ერთი ფანჯარაა, ხოლო კედლის მთელ ქვედა ნაწილზე გაბმულია დეკორატიული ნიშების მთელი მწყობრივი სამ-საფეხურიანი მალლობის ზემოთ, რომელიც გამართულია მღვდელთმსახურთათვის. — ამნაირად ყოველი სამ კათედრალთაგანი თავის მხატვრულ რიგბასა და კილოს აძლევს მთელ თემის; მათი დაპირდაპირება ერთმანეთთან მხოლოდ ხაზს უსვამს ინდივიდუალურ მხატვრულ შემოქმედებას, რომელიც მარჯვედ სარგებლობს სხვების წინანდელი ანალოგიური ნიღწევებით.

როგორც გეგმით, ისე განსახიერებელი შინაგანი სივრცით სამი შედარებელი კათედრალი ტიპური წარმომადგენლებია საშუალო საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებისა, ტიპიურები თავიანთი მეთოდით და ამოცანებით, რომელნიც განსხვავდებიან ძველი ხუროთმოძღვრების შეთოდისაგან და ამოცანებისგან. აი ამიტომ არა დაჰვადება რა, თუ ამ შენობათა კონსტრუქციის საკითხებზე ხმას არ ამოვიღებთ, — მათში არაფერია ახალი, არის მხოლოდ კარგი სკოლისა და შემუშავებული ტრადიციების შავალიოყბი. ამ მაგარ საუფუგნელზე იშლება საშუალო საუკუნეების ხუროთმოძღვრათა მთელი შემოქმედება, რომელიც ბუნებრივად პირველ რიგში აკენებს თავის ქმნილების დეკორატიულ მხარეს, იგი ცხადად ჩანს ყოველი შენობის შიგნით, თუმცა სხვა და სხვა წიშით თვითიველ მათგანში. ხოლო ფასადის ნაწილებში იგი საყვებიათ იზენს თავის სახეს; ყოველი ფასადი არის დამთავრებული სისტემა იმ მასებისა, რომლებიც შეეთარდებიან შინაგან სივრცეს და ნაკარნახევია ამ სივრცის ნიერ. აღმოსავლეთის ფასადი სამსავე კათედრალში წარმოადგენს გარეგანი არქიტურის გაბმულ სისტემას ორი სამკუთხიანი ნიშით მასში, — ეს ნიშები იმყოფებიან საკურთხევისა და გვერდის ოთახების საზღვარზე; არქიტურები შედგება პატარა სვეტების კონებისგან და თავის განაწილებით და პროპორციებით ხაზს უსმენ მოცემულ ხუროთმოძღვრულ ნაწარმოების საერთო ხასიათის ამა თუ იმ მხარეს. ქუთაისში და ნეხეთაში ამის ემატება, როგორც სხვა ფასადებზეც, მდიდრული ჩუქურთმა ფანჯრების და კარების ჩარჩოთა, რასაც არ ვხედავთ ალავერდში. ხოლო სივრცის ფასადები თუმცა შორთულნი არიან დეკორატიული კამარებით, ნაკრამ არ არიან გადაბმულნი ერთმანეთთან, არამედ წარმოადგენენ ცალკე დეკორატიულ მომენტებს, რომლებიც მხოლოდ ფასადების მთლიან ერთეულში წარმოადგენენ განსაზღვრულ სისტემას. ამას ადგილი აქვს ქუთაისის ტაძარშიაც, სადაც სივრცის ფასადების შუა ნაწილი წინაა წაწეული, თუმცა არქიტურის მთლიანობა აქ თითქმის წესრულებულია, რაც შემდგენი ახასიათებს უფრო პატარა ტანის ტაძრებს ქართლში და დასავლეთ საქართვე-





საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მშენებლობის მემორიალი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მშენებლობის მემორიალი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მშენებლობის მემორიალი



ლოში. სამწუხაროდ, სრულ წარმოდგენას იმ მხატვრულ შთაბეჭდილებებზე, რომელსაც ეს სიგარძის ფასადები პირველად ახდენდნენ ალავერდსა და მცხეთაში, ჩვენ ამჟამად ვერ აღვადგენთ, რადგანაც ისინი ძლიერ დაზიანებულია დახვრევისა და შენდევით რესტავრაციებისგან. სტოები, რომლებიც ემატებოდა ამ ორი შენობის გარეგან მასებს სიგარძის ხაზზე, საბოლოოდ განადგურებულ იქნა მე-XIX საუკუნეში და მათი აღდგენა (გრაფაქული) ამ მხრივ მოითხოვს სპეციალურ დასაბუთებას, რის გამოც ის უნდა გამოეყოფეთ აქ. სტოების მოსპობასთან ერთად, რასაკვირველია, დამაზინებელი იყო დეკორაციების ცალკე ელემენტებიც და არა მარტო მთელი მისი სისტემა, რაც ნამეტანვად ცხადად ჩანს ალავერდში. ზოლო მცხეთაში ყველა ფასადები შეკეთებულია—არსად არაა შენახული პირვანდელი წყება, დარჩენილა მხოლოდ ნაგლეჯები, ქვა არაა დაწყობილი თანასწორ რიგებად, როგორც ქუთაისში, ან ალავერდში, დაწყობილია ნაირ-ნაირი სიმაღლის ფილებისგან. აი ამიტომ აღექსანდრე ნეფეს შესაძლებლად ნიანდაკ დაეკვებნა, მცხეთა ტაძარი „ველვად აღშენებად“-ო. მხოლოდ მცხეთის დეკორაციის ძირითადი მოქმედები და მისი ორნამენტალური ჩქქურთმის და პოლიქრომიის მოტივები შეიძლება აღანიშნოს უწყალებლივ. ამათთან ერთად დგანან ამ დროისთვის და მთლიანი სისტემისთვის სრულიად უცხო ელემენტები, როგორც, მაგალითად, უცნაური ფორმის ნიშები საშხრეთის ფასადზე ანუ სამმაგი ფანჯარა აღმოსავლეთის ფასადის ფორნტონში და სხ. მცხეთის დეკორაციების მთელი სისტემა აშენებულია უმთავრესად ფანჯრებისა და კარების ორნამენტალურ ნორთულობის ეფექტებზე, რაც ქუთაისსაც ახასიათებს. ნამეტანვად გამოჩენილია ამ მხრივ ორისვე ამ ტაძრის დასავლეთის შკლავები, სადაც მხატვრები ცდილობდა შეექმნათ ნანეტანვად რელიეფური მდიდარი სინათლისა და ჩრდილის თამაშით ჩქქურთმა და თვით ბუროთმოძღვრული ფორმები.

ამ სამი კათედრალია ფასადების დეკორატიული მორთულობის დაწვრილებითი განხილვა და მათი დაპირდაპირება ერთმანეთთან, როდესაც ვერ ხელთ არა გვაქვს დაწვრილებითი ნახაზებისა და სპეციალურად შესრულებული ფოტოგრაფიული სურათების სრული კრებული, მიზანშეწონილად არ ნიანაზნია და ამიტომ ზემოთ მოხსენებულ საზოგადო შენიშვნებზე მეტს აღარას ვიტყვი. ამას კიდევ უნდა დაუმატოთ, რომ ტაძრის ფასადების დეკორატიული მოტივები თავს იჩენენ მის შიგნითაც—და ეს ასეა სამსავე კათედრალში. ამას გარდა, გარეგანი დეკორატიული აქცენტები და განაწილება მოასწავებენ ტაძრის შინაგან სივრცესა და კონსტრუქტიულ დანაწილებას.—იმ დროს ტაძრების გარეგანი ნაწილის მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენს კიდევ გუმბათი, რომლის პროპორციას მთელ შენობასთან განსაზღვრავს გარეგანი სახე. სამწუხაროდ სამთავე კათედრალთაგან არც ერთში არაა დარჩენილი პირვანდელი გუმბათი. მცხეთაში იგი აღდგენილია დანგრევის შემდეგ მეფე გიორგი ბრწყინვალის (1318-1348), აღექსანდრე I (1412-1442) და როსტომის მიერ (1656 წელს), ხოლო ალავერდში კახეთის მეფის აღექსანდრეს მიერ XV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. მაგრამ მაინც უნდა აღვიაროთ, რომ ორივე ეს გუმბათი ვადმოგვეცემს პირვანდელ შეფარდებას მათი ერთმანეთთან, შედარება გვიჩვენებს, რომ ალავერდის ტაძარი შესამჩნევად



უფრო მაღალია, რაშიაც თავი იჩინა კახეთის ხუროთმოძღვრების საზოგადო ტენდენციამ მაღალი პროპორციებისადმი, რომელიც წითელი ძაფივით მოსდევს დაწყებული უძველეს შენობებიდან და გათავებული უკანასკნელებით.

აი ასეთია შედეგი საქართველოს ამ სამი უდიდესი კათედრალის ერთმანეთთან შედარებისა და ის მხატვრული ღირებულებანი, რომელთაც ისინი წარმოადგენენ. საერთო თემები აქვთ სამივეს, მაგრამ ეს საერთო თემები დამუშავებული არის ყოველ სამთავანში სრულიად განსხვავებულად, თავისებურად, ამასთან უეჭველია, რომ დამუშავების ხასიათზე ძალეში გავლენა აქვს საქართველოს ამა თუ იმ კუთხის ხუროთმოძღვრების ტრადიციებს. სამისავე კათედრალის ამ საერთო მხატვრულ ღირებულებებში მოთავსებულია ის ახალი, რაც არ იცოდა წინად საქართველოს ძველი პერიოდის ხუროთმოძღვრებამ და რაზეც სწორედ ამ ძეგლებში მიიღო თავისი ჰარმონიული გამოთქმა. სამივე კათედრალი ამ ნაირად მოასწავებს მთელი ქართველი ხალხის გენიის უდიდეს დაძაბულობას და შემოქმედებით მიღწევას. ამიტომ ბუნებრივია, რომ თვითეული ხსენებულ ძეგლთაგანი საერთო სტილისტიკური მეთოდისა და მხატვრულ ამოცანათა საერთო გაგების ნიადაგზე წარმოადგენს ხუროთმოძღვრულ ამოცანათა სრულიად ინდივიდუალურ, განუმეორებელ გადაწყვეტას. ამ ძეგლებში საცესებით იჩენს თავს მეტად დიდი თავისუფლება და სიძლიერე მთლიანი სივრცის განსახიერებაში ხუროთმოძღვრული ფორმების დინამიკებასთან ერთად. ამ შეფარდებას მკაფიოდ ახასიათებს ტაძრების გრანდიოზული ზომები და რამდენადაც კი შეიძლება მარტივი, ნათელი, გამჭვირვალე იდეა. ყოველ ძეგლში ჩანს ღრმად მოფიქრებული გეგმა, რომლის განსხვავებულ თვისებას წარმოადგენს ნაწილების საინტერესო შეფარდება. დასასრულ, შენობის მასებსაც ეტყობათ მისწრაფება ინდივიდუალური სიკაშკაშისა, დახასიათებისა და მორთულობისადმი. მხატვრული შემოქმედების ყველა ეს მიმართულება, რასაკვირველია, როდი მიდის ზოგი ალთას და ზოგი ბალთას, პირიქით ისინი იჩენენ მტკიცე შეთანხმებას ერთმანეთთან: შინაგანი სივრცე, განსაზღვრული გეგმის მიერ, განოითქმება, ისახება და აღინიშნება შენობის გარეგანი ფორმებით, რომლებიც აღწევენ ჩვენს ძეგლებში სიმაღლის განისადმი პროპორციის განსაზღვრულ საზღვარს. X—XI საუკუნეები წარმოადგენენ მთელი საქართველოსთვის იმ ხანას, როდესაც ახალი სტილის ხუროთმოძღვრულმა შემოქმედებამ მიიღწია სიღინჯისა და ჰარმონიისადმი, როდესაც შექმნილი იყო კლასიკური ძეგლები და საცესებით ჩამოყალიბდა ყველა მხრივ განსაკუთრებული სტილი. ამ სამი კათედრალის ერთმანეთთან შედარება გვიჩვენებს, რომ ალავერდის ტაძარი როგორც გეგმის ძირითადი ხაზების დამუშავების ხასიათით, ისე დეკორატიული მეთოდებით უფრო ძველ დროს ეკუთვნის, ვიდრე ქუთაისის ტაძარი (1003 წ.), ან ნეხეთის ტაძარი (1020 წ.<sup>1</sup>). ამასთან მცხეთის ტაძარი, რომელსაც უჭირავს საშუალო გეოგრაფიული ადგილი ქუთაისისა და ალავერდს შორის, ბოლო დროს მიხედ-

<sup>1</sup>) იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჯერ წაუციოხავი (ალბათ, აშენების შესახებ) წარწერა ალავერდის აღმოსავლეთ ფასადზე, დიდხანს აღარ დარჩება წაუციოხავი და გვიშველის ტაძრის აშენების დროს ზედმიწევნით გამოტყვევას.





ვით ორივეს მოსდევს, ვვიჩვენებს, რომ მის ხუროთმოძღვარს გაცნობილი ჰქონია ეს მაშინდელი უდიდესი ხუროთმოძღვრული კმნილებანა საქართველოსი და მოფიქრებით გამოუყენებია მათი ცალკე მხატვრული ელემენტები თავის დამოუკიდებელს, სავსებით დამთავრებული მხატვრული კომპოზიციისათვის. ამ ნაირად ჩვენ ვხედავთ ამ სამს კათედრალში უპირველეს ყოვლისა მაგალითებს თვითეული მათგანის შექმნილი კუთხის ნაირ-ნაირი მხატვრული მეთოდებისას სულის ნაირ-ნაირი ფსიქიკისას და შემდეგ ჩვენი ქვეყნის მთელი მხატვრული კულტურის შინაგანი ევოლუციის მოძრაობის ანარეკლს.

GEORG TSCHUBINASCHWILI.

## Die mittelalterliche Baukunst Georgiens und die drei Hauptkathedralen dieser Zeit. (Ein vergleichender kunstwissenschaftlicher Beitrag).

Kurze Inhaltsangabe.

Im vorliegenden Aufsätze ist der Versuch gemacht, jede der beiden Hauptperioden georgischer Kunstentwicklung in christlicher Zeit zu charakterisieren und die vollkommen selbständige, grundsätzlich verschiedene künstlerische Art der mittelalterlichen Baukunst Georgiens gegenüber der alten, die ihre volle Blüte vor dem Einbruch der Araber um die Mitte des VII. Jahrhunderts erreicht hatte, bestimmt zu formulieren.

Die darauf folgende kurze Auseinandersetzung der inneren Gliederung in der Entwicklung der mittelalterlichen georgischen Architektur vom IX. bis zum XVI. Jahrhundert hat zum Ziel, die Stellung zu bestimmen, welche die drei Hauptkathedralen des georgischen Mittelalters in dessen klassischer Periode, die sich bald darauf um die Wende des XI. und XII. Jahrhunderts zum georgischen Barock umwandelt, zu behaupten haben.

Der ganze übrige Teil dieser Abhandlung bildet einen Versuch vergleichender kunstwissenschaftlicher Analyse der Kathedralen in Alawerdi, Kuthais und Mzchetha, von denen die in Kuthais 1003 und die in Mzchetha 1020 erbaut ist. Die Alawerdi-Kathedrale ist nicht näher historisch datiert, der Vergleich aber lässt sie als die den beiden anderen vorangegangene bestimmen. Die einzelnen Momente der Darstellung werden durch Abbildungen begleitet, die zunächst Grundrisse der Kathedralen von Alawerdi (Abb. 1), Kuthais (Abb. 2) und Mzchetha (Abb. 3), dann eine photographische Aufnahme der Ruinen der Kuthaisser Kathedrale im Innern (Abb. 4), eine perspektivische Innenansicht von Alawerdi (Abb. 5 — gegen Osten) und zwei Längsschnitte der Kathedralen von Alawerdi (Abb. 6) und Mzchetha (Abb. 7); endlich noch die Ostfassade von Alawerdi (Abb. 8) wiedergegeben. Diese drei Kathedralen haben alle im Laufe der Zeit stark gelitten — die Kuthaisser steht seit 1691 zertrümmert da, die Mzchetha- und Alawerdi-Kathedralen aber sind mehrmals seit dem XIV.—XV. Jh. renoviert worden, wobei manche Eigentümlichkeit verloren gegangen ist. In den Grundformen aber sind die künstlerischen Kompositionen aufrecht erhalten und deutlich wahrzunehmen. Nur die Alawerdi-Kathedrale konnten wir etwas reicher in Abbildungen vorlegen, da sie bereits im Einzelnen erforscht und vom Architekten am kunstwissenschaftlichen Institut der Tifliser Universität N. Severov genau vermessen ist. Für die Kuthaisser und die Mzchetha-Kathedrale konnte leider nur älteres, ziemlich allgemein gehaltenes und auch darin nicht immer zuverlässiges Material verwendet werden.



ვარლამ თოფურია.

## ქ ა რ თ ლ უ რ ი<sup>1</sup>.

ქართლურის შესწავლა დიალექტოლოგიური თვალსაზრისით აუცილებელი და მორიგი იყო. იგი აგრეთვე სხვა მხრითაც იწვევდა ინტერესს: მას თავისი ენობრივი მონაცემით უნდა გადაეწყვიტა ზოგიერთი საყურადღებო საკითხები... ამიტომ საენათმეცნიერო საზოგადოების დავალებით 1923 წლის 23 ივლისს მის შესასწავლად გორის მაზრაში გავემგზავრე. სამუშაო ცენტრად ტყვიავი ავირჩიე. იგი გორიდან 18 ვერსით არის დაშორებული და ცხინვალ-გორის შარა-გზაზე მდებარეობს. ტყვიავი მონრდილი რაიონია და 24 სოფელს შეიცავს. ჩენი არჩევანი მაინცდამაინც უხეირო არ აღმოჩნდა შეცადინების მხრით, რასაკვირველია.

მართალია, ხაფხულობით ენათმეცნიერული მიზნით სოფლად მუშაობა ძნელია, რადგანაც სოფელთა მოწყველობის გამო ყოველთვის ობიექტთა სიმცირეს განიცდიდა მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე მაინც გეარჩიანს პირობებში ვიყუდ ჩაყენებული: ტყვიავი, როგორც ადმინისტრაციული ცენტრი, მუდამ იზიდავდა გლეხობას სხვადასხვა საქმეთა, განსაკუთრებით თხოვნა-საჩივართა, გამოამას თუ დაეუმატებოდა გლეხთა ყრილობა-კონფერენციებს, სტატისტიკური აღწერის წარმოებას, რომელთაც იმ დროს ადგილი ჰქონდა, მაშინ ნათელი გახდებოდა, თუ რამდენად ხელსაყრელი პირობები იქნებოდა მუშაობისათვის...

ქართლურისათვის დამახასიათებელი ენობრივი ფაქტების ერთ კუთხეში დადგენისა და სისტემაში მოყვანის შემდეგ მე შემეძლო ტერიტორიის გაფართოება:—სხვადასხვა რაიონში გადასვლა და აღნუსხულ მოვლენათა შემოწმება. ამ მიზნით შემოვლილ იქნა ტყვიავის რაიონები მთლიანად, შენდეგ კი უმთავრესად მარტო ადმინისტრაციული ცენტრები: მეჯვრისხევი, შინდისი, დირბი და ზოგიერთი სოფლები: ქურთა, ზემო ნიქოზი, ქვემო ზვითი და სხვ. მიუხედავად ვრცელი ტერიტორიისა, ყველა ეს რაიონი ენობრივად იდენტური აღმოჩნდა, თუ არ მივაქცევთ ყურადღებას, რასაკვირველია, ზოგიერთ უმნიშვნელო წერტილამს<sup>2</sup>.

<sup>1</sup>) „ქართლური ფონეტიკა და მორფოლოგია“ ცალ-ცალკე მოხსენებად იქნა წაკითხული ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1924 წ. 23 და 30 დეკემბერს. ამ იხუტდება ზოგიერთი ცვლილებით.

<sup>2</sup>) მოგზაურობისთვის გადადებული დროის ნაწილი განკუთვნილ იქნა აგრეთვე ქართლში დატულ სიძველეთა დათვალიერება-აღწერისათვის; ზოგი მათგანი სრულებით უცნობა აღმოჩნდა ჩვენს არქეოლოგიურ ლიტერატურაში. ჩემს მიზანს წარწერების გადმოღება შეადგენდა, და ამ მხრით გადმოწერილ იქნა ერედვის ეკლესიის მთლიანი მონოლითის მე-X საუკ. (რო-





ენიურად ქართლის მოსახლეობა არ არის ერთფეროვანი: შიგადაშიგ დაინახავთ ოსებს, ქართულად მოუბარ სომხებს (ქართლელთაგან მათ თითქმის მხოლოდ სარწმუნოება ანსხვავებეს) და საქართველოს სხედასხვა კუთხიდან გადმოსახლებულ ერთეულებს. მეზობლად მყოფ ოსებთან მჭიდრო ეკონომიურ-ადმინისტრაციული და ხშირად ნათესაური კავშირი აქვთ. ზოგი ქართული სოფელი ამ ქამად სამხრეთ-ოსეთის რესპუბლიკის ფარგლებში შედის. მაგრამ, მიუხედავად ასეთი ურთიერთი დამოკიდებულებისა, ოსური ენის გავლენა ქართულურზე თითქმის სრულებით არ არის შემჩნეული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ ლექსიკურ მასალას, და იმასაც ოსების ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი საგნის სახელწოდებას, როგორც მაგალითად „ხაბიზგინი“ (ხაჭაპური), „ქარჯინი“ და სხ. პირიქით კი ოსმა ხშირად იცის ქართული; გამოთქმაში თავისებურებაც ახასიათებს. თვით ქართლელთა შინაშეული ჰქონიათ რომ, ოსი ქართული სიტყვის „კანს“ „კ“ არად გადააკეთებს ხოლმე: „კიტრი—ჭიტრი, კრება—ჭრება“ (ეს უკანასკნელი ცხანვალის სახელწოდებად აქვთ გამოყენებული).

ქართლელებს ხშირი მიმოსვლა აქვთ აგრეთვე გორსა და ტფილისში და ალბათ ამით აიხსნება რუსული სიტყვების ასე განმტკიცება. რასაკვირველია, მე არ ვღაპარაკობ ისეთს გავრცელებულ რუსულ (ან რუსული გზით შემოსულ) სიტყვებზე არა მარტო ქართლში, არამედ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, როგორიცაა: „სტოლი, რუჩკა, ფაქტონი, უჩენიკი, ტეტრადი“ და სხ. და აგრეთვე სამხედრო ტერმინებზე, რაც ბლომად მოიპოვება და მათი ხმარება გასაგები მიზეზით აიხსნება, არამედ ასეთებზე: „ნეუქელი, აბიდას მაჭმეინებ, ატკაზი დატკა, შენი დუხი აღარ იყოს, დუხი უნდა გაწყდეს, ზასტაო, კანდრაბტი, კრიშკა, ნასლედნიკი, პუსტიაკი რამე“ და სხ. ბევრი მათგანი ისე გადაკეთებულია და გადასხვაფერებულია რომ, დღევანდელი სახით მისი ამოცნობა არც ისე ადვილია: ლაჩი || ლაში („იასე ფავლენიშვილი ლაჩის შკოლაში ნაგდები“) — младший; ლილია (линия), იმტერსი (интерес), პამედნიკი (памятник), ფრონტი, საფრონტო მიწა (фонд), ჩლედი (член) და ასეთები. ზოგი რუსული სიტყვა იმდენად მტკიცე ვაშხდარა ქართლელის ცნობიერებაში რომ, ვერ წარმოუდგენია „ფიცრის ზაბორი“ რუსულია და „მესერი“ ქართული, როგორც ამას პირველ

გორც ეს მოცემული თარიღით ირკვევა) წარწერა, შემდეგ ტბეთისა, რომელიც ჩემი აქ ყოფნის დროს დაანოვის (ორივე წარწერა დაგებულია „სინტორიო მონასხის“ II წიგნში, ტფილისი 1924, გვ. 129—135, შემდეგი სათაურით: „შიდა-ქართლში დაცულ ზოგიერთ სიწველეთა წარწერები“), ზემო ნიქოზის, მონასტრის, ქვემო ხვითის, იკორთის ტაძრისა და აგრეთვე არბოში, ქვემო ხეივანში დაცული ხატებისა და წინდისში შენახული ჯვრის წარწერები. ამთგან ზოგი არქეოლოგიურ ლიტერატურაში გვხვდება მაგრამ, საკმაო შეუთომებით... ქვაჯვარათა რიგები ორი ცალით ვადიდდა.

1) ისიც უნდა ითქვას, რომ ოსთა ერთგული ნაწარმოები ყველა როდია ოსური სახელით გავრცელებული და ცნობილი, არამედ ქართულად, ოღონდ მსახლრეოდ და „ოსურ“ სიტყვა აქვს დართული, მაგ: „ოსური ყველი“, „ოსური ჭული“, „ოსური შალი“, „ოსური ლუდი“ და სხ.

2) ეს მოვლენა პრაფ. გ. ახვლედიანს დადასტურებული აქვს (იხ. 1923 წლ. 28 ოქტომბრის საჯარო სხდომის ოქმი № 12: „ქართ. საენათმეცნ. საზოგ. წელიწდ.“, I—II, გვ. 353).



მიმტკიცებდა ერთი მერელი [მერეთიდან] მოქალაქე. აქ მოკვანილი და მსგავსი მაგალითები საყურადღებოა არა მხოლოდ როგორც გავლენით მიღებული, არამედ სხვა მხრითაც: თუ რომელი გზით შემოდინა ისინი ენაში (ამ შემთხვევაში — ქართულში) ლიტერატურულითა (შკოლის ზეგავლენით) თუ ზეპირით. უკანასკნელ გზას მეტი შესაძლებლობა და გასაქანი ეძლევა საერთოდ გავლენისათვის და ჩვენ მიერ ზემოთ აღნუსხული მაგალითებიც ამას უჭერს მხარს.

რას წარმოადგენს ქართული დიალექტოლოგიურად? ე. ი. როგორია მისი ენობრივი მოვლენები, რომელიც მას ქართულს დიალექტებში ცალკე ადგილს ანიჭებს? ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა ქართლისათვის დამახასიათებელ ყველა თავისებურებათა აღნუსხვა. მაგრამ თავისებურებათა აღნუსხვისას ჩვენ იძულებული ვართ მივმართოთ რომელსაღე გარკვეულ კილოს ან ლიტერატურულად ჩამოკალიბებულ ენას შესადარებლად, რომ ეს სხვაობა უფრო თვალსაჩინო და ნათელი იყოს. შედარებისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელად თანანედროვე ლიტერატურული ქართული უნდა ჩაითვალოს. მართალია, დღევანდელ სამწერლობო ენას ხელოვნურობის გარდა ფორმათა მერყეობაც ახასიათებს, რაც უსათუოდ ერთგვარ ნაკლს წარმოადგენს შედარებისათვის, მაგრამ უკეთესი დასაყრდენი არ მოგვეპოვება. ამიტომ გასაგები იქნება, თუ კი ჩვენს მიმოხილვაში სუბექტურობაც იჩენს თავს...

დამყარებული ტრადიციისამებრ ქართლის მიმოხილვისას პირველ ადგილს ფონეტიკას დავუთმობთ, შემდეგ მორფოლოგიასა და სინტაქსს. ამგვარი თანამიმდევრობა ბუნებრივი და გასაგებია. ჩვენ ვეცდებით ყველა ფონეტიკურ მოვლენებს ერთად მოვუყაროთ თავი, თუნდაც ისინი მორფოლოგიისათვის მნიშვნელოვანი იყვნენ; ოღონდ ერთ შემთხვევაში გამოიკვეთის დავუშვებთ: სუბექტურ-ობექტურ პრეფიქსთა ევოლუციას (ფონეტიკურ ცვალებადობას) და სუფიქსთა ხმარებას მორფოლოგიაში ვანებილავთ...

## I. ფონეტიკა.

1. **ბგერითი შემადგენლობა** ქართლის ისეთივეა, როგორც ეს ხალხურ-ტერატურო ქართულშია დღეს. ერთადერთი განსხვავება ამ მხრით **ჟ** (ჟოტა) ბგერის ხმარებაში გამოიხატება. ამ ბგერის ფიზიოლოგიურ აღწერას **ნე** აქ ორ შეფუძვლები, მხოლოდ ვიტყვი რომ, იგი უფრო წინაენისმიერი ბგერაა და ჩვეულებრივი ისაგან განსხვავდება ჯერ ერთი, წარმოებით: გრაფიკულად წარმოდგენილა **ჟ** წინაენით იწარმოება, **ი** კი შუაენით; მეორე მით რომ, სუსტი ბგერაა და ადვილად იკარგვის; მესამე — იგი უმარცხელთა, რაც ლექსთწყობიდანაც ნათლად ჩანს, მაგ: „ერთი საკვირველი ენახე, იხვი მოგდემ დაბლა ქორსა“ (ამოღებულია 16 მარცვლიანი ლექსიდან); მეოთხე რედუქციასაყოფილი სანის მონაცვლეა და მესუფიც — სანთან და ზოგჯერ ზანთან **ჟს**, ამ დიდთონგს შეადგენს. საერთოდ უნდა ვთქვათ, რომ **ჟს**, ამ დიდთონგი ან ჟოტის სანის ადგილას ხმარება უმთავრესად შემ-





ნეულია ზმნებში და ისიც იმ ბგერებთან, რომელთაც ჩვენ სათანადო ლიტერატურიდან „დედისბგერების“ სახელწოდებით ვიცნობთ, მეტიდრე ტ.დ.წ.ძ-სთან (ხოლო დანარჩენ ც.პ.ჯ.ჩ-სთან ა'ს გამოყენების შემთხვევები მე არა მაქვს აღნიშნული). მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ: „მოადის, მოადემდენ, დაადევს, მოადებენ, დაადგამენ, გადმოაძახა, გაატეხა, აატყდა“ და სხვა. ყველა ამ და მაგაესს შემთხვევაში მოსალოდნელი ხან-პრეფიქსის მაგიერ ა'ეს უხედავთ. იბადება კითხვა: როგორ მოხდა ეს? აქ პირდაპირ ხან-ა'ეს სუბსტიტუციასთან გვაქვს საქმე თუ ხანის ა'ედ შეცვლამდე რაიმე გარდამავალი საფეხური უნდა ვივულისებოთ? გადაჭრით პასუხის გაცემა რასაკვირველია ძნელია: ისე კი ორივე შესაძლებლობა დასაშვებია. თუმცა, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ახ დიფთონგის ხმარება და საინისო მაგალითები: „მოასლიოდა, დაასდევ, დაასდგამს, დაასძრამენ, მოასტება, გამოასტდის, ასწვრია“ და სხ. გვაფიქრებინებს რომ, სწორედ ეს ახ დიფთონგი უნდა იყოს გარდამავალი საფეხური. შემდეგ ალბათ დიფთონგური ხანის დაკარგვით ა შეპრჩა ზმნებს („აატყდა“ და სხ.), მაგრამ სუსტი ა-ც ვერ სძლებს ხანგრძლივად და დროთა ვითარებაში ისიც იკარგვის, რის შედეგად „შენ მას მიდეგ“ და მისებრი შემთხვევები უნდა ნიუანსით [ამაზე ზმნებში]. გამოთქმულ მოსაზრებას მხარს უჭერს ნომენიც, სადაც ხანის პოზიცია ტარისა და წილის წინ მეტისმეტად მერყევი გამხდარა: ზოგჯერ იგი სრულებით იკარგვის და არავითარ კვალს არ სტოვებს, ისე რომ თქვენ შეგიძლიათ გაიგონოთ: „ტრაფილი, ტრიქონი, ტეფანე, ტოლი, ტუძარი, ტარშინა“ და სხვა ბლომად, აგრეთვე „წორი, წაღლა“ და მის მსგავსი. აქაც ხანის დაკარგვამდე გარდამავალ საფეხურს უნდა ჰქონოდა ადგილი: მას ჩვენ გრაფიკულად ახ-ით გამოვხატავთ; აუსტიკური შთაბეჭდილება მისი ასეთია: ხანის წინ თქვენ გესმით რაღაც გაურკვეველი წინაენისმიერი ბგერა ა-სთან დაახლოვებული. ხანთან ერთად იგი რთულ ბგერას შეადგენს ა'თი დაწყებულს და ხანით გათავებულს, მაგ.: „როასტონი, კაბუასტაი, ჩუასტები, ასტომაქი, ასტაქანი, შეასტვირე, პრისასტაეი, საასწორი, აასტამი, მაასწავლებელი, აასწავლა“ და სხ. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ხანი არ ისმის და არის მარტო ა: „ფიეტონი, ლატები, ატოლზე, აეტრია, ბატა-ბუატი“ და მისთ. ეს უკანასკნელი (ე. ი. ა) ალბათ ბოლო საფეხურია ხანისა, რომლის დაკარგვით ხანის ყოველგვარი ნაჟანსიც ისპობა. ამგვარად, ზემოთქმულის თანახმად, აოტა, ვარკვეულად თუ გაურკვევლად გამოთქმული, თავის რაობით წარმოადგენს წინაენისმიერ უპარკვლო ბ ბგერას, რომელიც ჯერ ხანის მეზობლად ჩნდება და შემდეგ ხანის დაკარგვით მთელს მის ფუნქციას თვით იღებს თავზე და მის მონაცვლეობას ეწევა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს თითონაც იკარგვის: სტოლი > ასტოლი > ატოლი > ტოლი; მისდეფს > მისადდეფს > მიადდეფს > მიდეფს“ და სხვა. აღსანიშნავია მაინც, რომ დღესაც ყველანაირი გამოთქმა **ხ || ახ || ა** - ისმის. ასეა თუ ისე, ჩვენთვის საინტერესო ა ქართულში დადასტურებულია, მაგრამ ტყვიანისა და ჩემ მიერ შემოვლილ სხვა რაჟონში იგი არც ისე ხშირად იხმარება, როგორც ქართლის სხვა კუთხეში (მაგ. კავთისხევის რაჟონში ან სხე.). თუ რატომ ტარისა და წილის წინ იხმარება განსაკუთრებით — ეს სხვა საკითხია.



2. ფონეტიკური მოვლენები. ბგერითი ცვლებადობა უნდა დაეწყოთ Lautwandelom.

A. ასიმილაცია ყველა სხისა გვხვდება ქართულში: სრული, ნაწილობრივი, პროგრესული ტრეგრესული... ბგერათა დამსგავსება შორს არის წასული, იგი ხშირ მოვლენად ქცეულა. ასიმილაცია თანხმოვანთან ერთად ხმოვანსაც ახასიათებს. ჩვეულებრივია ხმნაში წინდებულების ხმოვნის დამსგავსება ქცევის მაჩვენებელ ან ფუძის ამოვებითან, მაგ.: „მაახსენა, ამამწვა, მამგვარა, მახხედრეს, წამაიდგენ-ღმ: წვევიდა, გემქცა, გეყვრება, დეიხზარათ, გეესვლება, შეეტანა, დეცაო, დე-ვდო, დეწერე, ჩეყარა, მეყვანათ, ვადეწყვიტა, დემიბრათ, დევეკითხე, მეგრიო და სხვა აუარებელი. ზოგჯერ ამავ მთ-, შე- წინდებულის მა-, შა-დ ქცევა ყოველ-გვარი ასიმილაციის გარეშე დგას: „შავიწყოთ, შაიყვარებს, შახურდა, შამოესმათ, შამოგეწირეს, შამიკდა, ამაილო“... ამ შემთხვევაში მა-, შა- წინდებულის ხშირმა ხმარებამ ალბათ ხელი შეუწყო მის განმტკიცებას და დღეს გვხვდება იქ, სადაც მას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ხმოვნის ასიმილაციის სხვა შემთხვევებიდან დავასახელებთ შემდეგს: „თავიანთი, აბრაშუმი, გარომობაი, უკანეები, აპოური, გვე-ლაშაპი, ამოდონჲ“... და სხ. თანხმოვნებისთვის გვხვდება ასეთი მაგალითები: „ბო-პოშნიკი, ჯლევიჯვარი (ძლევიჯვარი), ჩლელი („ჩლენი“), შაქაშეთი (საქაშეთი—სო-ფელია), შოშის გზა („შოსე“), უშალოული, ტერეგრამა, შაშა, მიხანთუნი, სა-ცეცხლული, ოლალი“ (=ოლარი: ეს ორი უკანასკნელი ინდივიდუალურია); ხოლო ნაწილობრივისთვის ეს მაგალითებში გამოდგება: „მოჭვე, ცთილობს, მოცთა, აქ-ხეთქს, წაზთა, მაკტენიც“... ნასესხები სიტყვებიზ ჩკ კომპლექსი ჰქვდ იქცა: „ბოჭ-კა, ვანიჭკა, ნინიჭკა, პრიჭკა“.

B. რაც შეეხება დისიმილაციას, იგიც ფაქტებით წილიდარია. მასაც სხვადა-სხვა სახე მოეპოვება: პროგრესული ტრეგრესული. დისიმილაცია ხდება უმთავრესად ნარნარა და ცხვირისმიერ ბგერებში, მაგ.: „ოროლი, ორჯელ, არალი (<არ არი), ჩარეკობლავ, წრეულ (<წლეულ — იხმარება ესეც!), გუშინწილა, წრევენ-დელი, ლესტან-დარეჯან, იმპელატორი, მადრობელი, ნაკრული“... ხმოვნის დისი-მილაციის შემთხვევაც გვაქვს: გენარლები (გენერალი > გენარალი — შეიძლება ეს ზოლო ანის ასიმილაციით იყოს), ტერაგრამა (აქაც მსგავსივე მოვლენაა), მოლ-რიბლული (ინდივიდუალურია), აფიცარი, ფოთელი (=ფოთოლი), შელიცია“.

C. შეტათეზს ახასიათებს მეზობელი ან შორეული ბგერების ადგილის შეც-ვლა. ეს მოვლენა უფრო მდინარ (ჩ, ლ) და ნაზალ (ნ, მ) ბგერებს ჰყვება თან. თუ ჩვეულებრივ მაგალითებს გვირდს აუფვლით და გამოვრიცხავთ, რო-გორიცაა: „სხნა (სხნილი), წამორდგენა, შხირი, ოშხივარი, თვარიელება, სუ-რიელი“ და სხვა, მაშინ დავგვრჩება „განგზავსე, ქრმის, ძრმის, ძრიენ (<ძლი-ერ), შიბრის, გაუჯვარდი, ბანალი, ფშოთი, ხლმიანი, ფცნიერი (<ცთიერი?), ავანტყოფი, ნაბორალა, ნებალი, დამბული, დგმოიარობა, ტრაშინა (<ტარშინა — ინდივიდ.), ნიბუტი, ზორველა, სამხთო (<სახმთო <სალმთო), ლაღვარძაღა“ (<მრავალძარღვა — ინდივიდ?) და სხ.

საერთოდ ქართულსა და მის კილოებში გავრცელებული ასიმილაცია-დი-სიმილაცია და შეტათეზი იმდენად ერთფეროვანია რომ, ადვილად შეიძლება





მათი სისტემაში მოყვანა და სათანადო წესის დადგენა; მით უმეტეს ეგ სამუშაო გადავიღებულა განსუ. პროფ. ი. ყიფშიძის წერილის შემდეგ<sup>1)</sup>, სადაც მოცემულია ასიმილატია-დისიმილატიის ერთგვარი წესი; დაგროვილი მასალებიც საქმაო.

**D. ბგერის დაკარგვა.** ენის ცვალებადობაში თავისებური წვლილი შეაქვს ბგერის დაკარგვასაც. ეგ მოვლენა ქართულურში მეტიმეტად მოდებულია. მის გამოწვევ მთავარ მიზეზად, რასაკვირველია, ფიზიოლოგიური ფაქტორი უნდა ჩითვალოს. განსაკუთრებით ბგერის დაკარგვა ხდება ისეთ ფონეტიკურ კომპლექსში, სადაც რამოდენიმე თანხმოვანია თავმოყრილი. რომელიმე ბგერის დაკარგვით ნაკლები ძალა იხარჯება და გამოთქმაც გადავიღებულია. აქ, ასე ვთქვათ, ძალთა ეკონომიას აქვს ადგილი. მაგრამ ბგერის გამოვარდნა ყოველთვის თანხმოვანთა ჯგუფს როდი ახასიათებს, იგი სხვა შემთხვევებშიაც გვხვდება აგრეთვე. რაც შეეხება რედუქციის ხმოვნებში, მას საკმაოდ ფართო ასპარეზი აქვს დათმობილი, მაგრამ მის განხილვაში აქ არ შევალთ, რადგანაც განზრახული გვაქვს მისი სპეციალად დამუშავება. დავიწყეთ თანხმოვნებიდან. თითქმის ყველა ის თანხმოვანი, რომელიც ძველ ქართულთან შედარებით ახალს სალიტერატურო ქართულში დაკარგულა (მაგ. რ: „ფერკი, კრალი“... და სხვა), თანამედროვე ქართულურშიც იკარგვის.

1. ა. ხანის დაკარგვა, როგორც ამაზე ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, ხდებამთავრესად ტარის წინ: „ჭრაყნივი, ტაქანი, ვეტატი, ტანცია“ და სხვ. ბგერითი შემადგენლობის განხილვისას ჩვენ აღვნიშნეთ რომ, ხანის დაკარგვამდე გარდამავალ საფეხურს უნდა ჰქონოდა ადგილი და ასეთ საფეხურად ეს მივიჩნიეთ. ამისკენ ჩვენი ყურადღება ეს დიფთონგის გამოყენებამ მიიქცია. მაგრამ, როგორც იქვე შევნიშნეთ (იხ. გვ. 130), ამის დაბეჯითებით თქმა შეუძლებელი იყო. რადგანაც ხანის დაკარგვის ფაქტი სხვა გზითაც შეიძლებოდა გვეხსნა. მართლაცდა, თუ დღევანდელ ქართულს ყურს დავუვადებთ, ვაგვიგონებთ რომ, ზოგჯერ ის ხანის ნაცვლად ჰავს ხმარობს, მაგ.: „ქრიპტი, პრიპტავი, კომოპტი, ლაპტი, ტარაპტი“ და სხ. ამასვე ვამჩნევთ ზმნებში ე. წ. „დღისბგერების“ წინ... მაშასადამე, აქედან გამოდის რომ, ხანის დაკარგვისათვის გარდამავალ საფეხურად ჰავს უნდა ჩითვალოს; ჰავ ბგერა კი ადვილად ქრება. ამ უკანასკნელ მოსაზრებას ხანის დაკარგვის სხვა შემთხვევებიც მხარს უჭერს. ლაპარაკის პროცესში თქვენ ხშირად და ადვილად შეამჩნევთ რომ, მოსალოდნელი ხანი სრულდებით არ იმის, თითქოს იქ მას ადგილიც არ ჰქონდეს. ასეთ მაგალითად მორფოლოგიაში შემდეგს ვნახავთ:

ბ. ნათესაობით ბრუნვაში დაყენებულ მსაზღვრელ სიტყვას ხშირად ხანი არ ახლავს: „იმი ხელშია, თავი თავზე, მამული გულითვინ, თმითანა, როდინი ქვა, თავი ნება არი, მიკიტნი ღუქანი, საპნი ჩხირი, მაწენი ქილა, კუნლი მიწა (საკსახელია ადგილისა), ალვი ზე, სახლი თავზე, მაგი მოკეთები“ და სხვა აუარებელი.

<sup>1)</sup> „ასიმილატიისა და დისიმილატიის წესი ქართულსა და მგერულში“ (სტფ. უნივ. მოაბზე, I, გვ. 1-8).



მართალია, ეგვევ მოვლენა სალიტერატურო ენაშიაც შემჩნეულია, მაგ.: „ღვიდა, მამიდა, ბიძაშვილი, პეტრიაშვილი“ და სხ., მაგრამ იგი სულ რამოდენიმე მაგალითით ამოიწურება. ქართლში კი ამას ფართო გასაქანი აქვს. განსაკუთრებით იგი თანისა და -თან, -თვის თანდებულის წინ იკარგვის: „პითანა, იმითახებს, ქალითვინ, თქვენითანეები, ძუძუთანაო, ვერთობა, ენკენითვე“ და სხ.

ე. ხანის დაკარგვა ნიცივით ბრუნვასაც ახასიათებს; მაგრამ შიქ, ბრუნ. დაყენებული დამატება ჩვეულებრივ შემასწინებს უნდა უსწრებდეს წინ და სიტყვის ფუძე თანხმოვნით უნდა იყოს დაბოლოებული, მაგ.: „ერთი აბაზი სამთელ დაგინთებთ, გამჩენ ნუ ახსნებ, ფართალ მოვიტან, კბილი კბილ მაყეზინა, თოკ ვეძახით, წყალ ვეტყვი, ტყუილ ვერ მოვახერხებ, შეიღებ თავი გაანებე, პური ცომ ვეძახით“... და სხვა ბლომად. ეგვევ ხანი ხმოვნით დათავებულ ფუძეებსაც ეკარგვის, თუმცა შედარებით ძლიერ იშვიათად: „ღღე გამოუშვებ მე, რკინა რკინას მიუმატებ, როგოვლა ვიძახდი“. შეიძლება ეს ინდივიდუალი ხასიათისა იყოს.

დ. ხანის გაქრობა უფრო შორსაც არის წასული. მას ჩვენ ვერ ვხედავთ ზოგჯერ ხმებშიც. მაგალითად, მე-3 პირის სუბიექტური სუფიქსი ხანი ასეთ ფორმებში იკარგვის: „მინახამ, გინახამ, უნახამ; მყამ, გყამ, ჰყამ; მძინამ, მიჭირამ, მბურამ, უშამ, მაქ, აქ“ და სხ. ეგვევ ემართება ზოგიერთ სუბიექტურ ხმასაც: „არი, დვა, ჩამ, დევ“ და სხ.

ე. ჩვენებითი სახელთნაცვალი „ეს, ის“ შემოკლებულია „ე, ი“-დ.

ყველა ზემოთხსენებულ შემთხვევებში ხანის დაკარგვისათვის ორი საფეხური უნდა ვიგულისხმოთ: ჯერ ხანის შავით შენაცვლება და შემდეგ შავს დაკარგვა. ნაგრამ ეგ, რასაკვირველია, სრულებით არ ეწინააღმდეგება უფრო ზემოთ გამოთქმულ პირველ მოსაზრებასაც, რომლის მიხედვით ხანის ნულად ქცევისათვის საჭირო იყო ეს დიფთონგის გაჩენა, შემდეგ მარტო ა'ს გამოყენება და ბოლოს მისი დაკარგვაც, ეს უკანასკნელი, მართალია, რთულია, რადგანაც მას საში საფეხური ახასიათებს, მაგრამ სათანადო მაგალითები გვაძლავს, რომ ორივე მოსაზრება შესაძლებლად დავუშვათ, ვითარცა პიპოთეზი.

2. რაეც ანაეე ბედს იზიარებს ქართულში. იგი ხშირად სიტყვაში, სადაც თანხმოვანთა კომპლექსია და რაე თანხმოვანთა ან ხმოვან-თანხმოვანთა შორის არის მოქცეული, იკარგვის. ამის მაგალითები საკმაოდ მოგვეპოვება, ნაგრამ ჩვენ რამოდენიმეთი დავცნაყოფილდეთ: „ჩილი (აქედან: ჩილოვითი, ჩილოვლი), სპიტა, ფთა, ბძანება (მობძანდი), ბძენი, ფთხილი, ბძოლა, ფბილი, მსკელავი, გძელი, ახჭილებდა, ჭინახული, ზდა (მიზლია), გავცილებული, ქეჭრელი, შწყინვალე, პტყელი, სხვასაებ“...

3. თითქმის ეგრევე ვანწირული ყოფილა მანიც. იგი თავის პოზიციას არა მარტო ნომენში სთმობს, არამედ მიმდებარეც. მისი დაკარგვის დროის გათვალისწინება რომ შეიძლებოდეს, მაშინ ერთი პრინციპული საკითხიც გადაწყდებოდა. მაგრამ ჯერ მაგალითები დავასახელოთ: ა. ნო მ ე ნ შ ი: ცირეთა (|| მცირე — უკანასკნელი უფრო ხშირად), ხარა (ხრიდან, ხარ-ბეჭი), კლავი, სხილი, ტევანი, ღვდელი, თელი (ჯანთელი), რგვალი, წყურო, ღვრია, შრალი, ყუდრო, კუხე,



კერდი, ქლე, თავრობაი, ტერი, ცნება, ტკვარი, თვარე, ძღაფრი, ნათე, დიდარი, ქადიჯვარი“ (სოფელია)...

ბ. მიმღეობაში: „კვდარი (აქედან: „კვდრეთი“), ხურვალე („ხურვალეთი“ — სოფლის სახელწოდება), სხმოიარე, ხეთისშობელი (შობლები), სროლელი, ლოცავი, ჰედელი (ჰედლიძე), თვალყურის ჰერელი, ცურავი (გველია), გლოვიარე, ბედისწერალი, ულაპავი, შრომელი, დულარე“...

ც. უფორმო სიტყვებში: „ხო, რო, ხოლოთ, რატო, ნიტო, თორე“...

როგორც ჩამოთვლილი მაგალითებიდან ჩანს, შანის მდგომარეობა მიინც-დამინც მკვიდრად არ შეიძლება ჩაითვალოს. რომ მიმღეობაში მ დაკარგულა, ამაში ეჭვი არავის შეეპარება, რადგანაც აწმყოს მიმღეობის მაწარმოებელი პრეფიქსი შა მაგრამ ნომენტან ხმარებული შანის მიმართ შეიძლება ამგვარი კითხვა დაიბადოს: ხომ არა გვაქვს დღეს ქართულში სიტყვები ისე შემონახული, როგორც ეს უნდა ყოფილიყო ქართული ჯგუფის ენათა განყოფის შემდეგ? პართლაცდა, „ტერი, კლავი, რგვალი, ხალი“ და მისებრ სიტყვებს განყოფის შემდეგ უნდა გასჩენოდა მ, როგორც ამას მეგრულ-სვანურთან შედარება გვიდასტურებს. მაგრამ ძველს ქართულში მათი შანით ხმარება გვიჩვენებს, რომ იგი დიდხანია რაც სახელებს დაპრთვია. ამის დასამტკიცებლად სათანადო მაგალითები დღესაც საკმაოდ მოგვეპოვება, მაგ.: ძველი ქართულის „შუენიერი, ტრედი“ და სხვა ახალს ქართულში შან-დართული მოგვევლინა: „მშუენიერი, მტრედი“... კითხვა ისმის: რით აიხსნება ეს მოვლენა? გადაჭრით რომელიმე დამაკმაყოფილებელი ფაქტორის დასახელება ძნელია. ისე კი გვგონია რომ, ფიზიოლოგიურ ფაქტორთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ანალოგიას უნდა დაეთმოს მაგრამ, ანალოგიას — მხოლოდ მიმღეობასთან. ამისკენ ჩვენს ყურადღებას აქცევს ნომენტა ბოლო მარცვალი: -ელ-ი, -ალ-ი, -ავ-ი, არ-ი („მკლავი, მხალი, მგელი, მრგვალი“...), რომლითაც აგრეთვე აწმყოს მიმღეობაა ნაწარმოები. მართალია, ზოგი შემთხვევა („მკადი, მსუქანი, მკუბე, მწვადი“...) ამას არ ემორჩილება, მაგრამ მათ სხვა ამხსნელი ფაქტორი უნდა მოენახოს... მაშასადამე, ნომენტან შანის გაჭრობა (თუ ეს მ სახელს ოდესმე ახასიათებდა ქართულში) მიმღეობის შანის დაკარგვის უნდა დაუეკავშიროთ და მის თანადროულად ჩავთვალოთ; გამოდის, რომ ნომენს ჯერ შანი გასჩენია, და მერე დაჰკარგვია. შეიძლება ეს ვინმეს პარადოქსად მოეჩვენოს, მაგრამ ერთის წებდვით; ასეთი დასკვნა ძველი ქართულიდან გამომდინარეობს.

4. შანის „ამბავს მოგვაგონებს ვინც. იგი საკმაო მერყეობას განიცდის ხმოვანთა შორის, განსაკუთრებით ონისა და უნის მეზობლად. არის მთელი რიგი შემთხვევებისა, სადაც მოსალოდნელ ვინს აღარ ეხედავთ; იგი უცვლად დაკარგულა, მაგ.: ა. „გასანიებელი (< ნიავი), ვითხოეთ, გვახხოე (ძხოვა), ხეისუბანი, ძღვისჯვარი, ულაში, ჩინონიკი, მენშეიკი, ნეტაი; ვიყაი, იყაი, მიყაი; ვაქს, აქს (|| ვაქ, აქ), მედებეა, -თინ (კაცითინ), გვაპატიეს (< პატივი). გენარ, საკურელი, გველეშაპი“... ბ. თუ ვინს უნი მოხდევს, მაშინ პირველი იკარგვის: „უთაური (< თავი), ძეგურა (< ძეგვი), მეჯრუხეული (< მეჯრუხევი მეჯრუხევი), ხიდითაური“ (ხიდისთავი); ეგვეე ხდება ონის მეზობლადაც: „ვეუბნელი,



ვიპოვით, მოანგროე, ციოდა\* და სხ... c. ფუძიდან ან კავსტატივის მაწარმოებელ -ევ სუფიქსიდან ხმოვანთა შორის ვინი ქრება: „ათჳმინა, დავარბენიე, დაალენა, გამაწინეე, გადახდენიება, აქენინა, ვახვია, დაწია“... d. პირველი პირის სუბექტური პრეფიქსი ვინი არ იხმარება, უკეთაუ ხმნა ვინით. უნით და ზოგჯერ მანით იწყება: „მე უთხარი, რა უყო, მოუხდი, დაუკრამ, უძახე, უპასუხე, უნახე, არ გაუშვი, უყვირე; მე ჩავარდი, ვაქრობ; მე მკი, მართლობ“... ამიტომ პირველსა და მეორე პირს შორის ყოველგვარი ფორმული განსხვავება წაშლილია. მაგრამ ამას ენა არ გაურბის.

ნ. თუ ორი ერთნაირი თანხმოვანი ზედიზედ მოდის, მაშინ ჩვეულებრივ აკუსტატიურად დაყოვნების მომენტი ხანგრძლივდება და ბგერაც გრძელი გამოდის, რომლის გრაფიკულად გამოხატვა თემლიდის ( ) დართვით შეიძლება, მაგ.: „ჩემა ხმამ, დაბინდ'აო“; მაგრამ ქართლურში ასეთი შემთხვევების დროს ზოგჯერ აკუსტატიურად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თქვენ მხოლოდ ერთი ბგერა გესმისთ: „შიში (შიშში) ჩავარდა“, (მე მან) დამარბოსა“, და სხვა ისე, როგორც S<sub>1</sub> და ვინით დაწყებული ზმნის შეხვედრის ეამს ხდება. ამგვარს პირობებში ამა თუ იმ ბგერის დაკარგვაზე შეიძლება ვცლაპარაკოთ. ეგ მოვლენა ზოგჯერ ხმოვნებსაც ახასიათებს, მაგ : ფუძისეული ბოლოკიდური ა მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ -ებ სუფიქსის გავლენით (ასიმინაციის გზით) ე'დ იქცევა ბოლმე, მაგრამ მოსალოდნელი გრძელი ე'ს ნაცვლად ჩვეულებრივი ე ისმის: „ბატარები, უკანები, მაგითანები“ და სხ. (მდრ. „ამაებს, მოლაები, ამითანები, ბლომეები“...).

ნ. არის სხვა თითო-ორი შემთხვევა, როდესაც ზოგჯერ სიტყვას დ აკლია: „ამოსავლეთი, ავადგინოთ“ (წინდებული ად გამარტივებულია ჩვეულებრივსამებრ); ზოგს—ზენი: „გარდილი (ახალგარდა, გამარდილი [აქედან იქნება წარმოშობილი: „გამდელი“], სარდო“...); ზოგს ლასი: „თომჭყაპი, სუ, ხემწიფე, ძინ“ და სხ. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

**E. ბგერის ჩამატება** ბგერის დაკარგვის კონტრასტს წარმოადგენს. ერთი-დაიგივე ბგერა ერთ შემთხვევაში შეიძლება დაიკარგოს, მაგრამ მეორე შემთხვევაში ჩაერთოს. ამის დამამტკიცებელ საბუთებს ქართლური იძლევა. თითქმის ყველა ხემოაღნიშნული ბგერა (ჩაე, მანი, ვინი...), რომლებიც ზოგიერთ სიტყვებში იკარგვიდნენ, ისევე გვევლინება. უკანასკნელს უფრო რთული მიზეზები იწვევს, ვიდრე დაკარგვას. აქ ფიზიოლოგიურ ფაქტორთან ერთად მჭიდროდ გადახლართულია ფსიქიურიც. პირველის წყალობით ექსკურსია-რეკურსიის მომენტებში მიღებული გარდამავალი ბგერა (Übergangslaut) შეიძლება გახდეს ჩამდგარ ბგერად. ამის ვარგისს მაგალითად ჩვენ ქართლში ხმარებული „სუმბუქი, საუმბარი“ მიგვაჩნია. აქ მანის ჩართვა უნისა და ხანის რეკურსია ექსკურსიის დროს უნდა მომხდარიყო, რაც შეეხება ფსიქიურ ფაქტორს, იგი საკმაოდ დიდ როლს თამაშობს ენის ცვალებადობაში: ფონეტიკის ვიწრო ჩარჩოებს სცილდება და გადადის მორფოლოგია-სინტაქსშიც; მისი წყალობით ერთი ბგერა კი არა, მთელი მარცვლიც შეიძლება ჩაერთოს... მოვიყვანოთ მაგალითები:

1. მან-დართული სიტყვები საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება: „მძვირი



(სიმძვირე, გამძვირდა), მემცხვარე („მცხვარით განასუქი“), მბილი (ძვალ), მვეული; მზეცას ვაყავ, მზეცა ვნახე; მცა („მცისათ, მცაში“; მაგრამ: „ცისიერი, ცისმარე“), სამყვარელი; მშეელი, მცხარია, უმფროსი, გაამცხადო, ამგროვებენ (უმგროვებია), ხე მბალი [„ხე ავიარე, ხე მბალი“], გაუმწვალეზა“...

2. წარის გაჩენა ღონის წინ ლიტერატურულ ქართულშიც ცნობილია: „წმინდა, შეჰამანდი, გაჩნდა, მენდლები“ [მაგრამ: „ხმიადი, ხმიადაშვილი“]; სხვა თანხმოვნებთან კი შეშდევრი მაგალითები გვხვდება: „მოანგროე [შდრ. „ამგროვებენ“], ანგრე, შემწევენობა“.

3. ვინის ჩამატებაც საყურადღებოა. როგორც ზემოთ ვთქვით, იგი ხმოვანთა შორის და განსაკუთრებით ონისა და უნის მეზობლად იკარგვის [ამისთვის სათანადო მაგალითები იხილეთ გვ. 134-ში]. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ვინი მსგავსსავე პირობებში ჩნდება, თითქოსდა hiatusის დასაფარავად მოგვევლინოს: „პოვეტი, დაუთოვება“ და სხვა<sup>1</sup>; იგი აგრეთვე ხმოვან-თანხმოვან შორის, და პირტუცკ, ჩაერთვის: „ხორველა, დაგვენახვეო (აღბათ ვ აწმყოს თემიდან გადმოყვა), აღვიარა“...

4. გვაქვს თითო ოროლა მაგალთი რაეს, ბანის, ხანის და სხვა ბგერის ჩამატებისა. მათი ჩამოთვლა აქვე შეიძლება: „ეითრომც [ინდიე], შროშის გზა, დამგლოვრდნენ, საფრონტო მიწა (=საფონდო მიწა), ყმარწილი [ამ უკანასკნელ მაგალითში შეიძლება რაე ჩამატებული კი არ იყოს, არამედ შეტათეზმომხდარი: „ყრმაწილი <ყრმა+წილი <ყრმა+წული (წ); გრგ. ბანძთ. (ხ., გვ. 50<sub>3</sub>; შდრ. ქალწული); ბჭა“ და სხვა.

5. კომპოზიტებში ზოგჯერ კომპოზიტის პირველი ნაწილი ფუძის ნაცვლად სახელობ. ბრუნვაშია წარმოდგენილი: „სახლიკარი, ვაჭიკაკი“...

ყველა ამ და მსგავს მაგალითებში ამა თუ იმ ბგერის ჩართვა სხვადასხვა ფაქტორით შეიძლება აიხსნას, უმთავრესად კი ფსიქოლოგიური. პირველი უფრო ანალოგიის სახელწოდებით არის ცნობილი ენათმეცნიერებაში, გადავიდეთ Lautwechselზე.

**F. ბგერათა სუბსტიტუცია** ან შენიაცვლება ხდება ენაში ისეთ ბგერათა შორის, რომელნიც ფიზიოლოგიურად მონათესავე და აკუსტიკურად ცოტად თუ ბევრად მსგავსნი არიან. ასინილაციისაგან სუბსტიტუცია მით განსხვავდება რომ, მონათესავე ბგერათა შორის მონაცვლეობა წარმოებს მეზობელ ბგერასთან დამსგავსების გარეშე. ამ მოვლენას, რა თქმა უნდა, სათანადო მიზეზები მოეპოვება. ჩვენ აქ შარტო მასალებით დაეკმაყოფილდებით; დავიწყებთ თანხმოვნებიდან:

1. ბავისმიერ ხშულსკდომ ბგერათა სუბსტიტუცია ფრიად გავრცელებულია ქართულში. ფრთხილ შორის მონაცვლეობას ეწევიან: გ-შ, ბ; ბ-შ, ვ, ფ; პ-ბ, რასაც შემდეგი მაგალითები ადასტურებს: ა. გ-შ: „ულმაში, მასკლაფი, ნანთი, მიწრო, აწება, კამშირი, გამწევი, თომლი, მითომ, კოში, კადენ“... აგრეთვე აწმყოს ოემის -ავ სუფიქსი და ფუძისეული ან კაუხატური -ფვ, ოვ

<sup>1</sup>) ლიტერატურულ „ქვეით, ზეით“ მაგალითებში ვინი ამგვარადვეა ჩამატებული.



გადადიან -ამ, -ემ, -ომ'ად: „გხატამ, კლამს, ვლევწამ; აძლემდა, უხემდა, ურჩემდა, სწემდა; ვთბომ, მიხსომს“... ეგ მოვლენა ვინის ბუნებას ასე თუ ისე გვირკვევს: იგი ბილაბიალი ბგერა უნდა იყოს, დაახლოებით იმგვარადვე ნაწარმოები, როგორც **ბ, მ, პ...** მისი განსხვავება უ-ბრჯგუსაგან ძველს ქართულში მარტო გრაფიკული არ უნდა ყოფილიყო, არამედ ფონეტიკურიც (ფიზიოლოგიურადაც და აკუსტიკურადაც), ამას გვიჩვენებს ერთის მხრით ის რომ, ძველი მწერლობის ძეგლებში მათს აღრევას სრულებით არა აქვს ადგილი, მეორეს მხრით—ძველსავე ქართულში ვინის შინთან მონაცვლეობა და ნესამეც — უ-ბრჯგუს ზოგიერთ შემთხვევაში რედუქციის გზით უნისაგან წარმოშობა [ამაზე სხვა დროს]; **ბ. ვ ბ:** „ბარცხნა, საბარცხელი“... **ც. მ ბ:** „ბრული, ბზითვეი, ნაბჯა“... **ძ. ბ მ, ვ, ფ:** „ქენა, ლუარსამიშვილი“; აწმყოს თემის -**ებ, -ობ** სუფიქსი > -**ემ, -ომ:** „მოწუწუნებს, მოხუხუნებს; ჩუბომდა, შიატყომს“... **ბ-ვ:** „იქმევა, ვეუბნევი“... **ბ-ფ:** „უცეფ, იაკოფა, შტაფი“; იმავე -**ებ, -ობ** სუფიქსის რედუქციის ზოგჯერ -**ეფ, -ოფ**'ი გახლავთ: „მოუკლეფ, ვაჯობეფო, ვიჩიელეფ; ვსარგებლოფ“; **ე. პ ბ:** „ბარაკლისი“...

2. ნახალ **ნ მ** სუბსტიტუცია: „სამთელი, გიჩამს, გამთავისფლევა, იმდოილი [ინდოური], წინამდელი, გამსხვევება, გამგებ, იმტერსი“ [ინტერესი]; **მ ნ:** „უნცროსი, დაახწყვიე, ნეფე, სახენწიფო (ხენწიფე)“.

3. წინაენისმიერ ხშულმსკდომთა **ტ, დ, თ** სუბსტიტუცია: **ა. დ-ტ:** „იმტელი (რამტელი), ეტი ურია, დანტური, საფრონტია (=საფონდო) ნიწა“... **ბ. დ-თ:** „რამთელი“; **ც. ტ-თ, დ:** პრისთავი, ანძლათი, პამეღნიკი“ (ПАМЯТНИК); **ძ. თ-ტ:** „სოფელი შიტყინ არის“.

4. ლიქვიდთა შორის **ა. ნ-ლ:** „რამდელი, შავკრემალი, ლემბირა“; **ბ. ლ-ნ:** „წყანწყარა [ $\langle$ წყალწყალა: ჩიტია], ძრიენ (ძიენ, ძიელ)“; **ც. რ-ლ:** „ინდოულა (იმდოილი), ლაიონი“; **ღ-რ:** „ტრმაშა“.

5. ურიკატთა ან მღერ ღრიკოვანთა სუბსტიტუცია: **ა. სპირანტთა ს-ზ:** „ზარდიონი (zaron prop. აღანინანისა), გენიოზი (შდ. ანგელოზი და მისთ.), ზაპოკნიკი“; **ს-ც:** „პენცია“; **ს-რ** სუბსტიტუცია დიდიხანია ჩატარებულია „სძე, სძალი, სთვა“ და მსგავსს სიტყვებში, მაგრამ ქართლურში არის ისეთი შემთხვევები, სადაც ლიტერატ. ხანის ნაცვლად რაე იხმარება: „სართუმლი, ვინრჯელოთ“ [„პრიკა“-ში შეიძლება ჯერ ხანის მეტათეხთან და შემდეგ შის რადე ქცევასთან ვკონდეს საქმე]; **ბ. ზ-ჟ, ძ:** „ყიელიბარი (ნაცვლად „ყიზილბაში“-სა); სამძღვარი, საბძელი, ძრახვა“; **ც. თითო-ოროლა** შავალითი აფრიკატთა და სხვა ბგერათა სუბსტიტუციისა: **ზ, ჟ-ჯ:** „ხარვეჯი, ინჯილერი, ჰარჯელი“ (უკანასკნელში პირუტყა); **ჟ-შ:** „ვაშკაცი“; **ღ-ხ:** „ხვთის“; **გ-ქ:** „ქარქი, დიქარქე“; **ტ-წ:** „საწორფელი“; **ძ-ჯ:** „მობღუნჯელი“; **ძ-წ:** „ქენწულელი“ (=კუნძულელი)...

6. გადავიდეთ ბგერათა სუბსტიტუციაზე კომპლექსებში: **ა. შტ კომპლექსი** ჩვეულებრივ იძლევა **სტ** კომპლექსს: „მუსტი, მუსტარი, ტასტი, სტრაფი, მუსტაიდი“. თუ თქვენ გარდამავალი ბგერა **ა** ტარის წინ გესმისთ, მაგ.: „შუატი“, იგი ხანის მონაცვლედ უნდა ჩაითვალოს და არა შინისა, რადგანაც ამ უკანასკნელს აორტასთან არაფერი საერთო აქვს. ეგვე წესი პირუტყვ ჩატარებულია: **სტ > შტ**





კომპლექსად: „შტრაფილი, ზუშტი, შტვირი“ (მართალია, ხშირად არ იხმარება); სწორედ ესევე შეიძლება ითქვას **სკ, შკ** კომპლექსის შესახებაც — **სკ > შკ**: „ზაკუშკა, ქვეშენით“; **შკ > სკ**: „ჩასკა, სკოლა“; **ც**. რუსულიდან ნასესხები სიტყვების **-сѣнѣ** ბოლოსართი ქართულურში **-ცქის** სახით არის წარმოდგენილი: „კრიმცკი, ანტონოვცკი, ბროცკი“ (ვაშლების სახელებია); **ძ**. კომპლექსი კი **-ხტ** თი: „კანტიტორი, კანდრაბტი, დობტური“ (ეს ხომ ცნობილია სხვაგანაც).

რაც შეეხება მარცვლების სუბსტიტუციას, უნდა ვთქვათ რომ, იგი სისტემატურად არ არის ჩატარებული; ისე კი რამოდენიმე მაგალითის ნიხედვით შეიძლება შემდეგი შემთხვევის აღნიშვნა: **ე. ვა > თ**: „კომლი, ცოდო, დადო, დავიცოთ“, ეს მოვლენა თითქმის მოყვანილი მასალით ამოიწურება; **ი. თ ვა** სუბსტიტუცია: „საღვალამენი (სოფელია ქართლში), დახვარბლული ლობიო“ ( < ხორბალიძ; **ფ. ვე — თ**: „წამოვყობიო, სადლობელი“.

7. ქართლურში ხმოვნების სუბსტიტუციასაც აქვს ადგილი. სპორადულად გვხვდება: **ა. ე — თ** შენაცვლება: „ნოსტიანი, რამდოლი“, დასახელზნის **-ება** სუფიქსის მაგიერ **-თბა** ბოლოსართი (თუ ეს ანალოგიით არ არის მიღებული): „შებედულობა, თქმულობა, იწყობა“ (და ასე უღვლილებაშიც: „მე ვიწყობ“...); **ბ. ა — ე** „ბრვერი, ექვე“; **ც. ე — ი**: „დილიგაცია, ივრე, ანიული, შიატყომ“...; **ძ. ი — უ**: „მეჯრუხევი“; **ე. ი — ე**: „კამანდერი“; **ი. თ — უ**: „უხრათ, ახური“ ( **ქ ა ხ** | ), და **ოვე, ოვა** კომპლექსი **> უე, უა**-დ: „დავტუე, ვათხუე, იშუებოდეს, გათხუება, იბუება“ და სხ. აქ ონის უნად დავიწროებაში ვინს არაფერი წილი არ უღვეს; იგი, უნდა ვიუიქროთ, ონის უნად გადაქცევამდე უნდა დაქარვულიყო. ამას ამტკიცებს ისეთი შემთხვევები, სადაც ონის უნად გადასვლა ხდება და ვინსაც ადგილი არა აქვს, მაგალითად: ონით დაბოლოებული ნოშენი მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ **-ებ** სუფიქსის მეზობლად ონს უნად იცვლის: „გოგუები, ბალუები, კალუები“, აგრეთვე „დრუებით“... და სხ.

ამით ვათავებ ქართლურის ბგერითი შემადგენლობისა და ფონეტიკური მოვლენების ზოგად მიმოხილვას. აღნიშნული ფაქტი ენისა (ზოგადი თუ ინდივიდუალური, ხშირად თუ სპორადულად ნახმარი) ქართლურისათვის სპეციფიკურს არაფერს წარმოადგენს. თითოეული მათგანი (კალ-ცალცე თუ ერთად!) აღმოსავლურსა და, თუ გნებავთ, ზოგჯერ დასავლურ კილოს ახასიათებს. ამ მხრით, მაშასადამე, ქართლური განსაკუთრებულ ადგილს ვერ დაიჭერს ქართულს კილოებში. არც ძველი ქართლისათვის იძლევა რაიმე მნიშვნელოვანს.

როგორია საქმის ვითარება მორფოლოგიაში?

## II. მორფოლოგია.

### 1. ბრუნება.

**A.** ყოველი სახელის ხმოვნით დაბოლოებული ფუძე ქართლურში სახელობით ბრუნვაში (იქნება იგი ქვემდებარე თუ დამატება — სულერთია) ხშირად დაიბრუნება **ი** ბგერას: „უნდა ძროხაი, ცხები მოვწონა, დავიწყე მუშაობაი, მოუყიდა ძმია, მიიღო მიწაი, სამი ალიი“; ინი საკუთარ სახელსაც დაემატება: „ვნახე ტეტაი, ვა-



ნოი\*...; თუ ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსახერგელი სიტყვა სასაზღვრს მოსდევს, მაშინ ი მასაც ერთვის; „ორი დღისაი, ნიში ლომისაი, სწავლა ქალე-ბისაი“. სხვათა სიტყვის ონის წინაც შეიძლება ინის ანარება: „მამულისაიო, სიტყვაიო, ელიჩაიო“ და სხ. ამ დართულ ბგერას ჩვენ მარცვლიანი ოთ აღვნიშნავთ და არა ათი, როგორც ეს ძველს ქართულშია, რადგანაც იგი საკმაოდ განსხვავდება ჩვენ მიერ შემოღწერილი აოტისგან ერთის მხრით და მცორცე—ლექსთწყობაში თუ გვევლინება, მარცვალს შეადგენს...

**ბ.** ზოგს სახელს (თანხმოვნით დათავებულ ფუძეს) ინის ადგილას ანი ახასიათებს, თუშეკა კინობითი ფორმისა არ არის, მაგ.: „ზოგიერთა, ცარიელა ქადი, იმ ოხერა ქალაქშია, ცეცხლა პირას, ხმელა შური, ხედხულა თუ ხამთარა, შორა“. ესენი „ძირა, პირა, ალაგა“ ტიპის სიტყვებს წარმოადგენენ<sup>1)</sup>.

**გ.** დაწყებითი ბრუნვა<sup>2)</sup> ლიტერატურული ენის თანაბრად ქართულურშიაც აღწერილობითია. მაგრამ ქართულურში ხშირს ხმარებაშია -ივ სუფიქსი, რომლის ბუნების გამოკრევა არა თუ თანამედროვე, არამედ ძველი ქართულის მასალე-ბითაც ძნელი ხდება: „სუყველაფრიუ მქნელია, ხმანაღლივ, უღლივ, თანაბრივ არ ასამართლებენ, ყოველ წლივ, ალაგობრივ, ფუთობლივ, სოფლობრივ მამობრივ“... არც ეს მაგალითები ამბობს მის ვაგების სასარგებლოდ რასმე. დღეს -ივ სუფიქსით ხმინიზება იწარმოება. მაგრამ ეს ბოლოსართი რომ დაწყებითი ბრუნვის სუფიქსად შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული, ამას ქართულის რამოდენიმე მაგალითი ვაფიქრებინებს: „შენგნივ, წყალგალმივ“ ფორმის ბარალელურად „შენგნით, წყალგალმიო“ იხმარება. რასაკვირველია, ამით საკითხი ისმება და არა იჭრება.

**დ.** მიმართულებით ან ვნებით ბრუნვაში მუდამ თ იშვის და არა რალაც ვაურკვეველი ბგერა ან დ: „სოფლათ, ციხეთ, წყლათ“...

**ე.** წოდებითი ბრუნვის წარმოება ჩვეულებრივია, ბოლო მათ რიცხვში რამოდენიმე -ვ ბოლოსართიანი შემთხვევაც შედის: „დედავ, ნუშავ, ილაჲ (ითო. propr.). ბიჰოვ, ციებავ“...

**ფ.** ზოგს სიტყვას ფუძისეული ი ეკარგვის და თანხმოვნის ფუძის ბრუნებას მოსდევს, მაგ.: „მიეცე ვიორგსა; ვიორგმა“... ბოლო „ღმერთ“ სიტყვა უფრო ხშირად ასე იბრუნვის: „ღმერთის მადლმა, ღმერთით“, ნაკლებ კი: „ღეთის“ („ხეთის, მე ხეთისა-ხეთური რა ვიცი“). აქედან (ხადია რომ, ქართულს გრამატიკებში მიღებული დიფერენციაცია, თითქოს „ღეთის, ღეთით“ ქრისტიანული „ღმერთ“ სიტყვის ბრუნება იყოს და „ღმერთის, ღმერთით“ წარანართულის, ბელოვნურია და მეტი არაფერი<sup>3)</sup>.

<sup>1)</sup> შეიძლება ვინმემ დაუშვას რომ, ამ შემთხვევაში თან-დაკარგული მიმართულებითი ბრუნვის სიტყვები გვაქვსო, მაგრამ მაშინ „ობრა[თ] უნდა გვექნოდა და არა „ობერა“.

<sup>2)</sup> ნათესაობითი და მიცემითი ბრ. რომ სანს ჭყარგავს, ამაზე შემთხვევითად უნდა და-პარაკი.

<sup>3)</sup> საერთოდ ღმერთი აღმოსავლეთ საქართველოში თითქო უაფლო სახანდ არის წარმოდგენილი, როცა ამბობენ: „ღმერთი მაქ, ვაქ“ [იხე, როგორც ურემი წილი, შოტანა“, წინააღმდეგ დასავლეთ საქართ. „ღმერთი მყავს, ურემი შოშკავს“ ფორმისა]. შეიძლება აქ ისეთს შეთანხმებასთან გვექონდეს საქმე, როგორც ეს ზოგჯერ ძველს ქართულშია ხოლმე სულეღრ საგანთან: „შეილი მაქუს,“ „ააუს მამაა“...





6. მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად ორივე (-ნი და -ებ-) სუფიქსი არის მწარებელი; პირველი იშვიათად გვხვდება: ისიც ლექსებში და რიცხვით სახელთან. მას, დამატებაში გამოყენებულს, არავითარი სინტაქსური ძალა არ აქვს და ამიტომაც ასე იხმარება: „შიგ გაუყარა კლიტენი (თმანი); თავ დასცემია ქვანიო; დარჩა ვიშრის თმანი; დავლიე სიყვარულითა დღენია“... მრავლობითი რიცხვის ჩვეულებრივი მწარმოებელი სუფიქსი არის -ებ-. ერთ მავალითში მრჩობლი დამოლოება მოვევაოვება, —ეს გახლავთ: „ქარებები“ ს.

#### 4. ხარისხები.

ხარისხები, როგორც საერთოდ კილოებში, ისე ქართულში, აღწერილობითაა. შედარებითის წარმოება ორგვარი ხერხით ხდება: ა. შეთანდებულისა და ბ. უფრო ხმნისხედათი: „მაგაზე დიდაა, ჩემზე მეტია; აქლემზე მაღალი, ღორზე დაბალი“...; „უფრო კარგი, უფრო ღამაში“... რაც შეეხება უ- პრეფიქსითა და -ეს-ი სუფიქსით შედარებითი ხარისხის წარმოებას, იგი, შეიძლება ითქვას, რამოდენიმე მავალითის ფარგლებს არ გასცილებია; უკეთ რომ ვთქვათ, შედარებითი ხარისხი ქართულში ფორმით არ იწარმოება. ხოლო ის რამოდენიმე მავალითი, როგორცაა: „უმეტროსი, უმცროსი (უნცროსი), უარესი, უკეთესი“...; გაქვევებულ სახით არის შემონახული.

გვევ ითქმის აღმატებით ხარისხხედაც. მის საწარმოებლად საჭიროა ვინმაროთ ხმნისხედა: „მეტათ, ძიელ (ძიენ, ძრიელ)“ და სხ.: „ძრიელ (ძიენ, ძიელ) მაღალი, მეტათ მაღალი“, ანდა „ყველაზე მაღალი“. ორი უნით ქ. ე. შედარებით ხარისხს პლუს უ-: „უ+ულამაზესი“| წარმოებული ხარისხი, ვითარცა გრამატიკებში არის, საერთოდ არც ძველმა და არც თანამედროვემ კოცხალმა კილოებმა და სალიტერატურო ენამ არ იცის. იგი კაბიეტქმია შექმნილი.

ა. რიცხვითი სახელი. რაოდენობით რიცხვში აღენიშნავთ ნხოლოდ „სხუთმეტი“ს ხმარებას, და არა „ხუთმეტი“ს ან კიდევ „ათმეტი“ს, როგორც ეს დასავლურ კილოებშია.

6. სახელთნაცვალში ზოგიერთ სიტყვათა შემოკლებას თუ შევეხებით —დავინახავთ, რომ ზოგს -ნი გამოეარდნია, ზოგსაც ს...: „შე, ვილა კვილამაც, ე. ი“ და სხვა.

ყველა შემოსენებული მორფოლოგიური მოვლენები ფონეტიკურთან ერთად ქართულს სპეციფიკურს სახეს არ ანიჭებს. ამიტომ ქართული ძველი ქართულის ზოგიერთი გრამატიკული ნორმების გამოსაწვლილად სხვა აღმოსავლურ კილოებზე ნეტს არაფერს იძლევა. მაგრამ ამის გერ ვიტყვით ხმნებზე, ვინაიდან ამ უკანასკნელის ზოგიერთი მორფოლოგიური მოვლენა ნხოლოდ ქართულში გვევლინება და ამით მას (ქართულს) თავისებურობის დაღს ასეამს<sup>1</sup>. ეს კი იმიტომ არის საყურადღებო რომ, დაილექტათა საკლასიფიკაციო ნიშნად უმთავრესად ხმნის ესა თუ ის ფორმა გამოდგება, ვიდრე სხვა რომელიმე. მაგრამ ჯერ საერთოდ.

1) ფუძის ბოლიკიდური -ონის -ებ სუფიქსის მეზობლად უნით შენაცვლებას შესახებ ზემოთ ვაპყვით: „კოლლები, ზღოუები, მანქებები“...

2) ამ ჩვენს ზოგადს დასვენას ქართულრისათვის, რასაკვირველია, აბსოლუტური მასიითი არა აქვს, და არც შეიძლება ჰქონდეს, ვინაიდან ქართლი ტერიტორიულად ცრცელია და ყველა



7. § 86 ა.

აწმყოხ ჯგუფი<sup>1</sup>.

1. თუ ზმნის აწმყოს თემის -ავ სუფიქსი ახსიათებს, იგი აწმყოსა ტ' მისგან ნაწარმოებ დროებში ჩვეულებრივ -ამ ბოლოსართით გვევლინება. მაგ. აწმყო-  
„ვთესამ, თესამ, თესამს; ვკერამ, კერამ, ჰკერამს; ვწვამ, სწვამ“, და ასე: „ახრამს,  
სწონამს, ჰკერამს, ტეხამს, ზღანძლამს, ლუპამს, მკლამ, გახლამს, ჭაჯამს, უნახამ,  
ბრუნამს, დაკვირთამ, გაალამს, დისწინამთ, ვფრინამ, აეკაფამ“ და სხვა აღარებელია  
აგრევეა, რასაკვირველია, ნამყოუსრულში: „მონხამდი, შინჯამდა, ვხედამდი, დაი-  
ნახამდა, მოკლამდა“ და სხ. პირველ კონაუნქტივში ან იმავე ნატვრითში:  
„კლამდეს, ნახამდეს“ და სხ. აქვე უნდა შევნიშნოთ რომ, მრავლობითი რიცხვის  
მე-3 პირში რედუქცია არ ხდება და ამიტომ ჩვეულებრივ ისმის: „დაუკლამენ-  
დაკეტამენ, ჩუხამენ, მკითხამენ, ხნამენ, თესამენ, ამოსწყვეტამენ, შედღვება-  
მენ“ და სხ.

2. ამ ჯგუფს მისდევენ ის ზმნებიც, რომელთაც სახელზმნაში ვინი არ მოეგო-  
ვებათ, ე. ი. ეგრეთ წოდებული ერთეუმიანი ზმნები და ორთენიანთაგან კი ისეთნი,  
რომელთაც ხმოვნის ალტერნაცია ახსიათებთ: მაგ.: „ვწერამ, სწერამ, ასწერამენ,  
აწერამდა; გჯერამს, ჯერამ; ტუხავდა; შუქანს, ილუქანს, ქნამენ (ეს უკანასკნელი  
იშვიათად იხმარებიან); გრეხავს, გლეჯავს, სწყვეტამს“ და სხ.

3. ორთეუმიანთაგან აგრეთვე რამოდენიმე ზმნა უნდა გამოვირიცხოთ, რო-  
მელიც საკუთარ -ი და -ებ ბოლოსართების ნაცვლად შემოაღწიშნულ -ამ || -ავ  
სუფიქსს დაირთავენ; ესენი არიან: „დაპკიდამ, დაეკიდამთ, ვადაპკიდავდა,  
ჩაპკიდამენ; ვისესხამ; დაბადავს, იმლერამს, შემბბრალამს (ეს ორი უკანასკნელი  
მონასტრის მკროვრებისაგან გაიფიქრე), შეგულამ; ყიღამს, 'ვა'ყვიდამ/ვდი, ყიდ-  
ამ/ვდა, ვიყიდამდი, ჰყიდავდენ“ და ერთი მაგალითიც -თხ სუფიქსიანის: „ფიქრამს“.

ბოლო პუნქტში აღნიშნული ყველა მაგალითი ჩვენთვის ყურადსაღებია იმდე-  
ნად, რამდენადაც იგი ჯავახურ-გომარულთან ქართლურის მიმართების საკითხს  
ჰბადებს: გომარულსა და ჯავახურში (აგრეთვე ახალციხის ნაზრის ზოგიერთ სოფლებ  
ში)<sup>2</sup> გავრცელებული, უკეთ რომ ვთქვათ, სისტემატ ჩამოყალიბებული -ებ სუფიქს-  
ის ნაცვლად -ამ ბოლოსართის ხმარება ბომ არ არის, ასე ვთქვათ, წმინდა ქართ-  
ლური მოვლენა, რომელიც ქვემო ქართლს შეჰრჩა, ხოლო შიდა ქართლმა, უნდა  
ვიფიქროთ, ანალოგიით ან კიდევ მეზობლების გავლენით, -ებ სუფიქსით შესცვა-  
ლა? ამ კითხვას მით უნეტეს გვასმეყინებს ის გარემოება რომ, ქართლურსა და

ნასწო მცხოვრებთა უმაღლესობი არ არის. ჩვენი დასკვნა დამყარებულია იმ მასალებზე, რომ-  
ლებიც უშუალოდ შევკრიბეთ ტყვეების (უმთავრესად, ნაწილობრივ) შანდისის, ცხინვალისა, მე-  
ჯვრისხევისა და დირბის რაიონებში.

1) ფონეტიკის მიმოხილვაში ზოგი რამ ხმნებოდან შევითანეთ მაგრამ, მიუხედავად ამისა,  
ზოგიერთ მათგანს აქვე მოვიყვანთ სიარულისა და მათზე ნათელი წარმოდგენისათვის.

2) ამ შემთხვევაში ვემყარებით საკუთარს დაკვირვებებსა და ადგილობრივ ჩვენ მიერ შე-  
როვილ მასალებს. გომარულზე ლაპარაკის დროს მხედველობაში გვქენება ჩვენი წყვილი-დაბე-  
დილი „ჩვენი მეცნიერების“ მე-II ნომერში (ტფილისი 1924), გვ. 89-96, შემადევი სათაურით: „ზნის  
ზოგიერთი თავისებურებანი გომარულში“.





გომარულს შორის ბოლოსართებში თითქმის სხვა არავითარი განსხვავებაა, თუ არა ეს. კიახვას ღიად ვტოვებთ ჯერ ერთი იმიტომ რომ, -**ებ**'ის -**ამ** რეფლექსი დანამდვილებით არ ვიცით თუ რა წარმოშობისაა (მის ასახსნელად ანალოგიის ნეტი არაფერი მოგვეპოვება), მეორეც — ზემოდასახელებული რამოდენიმე მაგალითი უფრო შემთხვევითი ხასიათისა ან უკეთ, ადგილობრივი განვითარებისა შეიძლება იყოს, ვიდრე ძველიდანვე შემონახული ან ჯავახურიდან წარმომდინარე.

**ბ.** ფუძისეული -**ევ**, -**ოვ** მარცვლის ნაცვლად აღნიშნულ დროებში **ემ**, -**ომ** გვეხსნის: მაგ., „მახსომს, ახსომს; ვთხომ (შესთხომს); ვაძლემ (ვაძლემო, აძლემ) აღწემს, დაღემს, დემს (მივდემს), მიირთმემს, ჩაუშტურემ, მოათრემსა, ვავახვემ, ვაუროვდემს, უხემდი, ურხემდი, სწემდა, ვაქნემდი, არჩემდა“ და სხ.

ამ მოვლენის გათვალისწინების შემდეგ კიახვა იბადება: რით შეიძლება აყხსნათ -**ავ**, -**ევ**, -**ოვ** ელენენტთა -**ამ**, -**ემ**, -**ომ**ად ქცევა? პირველის -**ავ** > -**ამ** სუფიქსად ძირეული ან სუფიქსური მანის მქონებელ ხმნათა (როგორიცაა: „არტყამს, სვამს, ჭამს, იცვამს, დგამს“ და სხ.) ანალოგიით რომ განვმარტოთ, მაშინ აუხსნელი დავტარება -**ევ**, -**ოვ**'ის -**ემ**, -**ომ** სახის მიღება. ამიტომ უფრო სწორი იქნებოდა, გვეგონია, გვეთქვა რომ, ეს ახსნება საერთოდ ქართლში გამეყვებული ვინის მანით შეცვლის ტენდენციით, რის სასაინადო ნიშნში ზემოთ მოვიყვანეთ (2F1). ამის გამოწვევი უფრო სხვა ფაქტორია, ვიდრე რისამე ანალოგია, რომ ეს ასეა, ამას სხვა შემთხვევებიც დაგვიდასტურებს.

**ც.** ხმნის -**ებ**, -**ობ** სუფიქსები ზოგჯერ -**ემ**, -**ომ** და ზოგჯერაც -**ევ**, -**ოვ** სახით გვევლინება: „ჩუბომდა, ამომს (მანის დაკარგვით), ყბედომს, თხოულმს, შიატყომს“, მაგრამ: „ვსარგებლოთ, ვგდებულოთ, სარდოოფო“... მეორეს მხრით: „უწრუწუნენდენ ქორებსა, კიჩილეშიოთ, გაძღლემს, მოზუწუნემს“, მაგრამ: „ნივატრიალეფ, აილიეფ, ვაუყენეფ, ვაჯარეფ“ და სხვა რამოდენიმე. ცხადია, ასეთს შემთხვევებში ანალოგიაზე ლაპარაკი ზედმეტია. ამ კატეგორიაშია მოსაქცევი -**ამ**, -**ემ** -**ომ**'იც, როგორც ამაზე ზემოთ ვაკვრით ვთქვით.

**დ.** ნაყოფსართლისა და აგრეთვე ნაწყოსართლის მრავლობითი რიცხვის შესამე პირში პირველის სუფიქსური და მეორის ფუძისეული დონის შემდეგ ჩეფულბრივ -**ენ** იხმარება: „გახდენ, იკოდენ, სკამდენ, იტაკებდენ, ჩამოვიდნენ“... მაგრამ ამის აბსოლუტურად აღიარება შეუძლოა იქნებოდა, რადგანაც გვაქვს ქართლურში მთელი რიგი შემთხვევათა, სადაც -**ენ** სუფიქსი არც ნახმარი: „აქმეედენ, მივიდენ (გამოვიდენ), მიხვდენ, დაგიდენ, იჯდენ, ასხდენ, ატანდენ“ და სხ. მაშასადამე, სალიტერატურო ქართულში -**ენ** სუფიქსის გაბატონებას არც ქართლური ამართლებს<sup>1</sup>.

<sup>1</sup>) ზოგი ხმნა ფონეტიკურ მოვლენათა წყალბით საბეკელი პარადიგმებს იძლევა, მაგ.: „უჰამის, მიჩამ, გიჩამ, უჩამდა; მიჩდა, გიჩდა, მაგრამ: უჩა (|| უჩდა); უამომ, ამომს; მაქ, ჭაქ, აქ; ვიჰემ, იჰემ, იჰემს; რა ვი(ცი), მივე(ცი); [ვავე(ცი)]; მუ გეშინი“; ანალოგიით მიღებულია: „ლოცებს, მოუყვითებს, მიიყვანებენ, გიამბებ“.



**E.** -ია“ზე დაბოლოებული ზმნა მეტწილად წარს დაირთავს: „შემიძლია გშიან, გეპირიან, მე /გეშინიან, მცალიან, მქვიან, სჯობიან“ და ს.ს.<sup>1)</sup>

გადავიდეთ **ნამყოსრულის** ჯგუფზე.

**F.** ნამყოსრულის 1 და 2 პირი თუ ე“ზე დაბოლოებული, მაშინ მას ზოგჯერ -ვი მარცვლი ერთვის და ვიღებთ შემდგენიარ მაგალითებს: „აგვაშორევით, ჩამაბარევით, გამოიჩინევით, მიყიდევი, წაუღევი, მაქციევი, მაჩუქევი, ჭამევი, შემაშინევი, უხათრევი (შე), გავრეკევი“ და ს.ს. მაგრამ ამაზე უფრო სწორად ე“ს შემდეგ -ი ბგერა ისმის: „გამოყარევი, კითხევი, დანოციევი, მომკევი, დაგინახევი, გახედევი, შელაპარაკევი, დავლიევი, ვიჩივლევი, ვასესხევი, მოვახსენევი, ავიღევი“ და სხვა ბლომაღა. რით უნდა აიხსნას ეს მოვლენა? რომ ინი ნამყო სრულის -ე ბოლოციდურიან ზმნებში ისეთივე დანართი არ არის, როგორც ნომენში: „ბევი, ქევი, დედი, უროი“ და სხვა, ცხადია, რადგანაც იგი მაშინ მარტო -ენით დაბოლოებულ ზმნებს როლი გაუჩნდებოდა, არამედ სხვა ხმოვნით დათავებულთაც, და გვექნებოდა: „იყოვი, გააკეთევი, დაწერევი“ და ს.ს., რის არსებობაც დღევანდელი ქართლურით აბსურდია. მაშასადამე, ასახსნელად დავერჩენია ერთი საშუალება— ვთქვათ, რომ ეგ ინი გახლავთ -ვი მარცვლის ნაშთი, მიღებული ვინის დაკარგვით. დღეს ქართლურში ხმარებულ -ვი, -ი ყორნანტაა შორის უძველესად პირველი უნდა ჩაითვალოს, ხოლო მეორე -ვი მარცვლის განვითარების შემდეგ საფეხურად.<sup>2)</sup> ამ მოსაზრების პირუტყ დაცეხებას, რომლითაც თითქოს ჯერ ი დავართო რ შემდეგ ვინი განვითარდა ე-ი შორის, ეწინააღმდეგება თვით ქართლურის ბუნება [იხ. 204]. თავის მხრით -ვი მარცვლის დართვა „დავწევი, გავყევი; დავდევი“... და მსგავსი ზმნების ანალოგიით თუა გამოწყვეული.

**G.** აღსანიშნავია აგრეთვე მრავალ ზმნაში წარსის ჩართვა, რომელსაც ძველს ქართლურში მრავლობითი რიცხვის ნით დაბოლოებული დანატებით ან ზმნის ვნებითობით (მრავლობ. რ.) გაეამართლებდით, მაგრამ არის შემთხვევები ქართლურში, რომელთაც დანატებანი ვერ ხსნიან, და სახალიზოდ სულ სხვა საშუალებაა საჭირო. აქ უკელა მაგალითს მოვიყვანთ: „დაიმაღენით, დავიხოცენით სამთავ ხემწიფევიბიო, დავიხოცენთ, გაიყარნეთო, აიშალენით“, მაგრამ: „დაინახნია, მიგიყიდნია, გამიღწენია, შემიწირნია, აუყიდნია, დანიწერნია, გამამიკეტნია, მიტირნია, ებანაენა, მენახნა, ჩეტაცნა, მექვირნა, ეყიდნა, მეჩივნა, ვადეწეყვიტნა, დავგნახნა, მიეყიდნა; გლოვნა“.

**H.** -ოდა სუფიქსის ნაცვლად ნამყო მეორეში შემწეობითი იყო ზმნა იხმარება: „ქონიყო, დამძინებოყო, შეხვეწიყო, გვეკოდნიყო...“<sup>3)</sup>

<sup>1)</sup> სახელზმნის -ება სუფიქსის ნაცვლად -ობა რომ იხმარება [„დაწყობა (აქედან: ვიწყობ, დაწყობს, დაწყობილი); მოქმედობა, უპირობს, თქმულობა, ტრიალობს, თავისუფლობა, სიყვარულობა“], ამაზე ზემოთ ვილაპარაკეთ.

<sup>2)</sup> ბრძანებითი კილო ქართლურში მოთხრობითისაგან არაფრით განსხვავდება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგი ზმნის ბრძანებითში ბრვერებით გამოხატვას: „აქ მო“; შემოკლებას: „მაზე, მივ, დავა, წავე“... -ვი, -ი აქაც არის გამოყენებული: „გააკეთევი წერევი“.

<sup>3)</sup> ეს -ი მქონდა მხედველობაში, როცა ქართლურის სხვა კილოებისაგან განსხვავებულ ფორმებს ვარჩევდი, და არა -ვი, როგორც ეს შევითვით არის აღნიშნული 1924 წლ. სხდომის 25 № ოქმში [იხ. „ქართ. საენათმეცნ. საზ. წელიწადეული“, ტფილისი, გვ. 376 ბ].





**კ.** მიმღობის წარმოება ჩვეულებრივია; მაგრამ არის სხვაგვარად წარმოებული ორიოდე მაგალითი, რომელთა მიხედვით რაიმე წესის დადგენა არ შეიძლება; ესენი გახლავთ: „დატოვლი, ვაჟტახალი, წვლებული [შდ. ძვ. ქართ. „ქმწული“...], ჭედალი (ინდიე.) და მონატური“.

**ლ.** მეორე პირის სუბაექტური და მესამე პირის ობაექტური პრეფიქსების კანონზომიერ ხმარებაზე ლაპარაკი, რასაკვირველია, ზედმეტია: ხშირად სრულებით არ იხმარება და თუ არის გამოყენებული—უწესოდ, თუ შეიძლება ასე ითქვას. სხვ დასხვა იდგილას და სხვადასხვა დროს რამოდენიმე პირის ამ მიხნით გამოკითხვის შემდეგ ასეთი პარადიგმები მივიღეთ წყნარად: „მე მკი, მკი, მკის; ვგვა, ვვი, ვვის; ვლწამ, ლწამ; ვთლი, თლი; ვთხნი, თხნი, თხნის“ და ასე: „კვებამ, თიბამ, კეტამ, კრი, ხნამ, ბერამ, კითხულობ“ და სხ. ასეთსავე სურათს იძლევა მიცემით დამატებითი ხმნებიც: „მივცემ, მიცე; კითხე, კითხეს; ვაცერის სოფელ; კრამს; მივდემ“... არის ისეთი შემთხვევები, სადაც პრეფიქსს არ მოველით და არის კი, მაგ.: „გასტეხა, გაასტა, გასატოროს, გასკრას, დავჭარე, სთქვა, დასწერა, გადასწედა, ასტირდნენ, ამოშკრა, დასჩეხა, ასდგნენ, შეშკამა“... აქედან ნათლად ჩანს, თუ რამდენად არეულია დღეს მისი გამოყენება ქართულში<sup>1</sup>; მაგრამ პრეფიქსები ამ მხრით კი არ გვიანტერესებს, არამედ მისი ფონეტიკური ვარიაციები: **შ, ა, ახ, აჰ.** განვიხილოთ ცალ-ცალკე:

**1.** პრეფიქსი **ხანი** ჭარის წინ შინად იქცევა ხოლმე: „შჰამს (შჰამსა) შჭრის (მოშჰარ, ამოშჰრა)“.

**2.** ამავე ხანის ბგერინაცვლობას, როგორც ეს ფონეტიკის მიმოხილვისას აღვნიშნეთ, აოტა ეწევა, განსაკუთრებით დონის წინ: „დაადღვენ, ამოადის, დააძრამენ, ამოატირდება, ჩაადებენ, გააძღემს“... მაგრამ უნდა ითქვას, რომ ქართულში მართო ა ხშირად არ ისმის, არამედ ხანთან (მეტწილად) და ჰაესთან (იშვიათად) დიფთონგს შეადგენს და

**ჰ.** პრეფიქსად ჩვენ ფშაურის მსგავსად **ახ** გვაქვს: „შეფასწვი, მოფასტყუფდი, გამოფსციღის, აფსწავლა, ასწუდება, მოფსწევი, ასწერია, აჰამდა, ასცემია“ და სხ. **აჰ** დიფთონგის ხმარების შემთხვევა იშვიათია: „გააჰკრა, გააჰგზავნის“. ამ დიფთონგის აკუსტიკური შთაბეჭდილება დაახლოებით ასეთია: იწყება ათი და თავდება ხანით ან ჰაეთი.

**1.** უფრო საყურადღებოა **ჰს** დიფთონგის პრეფიქსად გამოყენება. აკუსტიკური შთაბეჭდილება აქაც იგეთივეა: დასაწყისი ჰაესი, დასასრული ხანის: მაგ.: „მიჰსდევს, დაჰსდევენ, ჰსთლის, გაჰსტეხავს, გადაჰსლო“ და სხ.

**ბ.** მით უფრო ილსანიშნავია ეგრეთ წოდებული „დღდისბგერების“ წინ **ხანის** ნაცვლად ჰაეს ხმარება. მართალია, ეს მაინცდამაინც ხშირად არ გვხვდება მაგრამ, როგორც გარკვეული მოვლენა, ყურადსაღებია; მაგ.: „დაჰტკენა, ჰთხრიან ჰღებია“ და სხ.

<sup>1</sup> პროფ. ა. შანიძე მართალია, როცა მეორე პირის სუბაექტური პრეფიქსის დაარსებაზე აზრობს, მაგრამ უმეტეს დებულება ვრცელდება იმ ხმნებზედაც, რომელთაც დროის ორსავე ჯგუფში დამატება მიცემით ბოუნვაში აქვთ (იხ. ა. შანიძე, *ს.* და *ო.*, გვ. 117-148).



ამგვარად, ქართლში ხმარებული ახ, [აჰ], ა, ჰს პრეფიქსები ფართო პერსპექტივას გეიშლის ზოგიერთი საკითხის გამოსარკვევად. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

### III. სინტაქსი.

მ. სინტაქსი არა თუ კილოების, თვით ლიტერატურული ქართლისაც სრულებით დაუმუშავებელია; ამიტომ ქართლურის მიმოხილვისას ჩვენ მასზე დიდხანს ვერ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ მოვლენებს.

**A. ზმნისსართთან ბრუნვების შეთანხმება.** რიგი თანდებულთა და ზმნისსართთა თხოულობენ გარკვეულ ბრუნვას მაგრამ, მათი შეთანხმება არ არის ისე მტკიცედ ჩამოყალიბებული, რომ სხვადასხვაობას არ ჰქონდეს ადგილი. ზოგი მწერალი ნათესაობით ბრუნვას რომ ზმნისსართს უკავშირებს, მეორე მასთან მიცემით ხმარობს და პირუტყუ. ქართლურს ამის გარკვევაში თავისი წვლილის შეტანა შეუძლია; შენიშნულია რომ, 1 „აქით, იქით; გაღმა, გამოღმა; წინ, უკან; ზეით, ქვეით (ქვემოთ, ზემოთ, ქვეშ); შორის, შუა“ ზმნისსართნი ჩვეულებრივ მაკენით ბრუნვაში ითანხმებენ სახელებს; მაგ.: „სამ წელს იქით, ქვას იქიდან, დილას აქეთია, მას აქეთ, დვანს იქით; ბორკილ ქვეშა, წელს ქვეით, ნერვ ქვეშ; ფიკარს ზემოთ, სოფელ ზეით; კვალსა და კვალს შორის, დიდ ქვებს შორის; წყალს შუა; ამას წინათ, სახლ წინ; ორ წელიწადს უკან, სახლ უკან, იმას გარდა, წყალ გაღმა, ფანჯარას ძირს“... რასაკვირველია ნათესაობით ბრუნვაშიც ეთანხმება სახელი: „გზის გაღმა, ხის ქვეშ, კვალის აქეთ-იქით“... მაგრამ, პირველთან შედარებით ნაკლებ გავრცელებულია; 2. თანდებულიდან აღვნიშნავთ შის ნაცვლად ზოგჯერ შიდ, შიდას ხმარებას: „ქალიწიდილო, ფიქრებშიღ.“

**B. ქვემდებარისა და შემასწავლელის შეთანხმება რიცხვში.** თუ ქვემდებარე მრავლობით რიცხვშია, მაშინ შემასწავლელიც ჩვეულებრივ მრავლობით რიცხვში გვევლინება. მაგრამ სალიტერატურო ქართულში უსულო საგანთათვის ეს სავალდებულო არ არის; ქართლურშიც ასეთა: „დიდი ქარები ადგება; მიწები არ არი“... უფრო მეტი: ქართლურში ეს ზოგჯერ სულიერ საგანთათვისაც არ არის სავალდებულო: „კამჩებმა მიწა დაიჭირა“... მაგრამ ასეთი შემთხვევები არც ისე მრავალია. სხვა გარემოებაში შეთანხმება ხდება: 1. როცა ქვემდებარე -6-ი სულიქსით არის წარმოდგენილი: „მიუბრუნდნენ სამი ძმანი; სამნი შევიყარენით; წამოვიდნენ ის ბუთივენი, წავიდნენ ძმანი“... (მძრ. გვ. 140); 2. როცა ქვემდებარე კრებითობის აღმნიშვნელი სიტყვაა: „მოვიდნენ ხალხმა და ნახეს; ხალხი წავიდნენ, თელი სოფელი ვავიდნენ; მათწერეს ორივემ ხელი; ცოლქმარი იყვნენ; გადასწყვიტეს ორივე ძმა“...<sup>1)</sup>; 3. როცა რამოდენიმე ქვემდებარეა: „მოვლენ ხაზეინი და მოჯამაგირე; წამოვლენ ლეკი და ქართველი“...

**C. მიმართულების აღმნიშვნელ („ვიდა, წაიყვანა“...) ზმნისთან ადგილის ნაჩვენებელი დამატება (კითხვაზე: სად?), თუ საკლასარი სახელია, იხმარება მიცემით ბრუნვაში, თუ ზოგადი—იმევე მიცემით თანდებულთა: „უხინვალს, ერედეს**

<sup>1)</sup> ასეთს შემთხვევებში „დასეა (წაიყვანა, გარეკა)“ ზმნის ნაცვლად „დასხა“ იხმარება: „დასხი ჯარი, დასხა ლეკები; წაასხა დედმამა; წაასხა ხარები“. აგრეთვე: „უსხდა ასი კაცი“.





წავა; ურემი წავიდა ცხინვალსა; ცხინვალ მივედიოდი; მე ვთქვეი: კახეთს წამიყვანენ... ამათ კატეგორიაში შედის: „ჩემს ცოლშვილს მივედივარ“. მაგრამ ზოგადი სახელი: „მივიდა სახენწიფოში; წამოვიდა სოფელში“...

D. გარდაუვალ ზმნასთან მოთხრობით ბრუნვაში დაყენებული ქვემდებარე ქართლურშიც გვევლინება, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ქვემდებარეს გარდამავალი ზმნა მოსდევს: „ადგა ამ კაცმა და ერთი შევლი დაიჭირა; წავიდა ამ კაცმა და თეჯი დაიჭირა; შევიდა იმან და გააცოცხლა; წავიდა ქმარმა და უჩივლა; დაბრუნდა ჭალმა, ქმარს უთხრა“... აქედან ნათლად ჩანს შემდეგი: ქვემდებარის შეთანხმება წინამდგომ ზმნასთან კი არ ხდება, არამედ მომდევნოსთან. ეს წინადადების კონტამინაცია გამოწვეულია მით, რომ თხრობის პროცესში მთქმელის ცნობიერებაში პირველი შემასწავლელის თქმის დროს მომდევნო ქვემდებარეზე წარმოდგენას უსწრებს მომდევნო ზმნის შესახებ წარმოდგენა და ეს უკანასკნელი (ე. ი. შემასწავლელი) ითანხმებს მას კიდევ, რომ ეს ასეა, და არა სხვაგვარად, ამას სხვა შემოხვევებიც დაგვიდასტურებს, მაგ.: „მივიდა ეკლესიას და შევხეწა (ქართლურიდან); ლეშიც უნდა წაიყვანოს და მიჭიკა“ (გომარულიდან). ბოლო მაგალითი მით უფრო საყურადღებოა რომ, ადგილი აქვს შემასწავლელის დამატებასთან შეთანხმებას: „წაიყვანოს ბიჭიკა“. აქედან ირკვევა, თუ რამდენად მჭიდრო ასოციაციაა დამყარებული „წაყვანა“ ზმნასა და სულიერ საგანთა შორის ერთის მხრით, და მეორეს მხრით, თუ როგორ უსწრებს შემასწავლელს წინასწარ აღქრული წარმოდგენა დამატებაზე... აქ შეურჩევლად მოყვანილი მაგალითები უფრო ასაბუთებენ ჩვენ მიერ წინადად გამოთქმულ მოსაზრებას<sup>1</sup>. ესა და მსგავსი მოვლენები უაღრესად საინტერესო და საუკეთესო მასალების შემკველნი არიან თხრობის პროცესის გამოსარკვევად...

შეიძლებოდა ჩვენ მიერ განგებ გამოტოვებულ ქართლურის ასე თუ ისე დამახასიათებელ ზოგაერთ სინტაქსურ-მორფოლოგიურ მოვლენებზე გველაპარაკა და ორიოდ სიტყვით ქართლურის მდიდარ ლექსიკასაც შევხებოდით მაგრამ, წერილი გავვიგრძელება და ამას თავი ვანებოთ.

#### IV. ძარბოლური და ქველი ძარბოლური.

ზმნებში მოცემული ზოგიერთი მოვლენის მიხედვით ორიოდ კითხვა გეზბადება ძველი ქართლის ფორმების შესახებ ქართლურთან დაკავშირებით:

1) იხ. ვ. თოფურია, „სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიდილექტების მიხედვით“; „ჩვენი მეცნიერება“, № 1, ტფ. 1923, გვ. 113-121. ვაზარებლობა შემთხვევით და წერილობით ზოგიერთი შესწორებები შეგვაქვს (შევთომება ხედავან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ვაგვეპარა): 1. მიცემით ბრუნვაში დაყენებული დამატება ზოგჯერ ქვემდებარედ არის გაკებული (გვ. 114, 116); 2. მე-114 გვ. 1 შენიშვნაში არ არის ნახვევები ი. შაკაგარიანიის ისტორიული თვალსაზრისით საყურადღებო წერილი: „ძინავს, თუ ს-ძინავს? ცხოვრებს, თუ ს-ცხოვრებს?“ (ურბნ. „ჩაკადული“, ტფ. 1907 წ., № 6, გვ. 57-61), სადაც მიცემით ბრ. დამატების ბრუნ. არის გამოცხადებული; 3. „მთილურთა“ ნაცელად ყველგან ნახმარია „შიის კოლი“; 4. მე-121-ე გვერდის მე-7 სტრიქონში ქანური ენის შეთანხმებ გამოტოვებულია შენიშვნა, სადაც უნდა ყოფილიყო ნათქვამი: „ქანური უფრო შორს მიდის; ზმნა ქვემდებარეს მოთხრობით ბრუნვაში აწმურა დროშიც ითანხმებს, მაგ.: „ალოქ შექმუბი ქარუსს; კობიქ დიშკა კობობუსს““ (ნ. შარტი, Grammat. чанек. (дасек.) яа., СПб. 1910, გვ. 77).



9. ძველს ქართულში ნამყო სრულის 1 და 2 პირში ზოგჯერ უ გვხვდებოდა, მაგ.: „მღვდელთა მათ თანა აღმსობილთა მიეწიფეს“ (ძველი სასულ. პოეზია, გვ. 20); „შენ მიემსგავსე უკანასკნელსა“ (ib. 21); „შენ... ავაზაკსა ემსგავსეს“ (ib. 217); „ყოველთა დაბადებულთა პატრივცის“ (ib. 213) და სხვა ბლომად. შეგვეძლო სხვა ძეგლებიდანაც მსგავსი შემთხვევების მოყვანა, მაგრამ აქ საჭიროდ არ მიგვაჩნია. უ, როგორც არკვევენ და როგორც თვით მწერლობის ძეგლებიდან ჩანს, წარმოადგენს ეა დიდთონგს, გრაფიკულად ერთი ნიშნით მოცემულს; მაშასადამე: ემსგავსეს=ემსგავსეა, რომლის თანაბარი გამოთქმა ქართულში დღესაც მოგვეპოვება. იბადება კითხვა: ხომ არ არის თანამედროვე ქართულში „წერეი, გააკეთეი, ნახეი“ და მისებრი ფორმა ძველიდანვე წარმომდინარე? ამ კითხვას უფრო აძლიერებს აკად. ნ. შარასის მიერ მოყვანილი ტაბულა სათანადო მაგალითით: „ვსტჷ, მსტჷ, მსტოჷ, ვსტჷსთ, მსტჷსთ“ და ასე სხვა (იხ. ტაბ. XV), შენიშვნაში კი ამბობს: Из таких форм с двойным отношением, напр. *გუასტოჷა ნა ნას ვსტჷკალ თს თო*, 3 л. ед. числа аориста 1-го основного спряжения с отношением к двум объектам, косвенному 1-го лица в дат. падеже (გუა) и прямому логическому 3-го лица в имен. падеже (ა)!... ეს მოვლენა აკად. ნ. შარასის არქაულ ფორმად მიაჩნია. მაგრამ შეიძლება ითქვას რომ, მისი არქაულობა ჩვენამდე მოღწეული ძეგლებით სრულებით ვერ მართლდება; ნით უნეტეს ეს ითქმის „გუასტოჷა“ ან „მსტოჷა“ ფორმაზე. უკანასკნელის შესაფერისი მაგალითები ზენ გვხვდება XVII—XVIII საუკუნეში გადაწერილ ხელნაწერებში, მაგ.: „უხტჷმით მისცენდაჷ მადლთა მისთა“ (ათონ. კრებ. 284<sub>20</sub>); „მერამე კიღობნისა მტკრთიველ იქნაჷ“ (ib. 297<sub>20</sub>); „დევანოზად დაედგინაჷ“ (ib. 298<sub>11</sub>)<sup>1</sup>... „და რომელთა ენებია“ (სრ. ხარზმელის ცხ., 17<sub>2-3</sub>); „უბრძანაჷ კულადცა მოსლვა“ (ib. 24<sub>11</sub>)<sup>2</sup>... „ამინ ჰბრძოჷ მეფესა“ (რიცხეთა: ბიბლია, 314<sub>2</sub>); „სიტყუად იწყოჷ უფალმან ჩენიდა“ (ბიბლია, 352<sub>2</sub>); „ანუ თუ განსადმე-გცაჷ ლმერთმან“ (ib. 361<sub>13</sub>)<sup>3</sup> და სხვა ბლომად. რომ ა'ს ხმარება მე-3 პირში ყოველგვარი დანიშნულების გარეშე დგას და რომ იგი მხოლოდდამხოლოდ გრაფიკული მოვლენაა—ეს ნათლად ჩანს ამავე ძეგლებიდან, სადაც მაგალითად გვაქვს ასეთი შემთხვევები: „სულთა ჩუნენისასა მდებაჷრ“ (ათ. კრ., 280<sub>16</sub>); „ცხოვრებაანი... მიეცნეს“ (ib. 281<sub>1-10</sub>); „განო-ვინმე-აჩინა მოწყალებამან ღუთისამან“ (ib. 239<sub>19-20</sub>)... „მეგობაჷრ იყო“ (ხარზმ., 37<sub>6</sub>); „მზა ვარ მე აღსრულეზაჷდ ბრძანებაათა შენთა“ (ib. 39<sub>1</sub>); „განმრამელდეს სიტყესგებაანი“ (ib. 41<sub>2</sub>)... მაშასადამე, ირკვევა რომ, ა'ს ხმარება ზმნებში ყოველგვარ მორფოლოგიურ მნიშვნელობას მოკლებულია და ამიტომ იგი როგორც ასეთი უნდა მოიხსნას. რაც შეეხება უ'ს გამოყენებას ზმნებში, აქაც დაახლოებით იგივე ითქმის რაც ა'ზე; უ'ს არეულად ხმარება მიეკუთვნება იმ ხანას, როდესაც მი-

<sup>1</sup>) Н. Марр, Основныя таблицы к грамматике др.-груз. языка, СПб. 1906 г., гл. 15, №63. 3.

<sup>2</sup>) ათონის ივერის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაბებით, ტფილისი 1901 წ.

<sup>3</sup>) მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, ნაწ. II, ტფ. 1909 წ.

<sup>4</sup>) დაბადება (ბიბლია), ნაწ. I, ტფ. 1884 წ.



სი ბუნება გაუგებარი შეიქნა; ამ დროს იგი თავისუფლად იხმარება სიტყვის შიგნითაც (მხედველობაში არა მაქვს შცნ-ფუძე), ბოლოში რა თქმა უნდა! არევის ხანად კი უნდა ჩაითვალოს არა თუ მე-XII საუკუნე, როდესაც ოს წერა უბრჯგუს გვერდით ერთგვარ სისტემად ჩამოყალიბებულა, როგორც ეს ვანის სახარებიდან (უნივ. მუზ. ხელ. № 1392) ჩანს, არამედ მე-XI, X და უფრო ადრე, როდესაც მისი ხმარება, აკად. ნ. მარჩის თქმისა არ იყოს, шиворот на выворот ხდება. ასეთ შემთხვევაში რა გასაკვირია რომ მას ხმნაშიც ამოეყო თავი— ეს ერთის მხრით; მეორე: უძველეს მწერლობითი ძეგლების ზმნებში (ხანშეტი, ჰემეტი...) იგი არ გვევლინება და ნესამეც: მისი პარალელი ეა ზმნაში არც ერთხელ არ იხმარება მაშინ, როცა ნომენში არც ისე იშვიათია. ეს კი იმის მაჩვენებელია რომ, ოს ნომენთან რეალი ექვივალენტი ეა მოკვებოდა ენაში, ზმნას კი არა, მაშასადამე, ზმნებში ოს გრაფიკული მოვლენაა და მორფოლოგიისათვის უმნიშვნელო. აკად. ნ. მარჩის მიერ წამოყენებული არქაულობაც საფუძველს მოკლებულია. ქართლურისათვის ამ მხრით ძველი ქართული არაფერს იძლევა, არც პირუკუ: ქართლური ძველი ქართულისათვის. „წერეი, იკითხეი“ ქართლურის სპეციფიკური მოვლენაა. ზმნას დართული ოს გენეზისის შესახებ კი ჩვენ მიერ ზენომოციკული გამარტება ჩვენთვის ჯერჯერობით დანაკმაყოფილებელია.

10. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართლურში პრეფიქსებად გამოყენებულია ჩვეულებრივს გარდა ახ, (აჰ), ა, ჰს, ჰ დედისბერების წინ. ეს მოვლენა ბერს რასმე ლაპარაკობს საერთოდ მე-VIII—IX საუკ. ძეგლებში ხმარებული პრეფიქსების რეალობის შესახებ და ჰემეტი ენის ტერიტორიის გამონახვაზე თუ არა, პრეფიქსების ევოლუციაზე ზიანც.

როგორც ჰემეტი ტექსტში ჩვეულებრივ და ადრეის სახარებაში იშვიათად, რომელიც ჰემეტი ტექსტიდან გადმოწერილად უნდა ვიგულისხნოთ და ჰაეს გადმობარგვა დედნის ზეგავლენად ჩავთვალოთ, ისე ქართლურშიც ზოგჯერ დედისბერების წინ ჰაე იხმარება. ეს კი კითხვას იწვევს: ხომ არ არის დღევანდელი ქართლური ჰემეტი კილოას (?) გენეტური მონათესავე? ან ყოველ შემთხვევაში რა დამოკიდებულებაში არიან ისინი ურთიერთთან? ამ კითხვის გადაჭრა ჩვენი მასალების მიხედვით შეუძლებელია ერთი იმიტომ რომ, მაგალითები მეტად მცირე მოგვეპოვება და მეორეც — ჰაეს წარმოშობა სანის სუბსტიტუციით შეიძლება ავხსნათ (იხ. გვ. 132): „ლაპტი, პრიტავი“... მაგრამ ამავე ძეგლებსა და უფრო გვიანდელს ხელთაწერებში (მაგ. № 95 უნივ. მუზ.) ჰს კომპლექსის, ვითარცა პრეფიქსის, ხმარება გამართლებას პოულობს ქართლურში, რაც იმის მაჩვენებელია რომ, ჰს კომპლექსის პრეფიქსად გამოყენება არ ყოფილა, ასე ვთქვათ, ორთოგრაფიული ჩუქურთმა, როგორც ეს ანტონ I ქათალიკოზის გრამატიკაში გახლავთ, არანედ მისი გამოთქმა რეალი უნდა ყოფილიყო ენაში უსათუოდ. იგი არც ისეთი თავისებური ბგერა (არის დღეს და) იქნებოდა მაშინ, რომ მის გამოხატავად საგანგებო ნიშანი შეექმნათ. დღევანდელ მის აქუსტიკურ შთაბეჭდილებას გრაფიკული ჰს ნიშანი თითქმის ფარავს; ასეთი იქნებოდა მაშინაც და ალბათ ამით აახსნება ის გარემოება, რომ მაშინდელ მწერალთ თუ გადამწერთ მისთვის სა-



განგებო ნიშნის შექმნა საჭიროდ არ დაუნახავთ და უწერიათ ისე, როგორც ის-  
ნოდა ენაში. რაც შეეხება მის გენეზისს, იგი სწორად აქვს აღნიშნული პროფ.  
ა. შანიძეს თავის წერილში როცა ამბობს: „განსაკუთრებით კვირია მერ-  
მინდელ (IX—XI საუკ.) ძეგლებში დედის ბგერათა წინ გარდამავალ საფეხურზე  
(სრულს ასიმილაციამდე) მდგომი მოვლენები, როდესაც ჰაეს მთლად არ უნდა  
ჰქონოდა დაკარგული თავისი ბგერითი სახე, მაგრამ იმდენად უნდა ყოფილიყო  
დაახლოებული გამოთქმის მკრით ხანთან, რომ ამ ახალი ბგერის გამოსახატა-  
ვად ერთი სიგანგებო ნიშნის მაგივრად ორი უქმარიათ (ჰხ). სწორედ ასე  
უნდა ვაგიგოთ ახლა ჰხ ჯგუფის წარმოშობა დედის ბგერებით დაწყებულ  
ზმნებში<sup>1</sup>. ქართლურშიც ჰხ კომპლექსი დედისბგერების წინ ჰაეს განვითარების  
შემდეგ საფეხურად შეიძლება ჩაითვალოს; მაგრამ მას დროთა ვითარებაში ხანი  
ენაცვლება. იმავე დროთა ვითარებაში არც ხანის პოზიცია რჩება მკვიდრი  
და მას მეტოქეობას უწევს ა, რომელიც, მართალია, ჯერჯერობით კარგად  
იკუთვნის ხანს, მაგრამ, გვეონია, დროთა ვითარებაში მას მთლად განდევნის. თუმ-  
ცა ისიც უნდა ითქვას რომ, თითონაც სისუსტისა გამო დიდხანს ეწრ იბოვი-  
ნებს. ამგვარად, დედისბგერების წინ ჰაე პრეფიქსის ევოლუცია ქართლურის მი-  
ხედვით შემდეგ გვარად წარმოგვიდგება: ჰ→ჰხ→ახ→აჰ→ა (ნული). ეს გრა-  
დაცია ფონეტიკურად უსათუოდ საინტერესოა. მაგრამ ზემოაღნიშნული საფეხუ-  
რები ჰაეს განვითარებისა ნამდვილად ასე იყო თუ არა, და თვით ჰაეც პრი-  
მარია თუ არა ქართლურში, ამის გამორკვევა დღევანდელი ქართლურით ვერს,  
რადგანაც გათვალისწინებული პრეფიქსის ექვსივე სახე ქართლში დღესაც იხმა-  
რება და ძნელი სათქმელია, თუ რომელი რომელს უსწრებს. ყოველ შემთხვე-  
ვაში ქართლური პრეფიქსების მხრით უპირატესობის მქონეა სხვა კილოებთან  
შედარებით.

ამგვარად, ქართლური თავის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური მო-  
ვლენებით ახლოს დგას სხვა აღმოსავლურ კილოებთან. მაგრამ:

არის შემთხვევები, რომელნიც ასხვავებენ მას სხვა კილოებისაგან და ამ  
მხრით ქართლურს განსაკუთრებულ ადგილს ქართულს დიალექტებში, ხოლო გან-  
საკუთრებულ მნიშვნელობას ძველი ქართლისათვის, ანიჭებენ. ესენი არიან.

ნამყოსრულის 1 და 2 პირში ე'ზე დაბოლოებულ ზმნაში ი მარცვლის დარ-  
თვა, რომელიც ანალოგიით დართული ვი მარცვლისაგან (ვინის დაკარგვით)  
უნდა იყოს მიღებული;

დედისბგერების წინ ჰ, ჰხ, ახ'ს პრეფიქსებად გამოყენება, რაც არც ერთ  
თანამედროვე კილოს არ ახასიათებს (უშაურს გარდა, სადაც ახ პრეფიქსს აქვს  
ადგილი); ამ მხრით ქართლურის მნიშვნელობა დიდია პრეფიქსთა ევოლუციის  
გასათვალისწინებლად როგორც ძველი ქართლისა, ისე თანამედროვე კილო-  
ებისათვის...

<sup>1</sup> ა. შანიძე, „ჰაემეტობა ადიშის სახარებაში“; „ტფ. უნივ. მოამბე“, ტ. II, გვ. 420;  
გავე ახრია ნატარებელი ნის მეორე წერილში: „ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა“;  
„ტფილ. უნივ. მოამბე“, ტ. III, გვ. 358—9.





სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია უღრმესი მადლობა მოვახსენო ყველა მათ, რომელთაც ქართულურზე მუშაობისას რაიმე დახმარება აღმომიჩინეს, განსაკუთრებით კბ. თამარ ლომოურს და მისი პატივც. ოჯახის წევრთ — მორალურ-თან ერთად მატერიალური დახმარებისთვის.

### ქართული მეტყველების ნიმუშები.

- I. ანდახეზიდან: 1. შეესტვირის ცოლსა ჰკითხეს: თამაშობა იციო? უბედურმა ჩემა ქმარმა მაგი ნეტი რა მასწავლაო. (სიფ. ვრედვი).
2. ქვრივმა ქალმა თქვა: ღორი ქონმა და ჭადმა შეიღები დამიხოცა. — კიდევა გაქ? — აღარა მაქს. — ახლა დაგეხოცებიანო. (ტყვიავი).
3. ურიამ თქვა: ცხენზე მეკიდა ფარჩაიო და ეხლა საწედარზე ავკიდვიო. (აბო).
- II. განოცანებიდან: 1. ერთი თხა მყამდი ელაო, ზურგზე ეკიდა ენაო, იმისი სიტყვა-პასუხი ქვეყანან დიჯერაო [=სამსწორო]. (ტყვიავი).
2. ხე ავიარე ხე მბალი (sic), ხე ეერა ენაზე მართალი, ერთი ხე ენაზე მართალი, ისიც გვერდ გამოწათალი [=სადღევებელი]. (ბროწლეთი).
- III. ნაკვესებიდან: 1. გახაფულესა პირია, ხეს ფურცელი გამოთა, კაცი რო ვიღარიბდება, თავში ზკუა ამოთა; ჯინჯველას ღმერთი გაუწყრა, როცა ფთები ამოთა, მთაში წასვლას გააპირებს, გზაში სული ამოთა. (ვრედვი).
2. ერთა კაცი ქოსა იყო, ვერავინ ეუბნებოდა: — ქოსაო. ერთმა თქვა: მე ვეღვი და ხმას ვერ გამცემო. — არ უთხრა, თორემ მოგკლამო. — კაცო: ერთი საჯვრიველი ენაზე, იხვი მოადემ დაბლა ქორსა, ერთი კაცი პურსა შქამდა, თან ატანდა თამბაქოსა; ერთი კამეჩი ზაქს იგებს, ურქოსა და უჩლიქოსა, ერთი კაცი თავს იპარსამს, იყო სამოცი წლის ქოსა. შუაგრედვი; დავით მისურაძის (42 წ.) თქმით.
- IV. ლექსებიდან: 1. სიბერე მახლამს, დავლიე სიყმარწვილისა (sic) დღენია, ხან ავათ ვიყავ, ხან კარგათ, მე ერთი არა მწყენია; ხან დავდიოდი ფეხითა, ხან მყვანდა კათ ცხენია, სოფელი კაცსა გამოხსცდის, ამისთვინ არა მარცხეენია. ქიწნისი; ნახიდ თეფურის (71 წლ.) თქმით.
2. საიქიოს ცოდი მქნელი ჯერ მზედელი, მერმე ღედელი, მეწისქვილე დიიბარეს, პირში მისცეს სარეველი; ბეწვი ხიღზე რო გაეიდნენ ყენი და ძისა მკვლელი, ფეიქარიც იქ ჩავარდა, მძიმეთ ვადევდლო ყელი; — ვაი დედი ჩემი ღმერთსა, შულოს წავაპარე ხელი, აქ კი ველარ მოვიხმარე ეს ოხერი ენა გძელი, — შიაგდეთა ჯოჯოხეთშია, გამოურაზეთ კარები,



ისე დაწვით და დადაგეთ, როგორც ჭედელმა ნალები.  
ჭედლიც (sic) აქ მოიყვანეთ, ისიც არი ცოდო მქნელი,  
სახნისი რო მოგაბარე, წვერი რაზე მომიჭერი?  
— რკინა რკინას მიღმატებ, ის გამოვა საკვეთელი.

სოფ. ტყვიავი; სტეფანე გიგუაშვილის (65 წლ.) თქმით.

3. ქალმა თქვა: სიხმარი ენახე დამდეგ ენკენისთვისასა,  
ელვა-ჭეჭვა და ჭუხავდა, სეტყვას გვესროდა ქვისასა;  
ქალებსა ვკითხე, ანისხნეს: სიკედლის იტყვიან ჭრმისასა,  
არ დაიშალა იმ ბიჭმა, აღვა, წავიდა გზისასა.  
საზნი იქ შეეიყარნით სამგორსა მინდორისასა.  
მთხოვა პური და ვაჭმედი, ურჩემდი ქაბაბისასა,  
ღვინო მთხოვა და ვასმედი, ურჩემდი ბადავისასა.  
ხორცი მთხოვა და ვაჭმედი, ურჩემდი კაკაბისასა.  
ცოლი მთხოვა და ვერ მივე, — ჩემი ვარჩიე სხვისასა.  
არ დაიშალა, აკოცა წამწამსა გიშრის თმისასა.  
ლექურ-ხმალ ხელი გაეიკარ, ნაჩუქებ ცოლის ძმისასა.  
ერთი ისეთი გადაეჭარ, წვერი მოვარტყი ქვიწასა.  
იმანაც ერთი გადმამკრა, რისხვასა ჭამდა ზეთისასა,  
მე ანეთ მოგვდი, ის იქით, ქალი წავიდა ძმისასა.

სოფ. ბროწლეთი; იაკოვა ხშიადაშვილის (23 წ.) თქმით.

#### V. პ რ ო ხ ი დ ა ნ :

1. მღშები იყვნენ შეყრილი ერთ ადგილას საღმე. ერთმა ქალმა და კაცმა  
ჩაიარა ცხენზე შემჯდარი, ერთ ცხენზე ისხდნენ (იჯდნენ! sic) ორივენი. მღშებ-  
მა რო დაინახეს, წინ შემოესვია ქალი კაცსა, სიცილი დაიწყეს. იმან, ცხენზე რო  
იჯდა, კაცმა დაუძახა: — რას იცინითო მუშებოო, ამ ქალის ღედაიო ღედინემის  
ღედამთილი იყო. ეს რა იქნებოდა, ის ქალი, შენ გეტყვი მე.

2. ორი ზევირდები იყვნენ ერთ მქედელთანა. თქვეს რომა: მოდი, რო წა-  
ვიდეთ, რა უნდა მოაგონდეს, მოდი გავაჯავროთ რამე. იმან რო რკინა გაახუ-  
როს, რო დაგვიძახოს: დაჰკარით! ჩვენ ცანგალა და გოგონა [ვიმღეროთ], და  
ტაში დაჰკრეს. ჭედელმა რკინას ხელი გაუშვა და თამაშობა დაიწყო: აი შეი-  
ლო, ვგრე ჯობდეს — ვგრე ვქნათ, ესე ჯობდეს — ესე ვქნათ.

3. ერთი ვეხირი შეიამხანავა ერთმა ხემწიფემ და გაუთავებელი სიტყვა  
უნდა მითხრაო. ელაპარაკება, ელაპარაკება და რო გაჩუმდება, ეტყვის, — მერე?  
უთხრა რო: წავალო და შევისწავლი კიდევ.

ერთი ბიჭი არი და უჭირამ დიდი პური ხელში და იძახის: პური მამი-  
ტინეთ, პური მამიტანეთო. — ბიჭო, მანდე გაქ პური და რალა პური გინდა? — ეს  
რო გამომელიოს, მერე საიდან მოვიტანო? — მამა შენი სად არი? — შარსა  
თესამს; — დედა შენი სად არი? — ტირილსა თესამს. — ან შარი რა არი ან ტი-  
რილი [რა] არი? — მანა ჩემი ცერცესა თესამს, გადაივლის ვინე, მოგლეჯამს,  
ან მოკლამს და ან ზედ შეაკვდება. შარტი ეკ არი. ჩვენ მეზობელს შეილი მოუ-



კვდა, დედა ჩემი იმასა ტირას; შერე ან მამა, ან დედა, ან მე მოკვდებით, მოვლენ და ისინი გვიტირებენ. — ხემწიფესთან საქმე მაქ და მამა შენი ხო არ წამყვება? — მამა ჩემი რათ გინდა, მე წამოგყვები. მიიყვანა და ხემწიფემ თქვა: ამ [ასეთმა და ისეთმა] მაგახე კარქი ველარ ნახა? დადგა და დაუწყო ლაპარაკი. ელაპარაკება, ელაპარაკება და რო დადგება: — შერე? კიდევ სხვას დაუწყებს ლაპარაკსა და რო დადგება: — შერე? ბიჭმა უთხრა: მამა ჩემი გუთნი დედა იყო; — შერე? — შერე მიწა მოხნა. — შერე? — უპრი დაფთესით. — შერე? — შერე ყანა ამოვიდა, თავთაფი გაიკეთა. — შერე? — მწყერმა ბუდე გააკეთა. — შერე? — მივედი და დავიჭირე. — შერე? — უბეში ჩავისვი. — შერე? — გაფრინდა. — შერე? — გაფრინდა. — შერე? — გაფრინდა. — შე [ასეთ-ისეთო] სულ „გაფრინდა“ უნდა იძახო? — თითონ შე [ასეთ-ისეთო], სულ „შერე“ უნდა იძახო?

— ამოსავლეთის ხემწიფემ შემომითვალა: აქ ჩენა ცხენმა დაიჭიხვინა და მანდ შენმა ცხენმა ისამსევა. ისე უნდა შემინახო, რო არც შესცივდეს (შეამცივნო) და არც დასცხეს. — შენ ერთი ათი ბიჭი გამატანე და მე მოუროგდები. გააყოლა. — აბა ის ძაღლებს გამოუშვებს, რამტელიც მოვიდეს — დახოცეთ. რამტელიც მოვიდა — ხოცამენ. გადმოვიდა ხემწიფევი. — რახე მიხოცამ მაგ ძაღლებს? — იმა და ამ ალაგს ცხვიარი მყამდა, და დამეხვია მგელი და რამტელინე შენიჭინა. უმახე: ამ ცუგა, ამ ცუგა! და არც ერთი არ მოვიდა. — შე [ასეთ-ისეთო], აქედან იქა საიდან უნდა გვეგონათ შენი ყვირილი? — შე [ასეთ-ისეთო] თითონ, თუ აქ შენმა ცხენმა დაიჭიხვინა და ამ და ამ ხემწიფის ცხენი დამაკვდა, მაგათ ჩემი ძახილი ვერ გაიგონეს?

შუაერლვეი, დავით შალსურაძის (42 წ.) თქმით.

## W. THOPOURIA.

### Idiome de Kartlie.

(Résumé)

L'étude de la phonétique, de la morphologie et de la syntaxe de l'idiome de Kartlie nous montre qu'il appartient au groupe oriental des dialectes géorgiens. Mais il en diffère en certains points, ce qui lui permet de prendre une place particulière parmi les patois géorgiens d'aujourd'hui et d'avoir une grande importance pour nous aider à comprendre certaines particularités du géorgien classique. Ce sont surtout:

a. L'addition du -i que l'on fait à la fin des formes de la 1-re et de la 2-ème personne des verbes terminés par e au perfectum (Cet -i paraît être le développement de la syllabe -vi ajoutée par analogie).

b. L'emploi des h, hs, ys comme préfixes subjectifs de la 2-ème personne ainsi que comme préfixes objectifs de la 3-ème personne devant les consonnes „maternelles“, ce qui a une importance caractéristique pour le dialecte de Kartlie, aussi bien que pour se rendre compte de l'évolution de ces préfixes.



გიორგი ჯაკობია.

## ლეილ-მაჯნუნიანის ქართული ვერსიისათვის.

რომანტიული პოემა, რომელიც ცნობილია ლეილ-მაჯნუნიანის (ან ლეილ-მიჯნუნიანის) სახელით, ქართულ თარგმანში შენახულა მე-18—19 საუკუნეების პრაქტიკულ ნუსხეებში („წ. კ. საზ.“ ხელნ. № 1517, 403, 1739, 2694 1508, 2775 და სხვ.). სამწუხაროდ ჩვენ არ გვაქვს უფრო ადრინდელი ხელნაწერები; წარმოდგენილი ხელნაწერები კი ზოგი ნაკლულევანია, ზოგი კიდევ შეცთომებით რყენის ტექსტს. ასე მაგ. № 1739 ხელნ. მოულოდნელად წყვეტს მოთხრობას: უკანასკნელი თაფი პოემისა—ლეილას. სიკვდილის უკან მის მშობლების სიზმარი—წარმოდგენილია მხოლოდ ექვსი ტაეპით (თავდება ტაეპით, რომელიც ასე იწყება:

„საქმელად ხორცი შემწვარი მუნ მსხდომთა ფრინველისანი...“

ამის შემდეგ რვეულში ადგილიც კი არის თავისუფალი, მაგრამ გადამწერს ახალი რამ დაუწყია:

„ახლა გამოეჩნდი, დამერქვა სახელად მიჯნურთ ზადეა,  
გულ-დაკოდილთა არშიყთა სალხენად დავიბადეა“...

სხვა ხელნაწერებში კი სიზმარი სრულად არის მოყვანილი, მაგრამ ტექსტში ერთგვიანობა მაინც არ არის დაცული არა მარტო ორთოგრაფია-ლექსიკის თვალსაზრისით, არამედ შინაარსის მხრივაც კი. უფრო რივიანად, ჩვენის აზრით, ტექსტი წარმოდგენილია № 2694 ხელნ.-ში, სადაც პოემა თავდება მთარგმნელის ბიბლიოგრაფიული მინაწერით:

„უწყის ღმერთიან, ყველა ვთარგმნე, რაც სპარსთაგან მამესმინა;  
ვაქვ ძიწი, ვარდ-გიშერი, გაურთიე ბროლის მინა“...

ამის კი მოსდევს გადამწერის ცნობა:

„მე ვწერ ამ წიგნსა, სახელად რომელსა მქვიან დავრიში.  
მაჯნუნ იყო ლეილისთვის ველად გაჭრილი დავრიში“....

თითქმის ასეთივე მდგომარეობაა № 1517 ხელნ.-ში, ხოლო № 403-ში კვლავ არეულია: ტაეპი „უწყის ღმერთიან“... ჩართულია სიზმარში, რომელიც თავდება ასე:

„რალას არგებდათ, შაექნათ ერთმანეთისა ბრალობა“ და სხვ.





ეს პატარა ცნობა მოვიტანეთ აქ იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორ არეულად არის წარმოდგენილი ტექსტი.

ლეილ-მაჯუნუიანი სპარსულად რამოდენიმე ავტორის კალამს ეკუთვნის. პირველად ამ სათაურით პოემა დაწერა გამოჩენილმა მეოხანმა **ნიზამი** განჯელმა, რომლის თხზულებასაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია არა მარტო სამშობლოში, მისი სახელი შირს გაეარდნია: ის უთარგმნით სხვადასხვა ენაზე, სპარსეთშივე მიუბაძავთ მისთვის ორ სხვა მწერალს—ნურედდინ აბდ-ურ-რაჰმან შავლანი **ჯამის** და აბ-ულ-ჰასან ამირ **ხოსროვს**, და თითქმის ყველა მსოფლიო ლიტერატურის მეისტორიენი დიდის მოწიწებით იხსენიებენ მას.

ჩვენ ამჟამად იძულებული ვართ მსჯელობა ვიქონიოთ მხოლოდ ქართული ვერსიის შესახებ<sup>1</sup>.

ორიოდე სიტყვა ვადმოთარგმნის დროისა და მთარგმნელის შესახებ.

პროფ. კ. კეკელიძე გაკვრით ეხება ამ საკითხს, და ამბობს: „უნდა, ვთარგმნათ ის ავტორის სიცოცხლეშივე, მეთორმეტე საუკუნის გასულს. ყოველ შემთხვევაში ჩახრუბაძის **თამარიანში** თამარის პარალელიზმად ნათქვამია: „ამან თავი რად მართ აზაგირად შექმნა **ლეილის** ნამიჯნურედად“<sup>2</sup>.

რასაკვირველია, შეიძლება ასე ფრთხილად გამოითქვას აზრი, მაგრამ ოდნავადაც დამაჯერებელი ის ვერ იქნება, ვინაიდან რეალი საბუთები მის სასარგებლოდ არ გაგვაჩნია. ის ფაქტი, რომ „თამარიანის“ ავტორი იხსენიებს პოემის გმირებს მაინც და მაინც არ არის ვადმოთარგმნის დროს მაჩვენებელი. განა თამარის ეპოქის განათლებულ მწერალს არ შეეძლო დედანშივე სცოდნოდა სპარსული თხზულება? შეიძლება ითქვას, რომ პოეტი ვერ მიამართავდა ისეთ გმირების დასახელებას, რომლებსაც შეითხველთა უკრთე მასები არ იცნობდნო, მაგრამ ვერ არის დამაჯერებელი ეს მოსაზრება ჯერ ერთი იმიტომ, რომ მწერალს თუ პოეტს არ ევალება, მაინცა-და-მაინც მოიხსენიოს ნაწარმებებში (და ისიც გაკვრით) აუცილებლად მკითხველი საზოგადოებისათვის ზედმიწევნით ნაცნობი გმირი ანა თუ იმ თხზულებისა და არა ისეთი, რომელსაც მარტო თვითონ ან, უკეთეს შემთხვევაში, მასავით რჩეულთა დასი იცნობს; მეორედ: ხომ შეეძლო მკითხველთ სცოდნოდათ ლეილ-მაჯუნუს ამბავი ან დედანში ან ვადმოკვებით, ზეპარსიტყვაობით?

ერთის სიტყვით, შესაძლებლობა მრავალნაირია, და ვადაქრით რისიმე თქმა ძნელია. ერთიც არის საგულსხმო: ტრადიციისა და ანალოგიის მიხედვით მო-

<sup>1</sup>) ქართული ვერსიის სპარსულ დედანთან შედარებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების გარჩევა სხვა დროსთვის ვადავფეთ.

<sup>2</sup>) წარმოდგენილ წესებში პოემა დაყოფილია კარებად ანუ თავებად, მაგრამ არც ერთი არ ჰგავს ნეორეს, ყველგან უცნაური თავისებურებაა, ასე, მაგალითად, № 4048 ხელნ.-ში სულ 18 თავია, მაგრამ ვადაშწერს მე-7-8 შემდეგ დაქვიწყნია აღწახევა და შემდეგში მხოლოდ სათაურებს ვადმოვკვეთს და ისიც არა მთლიანი თავებისას, არამედ კერძო ამბებისას; № 2694 ხელნ.-ში თავიდან არ უწარმოებია თავების რეგისტრაცია, და ვამოყოფილი აქვს პატარა-პატარა ამბები—სულ 27, ასეთივე არის № 1517 ხელნ.-ში 25. ეს თავებად თუ ამბებად დაყოფა არ შეესაბამება ერთი ნეორეს წინაარსის მხრივაც.

<sup>3</sup>) კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, II, გვ. 32-33.



სალოდნელი იყო, რომ „ვეფხისტყაოსან“-ში ნახსენები იქნებოდენ ჩვენი გმირებიც, მით უფრო, რომ, თანახმად პატივცემული პროფესორის აზრისა, „**ლეილ-მაჯუნჯიანს**“ ერთგვარი გავლენა უნდა მოეხდინოს **შოთას** უკვდავ ქმნილებაზე“<sup>1</sup>... უფრო ბუნებრივიც იქნებოდა, რომ **შოთას** ვისოს და რამინის გვერდით ეხსენებია ლეილაც და მაჯუნჯიც (ყაისი). ბ. ზ. ჭიჭინაძე ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ ზღაპრულ ცნობას იძლევა. ის ამბობს, რომ „ადრიდგან ცნობილი თეიმურაზისგან ნათარგმნი პოემა „ლეილ-მაჯუნჯიანი“ სპარსულიდან თეიმურაზ მეფეს კი არ უთარგმნია, არამედ ზაალ თუმანიშვილს, ეს თუმანიშვილი კარგა ხანი სპარსეთში ყოფილა და იქ უთარგმნია, ამ თარგმანის შესახებ თვით თუმანიშვილი სწერს ერთ ლექსსა და ამ ლექსში იმას მოგვითხრობს, რომ ზაალ თუმანიშვილმა სპარსეთში ყოფნის დროს ესთარგმნეო“<sup>2</sup> ამ ცნობას ჩვენ ზღაპრული ვუწოდეთ, ვინაიდან ავტორი არ ასახელებს, თუ რომელი საუკუნის მოღვაწეა ეს ვილაც თუმანიშვილი. ვინ არის იგი, როდის უთარგმნია, სად არის მისი ლექსი და სხვ. არც იმის საბუთა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასეთი მთარგმნელი „ლეილ-მაჯუნჯიანი“-სა მართლაც არსებობდეს და ხსენებული ლექსი მოიპოვებოდეს სადნე. მართლაცდა ძნელია ვერწმუნოთ ისეთ ცნობას, რომელიც არ არის დადასტურებული არც ერთა ლიტერატურულ-ისტორიული ფაქტით, შინაწერით, **ხსენებით**, როდესაც არც თვით წყაროა დასახელებული!

ყველა არსებული ხელნაწერები ერთობლივ შეთანხმებულად გვამცნობენ, რომ პოემის მთარგმნელია მეფე **თეიმურაზი**. ჩვენამდე შენახულ ნუსხეებში სათაური ნაწარმოებისა ასეა გადმოცემული (უნნიშვნელო ვარიაციებით): „**ლეილ-მაჯუნჯიანისა** აშბაჯი სპარსთა ენათაგან ქართულად ნათარგმანები... **თეიმურაზისაგან**“... (პე 403 ხელ). თუ რომელი **თეიმურაზია** პოემის მთარგმნელი, ამის შესახებ ამომწურავ და დამაჯერებელ პასუხს იძლევა მოწმობა **არჩილ** მეფისა და **ნოდარ ციციშვილისა** (პირველისა „**არჩილიან**“<sup>3</sup> და მეორისა „**ზარამგურია**“-ში), საიდანაც ჩანს, რომ მთარგმნელია სახელდობრ მეფე **თეიმურაზ პირველი**, დავითისძე<sup>3</sup>.

გადმოთარგმნის დათარიღებაც არ არის ძნელი. თუ დაუჯერებთ იმავე **არჩილ** მეფეს, პოემა გადმოთარგმნილი უნდა იყოს მაშინ, როდესაც **თეიმურაზი** ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოს ტახტზე იჯდა 1629--1634 წლებს შუა. მაშასადამე, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენამდე შენახული „**ლეილ-მაჯუნჯიანი**“ გადმოთარგმნილია ქართულ ენაზე მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში და მისი თარგმანი ეკუთვნის მეფე **თეიმურაზ პირველს**. სხვა ნრავალ-სპარსულ თხზულებათა მთარგმნელს.

პოემის მოქმედება წარმოებს არაბეთში და მომქმედი პირები ყველა არაბეთიდან არიან. ანას ამელაიწებს პოემის სხვადასხვა ადგილები.

<sup>1</sup>) *ibid.*, გვ. 135.

<sup>2</sup>) ბ. ჭიჭინაძე, ლექსი, თქმული მეფის თეიმურაზ I-საგან. ტფილისი 1886.

<sup>3</sup>) ბ. ჭიჭინაძე, ქართ. ლიტ. ისტორია, II, ტფ. 1924, გვ. 231-2.





1) ყაისის მონათელაზე „მოვიდნენ ყოველ მხრივ არაბნი“

2) რა გაიგო დედამ, (ლელიასამ) რომ **ლეილას** და **ყაისს** ერთი-მეორისადმი ტრფილვება ჩაჰსახვიათ გულში და ამისათვის მასწავლებელმა გამოსტუმრა ისინი შინ, ეუბნება ქალს: „თავი მომკვეთე, გამზადე **არაბთა** სასაცილოდა“ (№ 403, გვ. 58 v).

3) **ლეილ-ყაისის** გაბედნიერებაზე „სრულ არაბთა დედა-წულნი საქორწილოდ მოწვეულა“ (გვ. 62).

4) მათ ქორწილში მხოლოდ **არაბნი** ღებულობენ მონაწილეობას;

5) **ღიზა** ქალაქი, რომლის მეფეებია **ლეილას** და **ყაისის** მანები, **არაბეთ-შია** დასახელებული;

6) სილამაზით სახელგანთქმულ **ლეილას** ხელს სთხოვს მის ნაშას სპარსეთის მეფე საგანგებო წერილით და სხ.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, პოემა სპარსეთშივე განმეორებულა ორჯერ **ხოსროვის** და **ჯამის** მიერ. ეგ საკვირველიც არ არის, ვინაიდან ასეთი ბედი სწვევია სპარსეთში სხვა თხზულებათაც (მაგ., „**ვამეყ და აზრას**“ „**შამ-ნამეს**“ „**იოსებ-ზილიხანიანს**“ და სხვ.) და თუ ამას დავსძენთ, რომ, მსოფლიო ლიტერატურის ერთი ისტორიკოსის თქმის არ იყოს, „**ლეილ-მაჯნუნია**“ მთელს აღმოსავლეთში პოპულარული ისტორიაა სიყვარულისა“-ო<sup>1</sup>, გასაგები გახდება მისი განმეორებისა, მიბაძვისა თუ გადათარგმნის მოტივები.

სამწუხაროდ ამჟამად ჩვენ არ შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, თუ ვისი რედაქციაა ქართულ თარგმანში მოცემული—**ღიზამისა**, **ხოსროვის** თუ **ჯამისა**. ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში ამ საკითხზე არავენ დაფიქრებულა და შებლონიად გადაიქცა აზრი, რომ ეს **ღიზამის** შრომის თარგმანი იყო. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ მაინც ჯერჯერობით ვადაპრით რისიმე თქმა შეუძლებელია<sup>2</sup>.

ლეილ-მაჯნუნის ქართულ თარგმანში უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს თვით სიუჟეტის, მომქმედ პირებისა და ზოგადი ხასიათის მონენტების ასხმა-ასახვა პოემაში.

ჩვენ აქ არ გამოუდგებთ მისი შინაარსის გადმოცემას, მხოლოდ გზადაგზა აღვნიშნავთ თელსაჩინო მონენტებს.

ენა თარგმანისა, რასაკვირველია, გაცილებით უფრო ღარიბია, ვიდრე კლასიკური ხანისა; ვერც ლექსი არის ისე ნარანარი და მუსიკალი, როგორც **შოთახი** და **ჩახრუხაძისა**. პირიქით მას ხშირად ეტყობა ნაძალადეგობა მხოლოდ იმისთვის, რომ რიტმი და რითმა დაცული იყოს. მაგლითისათვის:

<sup>1</sup>) В. Зотев, История Всемирной Литературы I, 162.

<sup>2</sup>) რომ ეს **ჯამის** რედაქციის თარგმანი არ არის, ამას აშკარად ხდის ამ ავტორის რედაქციის შინაარსი, რომლის მიხედვით ლეილას და ყაისის სიყვარულის მოსაგვარებლად ჩაერგვა თვით ზეობი, მაგრამ უნაყოფოთ: ლეილას შამა ქალს გაათხოვეს სხვა ვინმეზე. ლეილა ამცნობს ქმარს, რომ მას უღვარს მაჯნუნი; ქმარი ეგრ აიტანს ამ მწუხარებას და კვდება. ახლა ლეილას აქვს საშუალება გაჰყვეს ყაისს, მაგრამ ეს უკანასკნელი ზედმეტი სიყვარულისა და დარდისაგან მალე კვდება. ამ ამბის შემტკობი ლეილაც კვდება, დაიტოვა რა ანდერძად, დაეკრძალათ საყვარელ ყაისთან ერთად კუბოში, რაც შესრულეს მშობლებმა. (В. Зотев, История Всемирной Литературы, I, 162).



„უთხრა, თუ მე ვარ ლეილი, ეს მაჯუნ ჩემთვის ხელები  
მუნ არ გვამყოფთ ჩვენ ერთად, მით გვწვიდა ცეცხლი ცხელები,  
ცოდვა არ იყო ჩვენ შუა, არ საქმე საკიცხელები,  
აქ მან შეგვეყარა, წყალობა ვის აქვს აურაცხელები“.

(ხელნ. № 1517).

როგორც მკითხველი ხედავს, ჩვენ აქ საქმე გვაქვს „ნაწვალე“ ლექსთან.  
ტაეპის უკანასკნელ ხანაში არ არის დაცული მეტრიკის კანონ-ზომიერება, ხო-  
ლო რათმისათვის მთელ ტაეპში გამოყენებულია გრამატიკულად უკანონო ფორ-  
მები—ხელები, ცხელები, საკიცხელები, აურაცხელები (მხოლოდითის ფორმე-  
ბის ნაცვლად). ან კიდევ:

„მიჯნური ხელსა დაარქვეს, სახელი ყმისა ყაისო,  
მაქთუბში ნახა მისი შხე, გულსა ლახვარი დაისო,  
ეტლსა ეტყოდა: „ესე სჯობს-ლეილი გულსა დაისო,  
ფიცვედა: „არად საკმარ არს—ვარდაა ნუ გაშლი მაისო“.

მოყვანილ ნაწყვეტში (№ 403, გვ. 58) რითმა ნაძალადეგია, „ყურით მოთ-  
რეულია“. უაზრობაა შეყვარებული ადამიანის თქმა: „არად საკმარ არს—ვარდს ნუ  
გაიშლი მაისო“-ო; მით უფრო ისეთი გახელებული ადამიანისათვის, როგორც  
იყო ყაისი. ეგვემ ტაეპი უფრო უაზროდ და ნაძალადეგად წარმოდგენილია  
№ 403 და 2614 ხელნაწერებში, საკვირველია თავისი უაზრობით და პოეტური  
ხატოვნების უსაზღვრო სიღარიბით შემდეგი ტაეპი:

„ვიცი, მიწყრები დედაო, მე შემცოდე ვარ თურნედა,  
მიბრძანე: ეშვი რა არის—ხმელზე დგას ანუ ცურვედა?  
ფრინველია თუ ნადირი, ფერად თეთრი თუ შურვედა?  
ხილი არის თუ ყვავილი, წალკატსა შიგან ურვედა?“

(№ 403 გვ. 59, 1517 გვ. 8 v. 2694 გვ. 94.).

პოეტს ვერაფერი უბოკნია სიყვარულთან შესადარებელი გარდა ხილისა და  
ყვავილისა, ხოლო გრძნობა, როგორც ასეთი, ვერ გამოურკვევია—მტკიცება თუ  
ცვალებადი, თუმცა ამ თვალსაზრისით—ხმელზე დგას ანუ ცურვედა\* ერთობ  
ფულგარული და უსწორო ფორმაა აზრის გამოსახატეად, სიტყვა „მურვედა“  
გამოურკვეველია: როგორც თეთრის კონტრავერსა, იგი შავს უნდა ნიშნავდეს:  
მური—ჭვარტლი, აქედან შავი; ყოველ შემთხვევაში ფორმა დამახინჯებული და  
მიუღებელია. უკანასკნელი სტრიქონი კი მხოლოდ სიტყვების უაზროდ ჩა-  
ტმასნებაა.

ხელოვნური და ნაძალადეგია ის ტაეპი, რომელიც გადმოგვცემს დიაკთა-  
გან ლეილას დაჯერება-რჩევას:

„ვით მზე ცისა სამყაროსა—შენ ანათლობ არაბედსა,  
მოუკიდებ მჭვრეტთა ცეცხლსა, მონადოშებ არ აბედსა,



რად ემდურვი საწუთროსა, გიჭირს რამე არა ბედსა,  
 შენ გეძებენ ტახტსა მჯდომნი, რად სდევ მინდორს განარბედსა?\*

(№ 403 გვ. 76).

პირველი სტრიქონის სარიტმი არაბედსა უნდა აღნიშნავდეს არაბეთს, რომლის ერთ-ერთ ქალაქის მეფის შვილი იყო თვითონ ლეილა, მაგრამ ამ სახით წარმოდგენა მისი ყოვლად უმართებულო რომ არის—ცხადია, ლექსისათვის არის მოტანილი. შესაბამე სტრიქონის „გიჭირს რამე არა ბედსა“ შეიძლება გავიგოთ: კარგი ბედი გაქვს, — არაბეთში ტახტზე მჯდომნი შენს ხელს ეძებენ, — ორსავე შენთხევევაში პოეტს ეტყობა მეტი პროზაიკოსობა, ვიდრე პოეტური ფიგურალობა. არც „განარბედსა“ არის ბუირიანი მიმღეობა რბენა ზმნისავან.

მეორე ნუსხაში (№ 1517) ეს ტაეპი უფრო სასაცილოდ არის წარმოდგენილი:

„ვით მზე ცისა ხამყაროსა, შენ ანათებ ხამყაროსა,  
 მოუცილებ მჭერეტსა ცეცხლსა, მოანდომებ არაბეთსა.  
 რად ემდური საწუთროსა, გიჭირს რამე არაბეთსა  
 შენ გეძებენ ტახტსა მჯდომნი, რად არა სდევ არაბეთსა?“ (გვ. 21)

აქ უკვე ლექსიც დანგრეულია და აზრიც დამახინჯებული.

მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანდა; ასეთი ნიმუშების ამოღება ბლომად შეიძლება პოეტიდან. რასაკვირველია, აქა-იქ არას ლამაზი ლექსიც და აზრიც<sup>1</sup>, მაგრამ საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ქართ. ევრსია პოემისა მძიმე საკითხავი და მუსიკალობას მოკლებული ნაწარმოებია.

მთარგმნელის ბოლიშის მომხდელად უნდა ჩავთვალოთ მისივე გულწრფელი განცხადება:

„სპარსთა ძლივ იქვეს მისნი ჭირნი, ან ვით ამზობს ზემი ენა“-ო.

(1517, გვ. 19.

თუმცა ამ შემთხვევაში ის ლაპარაკობს არა გადმოცემა-ფორმის მხრივ, არამედ არსებითად — ენისა და გამომეტყველების თვალსაზრისით. და განუზორციელებლად უნდა ჩავთვალოთ, მაშასადამე, მთარგმნელის სურვილი:

„მე სპარსთა ენის სიტკობამან მასურვა მუსიკობანი“-ო (1517, გვ. 3).

<sup>1</sup>) ასეთებად უნდა ჩათვალოს, სხვათა შორის, ა) ყაისის უსაზღვრო სევდა მას შემდეგ, რაც ის მომწირდა ლეილას სკოლიდან;

ბ) დაშტაყვითა შენი ნახეა, ან შე ჩაექნა, ჩემო მზევე, და ცრემლით სველი უბე-ვალთა არაოდეს გამიმხვედა, სული შირბის სწრაფით მანდეთ, გული კრული შენვე მხედდა, რადგან თვალნი ვერა გვერეტენ, კაას დახნულდე რადლა მზევე, და!“

(№ 403, გვ. 59 v.)-

ბ) აღმოსავლური სინაზის და სიმწავის ლირიზმით მდიდარია ყაისის მოთქმა ლეილას სასაფლაოზე:

„მწეო ჩასტღხარ მიწასა, არ გიყვირს მე სადა ვარ, და! რისთვის დაატე უმწოდ, ვინც შენთვის ევლად გაეარდა?.. რად არ შემტამეს ღომ-ვეფთაა, თურმე ამ დღესა ველოდი“... (გვ. 91) და სხვ



ახლა რამოდენიმე სიტყვა თვით სიუჟეტის გადმოცემისა, თუ ხასიათების წარმოდგენის შესახებ.

ახლად დაბადებულ ყაისზე და ლეილაზე პოეტი გადმოგვცემს:

„ვაგი ჰგავს ლომის ნაკვეთსა, ქალმან ისწორა მზე არა“-ო.

ცხადია, ვაგის დახასიათების ნაწილი ჰიპერბოლას უფრო წარმოადგენს, ვიდრე ნამდვილი ვინაობის გადმოცემას; ის უფრო ზღაპრულია, ვიდრე რეალური. თუ რუსთველის ტარიელი გვიამბობს:

„ხუთისა წლისა შევიქმენ მზგავსი ვარდისა შლილისა,  
ჭირად არ მიჩნდის ლომისა მოკვლა, მართ ვითა სირისა“ (ტ. 310).

ანუ

„მოვიწიფე, დავემსგავსე მზესა თვალად, ლომსა ნაკვეთად (266)

ეს გასაგებია, ვინაიდან: 1) თვით გმირი მოგვითბრობს ამას; მას შეუძლია ცოტა მეტის წარმოდგენასაც იყოს თავის თავზე და 2) ტარიელმა თავის სიჭაბუტეში მართლაც დაამტკიცა, რომ ის ასეთი იყო; სხვა რომ არა იყოს რა ავთანდილმა დაინახა ტარიელი, რომელსაც

„ერთვენ უც ლოპი მოკლული და კრწალი სისხლმოცხებული,  
კვლა სხვაგან ვეფხი უსულო, მკვდარი, ქვე დანარცხებული“ (804)<sup>1</sup>.

მაჯნუნის შესახებ კი პოეტი მხოლოდ ზემოხსენებულს გადმოგვცემს, სხვა მხრივ ჩვენ არა ვიცით რა მის გმირობასა და ვატიკობაზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მეორე სასწაულებრივ ეპიზოდს მისი ცხოვრებიდან; სახელდობრ: როდესაც მაჯნუნს შემთხვევით ნახული ლეილა წაართვის ხალუშებმა,

„მთგან უწყალოდ სასიკვდიინედ მაჯნუნს ლახერით მიეშინა,  
ვერ მოჰკიდეს, ვერ დაკოდეს, მთვე უფრო წაეწინა;  
გარე ხარლაც ვერ გაუჭრეს, არ თუ რამე ევნობინა.  
ცუდ მაშვრალნი უკმობრუნდეს, კლმის ქნევამა ააქშინა“

(№ 403, გვ. 67).

შთაბეჭდილება ისეთია, რომ ეგ ამბავი მომხდარა სასწაულებრივ: რატომ ვერ შესძლეს ყაისის „დაკოდეა“? განა იმისათვის, რომ ხმალი აღარ უჭრიდათ მსაზურთ? ან იქნებ იმიტომ, რომ ყაისმა თავდასხმა მოიგერია და თვით უვნებლად გამარჯვებული გამოვიდა შეტაკებიდან? მაგრამ ეს ხომ ნათელი არ არის ადგილიდან; არც მანამდე ვიცით რამე ყაისის გმირობის შესახებ, გარდა იმისა, რომ დაბადებისთანავე ის ლომს ჰგავდა აგებულობით...

ველად გაჭრილი ხარამის მოქმედებებშიაც ვატყობთ გმირობას, რაც შეეფერება ავტორის დახასიათებას და გაგებას ამ მიჯნურისას და ანიტომ მოულოდნელი არ არის, რომ მან:

<sup>1</sup>) ი. აბულაძის გამოცემით.



„ნახნის მეცნი და ლომ-ვეფხნი მინდორსა შიგან რებული,  
 ვით კატა, ეგრე დავოცნის, გაკადის სამად რებული“

(„წ. კ. ს.“ № 1613 ხელნ.).

უფერულად არის გადმოცემული ყაიხის ველად გაჭრის მოტივები, განც-  
 დები გაჭრის წინ და თვით გარემოება, რომელწიაც ის გარბის. ლეილას დედ-  
 მანა დაეთანხმა ყაიხის მშობლების მოციქულებს, რომ ქალი შეერთო მათი ვა-  
 ყისთვის; ქორწილი მოეწყო; ეშვობლებული ყაიხი დაინახავს ლეილას გოშის  
 და კოცნას დაუწყებს. ეს ამბავი განცვიფრებას და აღშფოთებას იწვევს დამსწ-  
 რე საზოგადოებაში და ლეილას მშობლებში—ყაიხს გააგდებენ სახლიდან<sup>1</sup>. ამ  
 ამბის გადმოცემას უშუალოდ მოჰყვება ტაეპი:

„მამინ გაიჭრა მიაჯუნნი, ველად შირბოდა შინ არა:  
 ვარდს ველარ მიხვდა საკრეულად, კელთა ეკალი ინარა.  
 უკან მისდევდენ მშობელნი პირს სისხლი ჩამომდინარა.  
 მისთვის დაბნელდა საწუთრო, მხემ შუქი გაუჩინარა“.

(№ 403, გვ. 64 v.)

არაერთიარო ფსიქოლოგიურ განცდათა გადმოცემა, არაერთიარო შთაბეჭდი-  
 ლებების აღწერა: გააგდეს გაიქცა ტყეში და არა შინ...

უწყველია ესე შექანიკურად აღწერა იმ საბედისწერო მომენტისა, რომე-  
 ლიც ეწვია მიაჯუნს მომასწავებელია პოეტის ფსიქოლოგიურ მოტივთა სიღარი-

<sup>1</sup>) ალ. ხაჩანაშვილს (Отецъ, муш. III, გვ. 75) და კ. ანკეღლიძეს (ქართ-  
 ლიტ. ისტ., II, გვ. 229) ნახევრები აქვთ, თითქოს ყაიხი გააგდეს სახლიდან იმიტომ, რომ  
 ქებინის კოხხუას დროს ვერ მოითმინა და ლეილას დაუწყო კოცნათ. ამ ქრალაც ვაუგებრო-  
 ბაა. ხელნაწერები გადმოგვცემენ, რომ ყაიხმა ლეილას გოშის დაუწყო კოცნათ. აი ეს ად-  
 გილიც:

„ქებინის წიგნსა იკოხხეს, მოლან ახსენა აღიო.  
 ყმას აღარა აქეს ქეუა და რეტად მიმოაქეს თვალთ.  
 მეჯლისში სხედან, ლზინი აქესთ, სამოთხეს მიუღარობდა.  
 ყმამ იენა ქალის გოშია, ჰკოცნის, პირს პირზე არობდა.  
 გაპვირდეს, თქვეს: აქეს ქორწილი, ეალღს ჰკოცნის, რასა ჰჯარობდა?  
 შეული ვით მივსცეთ შემეცდაჩას? კარში გააგდეს, გარობდა. (ხელნ. № 403, გვ. 64).

ეს ამბავი ასევეა გადმოცემული ყველა ხელნაწერებში. (იხ. ხელნ. № 1517 გვ. 12, № 1739  
 გვ. 12, № 2634 გვ. 100, № 3083 გვ. 67).

არაერთიარო ცვლილება არ შეაკეს არც ორი წლის წინად რუსეთიდან ჩამოტანილ ხელნა-  
 წერთა კრებულს (იხ. „საქ. საისტ.-საიენ. საზ. მეზ.“ № 2325 ხელნაწერი), სადაც ლეილ-მიაჯ-  
 უნის ამბავი სულ შვიდ ტაეპშია გადმოცემული—მოკლე შინაარსი (ტაეპები ღახ—ღოჯ); იქ  
 ვითაუღობო:

„ქალსა ჰქვა ერთი გოშია, მიჯუნის არ დაუღარავსა,  
 იგი ყმა სადეს ლზინითა უზის, გავს აღსა მთარესა...  
 ვოშოია აბტა ტახტზედა, ქალს შემოთვლის გარესა,  
 მიაჯუნნი კელთა აიყვანს, პირს პირზე დააკარებებსა,  
 შეხედეს, იენეს—ხელობდა, ფიცხლივ გააგდეს გარესა“. (რვეული 11, ტაეპი ღოა).





ბისა და უნიჭობისა. თორემ წარმოდგენილია, რომ ასე მარტივად და უბრალოდ ჩაეელოს მაჯუნნიანისათვის ამ ტრადიკულ შემთხვევას. შთაბეჭდილებაა, რომ პოეტს მხოლოდ ფაბულის საჭიროებისათვის მოუტანია გომისას კაცა—ასეთი მწვავე სულიერი და ფიზიკური ღტობა უსაზღვროდ შეყვარებულისა—თორემ შემდეგ ის არ დაგიდევთ იმას, თუ როგორი განცდები და ემოციები უნდა სწევოდა ამის ჩამდენ ადამიანს, ამისათვის წარმოდგენილად დასჯილს—ამათ დაკარგა თვისი მისწრაფების, ხელქმნილობის ობიექტი! თითქოს ამის საპასუხოდაა ნათქვამი, რომ „მაშინ გაიჭრა მაჯუნნი“-ო, მაგრამ აქაც საშინელი სიღარიბეა პოეტური შემოქმედებისა. კინემატოგრაფიული გულცივობით და მოულოდნელობით გადმოგვემს პოეტი ამ შემთხვევას. რა ეექტი გამოიწვია ყაისის ველად გაჭრამ? „უკან მისდევდენ მშობელნი პირს სისხლი ჩამოჰდინარა“—აი როგორი სიმარტივეთ და „შინაურულად“ არის წარმოდგენილი ეს მომენტიც. ველად გაჭრილ, განიჯნურებულ ყაისის მიმართ ასეთი საქციელი მხოლოდ ღიმილს იწვევს მკითხველში. რაც გადმოცემულია, ისიც ვერ არის მოხერხებულად ნათქვამი: აწერილია ყაისის სულიერი მდგომარეობა (მეტად მკრთალად) „გარბენის“ დროს, უცებ მშობლები გამოჩნდებიან, შენდეგ კი კვლავ უბრუნდება პოეტი ყაისს. უკანასკნელი სტრიქონი საეჭვოა ვის ეხება: ყაისს, რომელსაც მზე დაუბნებლად ლელიას დაკარგვით, თუ ყაისის მშობლებს, რომელთაც შვილის გადავარდნით „მზემ შუქი გაუჩინარა“? ასეთ ეჭვს იწვევს ეს ადგილი, რასაკვირველია, გადმოცემის არეულობის გამო.

კიდევ უფრო არა ბუნებრივი და საკვირველია ცნობა მაჯუნნის მამის სიკვდილის შესახებ:

„მოკვდა მამა მაჯუნნისა, რა გაჭრილი ნახა შვილი,  
 ლელისა დედამათა მარტო დარჩა იქ ადგილი“... (გვ. 64 v.)

ეს ტაეები უშუალოდ მოსდევს ხევით მოყვანილ ტაეებს. მამა ჯერ მისდევდა შვილს, სისხლი ჩამოსდიოდა პირიდან, ახლა კი, „რა გაჭრილი ნახა შვილი“, კვდება. ძალიან უბადრუკია ხერხი, რომლითაც პოეტი ამ ცნობას გვაწვდის. ნუ თუ პოეტს არ შეეძლო მოეცა სურათი მამის სულიერი მდგომარეობისა უფრო მკაფიოდ, ღრმად და ბუნებრივად, თუ გნებავთ? დროს მანძილი ნაინც იყო საჭირო ამ მოვლენათა შორის, თუ კი მამის უცბად არ გაუსკდებოდა გული საყვარელი შვილის დაკარგვის გამო. სურათში არც ეს არის გადმოცენილი. და არც იცი ადამიანმა: როდის მოხდა ეგ ამბავი, რატომ და რა პირობებში... პოეტს აქ აჭარბება ეტყობა—უნდა მალე მოპრჩეს ფაბულის გადმოცემას—რა უყოთ, რომ ამისთვის დასჭირდება მკრთალი სურათები და არა ბუნებრივი ნახტომების ვაკეთება. ან რა მოუვბდა მაჯუნნის დედას? სად არის ის პოემის მოქმედების განმავლობაში? ქონება შემოიერთა ლელიას მამამ, რაკა მეფე (ყაისის მამა) მოკვდა, ნაგრამ დედა სად წავიდა? ქონებასთან ერთად ისიც შემოიერთეს?.. შვილი ველად გაჭრილი, მხეცთა და ნადირთა შორის ეგულდება, —რა ზონებს ღებულობს, როგორია მისი სულიერი მდგომარეობა? შვილმა ლელიას სასაულოოზე დალია სული—სად არის დედა, რა მდგომარეობაშია ის?—ამ კითხვებზე პოეტი არც დაფიქრებულა და





უფრო ნართებულია ვთქვათ, რომ ყაისის დედის არსებობა მას საღდაც გაეპარა, შეუმჩნევლად დაპარა. ეს კიდევ ზედმეტჯერ გვაფიქრებინებს, რომ პოეტი ჩქარობს, ცდილობს მხოლოდ ფაბულა გადმოგვეცეს. სურათების, განცდების, თანამავალ გარემოებათა სიმდიდრე თავშიაც არ მოხდის<sup>1</sup>. და თუ როდისმე შეეცდება ასეთობას, საკვირველია, იქ, სადაც ამის საჭიროება ყველაზე ნაკლებია<sup>2</sup>. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ბასრელი მეფის ამირას კარის და ზნე-ჩვეულებების აწერილობა<sup>3</sup>. ამისათვის პოეტს მიუძღვნია 11 ტაეპი, მაშინ როდესაც არც ლეილას და არც ყაისის დედ-მამათა (ისინიც მეფეები იყვნენ) შესახებ თითქმის არაფერი არ არის ნათქვამი. უეჭველია ნარცხი მოსულია პოეტს, რომ ვერ შეძლო კანონზომიერების დაცვა—იქ ვუღუბნობს, სადაც ნაკლებად სჭირია, იქ ძუნწობს, სადაც უნდა უხვი იყოს.

რა მდგომარეობაშია ველად გაჭრილი მაჯუნნი? ძალიან ცოტა არის ამის შესახებ თქმული. და ეს იმ დროს, როდესაც მთავარ მომქმედ პირს ასეთი უბედურება ეწვია!

დაუგდოთ ყური პოეტს:

„ლეილან სხივთა სინათლე მაჯუნის გულსა უღარა,  
მანცა დამეტა მიჯუნურთა, ხელობა ვერ ვინ უღარა.  
ველად გაიჭრა, ფრინველნი თავზედან დაიბუღარა,  
ნება უპოვრად სრულ იქმნა, გარე მოერტყა სულარა“ (გვ. 64.)

ეს არის და ეს! დაუჯერებელია, რომ გახელებულ ყაისს, რომელიც ლეილას მიერ ფებდანადგამ მიწას ჰკოცნადა, მეტის სევდითა და ნალევლით მაჯაზე სისხლი წასკდა და სხე, დაუჯერებელია ასეთ ადამიანს ველად ყოფნის დროს მტანჯველი

<sup>1</sup>) ალ. ხახანაშვილს (იქვე, გვ. 77) საიდგანდაც ამოვლია ცნობა, რომ ლეილას სიკვდილის შემდეგ დედა მისი „Взяла святу и отправилась в дом матери Меджнуна, чтоб излить на нее всю жаль. Но как только она подошла к этому дому, навстречу ей вышел сам Меджун“... საიდან არის ეს ცნობა? ხელნაწერები სულ სხვა ნაირად გადმოვიცემენ. იქ ეკითხულობთ, რომ დედამ ლეილას პერანგი

„მკარს გადიცდა, წაიღო თავ მოკდით, ფეკნიშველამან,  
თქვა: წაველ დავაწო მაჯუნნი ცეცხლითა დასაწველამან,  
მისმან მიხეზნან მოპოვლა, ესე მანც იცის ხელამან  
ვგების მკვცთა შეტამონ ღომ-ვეფხთა, ტურა-მელამან.  
რა მაჯუნმან დედოფალი ნახა მისკენ მიმავალი...  
გაუკვირდა ვგრე ნახა, მოვეგბა განამკრთალი...  
თქვა: (თუ) წაველ, მეც მუნ მოვევდ, ვისთვისდა ვარ ხელი ველად“  
(№ 403, გვ. 59 v).

ეს ადგილი ასევე ეკითხება სხვა ხელნაწერებშიც: № 2775 გვ. 191, № 1739, გვ. 36, № 3688 გვ. 191, № 1517 გვ. 50, № 2694 გვ. 126 და სხვ.

აქ ყაისის დედის ხსენება სულაც არ არის. უნდა ვიფიქროთ, რომ გამსვენებული პროფესორი შეცდომაში შეუღყვანია გამოთქმას „დაესწო მაჯუნნი“, და „რა მაჯუნმან დედოფალი ნახა მისკენ მიმავალი“. მაგრამ საკმე იმაშია, რომ ლეილას დედამ იცოდა, თუ სად იყო გაჭრი-



ფსიქოლოგიური განცდები არ ჰქონოდა, და განვისაზღვროთ მისი ასეთი დახასიათებით: „ფორინველნი თავზედან დაიბუდარა“. უეჭველია, რომ ეს მკრთალი სურათია მაჯნუნის სულიერი მდგომარეობისა.

არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი ლელიას შესახებ, სანამ ყაისი მათხოვრის ტანსაცმელში გამოწყობილი არ მოველინება მას. ნუ თუ გონება-მინდილობამდე შეყვარებული ლელია უტანჯველად განისვენებდა მამის მდიდარ კარზე? ნუ თუ მისთვის გამიჯნურებულ ყაისის მდგომარეობა ან ვინაობის უცოდინარობა არაფერს ეუბნებოდა მას? პოეტი ამის შესახებ დუმს. ლელია მთელი ინტერვალის განმავლობაში—ველად გაკრიდან მათხოვრის საბით მოსვლამდე—თითქოს დაავიწყდა კიდევ პოეტს. ყოველ შემთხვევაში ლელიას ტანჯვა-განც-

ლი ყაისი—სწორედ იმ მთის კალთებს-შეაფარა თავი, სადაც მოხდა ლელიას და ყაისის მოუღიძნელი პაემანი. სხვა რომ არა იყოს რა, ყაისი სომ წინ არ ეგულუბოდა მას? და რომ მართალი იყოს ა. ხახანაშვილის გამოთქმა: „Как только она подошла к этому дому, навстречу ей вышел сам Медахиу“, უნდა ვიფიქროთ, რომ ყაისს უკვე გაუთავებია ლელიას გლოვა, როგორც დაკარგული სატრფოსი, და წინ დაბრუნებულა... ამის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს უკანაქველი სტრიქონი მოტანილი ადგილისა: „ვისთვისღა ვარ ხელი ველად“. აქედან ხომ ცხადად ჩანს, რომ ყაისი ახლაც ველადაა გაკრილი? საერთოდ უნდა ითქვას, რომ აღ. მახანაშვილს პოეტი სთუქვტია ვადმოცემისას სხვა დეტალებშიაც მოჰსვლია შეცოთალები.

2) უადგილოა, ზედმეტი და საანალოგიოდ შეუფერებელი აგრეთვე ის ადგილი, სადაც დედის მიერ ლელიას ცემა დავარ-ნესტან დარეჯანისასთან არის შედარებული. როგორც ვიცით, დავარი, აღმზრდელი და მეთვალყურე (და არა დედა) ნესტანისა განრისხდება, გააგებს რა მის მონაწილეობას ტარიელის მიერ საქმროს მოკვლის საქმეში, და ამიტომ:

კელი მაჭო, წამოზიდანა, თმანი გრძელნი დაუფუშნა,  
დაალბა, დაალურჯა, მედგრად პირნი მოიქუშნა“

(ი. აბულაძის გამოც. ტ. 519.)

ყენს პოემაში კი დედა ცემს ლელიას, დაინაზეს რა, რომ ის ეხვევა მათხოვარს (ყაისს) და პოეტი ამბობს:

„ვით დავარ ნესტან დარეჯან, მან დაალურჯა ცემითა“—თ

(№ 403, გვ. 66).

პოეტს, როგორც ეტყობა, უადგილოდ მოჰაერებია გამოაშკარავება, რომ ის იცნობს „ვეფხისტყაოსანს“. ყოველ შემთხვევაში, ანალოგია მკრთალია.

3) რაღაც შეცოთიში: ამ ადგილას ვერაში რვა დღე არის ნაგულისხმევი. ტექსტში გვითხულობთ ასე:

„სამ დღეს განაგის სამეფო...  
ორ დღე შეეცის, ნახედის...  
სამ დღე ჯდის სახლად ნადიმად...“

(№ 403, გვ. 70).

ასევეა № 1517, № 2694, № 3683 ხელნ., თუ გადამწერის შეცოთმა არაა (სამი ორის ნაცელად), შესაძლებელია რომ, აქ კერა არც იყოს, როგორც განსაზღვრული ჰქვია, მიღებული მხედველობაში.





დებზე არაფერს გვამცნობს. და მაჯნუნი რომ მოვიდა, რა ქნა ლეილამ? დედს  
 ოქრო სთხოვა მათხოვრის დასასაჩუქრებლად, მივიდა მასთან:

„ეტყოდა: „ჩემთვის ხელგმნილო, დღეს განაბე აქ მოსულები,  
 რა გიმსპინძლო, რა ვიძღვნა: გული მოგცე თუ სულები?“  
 ბაგე მიუბჰრა შაქრისა, უტკბილეს გაღესულები,  
 აკოცა, მაგრამ დაუსვა ლახვარი გაღესულები“

(№ 403, გვ. 66).

შექველია, პოეტი ღარიბად გადმოგვეცემს იმ შთაბეჭდილებას და ზეგავ-  
 ლენას, რაც იგრძნო ლეილამ საყვარელი ადამიანის პოვნით. სხვა რომ არა იყოს რა,  
 ადამიანი, რომელიც საყვარელს სულსაც და გულსაც კი შესთავაზებს, ეს ადამიანი  
 შეპყრობილი უნდა იყოს მრავალფეროვან აზვითებულ განცდებით, ჩვენ კი არა  
 ვიცით რა ამის შესახებ.

დაუშვათ, რომ პოეტი ამ შემთხვევაში განისაზღვრება მხოლოდ სურათის  
 მოცემით, ალაპარაკა თვით ლეილა, მაგრამ მაჯნუნი? მის მოქმედებაზე ან შთა-  
 ბეჭდილებაზე რატომ არაფერს გვამცნობს? დედამ რომ ცემით შინ შეავდო ქა-  
 ლი, განა არ ჰმართებდა გადმოცემა მათი (ლეილას და ყაისის) ტანჯვა-ვაე-  
 ბისა? ნუ თუ შესაძლებელია, რომ ლეილას სულში მაინც არ ეგრძნო ტკივილი,  
 როდესაც მის საყვარელ ადამიანს მოაშორეს? ნუ თუ მაჯნუნი სულ-დამშვიდებუ-  
 ლი გაბრუნდა ამ ნაქურდული პაემანიდან? პოეტი დუმილით გვიპასუხებს. გაიფ-  
 ლია დრო და ხანი. დადგა ზაფხული. ამ ხნის განმავლობაში არაფერი ვიცით  
 შეყვარებულთა სულიერი განწყობილების შესახებ. მოულოდნელად ვტყობი-  
 ლობთ, რომ ლეილას მშობლებს გადაუწყვეტიათ ქალის მთაში წაყვანა ჰაერის  
 გამოსაცვლელად. ეს ადგილი ავტორს მეტად შეკუმშულად აქვს გადმოცემული:

„ესამი გარდახდა ზამთრისა, ზაფხულმან იწყო ცხელობა.  
 იტყოდეს (?): „აემან ჰაერმან ქალსა არ უყოს წყენობა“.  
 ახლო მთა იყო მალალი, სად მაჯნუნს ჰქონდა ხელობა,  
 ღამით მიყვანდათ კუბოთა, რა დღესა ეწნა ბნელობა“

(№ 403, გვ. 66).

რასაკვირველია, აქ არა ჩანს, რომ მშობლებს ჰაერის გამოცვლა იმიტომ  
 განეზრახათ, რომ ქალს დარდისა გამო ჰქნობა და ზრობა დასტყობოდეს.

სხვა შემთხვევებშიაც იჩენს პოეტი ფსიქოლოგიურ განცდათა აღწერილო-  
 ბის წარმოუდგენელ სიღარიბეს. როდესაც ამირა მეფემ მოისურვა საბელგანთქ-  
 მულ ლეილას საკუთარი თვალებით ნახვა, უყანასკნელის მშობლები სიამოვნებით  
 შეეგებენ მეფის სურვილს და ქალი გაგზავნეს კიდევაც. ლეილა მიჰყავთ მეფესთან,  
 მეფემ ინახულა იგი, იქვე ნახა მაჯნუნი, დაბრუნდა შინ<sup>1</sup>.

<sup>1</sup> აქაც თავისებურად აქვთ გადმოცემული შინაარსის ეს ადგილი ალ. ხახანაშვილის  
 (Очерки III, 76-77) და გ. კეკელიძის (ქ. ლიტ. ისტ. II, 229). ისინი გადმოგვეცემენ, თითქოს





მთელი ამ სურათის ირგვლივ პოეტი ღუმს ლეილას და ყაისის სულელო განწყობილებათა შესახებ. როგორის სურვილით მიდიოდა ლეილა ხალიფას კარზე, რა ემოციები ეღვიძებოდა მას ყაისის მიმართ, რა იგრძნო, რომ იქ თვისი საყვარელი დაინახა, რით გამობრუნდა შინ? აუარებელი კითხვები ებადება პოემის წკათხელს, მაგრამ ის დაუკმაყოფილებელი რჩება პოეტისავე. და განა წარმოსადგენია, რომ ლეილას ასეთი ქკულის სიმჩატი და უგრძობლობით ჩაედინოს უკველივე? რასაკვირველია, ეს იწინებ ლეილას ფუქსაეატობას, მას უსულუღუგულობას მიეწეროს, მაგრამ თვით აეტორი რას გვეუბნება ამის შესახებ?— არაფერს. ეს კი შეუძლებელია, წარმოუდგენელიც არის. იმას მაინც უნდა გვატყობინებდეს, რომ ლეილასათვის ეს ერთ-ერთი ჩვეულებრივი გასეირნება იყო მამის წარჩინებული კარიდან მეორე სახელოვან მეფის კარამდე! არც ეს არის მოცემული.

დაშორება? დაშორება მაინც რად არ არის მუქი ფერადებით გადმოცემული? ნუ თუ ლეილაც და მაჯნუნიც გამოიცვალენ? აკი ვიცით, რომ ერთი-მეორის სიყვარულით ორთავე ცეცხლი ედებათ?

რად ბევრი გაეავრძელოთ: ცხადია, რომ პოეტს აღარ ჰყოფნის უნარი ჩასწვდეს თვის ნიერ წარმოდგენილი გმირების ფსიქოლოგიურ სამყაროს. მისთვის უკველივე ეს უმეტეს და უმთავრეს შემთხვევაში „უცნობი ქვეყანა“ და, ხში-

ბლდადის ხალიფას გზაზე ენახოს ყაისი, წამოეყვანოს ლეილას მშობლების სახლში და იქ ენახოს ერთი მეორე, როგორც ხალიფას და ლეილას, ისე ყაისსა და ლეილას. ნამდვილად კი ასეა: ხალიფა ერთხელ მართლაც იყო ლეილას სახლში, მაგრამ ყაისი თან არ ჰხლებია. სულ სხვა დროს-ერთხელ წააწვდა ის გზაზე ყაისს, გამოკითხა მისი აზრები, დაჰპირდა მას დახმარება—შეჭეცა, რომ შეჭერიდა საყვარელ არსებას, თან წაიყვანა; შემდეგ გამოითხოვა ჭალი ლეილა, ეს უყანასნელი მიჰვარება მას და იქ, ხალიფასას, მოჰდა ერთი-მეორის ნახვა.

ტექსტში ამის შესახებ ასე ვკითხულობთ:

„მან დღე ერთ ნახა მაჯნუნი ეგღს იყო ნადირობასა“.. (12)  
 „ცხენს შესვა, წამოეყვანა, ზეერს აღარ აღაბარაკა...  
 ქალაქს შემოვა, ციხისა კართა გაღებად დარაკა“,  
 სრულ მოაწვდენა არაზნი, უამბო მისი არაკა“ (17)  
 „უციხლავ მომგვარათ ჩემს წინა მისი დამწველი მცელელები“ (18)

გასცემს განკარგულებას ამირა ლეილას მოსაყვანად, სურვილი აქსრულებს:

„სამაჟულითა მოაწვეეს, მოჰსაეთ იგ პირმზე ნახები,  
 კებოსა ჩასვეს, დაჰფარეს, მას დაუკლიტეს რახები“ (20)

მას შემდეგ კი, რაც ბლდადელ ხალიფას სასახლეში უბედურება დატრიალდა—ყაისის მოსაწამლავად გამოადებული საწამლავი შეცთომით თვით ხალიფამ მიირთვა, სასახლეში გლოვა-ზარი შეიქმნა და ჭალი გამოაბრუნეს უკან:

„წაიყვანეს დედ-მამათა შინ ასული პირმზე ჭალი“ (27)

(ტექსტის აღრიცხვა ამ ადგილას მოგვყავს ამირას აზბის შემცველი თავის რაოდენობის მიხედვით № 403 ხელნაწერში).

ამ აზბაეს ასევე გადმოგვცემს სხვა ხელნაწერებიც, როგ. მაგ. № 2994 გვ 108—111 № 1517 გვ. 18—19 და სხვ.





რად, ინტერესსაც კი არ იჩენს, რომ ჩასწვდეს ამ სიღრმეს. უნდა ითქვას, მოკლედ რომ მოვჭრათ, რომ ჩვენი პოეტი ღარიბი ფანტაზიისაა და მოკლებულია ნიჭს აღმოიკითხოს ადამიანის სულის სიღრმეში წარმოებულ ფსიქოლოგიური განცდა-ემოციები. ეს ნაკლი მას ემჩნევა მთელი პოემის სიგრძე-სიგანეზე—ჩვენ ეს საკმაოდ დავინახეთ ზემო-მოყვანილ ადგილებიდან. იმდენად, რამდენად რუსთველის პოემა, „ვის-რამიან“ ან „ბარამ-გულიჯანიანი“ ამ მხრივ მდიდარი და უხვია, „ლეილ-მაჯნუნიანი“ ღარიბი და უბადრუკია. და თუ პოემის სასარგებლოდ რამე ლაპარაკობს, ეს არის მისი სოფეტის მიმზიდველობა და სილამაზე. მართლაც: რა უნდა იყოს უფრო ლამაზი, ვიდრე ბავშობიდანვე ერთი მეორისადმი უსაზღვრო სიყვარული, საყვარელი ადამიანის ფეხის დანადგამი მიწის კოცნა, ზედნეტი ტანჯვა-სევდისაგან სისხლის დენა, საყვარელთან შეუსრულობის გამო ველად გაჭრა და მხეც-ნადირთა შორის დაბინავენება, მათხოვრის ტანსაცმელში საყვარლის საძებნელად მოვლინება, ქუჩის დაკარგვა ზედნეტი ეშუისაგან და ბოლოს, საყვარელი ადამიანის პერანგის ჩახუტებით მის საფლავეზე სულის დაღვება? აი, ამ ლამაზ სურათებით თუ მოხიბლავს ადამიანს ეკ პოემა, თორემ მისი გადაშლა, დასურათ-ხატება, განცდების წარმოდგენა, შთაბეჭდილებების გულში ჩაშვდენად აწერა ბევრ რამე სასურველს და სასუკეაჩს ტოფეზს მკითხველის გულში.

ნიუხედავად ყოველივე ამისა „ლეილ-მაჯნუნიანი“ მაინც თავისებურ ადგაღს იკავებს ჩვენს ორიგინალ თუ ნათარგმნ სამიჯნურო-ფსიქოლოგიურ ეპოსში იდეოლოგიური თვალსაზრისით მაინც. მთავარ გმირების ყაის-ლეილას—ამ სოფელიური ტანჯვა, მისწრაფება არ გვირგვინდება დასასრულ შეყვით, როგორც ამას ვხედავთ „ვეფხისტყაოსან“-ში, „ვის-რამიან“-ში თუ „ბარამ-გულიჯანიან“-ში. ამ მხრივ ეს ნაწარმოები არ ეკუთვნის სხვა სამიჯნურო ხასიათის ნაწარმოებთა დასს, განმარტოებით დგას და ახალ იდეოლოგიის სამყაროში შეჭყავს მკითხველი. აქამდე წარმოდგენილ რომანტიულ პოემებში ჩვენ ვხედავთ რომ ამ ქვეყნად ნოვლენილი ჰირ-ვარამი თუ ტანჯვა ბოლოა-და-ბოლოს მაინც გამარჯვებით დასრულდება და ზეიმიტ დამთავრდება. პირ-იქით, ეს სასურველი და მოსალოდნელი ბოლო აქ გადატანილია იმ-ქვეყნიურ სამეფოში, საიქიოში. ლეილ-ყაისის საბოლოო შეყრას, ე. ი. ამ ქვეყნიური ტანჯვის დასასრულს პოეტი წარმოგვიდგენს ნხოლოდ „იქ“, ზეცას. მშობლებმა სიზმარი ნახეს, რომლიდანაც ჩანს, რომ შევევარებულემა მიზანს მიაღწიეს, ე. ი. შეუერთდენ ერთი მეორეს და მოუღეს ბოლო ამ ქვეყნად განაწამებ და განწირულ ლტოლვას, რაც ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს კოსმიური ლტოლვისას ორ სქესს შორის.

ქრისტიანი მთარგმნელის ნათქვამი უნდა იყოს შემდეგი ადგილი:

„ეს არის მათი სამოთხე, მაჰმად ამ გვარად უწესა.

ქალნი და ვაჟნი ტურფანი მით მყოფთა ვვერთა უწესა“... და სხვ.

დამარხვის წესი, გლოვა, ანგელოზები, კანდელების ანთება და ბევრი რამ სხვა უეჭველად ამკლავნება, რომ მთარგმნელს თავისებური, ქრისტიანული მო-



მენტები შეუტანია. და ეს სრულ შეფარდებაშია იმასთან, რაც საერთოდ რელიგიის გარეშეც ეტყობა ნაწარმოებს. ჩვენ ხშირად გვხვდება ისეთი ადგილები, რომელთაც ადგილი ვერ ექნებოდა მაჰმადიანურ, უკეთ რომა ვთქვათ, სპარსულ ნაწარმოებში. მაგალითისათვის საკმარისია თქმა, რომ პოეტი გარკვევით იხსენებს ქრისტეს მეორედ ნოსვლის აუცილებლობა-მოლოდინს:

„ოდეს მოხვიდე განკითხვად ჩემთვის ნუ შემრისხანობდი“...

(№ 408, გვ. 96).

ამის შემდეგ ხედმეტია ლაპარაკი ისეთ ადგილებზე, რომელთაც უაღრესად ქართული ელფერი და წარმოშობა აქვთ, როგორც მაგ:

1) „სპარსთა ძლივ თქვეს მისი ჭირნი ან ვით აშბობს ჩემი ენა?“

(№ 1517, გვ. 19)

2) „იტყვიან თუ გამოუჩნდა მაჰმად ნათი მოციქული“... (გვ. 20)

3) „მე სპარსთა ენის სიტკბობან ნასურვა მუსიკობანი“... (გვ. 3)

და მრავალი სხვა<sup>1</sup>.

რა უნდა ვთქვათ წარმომდგენელ მომქმედ პირთა ხასიათების შესახებ?

აქაც იგივე უსრულობა, ფერმკრთალობა და ფსიქოლოგიურად პრიმიტიული პიროვნებათა დასურათება.

<sup>1</sup>) პოეტის თავისებურებად უნდა ჩავთვალოთ პოემაში აქა-რქ ჩართული სენტენციები თუ აფორიზმები:

ა) „უკუღმა ბრუნავს ჩაღბი და არ გაიწარუვის ჭიდებით“ (№ 2604 გვ. 112)

ბ) „თუ მას (ქვეყანას) რომელი მიენდოს ან გულთი დაეზაღებოს— ტახტზედ მუდონი ანაზდად მოყვებობს, გაეტყავებობს...“

ოკრად დარჩების დიდება, სახლი, სამყოფი, სრავების“ (89)

შეადარე შოთა:

„იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისი მტერია“ (კაკაბ. 1299.)

ან:

„ყოვლიმე შენი მოხდბილი, ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა“ და სხვ. (კაკაბ. 900.)

გ) „ძნელ არ არის მოკვირება, კაცს თუ ბედმან არ უბედა“ (№ 2604 გვ. 112)

შოთა:

„რა მოაკოზდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა“ (კაკაბ. 1141)

ან:

„მავრა ბოლოდ ღზინა მისცემს, ვინცა პირველ კირსა გასწლება“ (კაკაბ. 873)

დ) „მაშინ უნდა შევლა-რგება, როდეს კაცსა დაეპირა“ (№ 408 გვ. 62)

შოთა:

„ოდეს კაცსა დაეპიროს, მაშინ უნდა იმა და თვისი“ (კაკაბ. 738)

და სხვ.





ვერც ლეილა და ვერც მაჯუნუნი ვერ არიან მთლიან პიროვნებად დახასიათებულნი. ვინ არის ლეილა? ჩვენის გაგებით ლეილა თავიდან ბავშვის სურათის იძლევა იმდენად, რამდენად მის განცდებს და რეალ საქმიანობას შუა ამოუყვებნი მანძილია. მას შეუძლია, როგორც ბავშვს, აენთოს ამა თუ იმ სურვილით, მაგრამ ვერ გამოდგება ამ სურვილის თუ გრძნობის აქტიურად მატარებელ პიროვნებად. ზენით ჩვენ დავინახეთ, რომ ხშირად ლეილა უტყუი მოწმეა იმ მოვლენებისა, რომელთაც მის ირგვლივ ადვილი აქვს. მართალია, ის ბოლომდე ერთგული რჩება თვისი ბავშვობის გრძნობისა-ბოლომდე სწავას მას ყაისის ეშყი-, მაგრამ ხშირად მონა ხდება ისეთი ზეგავლენისა მშობლების მხრივ, რომელსაც ვერ აიტანდა მტკაცუნებისა და მწარე სურვილების განმცდელი ადამიანი. ის უბრალო პრინციპია ბავშური გაზვიადებულ ფანტაზია-სურვილით, და არავითარი ნაბიჯის გადადგმა არ შეუძლია მიზნის ნისაღწევად. ეს ცოტაა. მას ვატყვებით უყვარს ყაისი, მაგრამ მშობლების სურვილის თანახმად მორჩილად მიემგზავრება ბალიფას კარზე, რომ გადაუშალოს მას თვისი ნაკვთობის მწვენიერება და გონება-მიხედლობა. ვერც ამანონ ქალთა სურათს იძლევა ლეილა. მისთვის არ არის ამოქრალი გადაწყვეტილება თუ მიზანი, რისთვისაც აქტუალურად თავს დადებდეს ან მგორე ნახევარს, მისწრაფების ობიექტს, წააქეზებდეს, დაავალგბდეს. მხოლოდ ერთხელ მოულოდნელად წამოსცდება ამოძახილი, როდესაც ბრმა ბედი მის გზა-აცდენილ აქლემს ყაისთან მიიყვანს: წამიყვნე აქედან, გადავიკარგნეთ სადმე, შე უშენოდ სიცოცხლე არ შემძლია; დააჩქარე, თორემ სადაც არის მომქმნინაო. აქაც იგივე უილაჯობა და უნებაობა არის: საკმარისია მის მძებარ ხაღუმთა გამოჩენა, რომ ის უსიტყვოდ დაშორილდეს თვის ბედს და გონება დაკარგულ ყაისს ველადვე დასტოვეს მხეკთა და ნადირთა შორის. ეს მისი მოწოდება მაჯუნუნისადმი უნდა გავიგოთ, როგორც ტანჯული სულის შემოხვევითი ამონაცენსი, თორემ სხვა დროს და სხვა გარემოებაში ის ასეთობას არ იჩენს და არც შეუძლია იყოს ასეთი. უფერულია ყაისის პორტრეტიც. თუ ლეილასაგან გასაგებია მისი უნებაობა და უილაჯობა, როგორც აღმოსავლელი ქალის ერთ ერთ ტიპისა, ყაისისაგან, მამაკაცისაგან, რომლისათვისაც არ უნდა არსებობდეს ხელის შემშლელი ამქვეყნიური პირობები, სრულიად მოულოდნელი და გაუგებარია ასეთი უნებაობა და პასიობა. მას ის ამოძახილიც არ ამოხდენია პირიდან, რომელიც ლეილასაგან მოვისმინეთ. პირიქით, ქალის ამ მოწოდებაზე ის ღონე-მიხდილი უბასუბებს: ახლა კი, როდესაც მე უკვე აღარ ვარსებობ, ყველაფერი დაგვიანებულიაო! აი ასეთი ლაზარი მიჯნურის როლში წარმოგვიდგება ყაისი, თითქმის რაინდი ტრუიალებისა და ეწყისა. მართალია, ტარიელ, რამინ, ბარამის პორტრეტთა ვალერეაში ყაისი დისონანსის შემტანი ფიგურა არ არის ხასიათის ზოგადი ხაზების მხრივ, მაგრამ ასეთ ნება მიხდილობამდე არც ერთი მათგანი არ მისულა. პირიქით, ისინი ცდილობენ ყოველი ხელსაყრელი პირობა გამოიყენონ საკუთარი წადილის სისრულეში მოსაყვანად და არ დაერიდებიან ამისთვის თუნდაც საკუთარ სიცოცხლის განწირვას გმირობის გამოჩენით (ტარიელი, ბარამი), თუ ცბიერი ხერხების მიმართებით (რამინი). სად გააჩნია ყაისს ნებისყოფა ბარამისა, რომელსაც შეურაცხყოფილი გრძნობის და-





საკმაყოფილებლად შეუძლია ომით წამოვიდეს მიჰმლაგრებელთა წინააღმდეგ? სად არის ყანისში გონიერი სიძლიერე ავთანდილისა, რომელსაც შეუძლია სხვისი ტანჯვის გაზიარებით საკუთარი ბედნიერება გამოისყიდოს? არა, ასეთობას ნუ მოვლით ყანისსაგან, ის სრულიად უბრალო მომაცედავია, მონა და მორჩალი გრძნობისაც და ბედისაც... ის სიყვარულის პასიური ტანჯვის რელიგიის მატარებელი ადამიანია, რომლისათვის სიყვარული მხოლოდ ექსტაზში მომყვანი რელიგიაა და შეტვი არაფერია.

ღარიბია პოემა იმ მხრივაც, რომ მასში არ არის მოცემული გარემოს სურათები. საერთო შთაბეჭდილებას დებულობს მკითხველი, რომ მოქმედება წარმოებს რაღაც განწყენებულ სივრცეში. არ არის წარმოდგენილი მთავარ გმირთა ყოფა-ცხოვრების ყოველ დღიური სურათი, მათი მშობლებისა და ახლობლების მდგომარეობა-ვიწაობა. შედარებით უფრო ნათლად არის ლელილას მშობლების შესახებ ცნობა მიცემული, ყანისს შესახებ კი განსაკვივრებელი დეპილია. მოსალოდნელი კი იყო, რომ პოეტი მოგვეცემდა ორივე მხრივ სამეფო კარის სურათებს, მოქმედებაში ჩაწულ-შემაჯალ გარემოებათა აღწერილობას. სად არიან მეფის კარზე მუდამ მოფუსფუსე ვეზირნი, სპასალარნი, უბუცუნნი, მანდილოსანნი, კარის პოეტნი, მრჩეველნი? არსად ჩანან, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ეპიზოდურ მნიშვნელობის ბასრელი ამირას კარის აწერილობას და აქა-იქ მოციქულ-ახლობელთ ამა თუ იმ სასახლისას. ან ეს სასახლე? თითქოს ამის გარეშეც კი ხდებოდეს მოქმედება. აბა დააკვირდით, რა სიღარიბეა აღწერაში, როდესაც პოეტა გადმოგვიქვამს ლელილას და მაჯუნუნის ქორწილს! ევ ასეთი ტრიუმფით მოსალოდნელი ეორწილი ორ სახელოვან მეფეთა შვილებისა გადმოცემულია ორი-სამი ხაზით და ისიც უყურულად და ულაზათოდ.

25. III. 925.

G. DJACOBIA.

## Version géorgienne du roman persan „Léila et Madjnoun“.

(Résumé).

La version géorgienne du roman persan „Leila et Madjnoun“ est conservée en plusieurs copies. Ces copies étant embrouillées il est cependant évident, qu'elles proviennent toutes d'une rédaction commune. Toutes les copies nous montrent et le roi Artchil confirme que la traduction de cet ouvrage appartient au roi Theimouraze I et non pas à l'inconnu Zaal Thoumanichvili, comme le dit M. Z. Tschitschinadzé. Au point de vue de la création





artistique et de la versification la version géorgienne est faible et manque de coloris. Le traducteur n'a pas su rendre l'analyse des émotions psychologiques et amoureuses, le développement du sujet, le cadre de l'action et les caractères des personnages étant présentés d'une manière pauvre et primitive. En ce qui concerne l'idéologie, ce poème occupe une place tout à fait à part parmi toutes les œuvres romantiques: il démontre que les souffrances d'ici-bas ne trouveront leur compensation que dans la vie d'outre-tombe. Théimouraze I a introduit dans ce poème des éléments caractéristiques du christianisme et de la vie nationale géorgienne.

Nous remettons à plus tard l'étude des rapports entre l'original et la traduction géorgienne.



აკაკი შანიძე.

## უშლაუბი სვანურში <sup>1</sup>.

### I.

დღევანდელი სვანურის ერთ თავისებურებათაგანს ხმოვანთა შედარებითი სიმდიდრე წარმოადგენს. თავი რომ დავანებოთ ვ ხმოვანს, რომელიც, ქართულში თუ არ არის<sup>2</sup>, მეგრულში ხომ მაინც გვაქვს, სვანურს ამ ორთავე ენათაგან (ე. ი. ქართულისა და მეგრულისაგან) განსხვავებით მოეპოვება გრძელი ხმოვნების რიგი: ა ქ ა ო ო ო ო, მაგრამ ამათ გარდა კიდევ ე. წ. უშლაუტები, რომლებიც სამი ხმოვნისა გვხვდება, როგორც მოკლე ისე გრძელი სახით. ესენია: ა ო ო ო ო ო ო ო ო. გრძელი ხმოვნება და უშლაუტები, თი ორი რამ, რაც არსებითად განასხვავებს სვანური ენის ბგერით შედგენილობას როგორც ქართულისაგან<sup>3</sup>, ისე მეგრულისაგან. მაგრამ ამ ორ რამეში არა მარტო სვანური უპირისპირდება ქართულსა და მეგრულს, არამედ თვით სვანური კილოები ერთი მეორეს. სწორედ ეს ორი ფონეტიკური მოვლენაა, რომელიც საფუძვლად უძევს სვანური ენის კილოებად დაყოფას: სვანურის ოთხ კილოთაგან (ბალს-ზემოურისა, ბალს-ქვემოურისა, ლაშხურისა და ლენტეხურისა<sup>4</sup>) მხოლოდ ორმა იცის ხმოვანთა ხმარება გრძლად და მოკლედ: ბალს-ზემოურმა და ლაშხურმა. უშლაუტების ჩვეულებრივი სახე კი არ იცის ლაშხურმა, რომელიც ამის გამო გამოყოფილი და გამოცალკევებული იქნებოდა დანარჩენ კილოთაგან და, სხვათა შორის, ლენტეხურისაგანაც, რომელიც გრძელი ხმოვნების უქონლობის გამო ერთს ჯგუფში მოექცეოდა

<sup>1</sup>) წაკითხულია მოხსენებად „ქართ. საენათმეცნიერო საზოგადოების“ საჯარო სხდომაზე 9 ივნისს 1925 წ.

<sup>2</sup>) არისო, ანტიციება ანტიან კათალიკოზი, რომელიც სომხურია გაყდენის ქვეშ იყო, და საამისო ნიშანიც შემოიღო, მაგრამ იგი არ გვხვდება არც ძველსა და არც ახალს ქართულში.

<sup>3</sup>) ქართული გრძელი ხმოვნების შესაბამე სახით: ა. ჩიქობავა, „გრძელი ხმოვნები მთიულურში“ („ტფილ. უნივ. მოამბე“, IV, 333 და შემდგომი).

<sup>4</sup>) უნდა შევნიშნო, რომ ჩოლური ცალკე კილოს არ წარმოადგენს. ენობრივად იგი ორ ნაწილად განიყოფება: ზემო ნაწილი ლაშხურის კილოაგანა, ხოლო ქვემო ნაწილი კი (სოდ. საკადარი, ბულეში, მუწიდი) ლენტეხურასა. თუმცა უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ზემო ჩოლურულში უშლაუტებაც არის, რომელიც მას ლენტეხურთან ახლოვებს, ხოლო ჩოლურულში გრძელი ხმოვნებაც მოიპოვება, რაიცა მას ლაშხურთან აკავშირებს.





ბალს ჭვემოურთან ერთად, რომ ლენტეხურს კიდევ ერთი დიდი ფონეტიკური მოვლენა არ ახასიათებდეს, რომელიც მას უეჭველია დამოუკიდებელი კილოა უფლებას ანიჭებს: ეს გახლავს ხმოვანთა რედუქციის მოდუნება, რომელიც ლენტეხურს ყველა დანარჩენი კილოსაგან გამოჰყოფს და განასხვავებს<sup>1</sup>.

უძლიაუტების საკითხი, რომელიც სამი (ა ბ ე) ხმოვნის დავიწროებას ეხება, მაშასადამე, სამი კილოს კუთვნილება ყოფილა: ბალს-ზემოურისა, ბალს-ჭვემოურისა და ლენტეხურისა. რაც შეეხება ლაშხურს, მან მხოლოდ აწის უძლიაუტი იცის, მაგრამ არა აწის სახით, არამედ ეწისა და ისიც განსაზღვრულ შემთხვევებში. დანარჩენი სახეები უძლიაუტისა (ა ბ ე) მხოლოდ ზემორე დასახელებულ სამს კილოში გვხვდება. ამათგან მხოლოდ ერთს, სახელდობრ ბალს-ზემოურს, მოვბოვება გრძელი ხმოვნები და კერძოდ უძლიაუტების გრძელი სახეებიც (ა ბ ე), ამიტომ საკითხის სათანადოდ გაშუქებისათვის მაგალითები უმთავრესად ამ კილოდან იქნება მოყვანილი<sup>2</sup>.

უძლიაუტების ამბავი ერთი ძირითად საკითხთაგანია სვანური ფონეტიკისა. გამორკვევა იმისა, თუ რა დროინდელია ეს მოვლენა სვანურში, პირველად სად და რომელ კილოში გაჩნდა იგი, როგორ გავრცელდა თანდათან ტერიტორიულად და რა სახე მიიღო თანდათანობით დროთა განმავლობაში და სხვა ამგვარი ისტორიული ხასიათის საკითხები ამ წერილის მიზანს არ შეადგენს. აქ შევეცდებით მხოლოდ ზოგადი შტრიხებით მოახაზოთ ამ მოვლენის დღევანდელი სახე, მისი ძალა და გავლენა და ის ფარგლები, რომლებშიაც ჩასმულია მისი მოქმედება ამ უბანად. ამ მიმართულებითაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ უმთავრესი და უპირატესი იქნება განხილული და წარმოდგენილი, სახელდობრ ისეთი შემთხვევები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მორფოლოგიაში. ამგვარად შემოიზღუდა საკითხისა იმით არის ნაკარნახევი, რომ ისტო-

<sup>1</sup>) მარცვალთა რიცხვის რედუქციას სიტყვაში, ხმოვანთა გარკვეული წესით ამოღების ვაშლი, ანუ სიტყვის შეკუმშვას, ხმოვნების კანონ-ზომიერი ამოკლების საფუძველზე დამყარებულს, მე მარტივად ხმოვანთა რედუქცია ვუწოდებ „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“; ქართ. საცნათ-მეცნიერო საზოგადოების წელიწადურული. I—II, გვ. 7—10). აქვეს ენებში ეს ტერმინი გულისხმობს მარცვალთა რაოდენობის შემცირებას რომელიმე ხმოვნის სინკოპურად აბოლებით, მისი წილის ხარისხამდე დასკლით, სრული გაქრობით ან (უწინა და ოწინ შემთხვევაში) უბრ-ჯგუფ ქვევით.

<sup>2</sup>) როდესაც მაგალითების მოყვანის დროს არ არის დასახელებული კილო, თუ რომელიდანაც არის იგი, თავის თავად ბალს-ზემოური იგულისხმება. დანარჩენი კილოების მასალების სადაურობა კი პირდაპირ აღნიშნულია ხოლმე.



რიული ხასიათის საკითხების გადასაჭრელად უსათუოდ საქიროა და აუცილებელი, რომ ხელთა გვექონდეს ძველი სვანურის ნიმუშები, მწერლობით დადასტურებული და შემონახული, და აგრეთვე სვანურის დღევანდელი კილოები და კილოკავები, თუ საუცხოვოდ არა, რიგიანად მაინც იყოს შესწავლილი. ერთისა და მეორის უქონლობის გამო ჩვენ არ გვაქვს საშუალება ყოველგვარი უმლაუტის ასახსნელად. ჯერ-ჯერობით არ ვიპოვებთ ისეთ მდგომარეობაში, რომ შეგვეძლოს ნამდვილი უმლაუტური წარმოებისაგან გამოვყავთ ზოგიერთი ფორმები, რომლებიც მიღებულია მხოლოდ ანალოგიის გზით. ამიტომ აქ გვინდა შევეხოთ მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, როდესაც უმლაუტის გამომწვევი მიზეზი წითელი ზოლივით არის გატარებული მთელს სვანურში და ათლად და გარკვევით მოჩანს დღევანდელი მისი შესწავლის მდგომარეობიდანაც. თუ კარგად არ იქნა გათვალისწინებული უმლაუტების ბუნება და თვისება და მათი გამომწვევი მიზეზები, ე. ი. წმინდა ფონეტიკური დასაბამი, ისე ბურუსით მოცული იქნება და გაუგებარი დარჩება ბევრი რამ მორფოლოგიაში.

უმლაუტი, — ეს ერთი სახეა ხმოვანთა ნაწილობრივი ასიმილაციისა. ეს ასიმილაცია სვანურში არ არის ოლიანდ ისეთი, როგორც მოიპოვება თურქულ ენებში, სადაც ხმოვანთა დამსგავსება პროგრესიულია და ხმოვანთა ჰარმონიის სახელით არის ცნობილი, არამედ თავისი ბუნებითა და თვისებით უფრო გერმანულს მოგვაგონებს, სადაც, ისე როგორც სვანურში, ასიმილაცია რეგრესიულია.

ექვს ძირითად ხმოვანთაგან (ა ე ი ო უ ვ), რომლებიც სვანურს ყველა კილოში მოეპოვება<sup>1</sup>, უმლაუტები მხოლოდ სამისა გვხვდება როგორც მოკლე სახით, ისე გრძელითაც: ა ო ე ო ო ო ო ო. ამ უმლაუტების წარმოშობას განსაზღვრული ფონეტიკური საფუძველი აქვს, — ეს გახლავს ენისა და განსაკუთრებით კი ანის გავლენა. გავლენისათვის კი საქიროა, რომ საუმლაუტო ხმოვანი მარცვალს უშუალოდ მოსდევდეს ანთან ან ენთან მარცვლი, სადაც უმლაუტის გამომწვევი ხმოვანი ე ან ი შეიძლება ფაქტიურად კიდევაც იყოს, ან არა, იმისდამიხედვით, თუ როგორია მარცვალთა ურთიერთობა. მაგრამ თუ ფაქტიურად მეუმ-

1) ეს ხმოვნის ძირითადად ნიჩნევა შეიძლება საცილობელიც იყოს. როგორც გვჩვენებს დაკვირვება ზოგიერთ ენებზე, რომელთაც იგი მოეპოვებათ (აფხაზური, სომხური, თეიუ სვანური), იგი პრაქტულ შემთხვევაში სხვა ხმოვანთა რედუქციის შედეგია და ხშირად აგრეთვე ერთად თავმოყრილ თანხმოვანთა გამოთქმის გასაადვილებლად განვითარებულ სეკუნდარი ხმოვანი.





ლაუტე ხმოვანი არ არის, თეორიულად იგი მაინც უნდა იგულისხმებოდეს, ე. ი. შეიძლება ამოდებულიც იყოს რედუქციის გზით. მართლაც და რედუქცია ხმოვნებისა თავისი გზითა და წესით მიმდინარეობს ხოლმე. ამის გამო ე და ი შეიძლება გამჭარალიც იყოს და უკვე აღარა ჩნდეს ამა თუ იმ ფორმაში, მაგრამ, თუ იგი განსაზღვრულ ადგილას იგულისხმება, თუ იგი ფუძისეულია ან მაწარმოებელი ელემენტი და დაკარგულია რედუქციის ძალით, სულ ერთია, — თავის გავლენას მაინც ტოვებს წინა მარცვლის ხმოვანზე, მისი გაუმლაუტებით.

უმლაუტის გამომწვევ ხმოვნებს ორთავ ერთი და იგივე ძალა როდი აქვს. ქ'ნის გავლენა მხოლოდ ა'ნზე ვრცელდება და ისიც მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში, როდესაც იგი მოკლეა და უფრო მაშინ, როდესაც უნდა დაიკარგოს რედუქციის ძალით. მთავარი მიზეზი სვანური უმლაუტებისა კი ი არის, რომლის ორივე სახე (გრძელი და მოკლე) თანაბრად იწვევს წინა მარცვლის ხმოვნის ნაწილობრივ დამსგავსებას, უმლაუტს. მისი გავლენა ა'ნზედაც ვრცელდება ა'ნზედაც და უ'ნზედაც (resp. ა'ნზედაც, ა'ნზედაც და უ'ნზედაც).

ა'ნის უმლაუტი (ა) პრეფიქსშიც გვხვდება, ფუძეშიც, სუფიქსშიც: პრეფიქსში, როცა მას მოსდევს მეორე პრეფიქსისა ან ფუძის მემლაუტე ხმოვანი; ფუძეში, როცა მას მოსდევს ფუძისავე ან სუფიქსის გავლენიანი ხმოვანი, და სუფიქსში, როცა მას კელავ მოსდევს სხვა სუფიქსი ასეთივე ხმოვნით. ა'ნზედ მოქმედებს როგორც ა, ისე (განსაზღვრულ შემთხვევებში) ე. ამიტომ მისი უმლაუტის შემთხვევები ძალიან ხშირია.

ერთი თვისება აქვს ამ ა'ნის უმლაუტს (ა'ნს): როცა მას წინ უძღვის ერთ-ერთი ამ გუტურალთაგანი: კ ბ ქ (კა ბა ქა კა ბა ქა), მას უსათუოდ იოტაცია უჩნდება: კაა, გაა, ქაა, კაა, გაა, ქაა<sup>1</sup>. ამიტომ წესად მაქვს მიღებული, რომ სვანური ტექსტების ჩაწერისა თუ დაბეჭდვის დროს იოტაცია ასეთ შემთხვევაში არ გამოეხატოს არავითარი ნიშნით, რადგანაც იგი აღნიშნული სამი თანხმოვნის შემდეგ პალატალი ა'ნის წინ ყველგან და ყოველთვის თავისთავად და უსათუოდ იგულისხმება<sup>2</sup>.

<sup>1</sup>) ოდნავი იოტაცია მოიხმის აგრეთვე მაშინაც, როცა ქ'ანს და განსაკუთრებით კი გ'ანს ე'ნი მოსდევს ხოლმე (მაგ. ც ა გ ე რ'ნი). იწვიათად შემომწვევია სულ მეორეთაგანი იოტაცია შინის შემდეგაც, როცა მას ა'ნის უმლაუტი მოსდევს.

<sup>2</sup>) ეს გარემოება ვერ გავთვალისწინებია აქად. ნ. შარს, როგორც მისი პატარა ლექსიკონიდან ჩანს (Извлечение из сванско-русского словаря, МЯЯ, Прага, 1922), სადაც იოტაცია არის ხოლმე ნაჩვენები, მაგრამ მისი გამომწვევი უმლაუტი კი არა. ეს მით უფრო საკვირველია, რომ იგი ა. გ რ ე ს, რომელიც ერთ დროს სვანურს იკვლევდა, სწორედ კურნაქის დაწერასა და აქლემის შთაბოძების უსავედრებდა (Из поездок в Сванию: XV, II, 15).



რაც შეეხება ა'ნს და უ'ნს, როცა ისინი პრეფიქსისაა, არ ემორჩილებიან საუმლაუტო წესებს (ასეთია მაგალითად ზედშესრულთა სახელების შედარებითი ხარისხის მაწარმოებელი ხა- პრეფიქსი, იგივე პრეფიქსი, სასხვისო ანუ საობიექტო ქცევის მესამე ობიექტური პირის მაწარმოებელი, და ვნებითი გვარის ზმნათა მიმღობის უარყოფითი სახის მაწარმოებელი უ- ნაწილაკი). ამიტომ მათი შემთხვევები მხოლოდ ფუძის ხმოვნებითაა განსაზღვრული. და რადგანაც ამასთანავე მათზე მხოლოდ ა მოქმედებს, ამიტომ შედარებით მცირეა შემთხვევათა რიცხვი.

ჯერ განვიხილოთ ფუძის ხმოვანთა უმლაუტები, შემდეგ გადავიდეთ პრეფიქსი ხმოვნების უმლაუტთა მიმოხილვაზე და უკანასკნელ შევხებით ხმოვანთა დავიწროების საკითხს ბოლოკიდურ დახურულ მარცვლებში.

## II.

### ფუძის ხმოვანთა უმლაუტი.

I. რომ ნათელი იყოს სევანური უმლაუტების ბუნება და თვისება, მისი წარმოშობის მიზეზი, ჯერ მივპარტოთ მაგალითისათვის რამდენსაშე ნასესხებ სიტყვას საზოგადო და საკუთარი სახელებიდან.

აქამ აქინი, ექიმი	მტყისან პატიოსანი
კაღამ ნაირი (ამ კაღამ ამ ნაირი, ეჟ კაღამ იმ ნაირი)	ღარბ ღარიბი
სადალ სადილი	ხაინა ხაინა
სინ სიანი, თეფში	უხად ვაზირი
აღა	მამადჳ პაპიროსი
ღავით	ქსაღ
ზარქელ (< ზარქელ) მზარეული	აკა
	პსღი (< პსიღა)

მოყვანილი მაგალითებიდან ვხედავთ, რომ უმლაუტიან მარცვლებს (ბოლოკიდურებს გარდა) უმეშეოდ მოსდევს ხოლმე მარცვალი, რომელშიაც ხმოვანი არის ა. ოღონდ უკანასკნელ ორ მაგალითში იგულისხმება ჩაეარდნილი ა (პსიღა) და ე (ზარქელ), რომელთაც დატოვეს თავისი გავლენის კვალი წინა ხმოვანზე. აი მცირეოდენი მაგალითები, რომლებიც გვიჩვენებენ ფუძისეული ა'ნისა და ე'ნის გავლენას ფუძისავე წინამავალ ხმოვანზე.





ეს გავლენა განსაკუთრებით საყურადღებოა მორფოლოგიურ ელემენტებში. ოღონდ, როცა ფუძის ხმოვნების უშლაუტებზე გვაქვს საზბარი, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს საქმე ეხება ფუძის უკანასკნელ ხმოვანს, რომელზედაც სუფიქსის ხმოვანთაგან მხოლოდ ანი მოქმედებს.

2. აწმყოს მაწარმოებელ სუფიქსთაგან მოქმედებითი გვირის ზნებში ჩვენთვის მხოლოდ ი არის საყურადღებო.

ა) როდესაც ფუძე ერთმარცვლიანია და ეს მარცვლიანი მოკლეა, იგი რედუქციის ძალით იკარგება იმ შემთხვევაში, თუ მას წინ ქცევის ნიშნად რაიმე ხმოვანი (ა ა ო) მიუძღვის. ამიტომ სუფიქსისეული ანი გავლენას ფუძის ხმოვნის გასაუმლაუტებლად აწმყოში ვეღარ ვხედავთ. სულ სხვაა, როცა სიტყვა ორ-მარცვლიანია ან არა და, თუ ერთმარცვლიანია, მისი ხმოვანი გრძელია, რადგანაც სიგრძეს რედუქცია ჩვეულებრივ არ მოსდის.

ბი მაგალითებიც. აქ ნაჩვენებია როგორც აწმყოს ფორმები, ისე მათ დასაპირისპირებლად სხვა ფორმებიც, სადაც ანის ნაცვლიად სუფიქსში სხვა ხმოვანია (ე ა უ), რომლებიც არაერთად ცვლილებას არ იწვევენ ფუძის უკანასკნელ ხმოვანში.

აკლახთხი ამაღლებს  
აწრანნი აწითლებს  
აჭრანუი არაყს ხდის

აშდრანა გრგებს  
ხოწნანნი უვლის (ბავშვს, საქონელს და სხ.)

ადტარა კლავს  
ადწმა თესავს  
ადწანი იტერს (ხელში)  
აშკადაი ჭედს  
ატურანლი ანთებს (ბევრს)

ჭრადი ჰყიდის (ჰყიდი, ვყიდი)

ხოჯათხა უფრო მაღალი  
ხოწრანა უფრო წითელი  
ხაჭრანუი არყის გამოსახდელი (მასალა)

ხოშდრანა უგრეხია  
ჯწნანუ მოვლილი

უდკარა მოუკლავი, უკვდავი  
ოთღწმა დაუთესია  
ესუედანუ დაიჭირა (ხელში)  
ოსშკადა გაუჭედია  
განტურანადუ აანთო<sup>1</sup>

ქანჭოდ გაჰყიდე, გაყიდე<sup>2</sup>,

<sup>1</sup>) აღ სუფიქსი (გრძელი ანით) დაერთვის ბოლმე ზმნებს დამატების მრავლობითობისა ან მოქმედების ინტენსივობისა და მრავალგზობის გამოსახატავად. ასეთი შემთხვევაა აქაც.

<sup>2</sup>) ბრძანებითი კილოს ფორმები ქ პირისა სვანურში ფორმალურად იგივეა, რაც ნამყო რულიან მოთარობითისა. ამით სვანური არსებითად განსხვავდება ქართულისაგან.



ეს თემატური ო იგულისხმება აგრეთვე პირველი ჯგუფის სხვა დრო-კილოთა ფორმებშიაც, როგორც არის ნამყო უსრულის მოთხრობითი და I კონიუნქტივი, მაგრამ ხშირად იგულისხმება ნხოლოდ და არ ჩანს კი, რადგანაც რედუქცია ემართება: ოლონდ ეს კია, რომ ამ შემთხვევაში უკვალოდ კი არ იკარგება, არამედ წინამდებელ ფუძისეულ ხმოვანს აჩნევს თავის გავლენას. ეს ბალს-ზემოურში. ბალს-ქვემოურში კი თემატური ო ჩვეულებრივ შენაბულია ნამყო უსრულისა და I კონიუნქტივშიც. მაგალ.

ადგანა (< ადაგანი) კლავს	ადგანდა (ბ.-ქვ. ადგანდა) კლავდა; ადგანდექს (ბ. ქვემ. ადგანდექს) კლავდეს
იქმანა ხმარობს	იქმანდა (*იქმანდა) ხმარობდა, იქმან- დექს (იქმანდექს) ხმარობდეს
აშდრანა გრებს	აშდრანდა გრებდა; აშდრანდექს გრებ- დეს
არკადა მიირეკს	არკადა მიირეკდა; არკადდექს მიი- რეკდეს
აღწმა (ბ.-ქვ. აღწმა) თესავს	აღწმადა (ბ.-ქვ. აღწმადა) თესავდა; აღწმ- დექს (ბ.-ქვ. აღწმდექს) თესავდეს
აქურანა წმენდს, ასუფთავებს	აქურანდა (*აქურანდა) წმენდდა, ასუფ- თავებდა

და მისთ.

ბ) უკეთუ აწყოში დიკარგულია ფუძის ხმოვანი, იგი აღდგება ხოლომე ნამყო უსრულისა და I კონიუნქტივში, სადაც საპაგიეროდ დიკარგება თვით თემატური ანი, რომლის გავლენის კვალი წინამდებელ ფუძისეულ ხმოვანს დააჩნდება, იმ ხმოვანს, რომელიც აწყოში დიკარგული გვქონდა; მაგალითად:

იგუნა (*იგუნა) ტირის *ხამარჯუა (> ხამარჯუა > ხამარჯუა >) ხამარჯუა ენმარება	იგუნდა (*იგუნდა) ტიროდა ხამარჯუდა (*ხამარჯუდა) ენმარებოდა; ხამარჯუდექს ენმარებოდეს, დოხ- მარჯუა (*დახამარჯუა) დაენმარება
აშეუდა (*აშეუდა) რეცხს	აშეუდადა (*აშეუდადა) რეცხდა; აშეუდე- დექს (*აშეუდედექს) რეცხდეს;
ათარა (*ათარი) სწავლობს	ათარდა (*ათარდა) სწავლობდა





ახრა (\*ახარი) კრფს  
 ხაჩდი (\*ხაქოდი) აძლევს  
 აშდღი (\*აშდუღი) მარ-  
 ხავს  
 აშხნა (\*აშხენა) ინახავს

ახრდა (\*ახარადა) კრფდა  
 ხაჩრდა (\*ხაქოდადა) აძლევდა  
 აშდქ(უ)და (\*აშდუღიდა) მარხავდა,  
 აშაქ(უ)დქს (\*აშდუღიქს)  
 მარხავდეს.  
 აშხნდა (\*აშხენადა) ინახავდა, აშხნ-  
 დქს (\*აშხენაქს) ინახავდეს

მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ პირველი ჯგუფის დრო-  
 კილოთა თემატური ო გავლენას ახდენს ფუძის საუკლაუტო (ა ო უ) ხმო-  
 ვანზე მაშინაც კი, როდესაც თვით თემატური ო დაკარგულია რედუ-  
 კციის წყალობით. ამ მაგალითთაგან ჩვენთვის განსაკუთრებით საყურად-  
 ლებოა ორი უკანასკნელი (აშდღი და აშხნა) ზმნა, სადაც ფუძისეული  
 ხმოვანია მოკლე უ, რომელზედაც აწის გავლენა თავს იჩენს ნამყო უს-  
 რულსა და I კონიუნქტივში; საყურადღებოა იმიტომ, რომ უწის უმ-  
 ლაუტის შემთხვევები შედარებით იშვიათია.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ უწი, როგორც ისედაც საკმაოდ  
 ვიწრო ხმოვანი, უფრო ნაკლებად განიცდის დავიწროებას, ვიდრე ო ან  
 მით უმეტეს ა. იგი ჩვეულებრივ მაშინ არის ხოლმე დავიწროებული,  
 როცა უმლაუტის გამომწვევი აწი თვითონ დაკარგულია რედუქციის  
 ძალით. ამიტომ გვაქვს:

სუბა ცეკავს  
 ტუღი იძახის  
 უჭლი ბლავის  
 ბღუღი id.  
 ფშუღა ხვრინავს  
 ხუღუნა ეწინია

სუბდა (\*სუბიდა) ცეკავდა, სუბდქს  
 (\*სუბადქს) ცეკავდეს.  
 ტუღდა (\*ტუღიდა) იძახდა  
 უჭღდა ბლოდა  
 ბღუღდა id.  
 ფშუღდა ხვრინავდა  
 ხუღუნდა ეწინოდა

და მისთ.

ჰ. ზმნის აწმყოს თემისაგან ნაწარმოებია რამოდენიმე სახელი, რო-  
 მელთაც შენახული აქვთ თემატური ო. ესენია: მასდარი, მაძლეობა მო-  
 ქმედებითისა აწმყოში და მიძლეობა უნებითისა მყობადში. ყველა მათ-  
 განს ზმნის თემის წინ დავრთვის ხოლმე ფორმანტი: პირველს და-,  
 მეორეს შე-, მესამეს ლე-. აწის გავლენის გასათვალისწინებლად საკმარი-  
 სი იქნება ორი მაგალითის მოყვანა ზემოთ ჩამოწერილ ზმნათაგან.



ფუტე:	ზმნისახელები:
დაგარ:	დაიდგარნი კვლა, შედგარნი მკვლეელი, დედგარნი მოსაკლავი.
ღაშ:	დაიდღაშთი თესვა, შედღაშთი მთესველი, დედღაშთი დასათესი.

4. მოქმედებითი გვარის ზმნებში ი ხშირად მიწარმოებელია მყობადისა, განსაკუთრებით იმ ზმნებში, რომელთაც აწმყოს ფორმანტად ე აქვთ. მაგრამ ამ ი'ნის ნაცვლად ბალს-ქვემოურში გვაქვს -ისგ ან -ის. მისი გავლენაც ისეთივეა, როგორც ზემორე ვნახეთ აწმყოს წარმოების დროს, ოღონდ ბალს-ქვემოურში უმლაუტი მხოლოდ ა'ნს აქვს, ი'ნს კი არა.

აწმყო:	მყობადი:
აშაგე ამზადებს	ჭ'ანშინი (ბ.-ქვ. ჟ'ანშინისგ) მოამზადებს
აჭორე აბრუებს	ადჭორი (ბ.-ქვ. ადჭორისგ) გააბრუებს
ნამყო სრ.	
ადგაგე დაასო (აწ- მყო: აგაგე ასობს)	ადგაგო (ბ.-ქვ. ადგაგისგ) დაასობს
ანჭომე მოშლია (აწ- მყო: აჭუმე შლის)	ანჭომი (ბ.-ქვ. ანჭომისგ) მოშლის

და მისთ.

რაცა შეეხება ფუძისეულ უ'ნს, მყობადში (და აქედან პირობითში) თემატური ი მხოლოდ მაშინ მოქმედებს მასზე, როდესაც ეს ი'ნი ამოღებულია რედუქციის გზით. ეს კი შესაძლებელია მაშინ, როდესაც კიდევ მეორე სუფიქსია დართული. ამიტომ გვაქვს:

ანჭული რუჯავს	ანჭუდი ან ანჭუდნე (*ან-ანჭუდინე) მორუჯავს
ასგურე სვამს („აჯენს“)	ადსგურა ან ადსგურნე (*ად-ასგურინე) დასვამს („დააჯენს“)
ადწიე წელავს	ადდწიი ან ადდწინე (*ად-ადწინე) გა წელავს; ადდწინა (*ად-ადწინა) გა- წელავდა
ხატული ეძახის სუბა ცეკვავს	დახტუდნე (*დას-ხატუდინე) დაუძახებს ანსჭინი (*ან-სუბინა) იცეკვებს

და მისთ.





5. -ი სუფიქსი ვნებითის მაწარმოებელია აწმყოსა და მყობადში, მაგრამ ჩვენთვის მეორე უღვლილების ზმნები არ არის ამჟამად საყურადღებო, რადგანაც მათ ფუძესა და ამ იწს შუა ჩართული აქვთ -გნ-, მაშისადამე, ისეთი ფორმანტი, რომლის ხმოვანზედაც იწნი ვერ ნოქმედებს, მაგალითად: ტიხ-ე „აბრუნებს“ — ტეხნ-ი (< ტეხენ-ი) „ბრუნდება“. გვრჩება ამიტომ პირველი უღვლილების ზმნები, რომელთაც აბსოლუტური ფორმებისათვის წინ ა დაერთვის, რელატურისათვის კი კ, ერთ-ერთი პირის ობიექტური პრეფიქსითურთ (პირველისა შ, მეორისა ჯ, მესამისა ხ). მაგალითებად გამოვყავადგება ისეთი ზმნები, რომელთაც უკანასკნელი მარცვლის ხმოვანი შენახული აქვთ, ე. ი. რედუქცია არ მოუღის:

აიხე ანიავებს	აიხი ნიავედება, ადხია განიავედება, ხეხი უნიავედება, აიხი გაუნიავედება
ამხე ამზადებს	ამხი მზადდება, ჟანხი მომზადდება, ხემხი უმზადდება, ჟანხი მოუმზადდება.
ატხე თლის	ატხი თლდება, ატხი გათლდება, ხეტხი ეთლდება, აატხი გაეთლდება.
ანთხ საღამო	ანთხი საღამოვედება
ანთხე აგროვებს	ანთხი აგროვდება
ანთხე აგიჟებს	ანთხი აგიჟდება, ხანთხი უგიჟდება, ანთხი გაგიჟდება
აიწდე სწევს, იღებს	აიწდი იწვევა, იღება (ზევით)
ზევით (თავს, კუდს, კუბოს...)	და მისთ...

მაგრამ საკმარისია ავილოთ სხვა დროები, სადაც სუფიქსში სხვა ხმოვანია ვიდრე ი, რომ ვნებითისავე ფორმებში ფუძის ხმოვანი ყველა გამოჩნდეს თავისი პირვანდელი სახით, — უმლაუტს აღვიღოთ აღარ ქჟონდეს:

ნამყო უსრული

აიხიწდე ნიავედებოდა	ხეხიწდე უნიავედებოდა
ამხიწდე მზადდებოდა	ხემხიწდე უმზადდებოდა
ატხიწდე თლდებოდა	ხეტხიწდე ეთლდებოდა
ანთხიწდე აგიჟდებოდა	ხანთხიწდე უგიჟდებოდა





ნამყო სრული

აბზანს განიავდა	ათბანს გაუნიავედა
აწმანს მომზადდა	აწმანს მოუმზადდა
აღტანს გაითალა	აღტანს გაეთალა
აღსრუნს გაგიყდა	აღსრუნს გაუგიყდა <sup>1</sup> და მისთ.

უნი, რა თქმა უნდა, განკერძოებით დგას: მასზე ვნებითის ანი არ მოქმედებს:

ადუნე წელავს	ადუნი იწელება
ატყურე ატყავებს	ატყურა ტყავდება და მისთ.

ამიტომ, როცა მოკლე უნი დაკარგულია რედუქციულად, უნდა ვიფიქროთ, რომ მას აწმყოში უმლაუტი არა აქვს თეორიულად, ე. ი. მაგალითებით რომ ვილიაპარაკოთ, იმდღეა „იპარება“ და იშხუნა „ინახება“ მიოებულობა ამ ფორმებისაგან: იმდღეა და იშხუნი (და არა ამისაგან: იმდღეა და იშხუნა).

ნ. მოიპოვება ერთი ჯგუფი სახელების, რომლებიც ნიწარმოებია თავში ნა- პრეფიქსისა და ბოლოში -ი სუფიქსის დართვით; მაგალითად: მეჭარ „სველი“, ნაჭარა „სისველე“ და მისთ. სხვათა შორის ხშირია ასეთი წარმოება ვნებითი მიმღებობის უარყოფითი სახისაგან, მისი ბოლოკიდური ანის მოკვეციოთ. მაგ.:

უუდანა (ხელში) დაუტერელი	ნაუუდანა (ხელში) დაუტერლობა
ნაქადე ნაცდენი, ნაცილები, უქდა	ნაუქადი დაუცდენლობა
დაუცდენელი, დაუცილებელი	
ადკარე გაალო, უკარა გაულებელი,	ნაუკარა გაულებლობა
ადკადე დაასო, უკდა დაუსობელი	ნაუკადი დაუსობლობა და მისთ.

ამავე ტიპის წარმოებაა ნაშუდარა „მშვიდობა“ (ქართულიდან), რომელიც მოქმედებითში ასეთ ფორმას გვაძლევს: ნაშუდარა (<sup>1</sup> ნაშუდარა ბაქს)<sup>2</sup> „მშვიდობით“, ნაუქარა „გაუძლოლობა“ ნაუცარა „წაუცხებლობა“ (ნაუცარა ან ნაუცარა „სცხებს, უსვამს, პოხავს“) და სხვ.

რაიცა შეეხება უნს, იგი აქაც უცვლელია: ნაუსკურა „დაუჯდომლობა“, ნაუძადეა „დაუმარხველობა“, ნაუშხუნა „შეუნიხველობა“ და მისთ.

<sup>1</sup>) პრეფიქსისა და ბოლოკიდ. მარცხელების ხმოვანთა უმლაუტებზე ქვემოთ არის საუბარი.  
<sup>2</sup>) ეს სახელები, თუმცა ი აქვთ ბოლოში, მაგრამ ანის ბრუნებას მიჰყვებიან.



## III.

## თავსართების ხმოვანთა უმლაუბი.

## A. ზმნათა თავსართები.

7. საარვისო (ნევტრალური) ქცევის საწარმოებლად სენურში, ისე როგორც ქართულში, ნული და ანი მოგვეპოვება. ჩვენს ყურადღებას ამათგან ანი იპყრობს, რომელიც აგრეთვე საზედაო ქცევის ნიშანია.

საარვისო და საზედაო ქცევა ერთი მეორისაგან იმით განსხვავდება სინტაქსურად, რომ პირველ მათგანს (საარვისოს) დამატება სახელობით ბრუნვაში აქვს, მეორეს კი (საზედაოს) — მიცემითში. მორფოლოგიური განსხვავება მათ შორის მხოლოდ შესამე ობიექტურ პირში იჩენს თავს: სახელობითის დამატებას სენურში შესამე ობიექტური პირისათვის რაიმე განსაკუთრებული ნიშანი არ მოეპოვება, მიცემით დამატებას კი მოეპოვება. მისი ძირითადი სახეა  $\xi$ , რომელიც პირველი ჯგუფის დრო-კილოებში ხანად არის ქცეული და მხოლოდ ხმოვნების წინ გვხვდება. მეორე ჯგუფისაში კი ეს პირველადი სახე იმავე ხანის სახით არის წარმოდგენილი, ოღონდ, თუ რომ პრეფერბი უძღვის წინ: იგი ცვლილებას განიცდის: 1) ას- ( $> \xi$ ს) ნაწილაკის შემდეგ იკარგება, ან- ნაწილაკის შემდეგ ხანად იტყევა მაშინ, როდესაც წინამხალი წარი იკარგება (ან $\xi > \xi$ ), ხოლო ად'თან თვით იკარგება, მაგრამ არა უკვალოდ, არამედ მეზობელ დონს აფშვინვიერებს, ანანად აქცევს და თვითონ ამ ანის ფშვინვიერებაშია მიჩქმალული: ად $\xi > \alpha$ ¹.

მოკმელებითი ზმნებისაგან კაუზატიური ფორმები ა- პრეფიქსითა და -ფს სუფიქსით არის ნაწარმოები. მნიშვნელობით ისინი საარვისო ქცევისას შეედრება, ფორმით კი საზედაოსას, რადგანაც ნიცემითის დამატება მულამ აქვთ და სითანადო ნიშანიც მოეპოვებათ შესამე ობ. პირისათვის. ამიტომ ისინი აქ არ იქნება ცალკე გამოყოფილი.

¹) ფფრო ვრცლად ამაზე აქ ვერ შეგვხრდებით. ვიტყვი მხოლოდ, რომ ანგვარადევა საქმე მეორე პირის სუბ. პრეფიქსისათვის, რომელიც სენურში თანხმუნების წინ სრულებით იკარგება და მხოლოდ ხმოვნების წინ არის შენახული იმ სახითვე, როგორც ობ. პრეფიქსი შესამე პირისა. საზოგადოდ შესამე პირის ობ. პრეფიქსის ძირითადი ფონეტიკური სახის გამორკვევა მჭიდროდ არის დაკავშირებული მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსის პირველადი ფონეტიკური სახის დადგენასთან. საკითხი ოდნავ რთულია, რადგანაც მეორე პირის სუბ. პრეფიქსი პირველ სუბ. პირშია გადასული ანალოგიის წყალობით. მაგრამ არსებითად საქმე ისეთივე ხასიათისაა, როგორც ქართულში. ამაზე ცალკე.



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საარვისო ანუ ნევეტრალურ ქცევას სახელობით დამატებიანი ზმნები ეკუთვნის, საზედაოს კი მიცემით-დამატებიანები. სვანური მორფოლოგია მიცემით დამატებიანებად მხოლოდ იმ ზმნებს თვლის, რომელთაც მიცემითის დამატება დრო-კილოთა პირველ ჯგუფშიც მოეპოვებათ და მეორეშიაც. ის ზმნები კი, რომელთაც მიცემითის დამატება მხოლოდ პირველ ჯგუფში მოეპოვებათ და მეორეში კი არა, მესამე ობიექტურ პირს ერთნაირად ეპყრობა აქაც და იქაც: მიცემითის დამატება აწმყოში ზმნათა უღვლილებისათვის სახელობითის დამატებასთან არის გათანასწორებული.

ა ფორმანტი, რომელიც მაწარმოებელია საარვისო და საზედაო ქცევისა, უცვლელი რჩება, თუ ზმნის ფუძის პირველი მარცვლის ხმოვანი არის ერთ-ერთი ამათვანი: ა, ო, უ, ე, გრძელი იქნებიან ისინი თუ მოკლე, და აგრეთვე გრძელი ე.

როდესაც ფუძის ხმოვანი გრძელია, მაშინ მას რედუქცია არ მოსდის და ამიტომ მოვლენის გასათვალისწინებლად აწმყოს მესამე პირის მხ. რიცხვის ფორმებიც საკმარისია.

აბაჟე ანიავებს  
აგარაჟე (აგარაჟე) ბანდავს  
(ქალამანს)  
ამაჟე ამზადებს

ატაჟე თლის  
ამარაჟე აწყნარებს (გულიმო-  
სულს, მტირალს)  
ხამარაჟე ამზადებინებს

და მისთ.

აბეჟე ბერავს  
ასეჟე არჩენს

ამჟე ლესავს  
აჟეჟე გვის

და მისთ.

აგარაჟე აბრუნებს  
ასრუჟე აგიყვებს

არბაჟე აგიყვებს  
ხათარაჟე ასწავლის

და მისთ.

მხოლოდ, თუ ფუძე ერთმარცვლიანია და მისი ხმოვანი მოკლეა, იგი იკარგება რედუქციის ძალით. ამიტომ საჭიროა მოყვანილ იქნეს ისეთი ფორმაც, სადაც დაკარგული ხმოვანი აღდგენილია.

აგე აღებს  
ატჟე ანთებს

ადგარაჟე (\*ად-აგარაჟე) გაალო<sup>1</sup>  
ქანტარაჟე (\*ქან-ატჟარაჟე) აანთო<sup>1</sup>

<sup>1</sup>) პრეფერბიან ფორმებში ქცევითი ა დაკარგულია რედუქციის ძალით: მესამე სუბ. პირის ფორმებში, მაგრამ თუ ფუძე ერთ-მარცვლიანია, იგი აღდგება ზოდჟე, რაკა ეს ერთ-მარცვ-



ანეე აცხოვს	ქანხაეე გამოაცხო
ატუბე წიავს (ხორცს)	ანტუბე შეწვა
აკლე ასობს	ადკაღე დაასო
ხაგვრგწაღი ელოპირიკება	გარგღაე (*გარგაღა) ლოპირიკი
ხატურუხე ანთებინებს	ასტურუხე აანთებინა
აქუმი შლის	ანჯიამე მოშალა
აჩქურა აჩოქებს	აღწაქუე დააჩოქა
აბქუე აღბობს	აღაუქუე დააღბო
ასგურე სვამს, „აჯენს“	აღსგურე დასავი, „დააჯინა“.
აურე წივს	აღურდა დაწვა
ატფურე ატყავებს	აღტფურე გაატყავა
აგხელე რუჯავს	ანგხელე მორუჯა
აზზი ავზავნის	აღზრზე გაავზავნა
აშდმე ათრობს	აღშდრმე დაათრო
ხაუფე ეუბნება	ეფლე უბნობს და მისთ.

მაგრამ თუ ანათ დავუპირისპირებთ ისეთ ფუძეებს, სადაც ხმოვანი არის ა (გრძელი ან მოკლე) ან ე (მოკლე), მაშინ სურათი შეიცვლება. გრძელი ა შენახულია და იგი გავლენას ახდენს ქვევით ანზე:

ანგრი ფუქენის, კანს აცლის	აღგირე (*აღ-ანგირე) გაფუქენა
ანჭე ზელს, ქნის (მაგ. ტყავს)	აღჭაჭე (*აღ-ანჭე) მოზილა, მოქნა (მაგ. ტყავი)

მოკლე ა დაკარგულია რედუქციულად, მაგრამ მისი გავლენა ქვევით ანს მაინც ატყავს:

ანეე ასეველებს	აღეირე (*აღ-ანეირე) დაასველა, მეიარ სველი
ანზე აბრუნებს	აღსინე (*აღ-ანინე) გადააბრუნა
ანეე აღრჩობს	აღეიმე დააღრჩო
ანხა წიავს	აღშიხე დაწვა

ლიანი ფუძე შეიკუმწება, ე. ი. პირველისა და მეორე სუბ. პირის ფორმებში. უნდა დაგვახინოთ ამას, რომ პირველში ხშირად და საზოგადოდ ყველა კილოში, ხოლო ლენტეხურ კილოში ისედაც შენახულია ხოლმე ეს ქვევითი ა შესაბუნს სუბ. პირის ფორმებშიაც.



ნშდრე ართობს	ადშდირე ვართო
ნაბჷ აწოდებს	აბბაჷ (*ა-ბაბაჷ) მიაწოდა
ნაბდისე ცეცხლს უკიდებს	ნაბადნე (*ა-ნაბადნე) ცეცხლი მოუკიდა
ნაბრე ეკლებს	ქ'ნაბირ დააკლო
ნაშთაქჷ აზვევს	ნაშთაქჷ (*ნაშთაქჷ) მიაჩვიდა
ნაქჷ კმატებს	დახქიმ (*დახაქიმ) შეკმატა
ნატხე უბრუნებს	დახატას დაუბრუნა, უბასუხა
ნატხუნე აბრუნებინებს	ათტახუნე (*ათატახუნე) დააბრუნებინა და მისთ.

იგივე ამბავია, როცა ფუძის ხმოვანია მოკლე ე, რომელსაც რედუქცია მოსდის:

ნგნე აყენებს	ანგნე (*ან-განე) ააყენა (დამჯდარი, დაწოლილი), მოჰყვა, მოაცი- ლა; ადგანე (*ა-დ-განე) დააყენა
ნკთადე ამლიდრებს	ადკთადე გაამლიდრა
ნკშინი წმენდს	ადკშინე გაწმინდა
ნლთე ართავს, სთავს	ანლთე დაართო
ნმბე აბერებს	მეზა ბერი, მოხუცი
ნმბე აშავებს	ადმეშხე გააშავა, მეშხე შავი
ნტბადე ათბობს	ადტბადე გაათბო
ნფშადე კრეჭა	ანფეშადე გაკრიჭა
ნწმე თიბავს	წემ თივა
ნჭბადე ამწვედევს	ადჭკადე დაამწყვდია
ნამბე (*ნანბე)	ანთხე (*ა-დ-ხანხე) დაინება
ნანხე სჯობნის	ასხერ სჯობა
ნანწუნა ნახვა ენატრები	დიწედ ნახვა

და მისთ.

როდესაც გვაქვს ასეთი დაპირისპირება: წყთა (\*აფუთა) „ჩეხს“ და აფუთადა (შდრ. ბ-ქვ. წყთაჷ) „ჩეხდა“, შეიძლება ვიფიქროთ, რომ აწმყოს ფორმაშა უმლაუტი აწის ბრალია, რომელიც მოჰოში ზისო. აწის გაფლენა მთლად გამორიცხული ეგებ არც იყოს, ნაგრამ საზოგადო წესის მიხედვით, უმლაუტი აქ მომდევნო აწის ბრალია, რომელიც რედუქციულად გაქრა და, როცა აღდგა, მაშინ გაფლენაც დაკარგა.





8. თუ საარვისო (ნევეტრალურ) ქცევაში ფუძის ხმოვანი ხსდენს გავლენას ქცევის ნიშანზე, სათავისოში (ანუ სასუბიექტოში) სამაგიეროდ თვით ქცევის ნიშანი მოქმედებს წინა მარცვლის ხმოვანზე. წინა მარცვლად კი მხოლოდ პრევერბია შესაძლებელი. პრევერბთაგან ჩვენ ან- და ად- გვინტერესებს, რომელნიც სრული სახეობის (ასპექტის) ფორმებს აწარმოებენ.

სათავისო ქცევის ნიშანი სვანურში, ისე როგორც ქართულში, ა არის:

საარვისო.	სათავისო.	
ამარე ამხადებს	იმარე იმხადებს	
ადამა თესავს	ადამა ითესავს	
მსუი აკეთებს	ისუი იკეთებს	
ამაი არჩევს	იამა ირჩევს	
ტახე აბრუნებს	იტხე იბრუნებს	
კეიმე ტეხს	იკეიმე იტეხს	და მისთ.

პრევერბის დართვისას ქცევითი ა დაიკარგება, მაგრამ მისი გავლენა წინა ხმოვანს დაჩნდება:

საარვისო.	სათავისო.
ჭანმარე (*ჭან-ამარე) მოამხადა	ჭანმარე (*ჭან-იმარე) მოიმხადა
აკეიმე (*ად-კეიმე) გატება <sup>1</sup>	ადკეიმე (*ად-იკეიმე) გაიტება
ატახს (*ად-ტახს) დააბრუნა <sup>1</sup>	ადტახს (ად-იტახს) დაიბრუნა
ანტახს მოაბრუნა <sup>1</sup>	ანტახს (*ან-იტახს) მოიბრუნა
იბნი იწყებს	ინიხე (*ან-იიხე) } დაიწყო
იკედ იღებს	ადბიხე (*ად იბიხე) }
ჭანთამე (*ჭან-ათამე) აარჩია	ჭანთამე (*ჭან-იკეიმე) აიღო
	ჭანთამე (*ჭან-ათამე) აიარჩია

ქცევითი ა ყველგან როდია დაკარგული. მესამე სუბ. პირში იგი ყველგან დაკარგულია (ლენტეხურშიაც კი, სადაც საარვისო და საზედაოს ანი შენახულია ხოლმე), მაგრამ შენახულია ერთ-მარცვლიანი ფუძეების პირველი პირისა და მეორე პირის ფორმებში, როდესაც ფუძის ხმოვანი მოკლეა და ფუძე შეკუმშულია. მართლაც:

<sup>1</sup>) მეორე უღვლილების ზმნება საარვისო ქცევის ნიშნით აწარმოებენ, სათავისოს კი ანთ: ტ ი ხ ე — ა ნ - ტ ი ხ, ა (დ) - ტ ი ხ; მაგრამ ი - ტ ხ ე — \* ა ნ - ი - ტ ი ხ, ა დ - ი - ტ ი ხ.



	3	2	1
	ჭ'ანმარე (მოიმზადა)	ჭ'ანმარ (მოიმზადე)	ჭ'ანმარ (მოვიმზადე)
	ანტაბე (გაითალო)	ანტან (გაითალე)	ანტან (გავითალე)
მაგრამ:			
	ანინე (დაიწყო)	ანან (დაიწყე)	ანან (დავიწყე)
	ჭ'ანკიდ (აილო)	ჭ'ანკიდ (აილე)	ჭ'ანკიდ (ავილე)
	ჭ'ანთიშ (ამოირჩია)	ჭ'ანთიშ (ამოირჩიე)	ჭ'ანთიშ (ამოვირჩიე)
	ანტინ (დაიბრუნა)	ანტინ (დაიბრუნე)	ანტინ (დავიბრუნე)
	ანტეიშ (გაიტეხა)	ანტეიშ (გაიტეხე)	ანტეიშ (გავიტეხე)
			და მისთ...

უნდა შევნიშნოთ, რომ სათავისო ქცევის ა ფორმანტის გავლენით პრეფერბის ხმოვანი ა'ნი ა'ნად იქცევა სვანურის სამს კილოში: ბალს-ზემოურსა, ბალს-ქვემოურსა და ლენტეხურში. ლაშხურ კილოს ა'ნი არ მოეპოვება და მის მაგივრად ე'ნს ხმარობს. ამავე ლაშხურში პირველ სუბ. პირში ესე- გვფფი თხ'ად არის გადაკეთებული<sup>1</sup>. ამიტომ სათავისო ქცევის ფორმები ლაშხურში ასეთი გვაქვს:

ჭ'ენმარე (მოიმზადა)	ჭ'ენმარ (მოიმზადე)	ჭ'ენმარ (მოვიმზადე)
ენინე (დაიწყო)	ენან (დაიწყე)	ენან (დავიწყე)
ჭ'ენკიდ (აილო)	ჭ'ენკიდ (აილე)	ჭ'ენკიდ (ავილე)
ედანბე (გაინიავა)	ედანბ (გაინიავე)	ედანბ (გავინიავე)

9. აქ განმარტება უნდა შემოვიტანოთ ერთი მოვლენის შესახებ. პრეფერბთა შორის ურევია და-, რომელიც დაერთვის ხოლმე ზმნებს.

<sup>1</sup>) სათავისო ქცევის პირგ. სუბ. პირში ბანდაბან ბალს-ზემოურსაე მოისმის თხ .



შესრულებული სახეობის (ასპექტის) დრო-კილოთა საწარმოებლად მოქმედებითი გვარის ზმნათა საარვისოსა, სათავისოსა, სასხვისოსა და საზედაო ქცევებში<sup>1</sup> და აგრეთვე ენებითი გვარის (უმთავრესად მეორე უღვლილების) ზმნათა რელიატიურ ფორმებში. როდესაც ეს ლა- საარვისო ქცევის შესამე სუბ. პირის ფორმებთან იხმარება, მოსალოდნელი იყო, რომ ორი ანის შეერთებით (ლა+თა) ჩვეულებისამებრ გრძელი ა (ლა-) მიგველო, მაგრამ ნაცვლად ამისა მეორე ანი ა'ეს გვაძლევს (ლა+თა > ლაა), რომელიც წინა ხმოვანზე არავითარ გავლენას არ ახდენს! ამიტომ გვაქვს:

აჭუღჭუ გვის	ლააჭუღჭუ (*ლა-აჭუღაჭუ) ცოტა გამოგაეა
აკლაჭა ლეწავს	ლააკლაჭუ (*ლა-აკლაჭუ) ოდნავ გალენა
აუთხენე ბერტ-	ლააუთხენე ცოტა გაბერტეა (მაგ. გალა-
ყავს (მაგ. ყავარსაბ-	აბრუნა ყავარი)
რუნებს სახურავზე)	
აჭმე თიბავს, ადჭმე	ლააჭმე ცოტა მოთიბა
გათიბა	

უნდა შევნიშნოთ, რომ, როცა ამ ლა- პრევერბით იხმარება ზმნა საარვისოსა და სათავისო ქცევაში, (ყოველთვის არა, მაგრამ ხშირად) ზმნას მოქმედების წამოწყებისა, საქმის შედგომის მნიშვნელობა ეძლევა, მაგალითად: ლააჭმე, მარე შერჩიდას მამ ხაფაღ ა ქა ლეკეჩ ხაღ „დაიწყო თიბვა, მაგრამ ცელი არ უვარგოდა და უნდა თავი დაენებებინა“. ასეთივე წარმოებაა ლა(ა)ბრა (მან) „ცოტა წერა“, ლა(ა)ბრა „დალია“, სადაც შემდგომი ანიც კი არ მოქმედებს წინა ანზე, რადგანაც მათ შორის თეორიულად ქცევითი ა იგულისხმება.

სულ სხვაა, როდესაც ლა- სათავისო ქცევაშია ნახმარი. აქ შესამე სუბ. პირში მას ქცევითი ა მოსდევს, რომელიც წინა ხმოვანზე მოქმედებს, უკლაუტს აჩენს, მაგრამ თვით უმარცვლო ხდება, ა'ედ იქცევა: ლა+თა > ლა'ა > ლაა. მაგალითად:

აბრაჩუღ დაფრინავს	ლააბრაჩუღ ცოტა იფრინა
იხუღაღ დადის	ლააიხუღაღ ცოტა გაიარ-გამოიარა
აბნა იწყება	ლააბნანე წამოიწყო
იტხე აბრუნებს	ლააიტხანე დაიბრუნა

<sup>1</sup>) სათანაო ქცევა, რომელიც ქართულში მოთიბვა, ხეაფრს არ გააჩნია.



ამ გვარად საარვისო ქცევაში ა ანისაგან არის მიღებული და ხმო-  
ვანზე არ მოქმედებს, სათავისოში კი ანისაგან არის მიღებული და ამი-  
ტომ გავლენას ახდენს, როგორც ამას გვიჩვენებს ერთისა და იმავე ზმნის  
ფორმები ორისავე ქცევით:

საარვისო.  
ღაჲგუ ოტა ააწენა  
ღაჲკაღჲუ ოტა გაღეწო

სათავისო.  
ღაჲგუ ოტა აიშენა  
ღაჲკაღჲუ ოტა გაიღეწო

10. სასხვისო (საობიექტო) ქცევის მაწარმოებელია მესამე ობ. პირ-  
ში ა. პირველსა და მეორეში კი ი, მაგ:

საამარე	გამარე	მამარე
(უმზადებს)	(გიმზადებს)	(მიმზადებს)

ამიტომ ამ ქცევაში ჩვენი ყურადღების საგანი უპრევერბო წარმო-  
ებისას მესამე ობ. პირის ფორმებია, ხოლო პრევერბით ხმარებისას პირ-  
ველისა და მეორისა.

საერთო წესების თანახმად უნდა მოველოდეთ, რომ, როცა ზმნის  
ფუძეში ი ან ე გვაქვს, მათ გავლენა მოახდინონ ქცევით ანზე, მაგრამ  
ამას ვერ ვხედავთ, როგორც გვიჩვენებს შემდეგი მაგალითები:

საარვისო.	სასხვისო
ტაჲე აბრუნებს	ხოტჲე უბრუნებს
ღაგუ აქრობს	ხოღგუ უქრობს
ტესნა ბრუნდება	ხოტჲენა უბრუნდება
ღეგნი ქრება	ხოღგენი უქრება

აქ მოსალოდნელი იყო უმლაუტები: \*ხოტჲე, \*ხოღგე, \*ხოტჲენა,  
\*ხოღგენი, მაგრამ ამას აღვიღო არა აქვს.

სამაგიეროდ, თუ ავიღებთ პრევერბიან ფორმებს, ვნახავთ რომ ქცე-  
ვითი ი (პირველსა და მეორე ობ. პირში), რომელიც ჩვეულებრივ დაკარ-  
გულია რედუქციულად, გავლენას დააჩინევს წინაშეაღ ხმოვანს. მაგა-  
ლითად ავიღოთ ღა(ტ)ე („დაბრუნება“) ზმნა ნაწყო სრულის მესამე სუბ-  
იექტურ პირში და ობიექტებად ყველა პირები მიესცეთ. ან- და ად- პრე-  
ვერბთა დართვით მისგან ასეთ ფორმებს მივიღებთ, რომლებიც განსხვავ-  
დებიან ერთი-მეორისაგან მიმართულებების ჩვენებით (პირვ. და მესამე პირისა-  
კენ):

ანოტაჲ	*აჲიტაჲ	*აიოტაჲ
(ვაპოუბრუნა)	(ვაპოვიბრუნა)	(ვაპომიბრუნა)





ათოტის (დაუბრუნა)	*ატიტას (დაგიბრუნა)	*ატიტის (დამიბრუნა)
----------------------	------------------------	------------------------

ვარსკვლავები 1 და 2 ობ. პირის ფორმებს იმიტომ დაეუხსი, რომ ისინი თეორიულად აღდგენილი ფორმებია: ამგვარი სახით ფორმები სვანურში არსად გვხვდება, ლენტეხურშიაც კი; პოეზიაშიც კი იშვიათად თუ სადმე წაიწყდება კაცი. იმიტომ რომ ჩვეულებრივ ხმოვანთა რედუქციას აქვს ადგილი, ე. ი. აღნიშნული ფორმები შეკუმშულია და ამით მოწლილია პარველადი სახე.

ყველაზე უფრო შეცვლილია მესამე ობ. პირის ფორმა, რომელიც უცვლელად მხოლოდ ლენტეხურში გადარჩა. სხვაგან კი უბრჯგულ დასული ა მეორე მარცვლისა თითქო პირველ მარცვალში გადმოდის, აქ ა'ს უერთდება და ამგვარად ვიღებთ აჟ დიფთონგს, რომლის ნაცვლად შემდეგ ა გვაქვსო, ე. ი. თითქო ახა- > ახჟ > აჟს- > ახს- და ათა- > ათჟ > აჟს- > ათს-. თითქო-მეთქი რადგანაც ნამდვილად უბრჯგულს წინ გადმოსკუბებას, როგორც ჩანს, ადგილი არ უნდა ჰქონდეს, არამედ იგი თავის ადგილსვე უნდა ქრებოდეს, მაგრამ გავლენას ახდენდეს წინა მარცვლის ა'ზე მისი ანად შეცვლით. სხვათადაც რომ ვთქვათ, ახჟ- და ათჟ- ჯგუფი; უმეშვეოდ, მეტათეზს გარეშე, უნდა გვაძლევდეს ახს- და ათს- ჯგუფს.

რაცა შეეხება პირველი ობ. პირისა და მეორის ფორმებს, ისინი ლენტეხურშიც შეკუმშულია. ოღონდ აქ ცვლილება უფრო მარტივი ხასიათისაა: აქ მხოლოდ პრეფერბული ა არის დავიწროებული მომდევნო იწის მიერ, რომელიც დაკარგულა რედუქციის გამო.

სამოლოოდ მიღებული გვაქვს შემდეგი ფორმები:

ახტის ატიტის აიტის „მოუბრუნა, მოგიბრუნა, მომიბრუნა“.  
ათტის „ „ „დაუბრუნა, დაგიბრუნა, დამიბრუნა“.

ე. ი. მიმართულებებითა განსხვავებან მხოლოდ მესამე ობიექტურ პირში იწინა თავი, სხვაგან კი არა<sup>1</sup>.

ასევე იქნება სხვა პირების ფორმებიც: ამატს „დამიბრუნე“, ანატს „დაგიბრუნე“<sup>2</sup> და სხვ.

<sup>1</sup>) საზოგადოდ მიმართულება (პირველისა ან მესამე პირისაკენ) განსხვავებულია ხოლმე სვანურში მხოლოდ პრეფერბიან ფორმებში და ისიც მარტოდენ მესამე ობიექტურ პირში ბევრ ზმნაში მიმართულებითი მნიშვნელობა პრეფერბისა სულ მთლად მიქმნალებულია და წილფული.  
<sup>2</sup>) ეს ექსკლუზიური ფორმაა: დაგიბრუნე (მე და იმას, მე და იმათ). სვანურში მრავლობითი რიცხვის პირველ პირს ორთავი ფორმა მოეპოვება: ინკლუზიური და ექსკლუზიური მაგრამ ამაზე სხვაგან.





II. ქცევითი აწისაგან (§ 7) უნდა გავარჩიოთ ა- პრეფერბი, რომელიც მეორე უღვლილების ზმნებში (იმ ზმნებში, რომელთაც ვნებითის ფორმები შინაგანი ფლექსიით აქვთ ნაწარმოები), შესრულებული სახეობის (ასპექტის) მაწარმოებელი ნაწილაკია, მიმართულების აღმნიშვნელი მესამე პირისაგან. მისი ანტიპოლია ან-, რომელიც მიმართულებას პირველი პირისაგან უჩვენებს. ამიტომ შეიძლება ვვფიქრობ, რომ ა- შეკვეცილი ად- პრეფერბია, რომელიც ასე შეკვეცილიად ნულით ნაწარმოებ სათავისო ქცევის ფორმებში იხმარება, მაშინ როდესაც აწით ნაწარმოებ სათავისო ქცევაში მუდამ მის ადგილას ად- პრეფერბია ნახმარი. მეორე უღვლილების ზმნების საარვისო ქცევის ფორმები ყველა თანხმოვნით იწყება; ამიტომ ენას თითქო აღარ დაუნახავსო ხაჭიროდ, რომ ფუძის პირველი თანხმოვნის წინ პრეფერბის თანხმოვანი შენახულიყო. ამგვარად ად- ნაწილაკისაგან მიღებული უნდა იყოს ა-, რომელიც მხოლოდ საარვისო ქცევაში იხმარება, მაგრამ იგი აღდგება შეუკვეცილად სათავისოსა და სახედო ქცევის ფორმებში: ატახ (< \*ად-ტახ) „დააბრუნა“, ატახ (\*ად-ჰტახ) „დაღებუნა“, მაგრამ ად-ტახ (\*ად-ატახ) „დაიბრუნა“. აღბათ ესეც თუ არის მიზეზი იმისა, რომ მხოლოდ რიცხვის მესამე სუბ. პირის ფორმებში (აქედან მერმე მრავლ. რიცხვის ყველა პირის ფორმებში), სადაც ფუძისეული ა შენახულია, ეს აწი არ მოქმედებს პრეფერბულ აწზე, რომელიც თეორიულად დახურულ მარცვალშია. მაგალ.

ატახ აბრუნებს  
ბიკჷ ბეთქს  
დიგჷ ბქრობს  
ფიტჷ ხერეტს  
კჷიშჷ ტებს  
ქჷიფჷ ქრის  
რადჷ ხვეს

ატახ (\*ადტახ) დააბრუნა  
ბიკჷ (\*ადბიკჷ) გახეთქა  
ადიგ (\*ადდიგ) გაიქრო  
ფიფატ (\*ადფიფატ) გახერიტა  
კჷიშჷ (\*ადკჷიშჷ) გატება  
ქჷიფჷ (\*ადქჷიფჷ) გაჭრა  
რადჷ (\*ადრადჷ) გაზია და მისთ.

ფუძის ხმოვანი ა შენახულია ნამყო სრულის მოთხრ. კილოს მთელს მრავლობითს რიცხვში, რომელსაც საზოგადოდ იგივე თემა აქვს სვანურში, რაც მესამე პირს მხოლოდ რიცხვისას, მაშინ როდესაც მხ. რიცხვის პირველსა და მეორე პირს თავისი თემა აქვს.

მხოლ.

მრავლ.

3 ატახ დააბრუნა

ატახს დააბრუნეს

2 ატახ დააბრუნე

ატახდ დააბრუნეთ



მათ.

მრავლ.

1 ოტეს დავბრუნე { ოტიხდ დავბრუნეთ (მე და იმან, მე და იმათ)  
აღტიხდ " " (მე და შენ, მე და თქვენ)

კონიუნქტივისშიც პრევერბული ა- უცვლელია: ატესას (ატესეს) „და-  
აბრუნოს“. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ მყობადშიცა და პირობით-  
შიც იგივე სურათი იქნებოდა, ე. ი. რომ აქ არც შეიკუმშებოდა ფუძე და  
არც უმლაუტს ექნებოდა ადგილი, რადგანაც აქაც იგივე პრევერბია.  
მაგრამ ფუძეც შეკუმშულია და უმლაუტიც გვაქვს პრევერბისა:

ატესე დაბრუნებს	ატესა დაბრუნებდა
აქეშე გატებს	აქეშა გატებდა და მისთ.

ეს კიდევ არაფერია. მყობადის მოთხრობითსა და პირობითში მა-  
შინაც კი არის რედუქცია ფუძის ხმოვნისა და უმლაუტი პრევერბის ხმოვ-  
ნისა, როცა ან- ნაწილაკია ნახპარი:

ანტესე მოაბრუნებს	ანტესა მოაბრუნებდა
ანკდე გაწყვეტს	ანკდა გაწყვეტდა

აქ უსათუოდ უმლაუტი დაკარგული ხმოვნის გავლენით არის გა-  
მოწვეული. ეს იქიდან ჩანს, რომ, როცა დამატებად პირველი და მეორე  
პირი იგულისხმება, მაშინ უმლაუტს ადგილი აღარ აქვს: ატესე „დაბრუ-  
ნებს“ მაგრამ ანტესე „დაგაბრუნებს“, ანტიესე „დაგავბრუნებს“ (excl.: მე  
და იმას, მე და იმათ).

მსგავსავე სურათს იძლევა იმავე უღვლილების ზმნათა ვნებითი ფორ-  
მები. ა- პრევერბი აქაც მყობადში მოგვცემს უმლაუტს, მაგრამ ახლა ა'ნის  
გავლენით კი აღარ, არამედ ე'ნისა, რომელიც პირველი ჯგუფის დრო-  
კილოებში მოქმედებითის ა'ნს შეცვლის. თუ მოქმედებითში გვქონდა  
აწმყოში ტის-ე, ხოლო მყობადში ატესე/ანტესე და მისთ., ვნებითში გვექნება:

ტესნი (*ტეს-ენ-ა) ბრუნდება	ატესანი დაბრუნდება
აქეშანი (*აქეშ-ენ-ა) ტყდება	აქეშანი ვატყდება
აქედანი (*აქედ-ენ-ა) იყოფა	აქედანი ვაიყოფა და მისთ.

ახ- პრევერბითაც რომ ვიხპაროთ ზმნების, ფუძის ხმოვანსაც ექმნება  
რედუქცია და პრევერბის ხმოვანსაც უმლაუტი:

ანტესანი მობრუნდება	ანკდანი გაწყდება
---------------------	------------------



რაკი მუობადის მოთხრობით კილოშია ასეთი ამბები, რაღა თქმა უნდა, პირობით კილოშიაც იგივე იქმნება:

ატეს მიბრუნდებოდა,           ანტეს მობრუნდებოდა  
 ატესოღა " (ბ.-ქვ.)           ანკესოღა (ბ.-ქვ.) გატყდებოდა და მისთ.

მაგრამ როცა ვნებითის ფუძის ე შენახულია, მაშინ არა თუ ან-, არამედ ა- პრეფერბიც კი უცვლელია. ასეთია მდგომარეობა მეორე ჯგუფის დრო-კილოებში (სწორედ ისე, როგორც ეს გვქონდა მოქმედებითის ფორმებში). მაგალითები ჯერ ბალს-ქვემოურიდან:

ატახ მიბრუნდა, და—	ანტახ მობრუნდა
ატეს მიპბრუნდი, და—	ანტეს მოპბრუნდი
ათეს მივბრუნდი, და—	ანტეს მოვბრუნდი
ატესეს მიბრუნდეს, და—	ანტესეს მობრუნდეს
ატესე მიპბრუნდე, და—	ანტესე მოპბრუნდე
ათესე მივბრუნდე, და—	ანტესე მოვბრუნდე

უკეთუ ახლა ბალს-ქვემოური ფორმების ნაცვლად ბალს-ზემოური-სას დაეუბრუნდებით, დაყრწმუნდებით, რომ პრეფერბის ხმოვანს უმლაუტი მხოლოდ მაშინ მოსდის, როდესაც ფუძე შეკუმშულია. ამას ვხვდავთ როგორც მოთხრობითის ისე კონიუნქტივის ფორმებიდანაც:

ატან მიბრუნდა, და—	ანტან მობრუნდა
ატს მიპბრუნდი, და—	ანტს მოპბრუნდი
ატეს მივბრუნდი, და—	ანტეს მოვბრუნდი
ატესს მიბრუნდეს, და—	ანტესს მობრუნდეს
ატეს მიპბრუნდე, და—	ანტეს მოპბრუნდე
ათეს მივბრუნდე, და—	ანტეს მოვბრუნდე.

გამოდის, რომ თითქო უმლაუტს შვიდრო კავშირი აქვს ხმოვნის რედუქციასთან: გავლენა ხმოვანს მაშინ აქვს, თუ იგი რედუქციის ძალით უნდა დაიკარგოს. საზოგადო სახელმძღვანელოდ ამ აზრს ვერ მივიღებთ, რადგანაც ბევრია ისეთი შემთხვევა, როცა მეუმლაუტე ხმოვანი დაკარგული არ არის (მაგალ. ვნებითის წარმოებაში, § 5) და მაინც გავლენას ახდენს, მაგრამ აქ კი ასე ჩანს საქმის ვითარება.

ამის პარალელი მოქმედებითის გვარის ზმნებშიც მოიპოვება: ტიპოლოგიურად სხვა წარმოებაა, მაგრამ უმლაუტისათვის იგივე მდგომარეობა ამ შემთხვევაშიაც:





3 ხაყერ უყო, უქნა	ხაყრის უყოს, უქნას
2 ხაყერ უყავ	ხაყრა უყო
1 ხაყერ ვლყავ	ხაყრა ვლყო

12. ა- პრევერბი სვანურში გამოყენებულია მესამე ჯგუფის დრო-კილოთა წარმოებისას შესრულებული სახეობის (ასპექტის) ფორმათათვის, როგორც მოქმედებითისა (პირველსა და მეორე უღვლილებაში), ისე ვნებითი გვარის ზმნებში. ეს ჯგუფი, რომელიც გადმოგვცემს მომთხრობი პირის თვალსაზრისით თვალთ უნახავსა და მისი ცნობიერების გარეშე მომხდარ ამბავს, მოქმედებითის ფორმებს აწარმოებს სასხვისო ქცევით, ხოლო ვნებითისას აღწერილობით: ვნებითის მიმდევრებს დაურთავს ხოლმე შეშველი ზმნის ფორმებს.

მოქმედებითში ორი სახეობა გვაქვს: შეუსრულებელი და შესრულებული. ათტეს („დაბრუნება“) ზმნისაგან, მაგალითად, შეუსრულებელი იქნება ზატნს „უბრუნებია“, ჯიტნს „გებრუნებია“, შატნს „მიბრუნებია“, ხოლო შესრულებული კი:

- \* ახატნს მოუბრუნებია
- \* ათატნს და—, მიუბრუნებია
- \* აჯატნს მოგიბრუნებია
- \* აჯათნს და—, მიგიბრუნებია
- \* აშიატნს მომიბრუნებია
- \* აშიათნს და—, მიმიბრუნებია

მოყვანილ ფორმებს ვარსკვლავები იმიტომ უსხედს, რომ ასეთი რამ ჩვეულებრივ არ გვხვდება, — თეორიულად აღდგენილი ფორმებია, გარდა მესამე ობ. პ. ფორმებისა, რომლებიც შემონახულია ლენტეხურ კილოში (რა თქმა უნდა, სიგრძის გამოკლებით) და სხვაგან კი ხანდახან პოეზიაში. პირველისა და მეორე ობ. პირის ფორმები ყველგან შეკუმშულია, ლენტეხურშიც კი. შეკუმშვის დროს სწორედ ქცევითი ხმოვნები იკარგება (ა და ა) და თანაც იმ გვარად და იმ წესით, როგორც სასხვისო ქცევაში (§ 10). მაშასადამე, თუ გავითვალისწინებთ იმას, რაც სასხვისო ქცევის შესახებაა ზემოთ ნათქვამი, აქაც შეუსრულებელი სახეობის სატნს, ჯატნს, შატნს ფორმების პარალელურად, ა- პრევერბის დართვით, ასეთ ფორმებს მივიღებთ შესრულებული სახეობისათვის:

- ათტნს აჯტნს აშტნს მოუბრუნებია და შემდგომი
- ათატნს ,, ,, მიუბრუნებია ,, ,,

ასეა ბალს-ზემოურში, მაგრამ ბალს-ქვემოურში სიგრძე არა გვაქვს:

- ათტნს, აჯტნს აშტნს
- ათატნს ,, ,,





სიგრძე ლენტეხურსაც არ გააჩნია, მაგრამ აქ ამის გარდა, როგორც აღვნიშნეთ, მესამე ობ. პირის ფორმები შეუკუმშველადა წარმოდგენილი, დანარჩენები კი შეკუმშულია:

ახატისა, ჯატისა ჰმტისა  
ათატისა ,, ,,

ხოლო ლაშხურში სიგრძე არის შენახული, მაგრამ ანის უმლაუტი კი არ არის, არამედ ე:

ასტისა, ეჯტისა ემტისა  
ათატისა ,, ,,

მოყვანილი მაგალითები მეორე უღვლილებიდან არის აღებული, მაგრამ იგივე ამბავი იქნება პირველ უღვლილებაში<sup>1</sup>:

ასმარა ჯმარა ჰმმარა მოუმზადებია და შემდგომი.  
ათამარა ჯეტამარა ჰმმარა გაუნიავებია ,,

ვნებითში ა პრეფერბი უცვლელიად მხოლოდ პირველი უღვლილების ზმნებში იხმარება, სადაც ვნებითის მიმღეობა ჯე პრეფიქსით არის გამოხატული. მარ ქირისიგან (აქამარე „მომზადება“), მაგალითად, ვნებითის მიმღეობა იქნება ჯემარე („მომზადებული“). აქედან აღმარქლი („მომზადებულია“), აღმარქლი („მომზადებულია“), აღმარქლი („მომზადებულია“). ამ ფორმებში სხვა რამეც არის საყურადღებო: ჯერ ერთი ენის სიგრძე, წარმოშობილი მახეილის ნიადაგზე მეშველი ზმნის ფორმების ენკლიტიკებად ქცევის შემდეგ (\*აღმარქ-ლი, \*აღმარქ-ხა, \*აღმარქ-ხე) და მეორე კიდევ აღისი გადმოტანა მესამე პირის ფორმების ანალოგიით პირველისა და მეორე პირის ფორმებში, მაგრამ ეს მხოლოდ გაკვრით. ჩვენს უმთავრეს ყურადღებას აქ პრეფერბი იპყრობს, რომელსაც უმლაუტი იმიტომ არ მოსდის, რომ მომდევნო მარცვლის ხმოვანი ე არის, რომელიც რედუქციის წესით გაქრა. ასევეა პირველი უღვლილების ყველა ზმნაში: აღმარქლი „გაშავებულია“, აღმარქლი „დაბერებულია“ ა აღმარქლი „ამღვარა“ და მისთ.

სულ სხვა სურათია მეორე უღვლილების ზმნებში. აქ ზმნებს ჩვეულებრივ ორ-ორი მიმღეობა აქვს. მოკმედებითისა და ვნებითისათვის (უკეთ: საშვალ-ვნებითისათვის ანუ მედიო-პასივისათვის). მაგალითად, „დაბ-

<sup>1</sup>) ზმნების უღვლილებად დაყოფის დროს მე საფუძვლად ვნებითის წარმოება დაგვდებ როგორც ქართულში, ისე სვანურში. ამის მიხედვით სვანურის პირველი უღვლილება ქართულის პირველსა და მეორეს უდრის, სვანურის მეორე უღვლილება კი ქართულის მესამეს.





რუნებული“ სვანურად არის ჯეტხე და მეტხე, მაგრამ მათ შორის ის განსხვავებაა, რომ ჯეტხე არის „რომელიც დაბრუნეს“, ხოლო მეტხე „რომელიც დაბრუნდა“. ე. ი. მათ შორის ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორც მაგ. ქართ. გატეხილ'სა და გამტყდარ'ს შორის: გატეხილია „რომელიც გატეხეს“, გამტყდარი კი „რომელიც გატყდა“.

მეორე უღვლილების ზმნები შესაძებ ჯგუფის დრო-კილოთა ფორმებს მიმდებობს მედიო-პასიური ფორმებიდან აწარმოებენ, რომელთაც თავში მუ-ფორმანტი უხის<sup>1</sup>. მაშასადამე აქ შეუმოლუტე ხმოვანი გვაქვს პირველ მარცვალში, რომელიც პრევერბის დართვის გამო თვითონ დაიკარგება რედუქციის წყალობით, მაგრამ თავის გავლენას წინაშეაღ ხმოვანს და აჩნვეს:

მეტხე (*მეტხე) დაბრუნებული	მეტხეღა დაბრუნებულა <sup>2</sup>
მეკდე (*მეკდე) მოსული	მეკდეღა მოსულა
მესდე (*მესდე) დამრჩალი	მესდეღა დამრჩალა
მეხდე (*მეხდე) წასული	მეხდეღა წასულა
მეხჳჳე (*მეხჳჳე) გამსკდარი	მეხჳჳეღა გამსკდარა და მისთ.

აქედან შემდეგ: მტხეღჳსჳე „დაბრუნებულისა“, მტხეღჳსჳე „დაბრუნებულისა“ და მისთ.

ასეა ბალს-ჴემოურში. სხვა კილოებში ოდნავ ცვლილებას ვხედავთ: ლენტეხურში მეშველი ჴნა შეიძლება დაერთოს და არც დაერთოს; ლაშურში წნის ნაცვლად უმოლუტად ე გვაქვს, ხოლო ბალს-ჴემოურში ა პრევერბი აწად არის ქცეული.

ლენტ.	მეტხეს(ღა), მეკედ(ღა), მესედ(ღა), მეხედ(ღა)	და მისთ.
ლაშ.	მეტხეღა, მეკედეღა, მესედეღა, მეხედეღა	„
ბ.ჴვ.	მეტხეღა, მეკედეღა, მესედეღა, მეხედეღა	„

**13.** პირველი უღვლილების ჴმნათა ვნებითის აბსოლუტურ ფორმებში თავსართად სვანურში, ქართულის მსგავსად, ი მოდის, მაშასადამე ისეთივე ნიშანი, რომელიც სათავისო ქცევას მოეპოვება. ამიტომ გავლენაც ამ ვნებითის აწისა წინაშეაღ ხმოვანზე (პრევერბისაზე) ისეთივეა, რაც სათავისო ქცევაში (§ 8). მაგალითად:

1) მეორე უღვლილებანი ისეთი ჴმნებიც შედის, რომელთაც მხოლოდ მედიო-პასიური ფორმები აბაჳია და მოქმედებითი კი არა.  
 2) და ბ რ უ გ უ ლ ა (იჯეთ, ან აქეთ). აქ მიმართულება განსხვავებული აღარ არის.





ამჷრა მზადღება	ჟ'ანმჷრა (*ჷ'ან-ამჷრა) მომზადღება,
იღჷმა ითესება	ჟ'ანმჷრჷან (ჷ'ან-იმჷრჷან) მომზადღა
იკჷფი იქცევა	ინდჷმა (ად-იღჷმა) დაითესება, ინდ-
იჷრა ბრუღღება	დჷმჷან (ად აღჷმჷან) დაითესა
იჷში იშლება	ინდჷფი წიქცევა, ინდჷფჷან წიქცა
იჷრა იღება	ინდჷრჷან გაბრუღღა
იჷრა ინთება	ინჷფჷან მოიშალა
იჷრა ბერღება	ინდჷრჷან გაიღო
იჷრა იწება	ჟ'ანტჷრჷან აინთო
	ინდჷმჷან დაბერღა
	ინდჷმჷან დაიწება

და მისთ.

უძლიაუტი, რა თქმა უნდა, ყველა პირშია:

ჟ'ანმჷრჷან მომზადღა	ინდჷმჷან (*ად-იმჷმჷან) დაბერღა
ჟ'ანმჷრჷან მომზადღი	ინთმჷან (*ად-ჷიმჷმჷან) დაჰბერღი
ჟ'ანმჷრჷან მოვმზადღი	ინთმჷმჷან (*ად-ჷიმჷმჷან) დავბერღი

დამატებითი არა შემოაქვს რა 2 კონიუნქტივისა, მყობადისა და პირობითის წარმოებას: მრვევრების ცვლილება ყველგან ერთი და იგივეა. რაიცა შეეხება სუფიქსს, იგი ამ შემთხვევაში ჩვენი ყურადღების საგანი არ არის, თუმცა კილოები აქ სხვადასხვაობას გვიჩვენებენ. მოვიყვანოთ მხოლოდ ლაშხურის ფორმები, სადაც ანის უძლიაუტი ენია:

ჟ' ემჷრჷან მომზადღა	ეღმჷან დაბერღა
ჟ' ემჷრჷან მომზადღი	ეთმჷან დაჰბერღი
ჟ' ემჷრჷან მოვმზადღი	ეთმჷმჷან დავბერღი

14. ვნებითი გვარის ზმნათა მიმართებითი ფორმები სვანურში, ისე როგორც ქართულში, ენით არის ხოლმე ნაწარმოები. ეს უპრევეტრო ფორმებშია შენახული, პრევეტრობიანებში კი ხშირად დაკარგულია რედუქციის გზით. მაგრამ, როცა დაკარგულია, მის მალულ არსებობას პრევეტრობის ხმოვნის უძლიაუტი გამოამჷღაინებს ხოლმე. მაგალითად:

ხემჷრა უმზადღება	ხემჷრჷან (*ა-ხემჷრჷან) მოუმზადღა
ხელჷმა ეთესება	ქ'თელჷმჷან (ქა ათ-ელჷმჷან < ქა ად-ქელჷმჷან) დაეთესა
ხეტჷაი ეთლება	ხატჷანჷან გაეთალა
ხესჷაჷა უგიჷღება	ხოსჷაჷან გაუგიჷღა





ხემა უბერდება	წამქაწ დაუბერდა
ხეტხენი უბრუნდება	წატახ (*ათ-ეტახ < ად-ჭეტახ) დაუ- ბრუნდა
ხეშდხენი ელევა	ღანტახ (>ღა-ხეტახ) მოუბრუნდა
ხეჭმენი ემატება	ღანშღან გამოელია
ხეუქენი ეხსენება, თავს ანებებს	ღანქქამ შეემატა
ხეჭდი სცილდება, ვერ შხვდება	წაქად ასცდა, ვერ მოჰხვდა და მისთ...

ამ მაგალითებიდან იმ ზმნებს (უმთავრესად პირველი უღვლილები-  
სას), რომელთაც ბოლოს სუფიქსიც მოუღის (ხუთთა ფორმებში -წნ, ორ-  
თა ფორმებში -წნ), ქცევითი ე ყველა პირში აქვთ დაკარგული:

წამაწან მოუშადა	წასრუწ გაუგვიდა
წამაწან მოუშადადი	წასრუწ გაუგვიდი
წაქმაწან მოუწადადი	წაქსრუწ გაუგვიდი და მისთ.

მაგრამ იმათ კი, რომელთაც ბოლოს სუფიქსი არა აქვთ და ვნე-  
ბითობა მხოლოდ ეწით აქვთ გამომატული (უმთავრესად მეორე უღვლი-  
ლებისას) პირველისა და მეორე ობიექტური პირის ფორმებში ფუძე შე-  
ეკუწმება და ქცევითი ეწი აღუდგება, ოღონდ პრევერბის უმლაუტს  
მაშინ აღგილი აღარ ექნება:

მხოლ.	მრავლ.
3. წაუწ დაეხსნა	3. წაუწხ დაეხსნენ
2. ათუქ დაეხსენ	2. ათუქიდ დაეხსენით
1. ათუქ დაეხსენ	{ 1(3) წაუქაიდ დაეხსენით (excl.) 1(2) წაუქაიდ " (incl.)

ობიექტებად აქ ყველგან მესამე პირი ავიღეთ. თუ სხვა პირებსაც  
მივპართავთ, იგივე სურათი იქმნება:

წაუწ ჩამოგეხსნა	წაუწ ჩამომეხსნა
ათუქ ჩამოგეხსენ	ათუქ ჩამომეხსენ
ათუქ ჩამოგეხსენ (მე და იმას, მე და იმათ: excl.)	და მისთ.

მთლად იგივეა მდგომარეობაო, მაინცდამაინც ვერ ვიტყვით, როცა  
პრევერბად ღა- არის ნახმარი. ეწის გაელენის შესახებ რაცა ვთქვით,  
აქაც ყველაფერი იმავე წესზე და რიგზეა, ოღონდ აქ პირველისა და



მეორე ობიექტური პირის ფორმებში, სადაც ფუძე შეკუმშულია, პრევერბის ხმოვანი გრძელდება:

მხლ.	მრავლ.
3 დახტქმ შეემატა	დახტქმხ შეემატენ
2 დახტქმ შეემატე	დახტქმდ შეემატენით
1 დახტქქმ შეემატე	1(ა) დახტქქმდ შეემატენით (excl.)
	1(ბ) დახტქქმდ „ (incl.).

სხვა ობიექტური პირების ფორმებიც რომ მოვიყვანოთ, გვექმნება:

დახტქმ შეემატა	დახტქმ შეემატა
დახტქმ შეემატე	დახტქმ შეემატე
დახტქმ შეემატე (შე და იმას შე და იმათ: excl.)	და მისთ.

მოყვანილ ფორმებში სიგრძის გაჩენა შეიძლებოდა იმით აგვეხსნა, რომ აქ თითქო მრბობლი პრევერბი გვექონდეს: და + ა, რომელიც (ან დაა ჯგუფს და ან) გრძელ ვსს მოგვეცემა, მაგრამ თუ მოგვეცემა, ყველგან უნდა მოეცა და სხვათა შორის მხ. რიცხვის მესამე სუბ. პირსა და მთელს მრავლობითს რიცხვში. ამას კი ადგილი არა აქვს და ამიტომ სხვანაირად უნდა წარმოვიდგინოთ საქმის ვითარება: სიგრძე აქ წარმოშობილი უნდა იყოს ნამდვილად მახვილის ნიადაგზე. მეორე ჯგუფის დრო-კილოებში სვანურს, ქართულისაგან განსხვავებით, ორ-ორი თემა მოეპოვება: ერთი მხლ. რიცხვის პირველისა და მეორე პირისათვის და ნეორე მხ. რიცხვის მესამისა და მრავლობითი რიცხვის ყველა პირისათვის; კერძოდ ამ ზმნისა რომ ავიღოთ თითო თემისათვის თითო ფორმა, მაგ. მეორე და მესამე პირის ფორმები მხოლოდობითისა და ძველი მახვილის ადგილი ვივარაუდოთ, უნდა ვიფიქროთ, რომ ერთ შემთხვევაში (მეორე პ.) იგი პრევერბზე უნდა მოსულიყო და მეორე შემთხვევაში (მესამე პ.) ზმნის ფუძეზე; ნათქვამი რომ დაახლოვებით გამოეხატოთ, განსხვავება მახვილის მხრით ასეთი უნდა ყოფილიყო: დახტქქმ შეეძინე, დახტქქმ „შეეძინა“. ორთა ფორმებში წინ წამოწეულ მახვილს ფუძის შეკუმშვისთვის უნდა შეეწყო ხელი და თანაც თანდათანობით თავისი ხმოვანი დაეგრძელებინა.

საიქვოა ვითომ მოცემული განმარტება სიგრძისა? ეგების. მაგრამ ის კი უეჭველია, რომ, როცა ენებისათვის რელატიური ფორმების მაწარმოებელი ხმოვანი შენახულია, მაშინ პრევერბის ხმოვანიც უცვლელად არის დაცული, მაგრამ, დაიკარგება თუ არა ეს ენებისათვის ენი რედუქციის გზით, იგი თავის გავლენის კვალს დააჩნევს წინამაჟვალ ხმოვანს, მისი გაუმლაუტებით.





**ბ. სახელების თავსართები.**

ვინაიდან საერთო წესი სვანური უმლაუტის მიღებისა ვრცლად არის ნაჩვენები ზმნებზე (როგორც ფუძეში, ისე პრეფიქსებში), ამიტომ სახელთა თავსართების უმლაუტის მიმოხილვისას მოკლედლა მოვსჯრი.

თავსართები, რომელთა ხმოვნებსაც უმლაუტი მოსდის, ზმნისაგან ნაწარმოებ სახელებშიც გვხვდება და არსებით თუ ზედშესრულ სახელებშიაც. ესენია: შა-, ნა-, ლა-.

**15.** შა- ნაწილაკი სახელებს აწარმოებს ა) ზმნათა და ბ) ზედშესრულთა ფუძეებიდან. ორსავე შემთხვევაში ერთი და იგივეა უმლაუტის წესი.

ა) ზმნათა ფუძეებიდან.

შაუალ შიში	შამჭირ (*შამჭირ) სიხარმატე
შასალ ცოღნა	შამღმირ მთურალი (ფუძეა შდჷშ)
შაღატ სიყვარული	და მისთ.

მაგრამ:

შაზიგ კირი	შახაღ სიხარული
შასასგ სიძულელი	შაწდუნ (*შაწდუნ) ნახვის ნატერა
შაწარ ლოცვა, კურთხევა	შაწწარ მიძლარი (ფუძეა იაწ).

ბ) ზედშესრულ სახელთა ფუძეებიდან.

ზედშესრული სახელების ფუძეებიდან შა- პრეფიქსი აღმატებითა ხარისხის მაწარმოებელია, მაშინ როდესაც შედარებითს ხა- პრეფიქსი აწარმოებს:

დადებ.	შედარებ.	აღმატ.
მაშია ფართე	სამშირა	შამშირე
დამსაღ მდებალი	ხადგმინაღა	შადგმინადე
კვდათხა მალალი	ხაკვდათხა	შაკვდათხე
შეცხა ცივი	ხამცხა	შამცხე
	[ბ.-ქვ. ხამცხანა	შამცხანე]
მასე ახალი	ხამხა	შამხე
	[ბ.-ქვ. ხამხადა	შამხადაე]
— *კარგი	ხანა	შანკნე
— *ცული	ხოდა	შალქნე
— *დიდი	ხომა	შამქნე
— *მკიორე	ხახურა	შახურქნე <sup>1</sup>

<sup>1)</sup> უკანასკნელ ოთხ ადიექტივის დადებითი ხარისხის ფორმები აღარ მოგვხვდება. მათა შედარებით ხარისხს ახლა უკვე დადებითის მნიშვნელობა აქვს.



მაგრამ ამა ახლი ისეთი სახელები ავიღოთ, რომელთაც პირველ მარცხელში ე ან ი აქვთ და ვნახავთ, რომ აღმატებითის ფორმანტის ხმოვანს უმაღლესი მოუვა, შედარებითისას კი არა:

დადებ.	შედარ.	აღმატ.
ნეცინ წვრილი	ხინცინა	მინცინე
მუნგრე მსხვილი	ხინგრე	მინგრე
მეშხე შავი	ხომშხა	მეშხე
სკელ სქელი	ხონსკლა	მინსკლე
ფედა, ახლოს მყოფი	ხიფედა	მეფედა
გრიდა გრილი	ხიგრიდა	მეგრიდე
— *ერთი (?)	ხინჯეი <sup>1</sup>	მინჯეი <sup>1</sup>

ვერ დავფარავ, რომ აღმატებითი ხარისხის წარმოების დროს ზოგჯერ უმაღლესი აღმინიშნავს იქ სადაც იგი არ არის თეორიულად მოსალოდნელი; მაგალ.

მახე ახალი	მამხე და მამხე
მეხამ მწარე	მამხეჟე „ მამხეჟე
ნახუწი ვიწრო	მინხუწე
წერსა წითელი	მწწრახე

მაგრამ ასეთი რამ აღმათ ინდივიდუალური მოვლენა უნდა იყოს.

**16.** ნა- თავსართი სხვადასხვა კატეგორიის სახელთა მაწარმოებელი ზმნათა ფუძეებიდან:

a) მართა ნა- ენებითის მიმღეობათა მაწარმოებელია. ამ შემთხვევაში სიტყვას ბოლოს ხშირად უ დაერთვის:

ნაქადე ნაცდენი, ნაცილები	ნაკეპოქ ნაწევაი
ნამბაქ (*ნა-ამბაქ) ნამბობი	ნაკვანქ ნაკოცნი (ღანკვანქ ეთხვია)
ნაწუნადე ნახმარები	ნახობ ნაქაში
ნაკოქ ნაფქევაი	ნაფადე ნაძლოლი
ნასკურ ნაჯდომი	ნაშდედქ ნამარხი და მისთ.

მაგრამ:

ნამბაქ (მი)ნაწოდები	ნაქუამ ნატეხი
---------------------	---------------

<sup>1</sup>) ამისი დადებითი ხარისხის ფორმა არ შენახულა, თეორიულად მოსალოდნელია მეფე (შდრ. მსქ), რომლის თავიკიდური მ'ანი წარით არის შენაცვლებული შედარებით-აღმატებითში, სადაც მას (თუ ადექტითურად არის ნახმარია) ასეთი მნიშვნელობა აქვს: „პირველი, წინააღმდეგი, უწინდელი“ და (თუ ადერბიალურად) „უწინ, პირველად“.







ნასგურქუ „ჯღომისთვის“ მაგრამ ნაღქურ (\*ნაღურქურ) „დაცვისთვის“, ნაკქურ (\*ნაკქურ) „აღებისთვის“.

17. ღა- თავსართი ზმნათი ფუძეებიდანაც აწარმოებს სახელებს და სახელთაგანაც. მისი ხმოვანიც უცვლელია, როდესაც არ მოსდევს (ჩვეულებრივ რედუქციით ამოღებული) ა ან ე.

ა) ღა- საზოგადოდ აღვილისა და ინსტრუმენტის სახელთა მაწარმოებელია; მაგალითად:

ღარდა სამყოფი არა არის, არდა იყო)	ღარტამ ბოსტანი (მეგრ. არტ- ვინი, შდრ. ძვ. ქ. შტილი)
ღაზხამ საკმელი (რითაც ქამენ, მაგ. კოეზი)	ღამგამ სათხოვი (მაგ. ღამგამ მამ ხარ „სათხოვი პირი არა აქვს“)
ღაყურა საწოლი	ღამეუ აღმოსავლეთი („სამზეო“)
ღაკურა სარკმელი (კურუ ხვრელი)	ღამეუ გოდორი („სახურგე“)
ღასგურა საჯღომი	ღასქუა სარჩო და მისთ.
ღაშურ სალესავი (ქვა)	

მაგრამ იმ წამსვე უმლაუტს მოგვეცემს, რა წამსაც მომდევნო ხმოვნად რედუქციით ამოღებული ფუძისეული ა ან ე ექმნება:

აღსკინე გადახტა	ღასკინა სახტომი
ტახე აბრუნებს	ღატხა დასაბრუნებელი (რითაც უნდა დააბრუნონ)
ანბინე დაიწყო	ღანბნა დასაწყისი
ღახბიანე ცეცხლი მიაუ- კადა	ღახბიანა ცეცხლის მოსაკიდებე- ლი
ახამი შე მოაწოდა	ღამამა მისაწოდებელი (რითაც უნდა მიაწოდო)
აჭი შე ტებს	ღაჭეშა გასატეხი (რითაც უნდა გასატეხო რამე)
ღემესე ცეცხლი	ღაღემესე კერა („საცეცხლე“ აღვილი)
აფეა დაჩეხა	ღაფეთარ საჩეხელი
აღეუღანე დაიკავა (ხელ- ში)	ღაღეღან დასაკავებელი რამ და მისთ.





მსგავსად ნა- თავსართისა (§ 16), ჯა- პრეფიქსით სიტყვათა წარმოებისას ერთ-პარცელიანი ფუძეები, რომელთაც ხმოვნად ე აქვთ, ანს გვაძლევენ და მაშინ თავსართის ხმოვანს უძლავუტი აღარ აქვს:

ლატუბ დაბრუნება (რომ ლატუხ სიუცხოვო, საგანგებო ბრუნდება)

აკედ იღებს	დაჯად ასაღები	
დაიწვდ დანახვა	დაწად დასახები	
დაიუერ დარტყმა	დაყად დასარტყამი	
დასიუდ დარჩენა	დასად საჩჩო	და მისთ.

ს) ჯა- თავსართმა ადგილის სახელთა წარმოებიდან განივითარა ახალი მნიშვნელობა: რამდენსამე სახელში მან დაიკისრა მრავლობითობის ფუნქციის გამოხატვა. ისეთ სახელებში, როგორიც არის „ძამა, დედა, და, ძმა, ცოლი, ქმარი, სიძე, რძალი, სიმამრი, სიდედრი“, ე. ი. ნათესაობის აღმნიშვნელ სიტყვებში (იშვიათად სხვებშიაც), იგი მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ ელემენტად გახდა, ნაცვლად -ან სუფიქსისა, რომელიც მრავლობით რიცხვს სხვა სახელთაგან აწარმოებს. აქაც გვაქვს ორი სახე: ჯა- და ჯა-, იმისდა მიხედვით, თუ როგორია ფუძის პირველი ხმოვანი. მაგალითად:

მხოლ.	მრავლ.
*ხუი <sup>1</sup> ძმა (ძმისთვის)	დახუბა ძმები
ჯემიდა ,, (ღისთვის) <sup>2</sup>	დაჯმიდა ,,
დაჩურ და (ძმისთვის)	დადაჩურა დები
უდალა ,, (ღისთვის) <sup>2</sup>	დაუდალა ,,
ჭასუშ ასული, ქალი	დადასუშა (sic) ასულები
ჭამ ქმარი	დაჭამა ქმრები
ჭად ტოლი, ცრთი-კბილა	დადაჭა ტოლები

მაგრამ:

მხოლ.	მრავლ.
ნაიშინ ძმისწული, დისწული,	დანიშინა ბიძაშვილები
ბიძაშვილი	
ჩიკე სიძე	დაჩიკა სიძეები

<sup>1</sup>, მხოლოდობითში წმინდა ფუძე არ იხმარება. იხმარება მხოლოდ წუ- პრეფიქსისა და -ე სუფიქსის დართვით (მუხუბუე), რომლის პირვანდელი მნიშვნელობა ქართულად „მოძმე“ იქნებოდა, ახლა კი „ძმა“ არის

<sup>2</sup> სენანურს ძმისა და ღისთვის ორივე სიტყვა მოეპოვება



მხოლ.  
ხესქე ცოლი  
თქედღრა რძალი

მრავლ.  
ღახსქა ცოლები  
ღათღღარა რძლები

ეს მრავლობითის ღა- პრეფიქსი ერთ დროს ალბათ ამ კატეგორიის სახელებშიაც ისეთივე მნიშვნელობის მქონე იყო, როგორც სხვაგან, ე. ი. იგი აღნიშნავდა ადგილის სახელს, მაგრამ შემდეგში რამოდენსამე სახელში ეს პირვანდელი მნიშვნელობა მიღეულა, მიჩქმალულა და მრავლობითობის სუფიქსად ქცეულა: ღახსქას „სამძო > ადგილი, სადაც ძმებია > ძმები“.

IV

უმლაუთი ბოლოკიდურ დახურულ მარცვალში.

დავგრიხა განსახალველი საკითხი ბოლოკიდურ დახურულ მარცვლებში უმლაუტის გაჩენის შესახებ<sup>1</sup>.

სევანურში მოიპოვება მთელი წყება ფორმებისა, რომელთაც ბოლოკიდურ დახურულ მარცვალში მოუღისთ უმლაუტი. ეს როგორღაც არ ეგუება იმას, რაც ზემოთ არის ნათქვამი უმლაუტის შესახებ, იმიტომ რომ, თუ კი უმლაუტის წარმოშობის მიზეზი სევანურში მომდევნო ვიწრო ხმოვანი (ე ან ა) არის, ბოლოკიდურ მარცვალში რაღა უნდა უმლაუტს, როდესაც შემდეგ აღარაფერი მოსდევს? არ მოსდევს, მაგრამ არ მოსდევს დღეს. და განა ასე იქნებოდა მუდამ ძველადაც? აი აქ გამოგვიდგებოდა, ძველი სევანურის ძველები რომ გვექონდეს. დარწმუნებული ვარ, რომ იმ უმლაუტებსაც, რომლებიც ბოლოკიდურ მარცვლებში გვხვდება, ისტორიულად ისეთივე საფუძველი აქვს, როგორც იმათ, რომლებზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი, რა თქმა უნდა იმ ფორმათა გამოკლებით, რომლებიც ანალოგიურად არის განვითარებული. თუ ახლა აშკარად ვეღარ ვხვდებით უმლაუტის გამომწვევ მიზეზს, ეს იმიტომ, რომ, ალბათ, ბოლოში მოკვეცილია გავლენიანი ხმოვნის მქონე მარცვალი. მიზეზი დაიკარგა, შედეგი კი დარჩა, — აი როგორი უნდა იყოს საქმის ვითარება.

განვიხილოთ რამოდენიმე ჯგუფი.

18. ერთს ჯგუფს საშუალებებითი (მედლიო-პასივი) გეარის ზმნებასას დართული აქვს -აჟ ფორმანტი, რომელიც აწმყოში უმლაუტით არის წარმოდგენილი, ნაშყო უსრულში კი არა, მაგალითად:

<sup>1</sup>) საკითხი ეხება სუფიქსის ხმოვანთა დავიწროებას და აგრეთვე ფუძის ხმოვნებისადაც ფუძის ხმოვნების უმლაუტზე ნაწილობრივ ლკვე გვექონდა საუბარი (§§ 1-6).



აწმყო	ნამყო უსრ.
იდრალ მღერის	იდრალ(და) მღეროდა
იშდრალ თამაშობს	იშდრალ(და) თამაშობდა
იღჭალ მოთქვამს (ტირილით)	იღჭალ(და) მოთქვამდა (ტირი- ლით)
იხეალ დაღის	იხეალ(და) დადიოდა
იწრალ ივინება	იწრალ(და) ივინებოდა
ხეფალ ეკარება, ხელს ახლებს	ხეფალ(და) ხელს ახლებდა
ხეჭალ ჰკოცნის, ეამბორევა	ხეჭალ(და) ჰკოცნიდა და მისთ.

ეს იმიტომ, რომ აწმყოში წინად ალბათ ბოლოში კიდევ ი იჯდა (\*იდრალ), რომელიც წინა მარცვლის ხმოვანზე მოქმედებდა, მაგრამ ი შემდეგ დაიკარგა და მისი ნამოქმედარი კი დარჩა უმლაუტის სახით. ნამყო უსრულში კი ალბათ დაბოლოვებდა იწის ნაცვლად რალაც სხვა ხმოვანი გვექონდა. ახლა აქ რომ -და ერთვის, ეს შედარებით ახალი მოვლენა უნდა იყოს, რომელიც სავსებით არც კია ჯერ გატარებული ენაში, — უიმისოდაც კარგად არის გამოხატული ავივე აზრი. მის ნაცვლად კი ძველად ალბათ სხვა სუფიქსი (— ოდ?) გვექონდა, რომლის ხმოვანიც არას ერჩოდა წინა ხმოვანს. დაახლოვებით, მაშასადამე, რალაც ასეთი უნდა ყოფილიყო ძველად, მაგალითად, აწმყოსი და ნამყო უსრულის წარმოება:

აწმყო	ნ. უსრ.
* იდრალა მღერის	* იდრალალ მღეროდა
* ხიდრალა ჰმღერო	* ხიდრალალ ჰმღეროდა
* (ხ)ჰიდრალა ვმღერო	* (ხ)ჰიდრალალ ვმღეროდა და მისთ.

მაგრამ შემდეგ აწმყოშიაც და ნამყო უსრულშიაც მოეკვეცათ ბოლოკიდური მარცვლები (აწმყოში -ი, ნამყო უსრულში -ა?ლ), სხვაფრივ კი ფორმები უცვლელი დარჩა:

აწმყო	ნ. უსრ.
იდრალ	იდრალ
ხიდრალ	ხიდრალ
(ხ)ჰიდრალ	(ხ)იდრალ და მისთ.

ე. ი. განმასხვავებლად აწმყოსა და ნამყო უსრულს შორის პირველ ხანებში მხოლოდ უმლაუტი იქმნა გამოყენებული, ხოლო შემდეგ და შემდეგ



ნამყო უსრულის ფორმებს უფრო მეტი დიფერენციაციის გულისათვის კიდევ დაერთო -და მარცვლი, რომელიც 1 კონიუნქტივშიც იქმნა გაღატანილი (იღრაღჲჲს და სხვ.).

ამავე ხასიათისაა უმლაუტი უსათუოდ აგრეთვე ამ საშუალო ზნნაში:

სოჲღჲჲ უძღვის

ხოჲღჲჲ (და) უძღოდა

19. იმ ჯგუფს ზნნებისას, რომელთაც აწმყოში თემატური ე აქვთ, ნამყო უსრულში ე'ნს ა'ნად შეიცვლიან (აბლაუტი). ამ ა'ნს პირველსა და მეორე პირში დაერთვის -ს (ბალს ზემოთ) ან -სჲ (ბალს ქვემოთ) და ხმოვანი დაეწროვდება:

ამწა ამზადებდა

ხამწას (ბ.-ქვ. ხამწასჲ)

ამზადებლი

ხჲამწასჲ (ბ.-ქვ. ხჲამწასჲ)

ვამზადებლი

ტახა აბრუნებდა

ტიხას (ბ.-ქვ. ტიხასჲ) აბრუნებლი

ტჲხასჲ (ბ.-ქვ. ტჲხასჲ) ვაბრუნებლი

და მისთ.

რას უნდა მივაწეროთ აქ უმლაუტი? არის რამოდენიმე მოსაზრება, მაგრამ ჩემთვისაც არ არის დამაკმაყოფილებელი და ამიტომ არას ვამბობ. რა თქმა უნდა, უ აქ არაფერ შუაშია.

არც ის არის მთლად ნათელი ჩემთვის, თუ რად გვაქვს ლაზხურში ორთა ფორმებში წნის ნაცვლად ი და არა ე, როგორც ჩვეულებრივ მოსალოდნელი იყო:

ამწა (ამწაღა) ამზადებდა

ხამწას ამზადებლი

ხჲამწასჲ ვამზადებლი

ტეხა (ტეხაღა) აბრუნებდა

ტიხას აბრუნებლი

ტჲხასჲ ვაბრუნებლი და მისთ.

20. არა მარტო თემატური -ე, არამედ სხვებიც, რომლებშიც ე ხმოვანი შედის [-ა-ჲღ (-ა-ჲღ), -ესგა, -ესგა, -ერ, -ემ], იცვლიან ნამყო უსრულსა და 1 კონიუნქტივში ე ხმოვანს ა'ნად.

ამათგან ა-ჲღ (-ა-ჲღ) ფორმანტი საშუალო-ვნებით (მელიო-ჰასიურ) ზნნებს აქვთ და. რადგანაც აქ თუ კი ნამყო უსრულში ოდესმე ბოლოს რაიმე სუფიქსი მოსდევდა, რომელიც შემდეგში მოეკვეცა, ყოველ შემთხვევაში არა ისეთი, რომელშიაც ხმოვნად ი ან ე ერია (მაგალით. -საღ),





ამიტომ განსხვავება ერთის მხრით აწმყოხა და მეორეს მხრით ნამყო ურულსა და 1 კონიუნქტივს შორის მხოლოდ უ:ა ხმოვანთა ალტერნაციით გამოიხატა<sup>1</sup>:

არბიანელ პურებს აცხობს <sup>2</sup>	არბიანელ პურებს აცხობდა
აჭუჭდიელ კითხულობს	აჭუჭდიანელ კითხულობდა
აყუჭდაიელ კვებულობს	აყუჭდაიანელ კვებულობდა
ივარბიელ იცემება	ივარბიანელ იცემებოდა
იფხუნიელ ივარცხნება	იფხუნიანელ ივარცხნებოდა
ხეჭუდაიელ ეკითხება	ხეჭუდაიანელ ეკითხებოდა
ხეზურაიელ მიიწევს (მის- კენ) საცემრად	ხეზურაიანელ მიიწევდა (მისკან) საცემრად და მისთ.

აქედან შემდეგ:

არბიანელადქვს პურებს აცხობდეს	ხეჭუდაიანადქვს ეკითხებოდეს და მისთანანი.
-------------------------------	--

სულ სხვა არის მოკმედებითი გვიარის ზნებები, რომელთაც -ქსგი და -ქშგი სუფიქსები აქვთ. ამ სუფიქსების ბოლოკიდლური ინი ნამყო უსრულსა და 1 კონ. -შიაც უნდა გადაჰყვეს, მაგრამ რედუქციის ძალით დიკარგოს ამ შემთხვევაში კი გაელენის კვალი უნდა დაინდეს წინაშეაღ ხმოვანსასეც არის:

დქსგი დებს	დანსგდა (*დანსგადა) დებდი <sup>3</sup>
აქსგი ნიაჭვს, მიჰყავს	აქანსგდა (*აქანსგადა) მიჰჭონდა, მიჰყავდა
სოდქშგი ართმევს	სოდანსგდა (*სოდანსგადა ართმევდა)

აქედან შემდეგ კონიუნქტიური ფორმები: დანსგდქვს „დებდეს“ აქანსგდქვს „მიჰჭონდეს, მიჰყავდეს“, სოდანსგდქვს „ართმევდეს“. ის ზნებები კი, რომელთაც აწმყოხს თემატურ ნიშნად -ერ და -ემ აქვთ, ან არა და ნული, მაგრამ სამიგეროდ ფუძეში აქვთ ე, ნამყო უსრულსა და 1 კონიუნქტივის წარმოებისას ინიანი ზნების ჯგუფს ეყრდნობიან:

1) აწმყოშიაც თუ ჰქონდა დართული რაიმე, იგი აუცილებლად ინი იქმნებოდა, მაგრამ იგი წინაშეაღ ვინც გაელენას ვერ მოახდენდა.  
 2) პურის ცხობისათვის სენათში ორი ზნა იხმარება: ლარბიელ და ლინხცირბიელ „ცრია, ზელს, აწმადებს გამოსაცხობად, ხაბაზობს“ და ანხცე „ცომის გუნდებს სდებს კეხე“.  
 3) ფილალური აქ ბოლოკიდლურ მარცვალში არ არის, მაგრამ თუ -და სუფიქსს მოეცაილებთ (რომელიც მე ახალ დაწატებად მიმაჩნია), მაშინ იგი ბოლოკიდლურნი აღმოჩნდება.



იქქოაქრ იპარავს  
აგქმ აშენებს  
იკედ იღებს  
ხელდედ მწყისს

იქქოაქრდა (\*იქქოთარადა?) იპარავდა  
აგამდა (\*აგამიდა?) აშენებდა  
იკადდა (\*იკადიდა?) იღებდა  
ხელდადა (\*ხელდადა?) მწყისიდა

აქედან შემდეგ კონიუნქტიური ფორმები: იქქოაქრდედს, აგამდედს, იკადდედს, ხელდადედს.

თუ ზემოთ მოყვანილ ოთხ მაგალითში ნათელი არ არის უმლაუტის გამოწვევი მიზეზი (რადგანაც, თუ აწმყოში არც გვაქვს ბოლოკიდურად ი<sup>1</sup>, ნამყო უსრულსა და 1 კონიუნქტივში რაღა უნდა მის?), სამაგიეროდ ამ მაგალითში ამ მხრივ ყველაფერი რიგზე და წესზეა:

ხატედა (\*ხატეედა) სტემს  
[აღტეედას სტემა]

ხატედა (\*ხატეედა) სტემდა, სა-  
ტედაქს (\*ხატეედაქს) სტემდეს

**21.** ნამყო სრულში, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული (გვ. 199), ორი თემა გვაქვს მოთხრობით კილოში: ერთი პირველისა და მეორე პირისათვის მხ. რიცხვში და მეორე მესამე პირისათვის მხოლოაობითა და ყველა პირისათვის მრავლობითში<sup>2</sup>. ეს ორ-თემიანობა ნამყოში დამახასიათებელი მოვლენაა სვანურისათვის, რომლითაც იგი არსებითად განსხვავდება ქართულისაგან, რომელმაც ასეთი რამ არ იცის<sup>3</sup>. საზოგადოდ მხ. რიცხვის პირველისა და მეორე პირის ფორმებში, ე. ი. ორთა ფორმებში, ზმნის წმინდა ფუძე იჩენს ბოლოე თავს. თანამედროვე სვანურში ბოლოში იქ აღარაფერი ერთვის და ამიტომ გაუგებარია, თუ რად ნოსდის ხმოვანს უმლაუტი. უმლაუტი კი სისტემატურად არის გატარებული და ეს გვაფიქრებინებს, რომ ეს ფორმები შემკვიდრეობით მოდის ძველი სვანურიდან, რომელშიაც ფუძის ხმოვანს უმლაუტი გამოწვეული უნდა ყოფილიყო მომდევნო გავლენიანი ხმოვნით, რომელიც შემდეგ დაკარგულია (ა ან ე).

<sup>1</sup> თუ არ ვივარაუდებთ, რომ იგი ერთ დროს აწმყოშიც იყო და შემდეგ მოიკვდა.

<sup>2</sup> ერთი თემა, მანასადამე, ორი პირისათვის არის განუყოფელი (მხ. რიცხვის 1 და 2 ჰ.) და მეორე კი ხუთი პირისათვის (მხ. რიცხვის 3 ჰ. და მრ. რიცხვის დამხი პირი: ინკლეუზიური, უქსკლეუზიური; 2 და 3). ამიტომ სიმოკლისა და სიმარტივისათვის პირველ მათგანს ორთა თემას ვეძახე და მეორეს ხუთთა თემას. ამის მსგავსად ითქმის აგრეთვე: ორთა ფორმები, ხუთთა ფორმები.

<sup>3</sup> ქართულში ამისი შორეული პარალელი შეიძლება მოვიძებნოთ მანასაში გვინდვს, მაგრამ იქ ორივე რიცხვის პირველი და მეორე პირთა დაპირისპირებული ორისავე რიცხვის შესაძენი პირისადმი; მოვლენათა ფორმები აღნიშნულს ქართულიდან: მოთედი, მოთედი, მოთედი, მოთედი, მოთედი, მოთედი, მოთედი, მოთედი.





ზემორე თქმული შეეხება იმ ზმნებს, რომელნიც საარვისო ქცევას როგორც პირველ ჯგუფში, ისე მეორეში აწარმოებენ და რომელთაც ხუთთა ფორმებში სუფიქსად -უ მოულის. მაგალითად:

მხოლოდ	}	3 ქ' ანმარე მოამზადა	ადტანე გათალა
		2 ქ' ახმარ მოამზადე	ათტანი გასთალე <sup>1</sup>
		1 ქ' ახმარ მოავამზადე	ათტანს გაეთალე
შეველობა	}	3 ქ' ანმარეს მოამზადეს	ადტანეს გათალეს
		2 ქ' ახმარედ მოამზადეთ	ათტანედ გასთალეთ
		1(3) ქ' ახმარედ მოავამზადეთ (excl.)	ათტანედ გაეთალეთ (excl.)
		1(2) ქ' აღმარედ ,, (incl.)	ადტანედ ,, (incl.)

გრძელია ხმოვანი თუ მოკლე, ა, ა, თუ უ, სულ ერთია, -ქნზე დაბოლოებულ ზმნებს ფუძის ხმოვანი დაუვიწროვდებით მხ. რიცხვის პირველსა და მეორე პირში. მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი<sup>2</sup>.

ა	ანგახე ააყუდა, ააყენა ადანე გააღო ქ' ანახე გამოაცხო ქ' ანტუახე შეწვა ადკადე დაასო ქ' ადბანე გაანიავა ადტყუანე სცემა, დასდინე ათხოვა	ანგან ააყუდე, ააყენე ათკარ გააღე ქ' ანახე გამოაცხე ქ' ანტუახე შესწვი ათკად დაასე ქ' ადბანი გაანიავე ათტყუან სცემე დასდინს ათხოვე
ბ	ანყომე მოშალა ადკორე გააბრუო ადსრეე გაავიდა ახთარე ასწავლა	ანკომ მოშალე ათკორ გააბრუე ათსრეე გაავიდე ახთარს ასწავლე
გ	ადბურე დააბნელა ანცხუდე მოპრუჯა	ათბურ დააბნელე ანცხუდე მოპრუჯე

<sup>1</sup>) მეორე პირის ფორმა მოთხრობითისა სვანურში ბრძანებითისთვისაც არის გამოყენებული. ქართ. თარგმანში მოთხრობითის მნიშვნელობა არის ხოლმე გადმოცემული.

<sup>2</sup>) აქ ჩვენი მიზნითაღვის საკმარისი იქნება მხოლოდ რიცხვის წარტოლდენ ფრი ფორმა: მესამისა და მეორე პირისა, რომელთაგანაც პირველი ხუთთა ჯგუფს ეკუთვნის და მეორე ორთა ჯგუფს.









	3		2		1
აჭაშე ტებს	აჭაშე აჭაშ გატება	აკუშ გასტებე	აკუშ გასტებე	აკუშ გაფტებე	
აჭიღე ჭრის	აჭიღე აჭიღ გაჭრა	აჭუღ გასტერ	აჭუღ გასტერ	აჭუღ გაფჭერ	
ანაჭე ლუნაეს	ანაჭე მოლუნა	ანსუკე მოვლუნე	ანსუკე მოვლუნე	ანსუკე მოვლუნე	
აჭიშე გემოს სი- ნჯავს; ამელა- ვნებს	აჭიშე აჭიშ გემო- ვაშინჯა; ვაამე- ლენა	აკუშ გემო გაჰსინ- ჯე; გაამხილე	აკუშ გემო გაჰსინ- ჯე; გაამხილე	აკუშ გ. გაფშინ- ჯე; გაეამხილე	

მაგრამ აქ და მსგავს შემნებში ეს ამბავი მხოლოდ უბრჯგუს გავლენას უნდა მივაწეროთ, ვინაიდან იმავე ტიპის შემნებში, რომელთაც უბრჯგუს არა აქვთ, სხვა მდგომარეობაა; აი თუნდაც:

	3		2		1
ატისე აბრუნებს	ატის დააბრუნა	ატეს დააბრუნე	ატეს დააბრუნე	ატეს დააბრუნე	
აკაღე წყვეტს	ანკად გაწყვეტა	ანკად გასწყვეტე	ანკად გასწყვეტე	ანკად გაწყვეტე	

ამიტომ ზემორე ჩამოთვლილ შემნებში უ და უ ბრალია ფუძისეული უბრჯგუს შეერთებისა ანთან (ხუთთა ფორმებში) და ენთან (ორთა ფორმებში): უა—უ, უე—უ.

დამაფიქრებელია მეტად ის გარემოება, რომ ორთა ფორმებში ზოგჯერ სიგრძე გვეკარგება. აღაშმა („თესვა“) ზმნისაგან, მაგალითად, ორი ტიპი გვაქვს ნამყო სრულის წარმოებისა:

	I		II
დათესა	აღაშე	და	აღაშ
დასთესე	ათაშ	„	აღაშ
დავთესე	ათაშ	„	ათაშ

მეორე ტიპისავე მაგალითებია:

ააშაღად გაუცვალო	ააშაღად გაუცვალე	ააშაღად გაუცვალე
(ათაღად გაეგზაინა)	(ათაღად გაეგზაინე)	(ათაღად გაეგზაინე)
აშკაღად დაჰქედა	აშკაღად დასჰქედე	აშკაღად დაჰქედე
(ანშკაღად გაჰქედა)	(ანშკაღად გასჰქედე)	(ანშკაღად გაჰქედე)

აქ სიგრძის დაკარგვა შეგვეძლო მახვილის წინ წამოწევისთან დაგვეკავშირებინა: მაშინ, როდესაც ხუთთა ფორმებში მახვილი ფუძის ხმოვანზე მოდის, ორთა ფორმებში იგი პრევერბისაზეა: შ' აღაშ „შე დავთესე“ ს' აღაშ „შენ დასთესე“. მაგრამ ამასთანავე ერთად შეიძლება მთლად გამორიცხული არ იყოს ის გარემოება, რომ ორთა ფორმებში, სადაც



სიგრძე დაკარგულია, ფორმები წასესხები იყოს იმ კილოდან, რომელმაც საზოგადოდ სიგრძე არ იცის სრულებით და ამით წარმოდგა შეუფერებლობა, რომელსაც მაგალითად ბალს-ქვემოურში აღვლილი არა აქვს, ვინაიდან იქ ახლა ყველა პირში მოკლეა ფუძის ხმოვანი:

აღაშ დათესა    ალაშ დასთესე    ალაშ დაეთესე.

რომ აქ უფრო მახვილის გავლენასთან უნდა გვქონდეს საქმე და არა სხვა დიალექტური ფორმის სესხებასთან, შეიძლება დავიმოწმოთ მაგალითად ერთი მედიო-პასივი ზმნის ფორმები, სადაც უმლაუტს აღვლილი სრულებითაც არც კი აქვს:

(ქვა) ოხწად (იგი) მიეშველა,    ოხწად მიეშველე    ოხწად მივეშველე

23. უმლაუტი აქვს ბოლოკიდურ მარცვლებს პირვ. უღველილების ზნათა ვნებითი ფორმების წარმოებისას ნამყო სრულის მოთხრობითი კილოს ყველა პირში, მაგალითად:

მხოვ.	{	3 ქ' წმარან მომზადლა	ქ' წდღამან <sup>1</sup> დაითესა
		2 ქ' წმარან მოჰმზადლი	ქ' წთღამან დაითესე
		1 ქ' წხემარან მოვმზადლი	ქ' წთუღამან დაეთესე
მრავლობ.	{	3 ქ' წმარანს მოჰზადლენ	ქ' წდღამანს დაითესნენ
		2 ქ' წმარანდ მოჰმზადლით	ქ' წთღამანდ დაითესენით
		1(3) ქ' წხემარანდ მოვმზადლით (excl.)	ქ' წთუღამანდ დაეთესენით (excl.)
		1(2) ქ' წღმარანდ „ (incl.)	ქ' წდღამანდ „ (incl.)

მაშასადამე, ორთა თემა განსხვავებულია ხუთთა თემისაგან სიგრძე-სიმოკლით; ბალს-ქვემოურსა და ლენტეხურს კილოში ხუთთა ფორმებშიც მოკლე წნი გვაქვს, მაგრამ სამიგიეროდ ორთა ფორმებში მოკლე ქ'ნი მოდის და ბოლოკიდურ მარცვალთა განსხვავება ამით არის აღნიშნული.

ქ' წმარან მომზადლა    ქ' წმარან მოჰმზადლი

ხოლო ლაშხურში ხუთთა ფორმები გრძელ წნს გვიჩვენებენ, ორთა ფორმები კი მოკლე ქ'ნს:

ქ' კმარან მომზადლა    ქ' კმარან მოჰმზადლი

ანნაირად, უმლაუტი ამა თუ იმ სახით ყველა კილოშია გატარებული. რითი აიხსნება ეს? რა უღვეს მის საფუძვლად? ან კიდევ სიგრძე-

1) ქანს, რომელიც ამოსტროფით არის გამოყოფილი, ირტაცია აქვს მომღვენო პალატალი მმოუნის წყალობით.





სიმოკლის დაპირისპირებას ბალს-ზემოურისა და ლაშხურის ხუთთა და-  
ორთა ფორმებში რა მიზეზი იწვევს? აი საკითხები, რომელთა შესახებაც  
დამაკმაყოფილებელი პასუხი არა ჩანს ჯერ-ჯერობით.

24. შუ- პრეფიქსი ა) მაწარმოებელია მედიო-პასიური მიმღეობისა  
რამოდენივე ზმნისაგან და ხ) ეინაობის აღმნიშვნელია გეოგრაფიულ სა-  
ხელწოდებათაგან, ორსავე შემთხვევაში ფუძის უკანასკნელი ხმოვანი უმ-  
ლაუტურ ცვლილებას განიცდის; მაგალითად:

- |  |                      |
|--|----------------------|
| ა) აკრე იღებს, აჯარე გააღო                   | შეკარ ღია, ვალეზული  |
| აყნბ (ლაშხ. აყნბ) ხარშავს; აყნბ <sup>1</sup> | მეყნბ მოხარშული      |
| (ლაშხ. ანჯაბე) მოხარშა                       |                      |
| ახეე აცხობს ქ'ინსაუე გამოაცხო                | ქა-მენეე გამომცხვარი |
| ახჭრე აბნელებს, აბურე დააბნელა               | მუბჭრ ბნელი          |
- ბ) კალ კალა (საზოგადოება), შეკალ კალელი, მაგრამ: კალან კალელები<sup>2</sup>,  
დეკალე კალური.  
შეკალ მუტალი (სოფ.), შემეკალ მუტალელი; მაგრამ: შეკალან მუტალ-  
ლები, დემეკალე მუტალური  
მედანს მულახი (საზოგ.), შემედანს მულახელი; მაგრამ: მედანს მულახ-  
ლები, დემედანს მულახური.  
ეშკულე უშგული (სოფელია), მუშკულე<sup>3</sup> უშგულელი; მაგრამ: ეშკულან  
უშგულელები, დემეკულე უშგულური.  
დექნეშე ლეჩხუმი, მუდნეშე ლეჩხუმელი, მაგრამ: დექნეშენ ლეჩხუმ-  
ლები, დემედნეშე ლეჩხუმური<sup>4</sup>.

რას შეიწეროთ ამ შემთხვევებში უმლაუტი? განვითარებულია იგი  
რისავე ანალოგიით, თუ მას საფუძვლად უძევს, ვოქეათ, ის გარემოება,  
რომ ერთ დროს ბოლოში კიდევ ი სუფიქსი იჯდა, რომელიც შემდეგ  
მოიკვეცა და დაიკარგა? თუ ასეთი რამის მტკიცება ძნელია მიმღეობით  
ფორმათათვის, ეინაობის სახელებში სამაგიეროდ თითქო შესაძლებელი

<sup>1</sup>) განსხვავება აწმყოსა და ხაწყოსი მესამე პირებს არა აქვს, თორემ სხვა პირებს კი.

<sup>2</sup>) უნი აქ ლაბიალების გავლენით არის კ'საგან განვითარებული.

<sup>3</sup>) სენურში ეინაობის სახელია მრავლობითი რიცხვისათვის გამოყენებულია გეოგრაფი-  
ული სახელის მრავლობითი ფორმა.

<sup>4</sup>) სივრდე დაკარგულია უკანასკნელ მარცხელში!

<sup>5</sup>) ზოგიერთ კილოში „ლეჩხუმი“ და „ლეჩხუმელი“ სინონიმია საქართველოსი და ქართ-  
ველისა.



უნდა იყოს: მხედველობაში მისაღებია ის, რომ დღესაც ბალს-ქვემოთურთ კილო სადაურობის სახელებს (თუ ჩვეულებრივ არა, ხშირად შინც) -ა სუფიქსის დართვით აწარმოებს:

შქან სვანეთი	შუქანი <sup>1</sup>	(ბ.-ზ. მუქან) სვანი
ზან საწვერელი	შეზნი	(ბ.-ზ. შეზან) მგვრელი
აფხან აფხაზეთი	შეაფხანი	(ბ.-ზ. შეაფხან) აფხანი
ჭაშან ჩერქეზეთი	შექშანი	(ბ.-ზ. შექშან) ჩერქეზი
ფან ფარი (სოფ.)	შეფანი	(ბ.-ზ. შეფან) ფარელი
ცაბარ (ბ.-ზ. ცაბარ)	შეცბარი	(ბ.-ზ. შეცბარ) ცაბარე-
ცაგერი (დაბა)		ლი და მისთ.

ამიტომ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ვინაობის სახელებს ძველად ბოლოში -ა სუფიქსი ჰქონდათ, რომელიც წინა მარცვლის ხმოვანზე გავლენას ახდენდა. მერმე მიზეზი, როგორც ჩანს, აქაც დაიკარგა და შედეგი კი დარჩა უმლაუტის სახით.

25. ძალიან გავრცელებულია უმლაუტი არსებით სახელთა ბოლო-კიდურ დახურულ მარცვლებში, იმდენად გავრცელებული, რომ პირველი შეხედვით კაცს ეგონება, რომ სვანური შეტყვევების ფიზიოლოგია ბოლოკიდურ დახურულ მარცვლებში ვერ ითმენს ფართო ა ა ე ხმოვნებს და აფიწროებს მათო. ეს მოვლენა ვრცელდება, როგორც წმინდა სვანური ჩამომავლობის სიტყვებზე, ისე სხვა ენებიდან ნასესხებზედაც. საინტერესო სურათს იძლევა, მაგალითად, სახელ. ბრუნვის ფორმების დაპირისპირება მხოლოდობით რიცხვსა და მრავლობითში, უმთავრესად იმ სიტყვებისა, რომელნიც ერთმარცვლიანნი არიან და რომელთაც, მაშასადამე, ფუძის მარცვლი მრავლობითშიც გადაჰყვებათ ხოლმე<sup>2</sup>.

მხოლ.	მრავლ.	მხოლ.	მრავლ.
შან კვა	შანარ	წან სამართებელი	წანარ
თაშ ყველი	თაშარ	ჭუან კედელი	ჭუანარ
ხან ხატი	ხანარ	ღან ღარი	ღანარ
კან ხარი	კანარ	კან მუცელი	კანარ
ღან ყანა	ღანარ	გან დანი	განარ

1) მუ-პრეფიქსის შესახებ ნახე 2 შენიშვნა 211 გვერდზე.

2) ორ-მარცვლიანი სიტყვები უმეტესად შეგვჩვენებია მრავლობით რიცხვში: უკანასკნელი ხმოვანი ამოღებული აქვთ რედუქციის წყალობით და ამიტომ მაგალითებად აქ არ ვარგა.





მხოლ.	მრავლ.	მხოლ.	მრავლ.
მუშუან სვანი	მუან <sup>1</sup>	მუან მევრელი	მან <sup>1</sup>
ჩუ ცხენი	ჩან	ქან ყვარი	ქანა
მხოლ.	მრავლ.	მხოლ.	მრავლ.
გამ საქვი	გამან	ბამუმ ბავში	ბამუმან
ტატ ხელი	ტატან	ბარბაღდ ბორბალი	ბარბაღდან
გატ გოჭი	გატან	მხვდაზ ანგელოზი	მხვდაზან
სატ სვეტი	სატან	დექან (ლაშ. დეტექს)	დექანა
კაბდან კილობანი	კაბდონან	წისქვილი	
მხოლ.	მრავლ.	მხოლ.	მრავლ.
თხუმ თავი	თხუმან	ძექდ ზღუდე	ძეუდან
ქსემ ვაშლი	ქსემან	ფურ ფური	ფურა
მუქმ რქა	მუქმან	მურქს რუაი	რუსა
დანქრ და(ძმისა)	დადანქრა	დქს ძუძუ	დექსან
ჭანქმ ასული	დაახუმა		და მისთ.

ამ დაპირისპირებიდან ისე ჩანს, რომ თითქო ფართე ხმოვნის დავიწროება უკანასკნელი მარცვლის დახურვასთან იყოს დაკავშირებული. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს კიდევ ის გარემოება, რომ თვით მრავლობითის სუფიქსის დავიწროებული ხმოვანი (ა) კვლავ გაფართოვდება, როდესაც მარცვალი გაიღება<sup>2</sup>:

მხოლ.		მრავლობითი რიცხვი
გეგინ ფიჭვი	Nom. გეგინ	Gen. გეგინამ
ნუღამთ თიკანი	" ნუღამთან	" ნუღამთამ
დომარ ნაძვი	" დომარა	" დომარამ
მურქემ ციხე	" მურქემა	" მურქემამ
უღუზ უღელი	" უღუზა	" უღუზამ

და მისთ.

თუ მოვიგონებთ ამასთანავე, რომ მსგავსი მავალითები შეიძლება მხოლოდობითაც მოინახოს (მაგ. თხუმ „თავი“ Gen. ში გვადღევს თხუმამ ფორმას) და აგრეთვე იმას, რომ თან- („ყველი“) -ისგან ნაწარმოებია თან-შან („ყველიანი“, ხაპაზური), ბან- („ქვა“) -ისგან ბანან „ქვიანი“, და მისთ-

<sup>1</sup>) ნახე მ. შენიშენა 214 გვერდზე.  
<sup>2</sup>) ეს ხდება, როდესაც სიტყვა ორ-მარცვლიანია და მრავლობითის წარმოებისას ამოღებულია მეორე მარცვლის მოკლე ხმოვანი.





ნანი, შეიძლება მართლაც უმლაუტის საკითხი ბოლოკიდურებში ნი-  
ზეზობრივად მარცხლის დახურვა-გაღებას დაუკავშიროთ. მაგრამ ეს ერთი  
შეხედვით. თუ კარგად დაეკვირდებით მასალებს და ანალიზს ვუყოფთ  
ნაირ-ნაირ ფორმებს, შევნიშნავთ, რომ სვანურში მრავალი ფორმა მო-  
იპოვება, სადაც ბოლოკიდურ დახურულ მარცხელებში უმლაუტს ადგი-  
ლი არა აქვს. სახელთა ბრუნების დროს უმლაუტი გაჭარბებულია თით-  
ქმის ყველა ბრუნვაში (სახ., მოთბრ., ნათეს., მიც., მიმ.), გარდა ნო-  
ქმედებითისა, სადაც უმლაუტს უნეტეს შემთხვევებში ადგილი არა აქვს,  
თუმცა მარცვალი ისევ დახურულია:

ბაჩქე ქვით	თაშანქე ხაჭაპურით	განანქე ხარებით
გაჩქე დანით	ცოტაქე ხელით	ბეგბარქე ნაძვებით
ყანქე ყავრით	თაქე თავით	კოშაჩქე საქმეებით
ჩაჭქე ცხენით	შეგურქე სირცხვილით	და სხვ.

მიცემით ბრუნვაშიც არის შემთხვევები უმლაუტზე ხელის აღებისა,  
სახელდობრ მაშინ, როცა მიცემითის ნიშნად ქ ჩნდება ს'ანის ნაცვლად<sup>1</sup>:  
ზაა „წელი“, ზაქე „წელს“; დაა „ყანა“, დაბქსგა (< დაბქ-ასგა) „ყანაში“,  
ჭაა მუცელი, კააქსგა (< კააქ-ასა) „მუცელში“; თაქემ „თავი“, თაქემ<sup>2</sup>  
„თავს“; ჩაქ (ბ.-ქვ.) „ცხენი“, ჩაქე „ცხენს“ და მისთ.

მაგრამ არის შემთხვევებიც, სადაც შეიძლება ისეთი სუფიქსიც და-  
ერთოს, რომ მარცვალი გაიღოს, მაგრამ უმლაუტი მაინც დარჩეს:

გაჩურ უღანო	კაშურ უღილო <sup>3</sup>	თაქმურ უთავო
ტოტურ უხელო	თაფურ უთოფო	ქააქე ქალაქიმც

უნდა ვიფიქროთ, რომ სვანური ბრუნების დღევანდელი სახე მეტის-  
შეტად შეცვლილია იმასთან შედარებით, რაც ძველად უნდა ყოფილიყო.  
ამიტომ შედარებით უფრო ძნელია, ნათლად გაერკვეს კაცო იმ არვე-  
დარეულ ფორმებში, რომელთაც იძლევა სვანური ბრუნება დღეს, ვინა-  
იდან უმლაუტები გვაქვს და მისი გამომწვევი მიზეზები აღარა. ოღონე  
შეიძლება აქ დახმარება ძველმა ხალხურმა ლექსებმა გაგვიწიოს, სადაც  
შემონახულია ადრინდელი ფორმები. მაგრამ სამწუხაროდ ჯერ ცოტაა  
შეკრებილი ხალხური ძველი სიმღერები, რომ დაჰკმაყოფილებელი პა-

<sup>1</sup>) ამ შემთხვევაში ზოგიერთი სახელი, რომელთაც ფუნქია ენი აქვთ, ნაა ანაუ შეიცვლის  
ლექსად „ცეხლი“, D. ლემასგუ „ცეხლს“ და მისთან.  
<sup>2</sup>) აქ უბრალოდ დაკარგულია შ'ანის გავლენით.  
<sup>3</sup>) თუმცა აქ უმლაუტო ფორმებიც შეიძლება გაიგონოს კაცმა: გარქურ, ტოტურ  
კოაქურ და მისთ.





სუბი შიეილოთ დღევანდელ ბოლოკიდურ დახურულ მარცვლებში (კერძოდ არსებით სახელთა სხვადასხვა ბრუნვით ფორმაში) უმლაუტის წარმოშობის მიზეზის შესახებ.

26. როდესაც ბრუნვათა შესახებ არის საუბარი, ერთი გარემოება უნდა ვივარაუდოთ. სვანურში დღეს არ არის გარჩეული და განსხვავებული ერთი-მეორისაგან წრფელობითისა და სახელობითის ფორმები, როგორც ეს არის ძველს ქართულში: ორთავე ბრუნვათათვის სვანურს ერთი და იგივე ფორმები აქვს<sup>1</sup>. ახალს ქართულსა და მეგრულში თავი იჩინა ტენდენციამ, რომ ორი ბრუნვის ნაცვლად ერთი მათგანის ფორმები იყოს შენახული, მაგრამ ეს მიდრეკილება სხვადასხვანაირად არის გამოხატული: ახანზოვნიან თემებში სახელობითის ფორმებს მოუბოვებია უბიძატესობა, ხმოვნინებში კი წრფელობითისას, ასე რომ გაბატონებული არც ერთის ფორმებია სავსებით, არც მეორისა. ზოგიერთ ქართულ კილოში (ინვილოურში, ხევსურულში) სამაგიეროდ ტენდენციამ, წრფელობითის ფორმები იყოს ყველგან, ხმოვნინ თემებშიაც და თანხმოვნინებშიაც. ქართულ-მეგრული თვალსაზრისით თუ შევხედავთ სვანურს, მას მხოლოდ წრფელობითის ფორმები მოეპოვება, სახელობითისა კი არა. რა ამბავია ვითომ? ქართულმა და მეგრულმა განავითარეს სახელობითი, თუ სვანურმა დაკარგა იგი? აი საკითხი, რომელიც ჩვენი უმლაუტისათვისაც უსათუოდ მნიშვნელოვანი უნდა იყოს. აქამომდე ისე მქონდა წარმოდგენილი, რომ წრფელობით-სახელობითის საკითხში თითქო სვანურს ჰქონდეს შენახული ძველი მდგომარეობა, ხოლო ქართულ-მეგრულს თავის წილში განევათარებინოს სახელობითი. მაგრამ უმლაუტთან დაკავშირებით შეიძლება საკითხი გადაშინჯულ იქნეს. დაბეჯითებით ანის შტკიკება ამჟამად არ შეიძლება, მაგრამ შეიძლება აღმოჩნდეს კი, რომ სვანურს საერთო ქონებიდან სახელობითისა და წრფელობითის განსხვავებაც გაჰყოლოდეს, მაგრამ მას იგი შემდეგ დაეკარგოს დროთა განმავლობაში. რა თქმა უნდა, აბსოლუტურად ახლაც იმ აზრისა ვარ, რომ ულძველეს დროს ორი ბრუნვის ნაცვლად ერთი (წრფელობითი, ე. ი. განუსაზღვრელი ნომინატივი) უნდა ყოფილიყო, მეორე კი (სახეობითი, ე. ი. განსაზღვრული ნომინატივი) შემდეგ უნდა განევათარებუდიყო. ჩემთვის უეჭველია, რომ ერთი ბრუნვა (წრფელობითი) აღრინდელი მოკლენაა, ორი კი (წრფელობითი და სახელობითი) ნელია, მა-

<sup>1</sup>) იგივე ფორმები სვანურში წოდებისთვისაც არის გამოყენებული, მაგრამ წოდებითის საკითხი ამჟამად არ განიხილეს.



გრამ ეს „ნელადი“ შეიძლება კარგა ხნის აშვაიცი იყოს, სახელობრ იმ დროისა, როცა ქართულ-მეგრულ-სვანური ჯერ კიდევ არ იყო ერთი მეორისაგან ენობრივად დაშორებული<sup>1</sup>.

თუ ეს ასეა, რა იყო სახელობითის ნიშანი სვანურში ძველად? ქართულში სახელობითის ნიშნად ი გვაქვს, რომელიც „აგი“ ართრონის ნაშთი უნდა იყოს<sup>2</sup>. სვანურად „აგი“ არის ეჟი ანუ ეჟა და ამიტომ სვანურშიც სახელობითის ნიშნად ამ ეჟა'ს ანუ ეჟა'ს შემოკლებაა მოსალოდნელი, თითქო ე.

მგონი ასეთი წარმოშობის ე უნდა გვქონდეს ძველ ხალხურ სიმღერებში, როგორც, მაგალითად, ყანსავე ყიფიანის ლექსში<sup>3</sup>:

ყანსავე უიფაანა (2-ჯერ)  
უმნა უდგარა  
ბაკას ხეშადაე  
ხონა ღვაჟარეს  
ბარჯას ჭასდანდახ  
ნამცა თაფარე  
ღუთხელ ზიღარე  
სოღა ღვაჟარე  
ტუბას ზესდანდახ

ყანსავე ყიფიანო (2-ჯერ)  
უხუც-უჟეღო  
ბაკას ეომებოდი  
კარგსა ვაჟ-კაცებს  
ბეჟზე გედვათ  
ნამცას თოფები  
თბელ-პირებიანი  
ვლახა ვაჟ-კაცები  
ღელეში ეყარნენ (ეგდენ)

მოყვანილ ნაწყვეტში ე მრავლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაშიც გვხვდება (თაფარე, ზიღარე, ღვაჟარე) და მიცემითშიც (ღვაჟარეს). თუ ე'ნს სახელობითის ნიშნად მივიღებთ, მაშინ მიცემითში მისი ხმარება ანალოგიას უნდა მივაწეროთ, ან არა და, ეს სახელობითის ე ფუძესთან შებორცებულად ვცნაოთ და ამით გაფამართლოთ მიცემითში მისი გამოჩენა<sup>4</sup>. დავარქვათ ამ ე'ნს პირობით „უტყვი ე“, რადგანაც იგი დღევანდელ ჩვეულებრივ საუბარში არ გამოითქმის და მხოლოდ ლექსში იჩენს ხოლმე თავს.

უნდა შევნიშნოთ, რომ „უტყვი“ ხმოვანი სვანურში ე'ნს გარდა ა'ნიც არის და ა'ნიც. მოყვანილ ნაწყვეტშივე გვაქვს, მაგალითად: უიფი-

<sup>1</sup> სახელობითიცა და წრფელობითაც ორივე ნომინატივია, მაგრამ ერთი (სახელობითი) განსაზღვრული, ხოლო მეორე (წრფელობითი) განუსაზღვრელი.

<sup>2</sup> ამიტომ „იგი“ სახელთნაცვლის არტიკლად ანუ ნაწვერად ხმარება პლედინასტურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ კლასიკურს ქართულში.

<sup>3</sup> მოწყვეს უცვლელად დასაწყისი იმ ვარიანტისა, რომელიც ჩაუჭერია ბესარიონ ნიჭარაძეს (ხელნაწერიდან). ქართული თარგმანიც მასვე ვკუთვნის, ორთოგრაფიაც მისივეა დაცული.

<sup>4</sup> ამისთანა მოვლენას ტანურში აქვს ადგილი.





ანა, ბარჯას, ტუბის. ამ ფორმების ნაცვლად პროზაში გვეტყებოდა: ქოფანს, ბარჯას, ტუბს, ე. ი. სადაც პოეზიაში „უტყვი“ ანია, პროზაში იმის წინ ხმოვანი უცვლელია და სადაც „უტყვი“ ანია, იმის წინ უმლაუტს აქვს ადგილი.

ჯერ კიდევ ნათლად არა ჩანს, თუ რა დამოკიდებულებაა ამ „უტყვა“ (ა ქ ი) ხმოვნებს შორის და რას უნდა მივაწეროთ მათი ხმარება ლექსებში. შეიძლება მართლაც აღმოჩნდეს, რომ ერთი მათგანი (ა ან ე) განსაზღვრული ნომინატივის ნიშანი იყოს, სხვები კი ფუძის მოკვეცილი ბოლოკიდური, კერძოდ ე ზმნის ფორმებშიაც ჩნდება: მოყვანილ ნაწყვეტშივე გვაქვს, მაგალითად, ხეშაადე, რომელიც, თუ აწყყოს ფორმად გავიგებთ, ბალს-ზემოურ კილოზე ასე ითქმის პროზით: ხეშააჲ, („ეომები“) და თუ ნაყუ უსრულის ფორმად (როგორც თარგმნის ბეს. ნიჟარაძე), მაშინ ასე: ხეშააჲ („ეომებოდი“). ასეა თუ ისე, ამ „უტყვი“ ხმოვნების ხმარებას ძველად თავისი საფუძველი უნდა ჰქონებოდა. თუ მართალია, ვთქვათ, რომ სვანურსაც ერთ დროს ნომინატივის ფორმის განსაზღვრელი ნიშანი ე ან ი მოეპოვებოდა, რომელიც შემდეგ დაეკარგა, მაშინ, რა თქმა უნდა, გასაგები გახდება უმლაუტი სახელთა ფუძეების ბოლოკიდურ დახურულ მარცვლებში მხოლოდითი რიცხვის სახელობა. ბრუნვისა და აგრეთვე მრავლობითის -ან (-აჲ) სუფიქსში.

ჯერ, სამწუხაროდ, არ არის სვანური ხალხური სიმღერები საკმარის შეკრებილი და სპეციალურად შესწავლილ-გამოკვლეული, და ეს გვაფალებს, ფრთხილად ვიყვნეთ და თავი შევიკავოთ ნაადრევი დასკვნებისაგან. ერთი კი შეიძლება ვთქვათ: „უტყვი“ ხმოვანთა ბუნების გამორკვევას შეუძლია ნათელი მოპვინოს უმლაუტის გაჩენას ბოლოკიდურ დახურულ მარცვლებში.

## V.

27. უმლაუტის მიმოხილვისას გვინტერესებდა უმთავრესად მორფოლოგიური საკითხები, უკეთ რომ ვუქვათ, გამორკვევა იმისი, თუ რა მნიშვნელობა აქვს უმლაუტს მორფოლოგიაში, რაგვარი ცვლილება შეაქვს მას მორფოლოგიურ ელემენტებში. უკანასკნელ ორიოდ სიტყვა იმის შესახებაც, თუ როგორია ფონეტიკური სახე უმლაუტ-ქმნილი ხმოვნებისა სვანურში.

წ დავიწროებული ანია, რომელიც ეწისაკენ არის დახრილი, მაგრამ უფრო ახლოს დგას ანთან, ვიდრე ეწთან. მას ისეთი ელფერი აქვს, რომ აწის ძირითადი სახე მთლად როდია წაშლილი, ისე რომ, თუ



კაცს მახვილი ყური არა აქვს, შეიძლება ა'ნში აეროს<sup>1</sup>. მხოლოდ ლამ-  
ხურში უნდა ყოფილიყო იგი ე'ნთან აბლოს მდგომი და ეს არის ალბათ  
იმის მიზეზი, რომ ლაშხური, რომელმაც მხოლოდ ა'ნის უმლაუტი იცის,  
ყოველთვის ე'ნს გვაძლევს. ეს უმლაუტური წარმოების ე'ნი მას ზმნებში  
ქცევათა გასარჩევად აქვს გამოყენებული.

ა. დავიწროებული ა'ნია, რომლის დახრილობაც ე'ნისაგან არის  
მიმართული. ხშირად იგი ისეა დავიწროებული, რომ თითქმის ე'ნამდგა  
დასული, თუმცა კი ლაბიალობა შერჩენილი აქვს და ამიტომ აკუსტი-  
კურად ჰუ დიფთონგის შთაბეჭდილებას ახდენს<sup>2</sup>. არის შემთხვევები, რო-  
დესაც ლაბიალობაც დაკარგული აქვს და ე'ნისაგან აღარ განირჩევა; ეს  
ხდება უმაჯგურესად ლაბიალ ბგერებთან, როგორც მაგალითად საჰენ „სა-  
პონი“, ბეჟუ „ბაეშვი“, კოდეჟუ „კოლოფი“ და მისთ., თუმცა ასეთი რამ  
შეიძლება სხვაგანაც იპოვოს კაცმა. მაგ. ეშუჟი იტეტ ა შერჟე ჩე<sup>3</sup> „ერ-  
თი ხელი ზევით (ე. ი. თავში) შემოიკრა და მეორე ქვევით“, სიდაც  
იტეტ = იტატ „ხელი შემოიკრა“ (ტატ „ხელი“, pl. ტატარ).

ბ. დავიწროებული ე'ნია, რომელიც ა'ნისაგან არის მიმართული. მისი  
დახრილობა ა'ნისაღმა ხანდახან ისე შორს მიდის, რომ თავისი პირვან-  
დელი სახიდან ლაბიალობა-ღა რჩება და ჟა დიფთონგის ხასიათი აქვს<sup>4</sup>.  
ხშირად არც კი იცი კაცმა, რა ფერო სწორი იქნება, რომ დასწერო:  
ჟ თუ ჟა, ისე მიემსგავსებიან ისინი ერთს. არა იშვიათია აგრეთვე  
შემთხვევები, როდესაც მას ლაბიალობაც ჩამოშორებული აქვს სრუ-  
ლიად და ანად არის ქცეული. მაგალითად, სკურ ფუძისაგან გვაქვს:  
ასგურე „სვამს“ („აჯენს“) და ხასგურუნე „ასმევიწებს“, რომელიც ნამყო-  
სრულში ასეთ ფორმებს გვაძლევს: ხასგურუნე (ხასგურუნე) „დაასმევიწა“,  
ხასგურან „დაასმევიწა“, ხასგურან „დავასმევიწა“, სადაც ორთა ფორმე-  
ბის ი ე'ნისაგან არის მიღებული: \*ხასგურუნ, ხასგურუნ<sup>5</sup>. მაგალითების გა-  
მრავლებით აღარ მოვიწყენ მკითხველს, ვიტყვი მხოლოდ, რომ ე'ნის  
ანად ქცევის შემთხვევები არც თუ ცოტაა<sup>6</sup>.

1) სვანები, როცა სვანურად წერენ რასმე, ამ ბგერას ანითვე გამოაატავენ.

2) სვანები მას ჩვეულებრივ ვე ჯგუფით დადმოგვეყენ.

3) შეატელის ნათქვამია.

4) სვანები მას ვი ჯგუფით დადმოგვეყენ.

5) გასასწორებელია შეცდომა, რომელიც 175 გვერდზე (მეექვსე ატრიქონში) გავკვპარა, სადაც ნათქვამია, რომ თ'ნისა და ე'ნის უმლაუტის „შემთხვევები მხოლოდ ფუძის ხმოვნებითაა განსაზღვრული“-თ. თ'ნის უმლაუტი, მარსალია, მხოლოდ ფუძეში გვხვდება, მაგრამ ე'ნისა კი სუფიქსშიც მოიპოვება, როგორც ეს მაგალითიც გვიჩვენებს.

6) ნახე კოდეჟე: ა. შანიძე, შემთხვევა ბერძნული სიტყვის აკუსტიკური ფარმით სესხე-  
ბისა სვანურში („ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, V, 254—256).





ამგვარად მიღებულია შემდეგი მწკრივი უმლაუტ-ქმნილი ბგერებისა:

ა: ზ ე      ო: რ ქმ ე      უ: წ ქი ა

28. სვანური უმლაუტების ბუნებისა და თვისების გარკვევის დროს ვეყრდნობოდით უმთავრესად ბალს-ზემოური კილოს მისაღებს. ამ კილოს არჩევანი იმით იხსნება, რომ აქ უფრო მკაფიოდ და მკვეთრად არის გამოხატული ეს მოვლენა, ვიდრე დანარჩენ კილოებში: ბალს-ზემოურს ის უპირატესობა აქვს ბალს-ქვემოურთანა და ლენტეხურთან შედარებით, რომ მას გრძელი ხმოვნებიც მოეპოვება, ლაშხურთან შედარებით კი ისა, რომ ლაშხურმა არ იცის ონიისა და უნის უმლაუტი, ანის უმლაუტური სახე კი აქ უნია და არა ზ, როგორც სხვა კილოებში.

ლაშხურში ასეთი უნი ზმნის ფორმებში გვხვდება, სახელებში კი უფრო იშვიათად. მაგალითად, ბაზ, ბაზა (ქვა, ქვები) ლაშხურში ამ სახით არის: ბეზ, ბეზა, ე. ი. ერთხელეე მხოლოობითში მიღებული უმლაუტური ფორმა გადატანილია მრავლობითშიც. სამეგიეროდ ააშ, ააშა (ყველი; ყველები) ლაშხურში უმლაუტად არის წარმოდგენილი: თაშ, თაშა და სხვა. საზოგადოდ, ლაშხური კილო უმლაუტის საკითხში განკერძოებით დგას სხვა კილოებისაგან.

არც თუ დანარჩენი კილოები ეთანხმებიან ყველაფერში ერთი მეორეს, რისი ნიმუშებიც ზემოთ იყო თავ-თავის აღვილას მოყვანილი. დამატებით აღვნიშნავ აქ ზოგ რასკუ.

ბალს-ქვემოური, მაგალითად, მხოლოობითი რიცხვის მოქმედ. ბრუნვაში ისევ უმლაუტს გვიჩვენებს: ხატ, ხატშქ (ხატი, ხატით), ისე როგორც მრავლობითი რიცხვის ყველა ბრუნვაში: სახ. გეგბან (ფიქვები), მოთხრ. გეგბანდ. ნათ. გეგბანქე, მიც. გეგბანს, ნოქმედ. გეგბანქე, მიმ. გეგბანდ და სხვ. (შდრ. § 25, გვ. 216 და 217).

ლენტეხური, მაგალითად, თავისებურად ეპყრობა ჩამომავლობით გრძელსა და მოკლე ხმოვნებს აწმყოს წარმოებისას; მაშინ როდესაც აწმყოს სუფიქსი ინი მოქმედებითი გვარის ზმნებში ჩამომავლობით მოკლე ანს უმლაუტს უშვრება, ჩამომავლობით გრძელ ხმოვნებს უცვლელად სტოვებს:

ერთის მხრით	მეორეს მხრით
ადგარი კლავს	ადაში (ბ.-ზემ. ადაში) თესავს
აშტანა გრებს	აშკადი (ბ.-ზემ. აშკადა) ჭედს

(შდრ. § 2)



ვეგვე ლენტეხური არც მყობადში იძლევი უმლაუტს იმ ზმნებში, რო  
შელთაც აქ სუფიქსად ი მოუდის (§ 4): ქანაშარი „მოამზადებს“, ასაკაი  
დაასობს, ადაქორა „გააბრუებს“ და მისთ. არც ვნებთის სუფიქსი (§ 5) მო-  
ქმედებს ფუძის ჩამომავლობით გრძელ ხმოვანზე: იაბაი „ნიავედბა“, იაბრი  
„მზადდება“, იტაბი „ითლება“, ისაყი „გიყდება“ და მისთ. მით უფრო  
საკვირველია, რომ ჩამომავლობით მოკლე ფუძისეულ ან სუფიქსის  
ქნიც კი უმლაუტს უშერება, აწმყოშიც და ნამყო სრულშიც: აქანე  
„ადებს“, ატქანე „ანთებს“ (ასატქანე ანთო), ანაყე „აცხობს“ (ანანაყე  
„გამოაცხობ“), ატუნაყე „წივას“ (ანატუნაყე „შეწივა“) და მისთ. [შდრ. აშარე  
(ბ.-ზ. აშარე) „ამზადებს“, ქანაშარე (ბ.-ზ. ქანაშარე) „მოამზადა“, ატანე (ბ.-ზ.  
ატანე) „თლის“ და მისთ ], მაშინ როდესაც ჩამომავლობით მოკლე ანი შე-  
ნახულია უცვლელიად (აქამე „შლის“), მოკლე უნი კი რედუქცია-ყო-  
ფილია: ასკუნე „სვამს“, აბქე „ალობს“, აცხუჯე „რუჯავს“ და მისთანანი.<sup>1</sup>  
(§ 7). ბალს-ხემოურსა და ბალს-ქვემოურსი ქნი უფრო მაშინ მოქმე-  
დებს წინა მარცვლის ხმოვანზე, როცა იგი ამოღებულია რედუქციის  
გზით, ლენტეხურში კი გვაქვს შემთხვევები, როდესაც ქნი მაშინაც კი  
ახდენს გავლენას, როცა რომ შენახულია: აგუნე „აყენებს“, ალეყე „არ-  
თავს“, აშეყე „აბერებს“, ატეხე „ათბობს“, ატეხე „თიბავს“, ატეხე „ამ-  
წყვედვს“, ანაყე „ანებებს“, ანაყე „სჯობნის“ და მისთ. (შდრ. გვ. 185).

1) აქ გავიჩინე ერთ საკითხს უნდა შევეხებათ. სეანტორი ენის ოთხ კლასთაგან რომ მხო-  
ლოდ ორში მოიპოვება გრძელი ხმოვნები (სახელდობრ ბალს-ხემოურსა და ლაშხურში) და  
ორში კი არა (ბალს-ქვემოურსა და ლენტეხურში), საკითხავია: განვითარებულია საგრძე ორს  
კლასში, თუ დაკარგულია იგი ორს სხვანაშ ამ საკითხის გადასაწყვეტად უნდა მივმართოთ იმ  
კლასებს, რომელთაც ამ წინაშე სიგრძე არ მოეპოვებათ (ე. ი. ბალს-ქვემოურსა და ლენტეხურს).  
და ვნახოთ, თუ როგორ გვყვარობიან ისინი იმ ხმოვნებს, რომლებიც სხვა კლასებში მოკლედ  
და გრძლად არის წარმოდგენილი. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მოაქრობა სხვადასხვანაირია.  
ერთი ამისი ნიშნში ლენტეხურიდან უკვე ვნახეთ უმლაუტის საკითხნი: უმლაუტი ფუძისეულ  
ანს მაშინ მოსდის, თუ რომ იგი ბალს-ხემოურსა და ლაშხურშიც მოკლედ, და თუ იქ გრძელია,  
მაშინ არა. ახლა კიდევ მაგალითი ხმოვანთა რედუქციიდან: ბალს-ქვემოურსი რედუქცია იმ  
ხმოვნება მოსდის, რომელნიც ბალს-ხემოურსა და ლაშხურშიც მოკლედ გამოითქმის, ხოლო რომ-  
ლებიც გრძლად; იმათ კი არა; მაგალითად: აკრე „ადებს“, ანეყე „აცხობს“, ატეხე „წივას“  
(ხორცი) და მისთანანი, სადაც ანები ამოღებულია, რადგანაც ისინი ბალს-ხემოურსა და ლაშ-  
ხურშიც ამოღებულია სიმოცლის გამო, მაგრამ იმათ პირისპირ დგანან: ამარე „ამზადებს“  
ატეხე „თლის“ და მისთანანი (და არა ამრე, ატეხე, რადგანაც აქ ანი ბალს-ხემოთ და  
ლაშხურში გრძლად გამოითქმის). აქ აშინი ფუძეებია დასახელებული, იცევა ონიანსა და უნი-  
ანს ფუძეებზე. მაშასადამე, ხმოვანთა რედუქცია ერთის მხრით და ხმოვანთა უმლაუტი მეორეს  
მხრით გვიჩვენებს, რომ ლენტეხურსა და ბალს-ქვემოურსში, სადაც გრძელი ხმოვნები არ მოი-  
პოვება, მაინც გარჩეულია სხვადასხვა ფუძეები: უმლაუტიანი და უუმლაუტი (ლენტეხურში) ან  
შეგლმული და შეუგლმული (ბალს-ქვემოურსში). აქედან შეგვიძლია ფრიად მნიშვნელოვანი დასკვნა  
გამოვიღოთ: ხმოვნების სიგრძე ლენტეხურსაც და ბალს-ქვემოურსსაც ჰქონიათ, მაგრამ მათ იგი  
დაუკარგავთ დროთა განმავლობაში (აღმათ ქართულსა და მეგრულს გავლენით).





29. როგორც ვნახეთ, წინამავალი მარცვლის ხმოვანზე გავლენა მხოლოდ მომდევნო იწისა და კწს აქვს. აქვს თუ არა გავლენა, თუნდაც სულმცირე შემთხვევებში, სხვა ვიწრო ხმოვნებს, როგორცაა ა, უ და თვით ? ჯერჯერობით ამაზე გადაჭრილი პასუხის გაცემა არ შემძლია, რადგანაც დაკვირვება ამ მხრივ არ არის ნაწარმოები, თუმცა ის კი შეიძლება ითქვას, რომ, თუ ვინიკობაა ამითაც აღმოჩნდებოდა საუმლაუტო ძალა, ალბათ მხოლოდ აწზე. მაინც, როდესაც წაწყდისაგან (§ 1), ნაწარმოებია წაწყდუ „ხორცს ქრის, ამხადებს“ და წაწარისაგან (§ 15) წაწყდუ „ლოცავს“, ან კიდევ, როცა ამწარაქუ („ფრინავს“) ფორმის გვერდით მოიპოვება წაწყდუ „ჩიტი, ფრინველი,“ რომელიც სწაწ ფორმითაც არის წარმოდგენილი (ლაშხურში), შეიძლება უმლაუტის შემთხვევები ამ ხმოვნების მიერ გამოწვევითაც ივარაუდოს კაცმა<sup>1</sup>.

30. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ აწეს ყოველთვის როდი აქვს გავლენა წინამავალ ხმოვანზე, არამედ იმის მიხედვით, თუ რა წარმოშობისაა იგი: თუ იწისაგან არის წარმომდგარი, მაშინ გავლენიანი ხმოვანია და თუ აწისაგან, მაშინ არა (§ 9). მაგალითად, გვაქვს დასუსუმა (და არა დასუსუმა) „ასულელები, ქალები“ (§ 17, b). რადგანაც აქ მიღებულია აწისაგან: \*და-ასუსმა. მართალია, ამისი მხოლოდითი ფორმაა ქასუსუ, „ასული, ქალი“, მაგრამ აქ ჭ ძირეული კი არ არის, არამედ ნელად არის განვითარებული ხმოვნის წინ, აღრინდელი მისი სახეა \*ასუსუ, რომლისაგანაც მრავლობითის ფორმაა ნაწარმოები. იმ არსებით სახელებში კი, რომელთაც ბოლოს ა მოუღის, როგორცაა შედუმა „ყვეილი“, მუწა „მუშა“, ქაწა „მდინარე“, გაწა („დადმარაი, ფერდი“) სიბაწა „ლორ-მუცელა“, შაწა „თრითინა“, უწა „ძილი-გულა“, ნაწა „მექონია, ქონი ქამია“ და სხვა, უკანასკნელი ხმოვნის უმლაუტი ისეთივე ხასიათისაა, როგორც იმ სახელებში, რომელთაც ბოლოკიდური მარცვლი დახურული აქვთ: აწტუწსტ „ვარსკვლავი“, მუწუწაწტ „ბარძაყი“, უწაწაწტ „კინკრავი“, წაწტ „ვარკლი“ და მრავ. სხვა.

<sup>1</sup> ოწის გავლენის შესაძლებლობის შესახებ ახრი გამოთქვა პროფ. გ. ახვლედიანმა ამ მოხსენების შემდეგ გამართული ბასის დროს ნაბოხ სიტყვასთან დაკავშირებით (უკვე ნაბოხ, ლაშხ. ნებოხ). აგრეთვე აწო- და აწო- გულდისაგან ოწ- და ოწ- გულდის მიღებაში (გვ. 190) იგი უმლაუტის ხედავდა.

<sup>2</sup> ითქმის უფრო გათვლილ ზღვრედ (რომ უნდა: თქვამ, აწა და აწ გვარის ქალი არისა).

<sup>3</sup> წაწტ. ქართ. ა-ს ულ-ი, მეგრ. ოსურ-ი.



**31.** საზოგადო დაკვირვების შედეგები გვიჩვენებს, რომ უმლაუტის გამოწვევა მხოლოდ უშუალოდ მომდევნო მარცვლის ხმოვანს შეუძლია. მაგრამ შეიძლება ვითომ აღმოჩნდეს ისეთი მაგალითებიც, სადაც უმლაუტი მესამე მარცვლის ხმოვნით იყოს გამოწვეული? ვეჭვობ. ახას არ გვაფაქრებინებს ვაქვათ ისეთი მაგალითიც კი, როგორცაა გარგლა, „ლაპარაკობს“, რომელიც მართალია ორი მარცვლისაგან შედგება, მაგრამ, თუ შეკუმშულობას გავშლით, მაშინ სამს მივიღებთ: \*გარგლა (გარგლა, ლენტეხ. გარგლა „ლაპარაკი“<sup>1)</sup>. აქ წესით უმლაუტი მეორე მარცვალს უნდა ჰქონდეს: გარგლა, მაგრამ რადგანაც ეს მეორე მარცვლის ხმოვანი ჩავარდნილია რედუქციის წყალობით, ამიტომ მისი უმლაუტი გადმოსცემა წინა ხმოვანს. მაგრამ გადმოსცემა არა იმიტომ, რომ ასეთ გადმოცემას თითქო ადვილი ჰქონდეს საზოგადოდ, არამედ ამ ინდივიდუალურ შემთხვევაში, ვინაიდან ამ სიტყვის პირველი მარცვლიც იმგვარადვე იწყება, როგორც მეორე. გადმოცემული უმლაუტი მეორე შენახულია სუვე სხვა ფორმებშიც: გარგლა (\*გარგლადა) „ლაპარაკობდა“, გარგლადა (\*გარგლადადა) „ლაპარაკობდეს“ და მასთ<sup>2)</sup>.

**32.** სკანური უმლაუტის საკითხში დაბრკოლებას ბოლოკიდური მარცვლები წარმოადგენენ, სადაც ანალოგიებს ძალიან უნდა დაეხმებოდნენ წარმოების პირობადელი სახე, თორემ სხვაფრივ საკითხი მარტივია, უმლაუტის გამოწვევი მიზეზები ცნობილია და რა პირობებში ხდება, ესეც საკმაოდ გამორკვეულია. ოღონდ ზოგიერთ დეტალებს სჭირდება დამუშავება, როგორც არის, მაგალითად, თუ რატომ ვერ ვხედავთ უმლაუტს ატას ფორმაში (§ 11), ან რა უშლის ხელს, რომ უმლაუტი ზნდებოდეს ასეთ წარმოებაში: ხაღწარ (ანუ ხაწილ) „მას დაჩენილი აქვს, ჰშთენია“ (თუ შეიძლება ასე ითქვას), ხაშქად „ახსოვს“, ან კიდევ ხაკად „დაბრტყა“ და სხვა მისთ. დამაბრკოლებელი მიზეზი ვითომ აქ ის არის, რომ ანი ჩავარდნილი არ არის რედუქციის წყალობით? ჰო, მაგრამ ხომ ვაქვს მსგავსი შემთხვევები და უმლაუტი მაინც არის, მაგალითად: ხაწისგ „ეჯავრება, სძლს“, ხაწადა „უხარია“ და მისაანანი?

<sup>1)</sup> შდრ. ჭანური ოღარდალუ „ლაპარაკი“.

<sup>2)</sup> ესეც არის უსათოდ მხედველობაში მისაღები: ხომ არა ვაქვს აქ ისეთი შემთხვევა, რომ მესამე მარცვლია იმს უმლაუტი გამოეწვიოს მეორე მარცვალში, ამ მეორე მარცვლის ხმოვანს კი შემდეგ თავის მხრივ გავლენა მოეხდინოს პირველი მარცვლის ხმოვანზე. მაშინ ეს მაგალითი § 24-ში გამოითქმული ახარის საილუსტრაციოდ გამოდგებოდა.





**33.** უმლაუტი, როგორც წინამძღვარი ფართო ხმოვნის ნაწილობრივი დამსგავსება მომდევნო ვიწროსადმი, დამსგავსება, რომელიც გამოიხატება ფართო ხმოვნის დაკვიწროებით, მთელი სვანური ენის სიერცხეა გადაკვიწული და ზოგი მეტ-ნაკლებობით ყველა კილოშია გატარებული. მაგრამ დიდიმეტრი განსხვავებანი ამ საკითხში საკმაოდ თვალსაჩინო აღმოჩნდა. ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლის განსხვავება რომ არ მივიღოთ მხედველობაში, ვინაიდან იგი ამ საკითხისათვის არსებითი არ არის, კილოები ბევრ რამეში არ ეთანხმებიან ერთი მეორეს. ლაშხური მინც მთლად განმარტოებით დვას სხვებისაგან, რადგანაც მან არ იცის, თუ რა არის ოწნისა და უწნის უმლაუტი, აწნის უმლაუტად კი ეწნს გვიჩვენებს, და არა აწნს, როგორც ყველა დანარჩენი კილო<sup>1</sup>. რომ შევადაროთ ერთი-მეორეს ბალს-ჭვემოური და ლენტეხური (რომელთაგანაც გრძელი ხმოვნები არც ერთს არა აქვს), უმლაუტურ მოვლენებს ორგანვე საკმაოდ განვითარებულს ენახავთ, მაგრამ ისე, რომ ზოგ კატეგორიებში ბალს-ჭვემოური სკარბობს, ზოგში კი ლენტეხური. ყველაზე უფრო განვითარებულია უმლაუტი ბალს-ჭვემოურში, სადაც იგი გრძელ ხმოვნებსაც მოკბოვება და მოკლებსაც და თანაც მეტის თანმიმდევრობით არის ხმარებული და გატარებული.

**34.** არა თუ სხვადასხვა კილოში, არამედ ერთსა და იმავე კილოს ფარგლებშიც მოიპოვება კილოკაური განსხვავებანი და თავისებურებანი. აი თუნდაც: ბალს-ჭვემოური კილოს ბეჩოური კილოკავი უმლაუტს არ გვაძლევს აწნისა სახელების ნათესაობითს ბრუნვაში, მაშინ როდესაც იმავე კილოს ლახამულური კილოკავი კი გვაძლევს: ლწნგა „საპო-სახლო, სახლი“ [ფუძეა ზაგ-: ლწნგან (ბ.-ზ.) „დასახლდა“], ნათეს. ლწნგამ (ბეჩ.) და ლწნგამ (ლახ.). მაგრამ ესა და მსგავსი წვრილმანი განსხვავებანი განრიგდება და მოთავსდება კილოკაულების დამახასიათებელ რუბრიკებში, როგორც სპეციფიკური მოვლენა ამა თუ იმ კუთხური საუბრისა, და სრულებით ვერ შეცვლის სვანური უმლაუტის ზოგად სახეს.

დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ არა თუ კილოკაური წვრილ-წვრილი თავისებურებანი, არამედ კილოების თვალსაჩინო განსხვავებანიც

<sup>1</sup> ამას რომ ვამბობ, საყენი მაქვს უმთავრესად ხმანთა უღვლილება. სახელთა ბილოკა-დურ მარცვლებში ოწნისა და უწნის უმლაუტი შეაძლებელია ლაშხურსაც აღმოაჩნდეს სადმე.



კი არ აღღვევს იმ მოლიან სისტემას, რომელსაც იცავს სუანური ენა უმლაუტის საკითხში საერთოდ და საზოგადოდ. ჩვენ აქ შევეცადეთ ჩამოგვეყალიბებინა ეს მოლიანი სისტემა ზოგადი წესების დადგენის საშუალებით, მართალია უმთავრესად ბალს-ზემოური მასალების მიხედვით, მაგრამ გზა-და-გზა სხვა კილოთა უმთავრესი დამახასიათებელი თავისებურებანიც იყო აღნუსხული<sup>1</sup> და დავრწმუნდით, რომ, მიუხედავად დიალექტური განსხვავებისა, ტიპი სუანური უმლაუტისა ყოველგან ერთი ყოფილა.

A. CHANIDZÉ (SCHANIDSE).

## Umlaut im Suanischen.

(Zusammenfassung).

Die vorliegende Abhandlung hat den Zweck, eine der Grundfragen der suanischen<sup>2</sup> Phonetik darzulegen, die auch für die Morphologie von grosser Bedeutung ist. Das Fehlen der altsuanischen sprachlichen Denkmäler, sowie der Stand der Erforschung der jetzigen Mundarten haben den Verfasser gezwungen, einige sprachgeschichtliche Fragen beiseite zu legen (wie beispielsweise: seit wann und in welcher Mundart der Umlaut zuerst erscheint, wie er allmählich sich verbreitet und in andere Mundarten übergeht, wie er sich weiter entwickelt und durch Analogiebildungen ausdehnt) und sich zu beschränken, das heutige Bild des Umlauts zu umreißen und seine Tragweite für die Morphologie klar zu machen.

Es wird gezeigt, dass der Umlaut, d. h. die Angleichung der vorangehenden Vokale an die nachfolgenden (die regressive partielle Assimilation) schon auf dem ganzen Gebiete der suanischen Sprache durchgedrungen ist und sich in allen vier Mundarten (in der ober- und niederbalschen<sup>3</sup>, der laschischen und lentschischen) vollzieht. Am stärksten ist er im Oberbalschen, am schwächsten aber im Laschischen ausgebildet.

<sup>1</sup>) ბალს-ზემოური კილოს ფორმები ნაჩვენებია უმთავრესად მულახურის მიხედვით, ბალს-ქვემოური ბენოურისა, ლაშური სასაშურისა და ლენტეხური გუვლიდურის მიხედვით.

<sup>2</sup>) In diesem Worte ist das anlautende s scharf auszusprechen.

<sup>3</sup>) Georgische Ausdrücke *Bals-semouri* und *Bals-ŕwemouri* lassen sich leider nicht näher übersetzen. Bal (suanisch *Bäl*) ist ein Berg, welcher als Grenzscheide für zwei Mundarten im Ingurtal dient. Der Termin «oberbalsch» (bzw. «niederbalsch») bezeichnet die Mundart, welche längst dem Laufe des Flusses oberhalb (bzw. unterhalb) des Berges Bal gesprochen wird.





Es hat sich herausgestellt, dass die umlautleidenden Vokale im Suanischen *a o u* sind, die umlautwirkenden aber das *i* und das *e*<sup>1</sup>, deren Einflüsse auf die vorangehenden Vokale sich verschieden äussern: während das *e* den Einfluss nur auf ein *a* hat, erstreckt sich die Wirkung des *i* auf alle drei Vokale *a o u*. Dadurch entstehen die umgelauteten Vokale *ä ö ü*, welche etwas anders klingen, als die deutschen *ä ö ü*. Für die Zulassung des Umlauts im Suanischen ist es unbedingt nötig, dass die umlautwirkende Silbe auf die umlautleidende unmittelbar folge. Es ist dabei nicht egal, ob der wirkende Vokal vorhanden, oder durch die Silbenzahlreduktion, die im Suanischen ungeheuer verbreitet ist<sup>2</sup>, synkopiert wird. Im Allgemeinen gilt hier die Regel, dass der Umlaut bei der Reduktion, d. h. beim Schwinden der wirkenden Vokale, unbedingt eintritt, bei deren Vorhandensein aber in einigen Fällen gehemmt oder wenigstens eingeschränkt wird, da in einigen Formen reine Vokale vorkommen, wo man eigentlich der Regel nach umgelautete erwarten sollte:

Dabei ist noch zu bemerken, dass nicht alle drei umlautfähigen Vokale eine gleiche Neigung zum Umlaut haben. Der Umlaut von *o* tritt nur in den Stammsilben auf, der von *u* nur in Stammsilben und in Suffixen, in Präfixen aber kommt der Umlaut beider Vokale niemals vor. Was speziell das *u* anbetrifft, so lautet es nur dann um, wenn das nachfolgende *i* unterdrückt ist. Bezüglich des Umlauts von *a* ist es zu beachten, dass er in zahlreichen Formen uns entgegentritt, weil einerseits das umlautfähige *a* in den Präverbien, Gattungspartikeln der Verba und Stammsilben und weil andererseits die umlautwirkenden *e* und *i* sowohl in Gattungspartikeln und Stammsilben, als auch in Suffixen sehr oft vorkommen<sup>3</sup>.

Ueber den phonetischen Charakter der umgelauteten Vokale sei Folgendes bemerkt:

*ä* steht dem *a* näher, als dem *e*. Es ist eine solche Nuance des *a*, wo der Grundcharakter des Lautes noch deutlich hervortritt<sup>4</sup>. Obwohl also das *ä* und

<sup>1</sup> Es ist beachtenswert, dass das *j* bald wirkend, bald wirkungslos ist: vor ihm fehlt oder tritt der Umlaut ein, je nachdem das *j* aus einem *i* entwickelt ist, odernicht. z. B. *lajge* (\**laige*) «er hat es gebaut» und *lājge* (\**laige*) «er hat es für sich gebaut».

<sup>2</sup> Siehe darüber: A. Chaniczé, Zur Etymologie des georg. წგნაწგო «Jahr» (Jahrbuch der Georg. Sprachwissenschaftlichen Gesellschaft, I.—II. 1923—1924, S. 7—10, georgisch).

<sup>3</sup> Es sei hinzugefügt, dass die gutturalen *k g k'* (კ გ კ') vor einem *ä* palatalisiert werden: es entwickelt sich ein *j*, welches durch kein besonderes Zeichen wiedergegeben wird. Also sind die Gruppen *kä gä k'ä*, als *kjā gjā k'jā* auszusprechen.

<sup>4</sup> Daher kommt es vor, dass die Suanen, wenn sie etwas suanisch schreiben, den Unterschied zwischen einem *a* und einem *ä* unausgedrückt lassen und für beide Laute sich eines und desselben Zeichens (*a*) bedienen.









chotche (nicht chötchel) «er schickt es ihm zurück»<sup>1</sup>, djitche «er schickt es dir zurück», mitche «er schickt es mir zurück»; ochtich (\*achotich) und ottich (\*adhotich) «er hat es ihm zurückgeschickt», ädjich (\*adjitich) «er hat es dir zurückgeschickt»; ämtich (\*amitich) «er hat es mir zurückgeschickt»; nätich «zurückgeschickt»; lätcha «womit etwas zu schicken ist»; utcha (\*uticha) «nicht zurückgeschickt». tech (von tich durch den Ablaut gebildet): techni (\*techeni) «er kommt zurück», ätcheni (\*atecheni) «er wird zurückkommen»; atäch «er ist zurückgekommen»; ätch «du bist zurückgekommen» ätūch «ich bin zurückgekommen»; chetcheni «er kommt zu ihm zurück», lächtechni (\*lachtecheni) «er wird zu ihm zurückkommen»; lächtäch (\*lachtetach) «er ist zu ihm zurückgekehrt»; ämtecheli (\*ametecheli) [man sagt:] «er sei zurückgekehrt» und desgl.

Das möge genügen, um eine allgemeine Vorstellung über den Charakter des suanischen Umlauts zu gewinnen.

Damit ist die Sache aber noch nicht erledigt. Es handelt sich darum, dass der Umlaut im Suanischen noch in den Endsilben vorkommt und der Forscher in schwieriger Lage ist, die Frage «aber warum» auch in diesem Punkte, wo sowohl der Grund, als auch die Bedingung für das Auftreten des Umlauts sich nicht leicht nachweisen lassen kann, befriedigend zu beantworten. Der Umlaut führt hier bald zum Unterschied der Numeri (Sg. bätšch «Stein», töt «Hand», p'ür «Kub», Pl. batschär, totär, p'urä), bald zur Differenzierung der Tempora (cheqhāl «er küsst ihn», cheqhāl «er küsste ihn»), bald deutet er auf verschiedene Bildungsarten hin, z. B.:

entweder adlāsche, oder alāsch «er hat es gesät»  
 „ atlāsch „ alasch «du hast es gesät»  
 „ otlāsch „ olasch «ich habe es gesät».

Es ist anzunehmen, dass der gegenwärtig in den (meist geschlossenen) Endsilben erscheinende Umlaut im Allgemeinen zu einer Zeit entstanden sei, als ihnen noch eine *i*- oder *e*-haltige Silbe folgte, die später abgefallen sein wird. Auf diese Weise werden die Wörter den umlautwirkenden Vokal einst gehabt und nachher verloren haben und doch zeigen sie den Umlaut jetzt, d. h. die Ursache ist im Laufe der Zeit verschwunden, das Ergebnis aber steht bis jetzt da. Wenn z. B. der Umlaut unter gleichen phonetischen Bedingungen bald angewendet, bald nicht angewendet wird (malät «ich liebe ihn», malat «Liebe», andjäh «er hat es gekocht», andjab «du hast es gek.», ahöd «er hat es verkauft», ahod «du hast es verk.», aschchün «er hat es aufbewahrt», aschchun «du hast es aufb.» u. desgl.), so ist es ja vorauszusetzen, dass die sonst gleichklingenden Lautkomplexe aus

<sup>1</sup>) Chätche und chotche sind verschiedene Gattungsformen, deren verschiedene Bedeutungen genau sogar ins Georgische sich nicht übersetzen lassen.



verschiedenen Wortformen hervorgegangen sind<sup>1)</sup>.

Nicht alle Endsilben scheinen selbstverständlich, ihren Umlaut lautgesetzlich erhalten, sondern manche von ihnen ihn nur nach der Analogie gebildet zu haben. Die Analogiebildung wird dazu beigetragen haben, dass der Umlaut jetzt in den geschlossenen Endsilben zu herrschen strebt.

Stünden uns altsuanische sprachliche Denkmäler zur Verfügung, so würden wir hierhergehörige Fragen auch leicht erörtern können. Wie weit die in den von altersher überlieferten und bis zur Gegenwart mündlich bewahrten Volksliedern vorkommenden «stummen» Endvokale *i* und *e* für die Erklärung dieser Tatsache von Bedeutung sein würden, bedarf noch genauerer Untersuchung.

Ist unsere Auffassung von der Entstehung des Umlauts in den Endsilben richtig, so kann man sich der Folgerung nicht entziehen, den Grund zu allen Umlauten im Suanischen in den nachfolgenden *i* oder *e* zu sehen.

---

<sup>1)</sup> Es ist ausgeschlossen, hier im Umlaut ein Differenzierungsmittel zu sehen.



შემჩნეული ბეჭდვითი შეცდომები.

გვერ. და სტრ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
41	წაყაფაძე	წაყაფაძე
127	რაიონები	რაიონი
175,6	მხოლოდ	უკეთესად
176,4	მხოლოდ ა'ნი	მხოლოდ ა'ნი (ლენტეხურ- ში ე'ნიც)
176,1 ქვ.	რულის	სრულის
185,3	ახიდანე	ახიდანე
185,25	ხსნსე	ხსნსე
203,8	ა'რი	(ა'რი
207,13	ტქსსე (ბ.-ქვ.	ტქსს (ბ.-ქვ.
208,9	სეჭქდაულ	სეჭქდაულ
224,23	(„დაღმართი, ფერდი“)	„დაღმართი, ფერდი“,







ქართული  
ლიბრეოთეკა

